ՀԱՅԵՐԵՆ ԼՐԱԳՐՈՒԹԻՒՆ

ՔԱՐԹՈՒԼ-ՍՈՄԽՈՒՐԻ ՊՈԼԻՏԻԿՈՒՐԻ ՈՒՐԹԻԵՐԹՈՒԹԻՒՆԵՐԸ ԹՓԻԼԻՍԻՍ ՍՈՄԽՈՒՐ ՊՐԵՍԻՆ

„ՈՐԻԶՈՆԻՍԱ“ ԵՎ „ՋՈՂՈՎՐԴԻ ՁԱՅՆԻՍ“ ՄԻՋԵՈՎ

1918 Թ. ՍԵՊՏԵՄԲԵՐ-ԴԵԿԵՄԲԵՐ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ-სომხური პოლიტიკური ურთიერთობები ტფილისის სომხურ პრესაში

(„ორიზონისა“ და „ჟოღოვრდი ძაინის“ მიხედვით)

1918 წლის ოქტომბერ-დეკემბერი

სომხურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ლია გიგაურმა

თბილისი 2023

Udc(უაკ)94(479.22:55)
გ-472

რედაქტორი:

ისტორიის მეცნ. დოქტორი ლია გიგაური

ასისტენტი:

თინათინ იოსავა

ტექნიკური უზრუნველყოფა:

ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობის განყოფილება

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023
© ლია გიგაური, 2023

ISBN 978-9941-9866-7-3

სარჩევი

წინასიტყვაობა.....7

გაზეთი „ორიზონი“.....26

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“.....138

წინასიტყვაობა

1918 წლის მეორე ნახევარში ნაომარი მსოფლიო სულს ძლივს ითქვამდა, როცა, ბალკანეთის ნახევარკუნძულის დარად, ამიერკავკასიაც ერთა შორის დაპირისპირების ასპარეზად იქცა. დამარცხებული გერმანია თავისი მოკავშირეებით და გამარჯვებული ანტანტის ქვეყნები ერთმანეთს მაინც ვერ ურიგდებოდნენ და გავლენის სფეროების განაწილებას, ჩუმად თუ აშკარად, მაინც განაგრძობდნენ. მათ შორის დიპლომატიური თამაშების მსხვერპლი აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი რთული ურთიერთგადახლართული პოლიტიკური მოვლენებით, მისთვის დამახასიათებელი ურთიერთსადავო საკითხებით. საგარეო საქმეებში არეულობას საშინაო ძვრებიც ზედ დაერთო და რეგიონი მილეთის ბაზრად გადაიქცა. ამ პერიოდში ერთნაირად გაძნელდა არა მხოლოდ მთავრობაში, არამედ საზოგადოებაში ყოფნაც. გარედან მოწოლილი პრობლემები შიგნით ისეთ გამოუვალ მდგომარეობასა და დაძაბულობას ქმნიდა, რომ, სადღაც ფონი რომ არ გამოჩენილიყო, კიდევ უარესი ამბები მოხდებოდა. თუმცა სიტუაციის განმუხტვამაც ვერ ალაგმა ადგილობრივი ომები — დაიწყო სომხურ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური კონფლიქტები. ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკები ურთიერთშეთანხმებას ხან კონფერენციით ცდილობდნენ და ხან არბიტრაჟით, მაგრამ ამაოდ! ბოლოს, საქმე ისევ ომამდე მივიდა.

ჩვენც, სომხურ პრესაზე მუშაობისას, პირველ რიგში, უშუალოდ სომხეთ-საქართველოს ომზე გვქონდა აქცენტი, თუმცა შემდეგ კარგად დავინახეთ იმ ისტორიული ფონის გამოკვეთის აუცილებლობა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ომის პროვოცირებასა და მომზადებაში.

1918 წლის საქართველო-სომხეთის ომზე, მეცნიერთა დიდი დაინტერესების მიუხედავად, ფუნდამენტური ნაშრომებით ვერ დავიკვეხნით. კარგად ვიცით, რომ საბჭოთა პერიოდში ასეთ თემატიკას ვერავინ შეეხებოდა. მით უმეტეს, სიღრმისეულ კვლევაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ხოლო თვით ომის მიმდინარეობისა და მისი უახლოესი წლების აღსაწერად, ბუნებრივია, პრესის გარდა, არავის

ეცალა. ამიტომ პირველწყაროებად დარჩა სამხედრო შტაბისა და სხვა საარქივო დოკუმენტები იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებთან ერთად, რომლებზე დაყრდნობითაც ბოლო ათწლეულებში არაერთი პუბლიკაციაა გამოქვეყნებული წიგნების, ესეების, ნარკვევების, სტატიების, სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომების სახით. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია შ. ვადაჭკორიას, არ. ჩაჩხიანის, დ. ჭუმბურიძის, პ. გიგაურის, გ. მარხულიასა და სხვათა კვლევები. იგივე შეიძლება ითქვას სომეხი მკვლევრების – მ. ნარანდიანის, რ. ოვანისიანის, არტ. აბეღიანის, არ. კარაპეტიანის, ვლ. არუთინიანისა და რ. ბაბალიანის ნაშრომებზეც.

თუმცა, ზემოხსენებული შრომების თემის აქტუალობისა და მრავალმხრივობის მიუხედავად, დღემდე შეუსწავლელი და სისტემაში მოსაყვანია ის ქართულ-სომხური ისტორიული წყაროები, რომლებიც, ზოგადად, ამ პერიოდში სომეხ-ქართველთა ურთიერთობების პოლიტიკურ ისტორიას, ეროვნული პარტიების საქმიანობას, ერთა ანტაგონისტური დაპირისპირებისა და ომების პროვოცირების საქმეში დაშნაკ-მენშევიკ-მუსავატელთა „დამსახურებას“ შეეხება.

აღნიშნული საკითხების უკეთ გასაგებად კი, უმჯობესია, ამ პერიოდის ისტორიული ფონი მოვიშველიოთ.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ დროს ამიერკავკასიაში ტფილისი წამყვანი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ლიდერის პოზიციაში იყო. აქ წყდებოდა ყველა საჭირბოროტო ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური საკითხი. ამიერკავკასიის დაშლა-დაქუცმაცება 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო, ე. ი., მაშინ, როცა დროებითმა მთავრობამ, ამიერკავკასიის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, შექმნა სამხარეო ხელისუფლების ორგანო – ოზაკომი, რომელსაც ნომინალური ხასიათი ჰქონდა. იგი რუსეთის დროებითი მთავრობის ნება-სურვილთა უტყვი შემსრულებელი და მისი ანარეკლი გახლდათ. ოზაკომმა თავის ნებაზე მიუშვა ამიერკავკასიის და, კერძოდ, სამხრეთ კავკასიის რეგიონის, ხალხთა სადავეები. ამას ზედ ერთვოდა პირველი მსოფლიო ომის მესვეურთა უნიათობა, ოსმალეთის დაჩაჩანაკებული იმპერიის ლპობა-განადგურება, „ახალგაზრდა თურქთა“ თარეში, ანტანტისა და გერმანიის ინტერესები, საომარი ფრონტების მრავალფეროვნება, რაც მეტ-ნაკლებად აისახებოდა ომთან, ამა თუ იმ კუთხით, დაკავშირებულ სამხრეთ კავკასიაზეც.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ოზაკომმა არსებობა შეწყვიტა და მას ამიერკავკასიის კომისარიატი ჩაენაცვლა, რომელშიც ქართველი სოციალ-დემოკრატებისა (მენშევიკების) და ფედერალისტების, აზერბაიჯანელი მუსავატელებისა და სომეხი დაშნაკების პარტიები გაერთიანდნენ. ცნობილია, რომ პოლიტიკაში ელიტები ქმნიან პარტიებს, რომლებიც, თავის მხრივ, ოსტატურად ახერხებენ ერების მობილიზაციას, ასევე მათ შორის კონფლიქტის ჩამოგდებას. ისინი იარაღად იყენებენ ყველა შესაძლო შემთხვევასა და საშუალებას, რაც მათს სანუკვარ მიზანს ამართლებს.

ქართველი ფედერალისტები და მენშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს აყენებდნენ, დაშნაკებს მოკავშირეების გამარჯვება სურდათ, რომ „დიადი სომხეთი“ მიეღოთ თურქეთის პოლიტიკური და ტერიტორიული განადგურების შედეგად, მუსავატელებს კი, ძირითადად, თურქეთზე ჰქონდათ ორიენტაცია.

ყოველივე ამის ფონზე, საქართველოს რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ყველას თავგზა აუბნია. ტფილისზე დამოკიდებულ ხალხებს ახლა დამოუკიდებლად უნდა ემართათ თავი, შეექმნათ თავიანთი სახელმწიფოები, მთავრობები და საკუთარი პოლიტიკა ეწარმოებინათ. ეს ურთულესი აღწარმოებითი პროცესი იყო, რასაც ბევრი ადამიანი და ორგანიზაცია შეეწირა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ანტაგონისტური განწყობილება, რომელსაც მანამდე ტფილისი აწონასწორებდა თავისი შუამავლობით, ახლა გაშიშვლდა და, შოვინისტური პარტიების წყალობით, დაღუპვისწინა აგონიით შეპყრობილი, საერთო გაღიზიანების ნიადაგზე, კიდევ უფრო აგიზგიზდა.

უძველესი სომხური პოლიტიკური პარტია, რომელიც 1887 წელს ჩამოყალიბდა ჟენევაში, იყო „ჰნჩაკი“ (ქართ. „ზარი“). კავკასიაში მას სომხური სოციალ-დემოკრატიული პარტია ერქვა, რომელიც 1905-07 წლების რევოლუციის შემდეგ რეაქციულ ნაციონალისტურ დაჯგუფებად იქცა. ჰნჩაკისტების იდეოლოგია სოციალ-დემოკრატებსა და დაშნაკებს შორის მერყეობდა. ისინი მედროვენი იყვნენ და დიდხანს აკვირდებოდნენ, თუ ვის მხარეს გადაიხრებოდა სასწორი, ვინ დაწინაურდებოდა რევოლუციონერებსა და კონტრრევოლუციონერებს შორის.

ჰნჩაკისტების პარტია დაშნაკურ გაზეთ „ორიზონში“ ან სადმე სხვაგან, კერძოდ, ჩვენ მიერ ქვემოთ განხილულ პრესაში, თითქმის

არ იხსენიება. სავარაუდოა, რომ ამ დროს ჰნჩაკისტები უკვე სხვა პარტიებში იყვნენ შეხიზნულნი.

საქართველოს დედაქალაქში რამდენიმე სომხური პარტია მოქმედებდა. მათ შორის პირველობას არავის უთმობდა „დაშნაკცუთიუნი“ (სიტყვიდან „დაშნაკი“, ანუ მოკავშირე). ეს იყო სომეხთა მემარცხენე მიმართულების სოციალისტ-ნაციონალისტური პარტია (თავის დროზე მოიხსენიებდნენ, როგორც სომეხთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კონტრრევოლუციურ პარტიას), რომელიც 1890 წელს დაარსდა ტფილისში და, რომლის მიზანიც „დიდი სომხეთის“ აღდგენა იყო. მას სომხური ბურჟუაზია აფინანსებდა. დაშნაკები მონაწილეობდნენ ზემოხსენებული ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის საქმიანობაში. თავდაპირველად დაშნაკებს ალიანსი ჰქონდათ მენშევიკებთანაც – ქართველ სოციალ-დემოკრატებთან. 1918 წლის მაისში პარტია შეუდგა სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას, რომელსაც ჯერ ერევნის, ხოლო შემდეგ, სომხეთის რესპუბლიკად მოიხსენიებდნენ. „დაშნაკცუთიუნი“ 1918-20 წლებში ქვეყნის მმართველი პარტია გახდა და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას თავიდანვე უყენებდა ტერიტორიულ პრეტენზიებს.

დაშნაკები მონაწილეობდნენ დამფუძნებელი კრების არჩევნებში და მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი ქართულ პარლამენტში. მათ არჩევნებში მონაწილეობა თვით სომხეთ-საქართველოს ომის შემდეგაც მიიღეს.

„დაშნაკცუთიუნის“ სამოქმედო კრედო ყველაზე კარგად გამოიკვეთა მისი „საპროპაგანდო“ გაზეთებით, როგორიც იყო „დროშაკი“, „ორიზონი“ (შემდგომში „ნორ ორიზონი“), „აშხატავორი“ (შემდგომში „ნორ აშხატავორი“). მათ დაშნაკურ პრესას უწოდებდნენ. ისინი სომხური ეროვნული საბჭოსა და დაშნაკური პარტიის იდეების გამხმოვანებელნი იყვნენ.

მეორე დიდი პარტია, რომელიც ასევე ტფილისში ჩამოყალიბდა, სომეხთა სახალხო პარტია იყო (იგივე სომხური ლიბერალური პარტია). იგი დაშნაკებს არ ეპუებოდა და სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სათავეში ო. ქაჯაზნუნისა და მისი დაშნაკური პარტიის მოსვლის წინააღმდეგი გახლდათ. „ხალხოსნები“ დაშნაკობას ადანაშაულებდნენ სომხეთისა და სომეხი ხალხის მიმართ წარმოებული დამღუპველი პოლიტიკის გამო და მოითხოვდნენ მის ჩამოშორებას პოლიტიკური ასპარეზიდან.

ტფილისში არჩეული სომეხთა ეროვნული საბჭოც ამ პარტიების წარმომადგენლებისგან შედგებოდა და დაშნაკი თავმჯდომარე ედგა სათავეში. ლიბერალები აქაც მძაფრად აკრიტიკებდნენ „დაშნაკცუთიუნს“.

თავის მხრივ, დაშნაკური პრესა („ორიზონი“, „აშხატავორი“, „ლრაბერი“ და იმავე მიმართულების „Кавказское слово“) პასუხს სცემდა სომხურ სახალხო პარტიას. მათ მხარს უჭერდნენ სომეხი სოციალისტ-რევოლუციონერებიც („ესერები“). ამ უკანასკნელთ საკუთარი ორგანო „აშხატანქი დროშაკი“ ჰქონდათ, სადაც „ხალხოსნებს“ სომხური ბურჟუაზიისა და არა ხალხის წარმომადგენლებად მოიხსენიებდნენ. სახალხო პარტია კი გაზეთ „მშაკის“ ფურცლებზე ესერებს დაშნაკების მიმდევარ ორგანიზაციას უწოდებდა და თავის ტრიბუნად საკუთარ ორგანოს (გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“) იყენებდა.

უნდა ითქვას, რომ ტფილისიდან ერევანში გადასვლამაც კარგად აჩვენა პარტიათა ურთიერთდამოკიდებულება. სახალხო პარტია (სრული შემადგენლობით) დარჩა ტფილისში და სომხეთში მხოლოდ ორი წარმომადგენელი გაგზავნა. ასე მოიქცნენ სოციალ-დემოკრატებიც.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მეზობელი ხალხებისთვის დედის სახლიდან წასვლას ნიშნავდა, უქმდებოდა სეიმი, იშლებოდა ფედერაცია... ყველა ერთად აყიჟინდა, აბღავლდა და ვის უნდა აესახა ეს საყოველთაო არეულობა ტფილისში, თუ არა აქ გამომავალ ჟურნალ-გაზეთებს (პრესა ხომ ყველაზე კარგად ასახავს იმ პერიოდის რეალობას!), უპირატესად კი, ყოველდღიურ გაზეთებს, რომლებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ მოვლენათა განვითარებას, მათი უშუალო თვითმხილველნი და თანამედროვენი ხდებოდნენ. როგორი მწარეც უნდა ყოფილიყო სინამდვილე და როგორიც უნდა ყოფილიყო გამომცემელთა ინტერესები, მათი მოვალეობა არსებული ვითარების პირუთვნელი გადმოცემა იყო, რამეთუ ტფილისში გაზეთები ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდა (თანაც, რამდენიმე ენაზე) და მათი შეპირაპირება, არც ახლა და არც მაშინ, ძნელი არ იქნებოდა.

მე-19 ს.-ის ბოლოსა და მე-20 ს.-ის დასაწყისში მთელ მსოფლიოში გაიზარდა პრესისადმი ინტერესი, მარტო ამერიკაში დაახლოებით 23 000 გაზეთი გამოდიოდა. პრესას თავისი ფუნქცია უნდა შეესრულებინა და გარკვეული საზოგადოებრივი აზრი შეექმნა. ბუ-

ნებრივია, ეს პროცესი ამიერკავკასიასაც შეეხო და თითქმის ყველა პარტიას თავისი საგამომცემლო ორგანო ჰქონდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკაში გამოცხადებული დამოუკიდებლობის შემდეგ პრესის ცენზურა გაუქმდა. პარტიებს სიტყვის თავისუფლება მიენიჭათ და თითქმის ყველა მათგანმა შეძლო საკუთარი გაზეთის დაარსება. გაზეთებს გამოსცემდნენ სახელმწიფო და მისი ცალკეული უწყებები (როგორც 1913 წლის "Кавказский календарь" წერდა, ამ დროს ტფილისში ათი სომხურენოვანი გაზეთი გამოდიოდა, ხოლო 1918-21 წლებში მათმა რიცხვმა ოცდაათს გადააჭარბა).

ქართულ წყაროთმცოდნეობა-ისტორიოგრაფიაში ძალიან ანგარიშგასაწევი და საყურადღებოა პრესის, როგორც საისტორიო წყაროს, საკითხი. თანამედროვე სამყაროში უფრო და უფრო აქტუალური გახდება ძველი პრესის როლი და მნიშვნელობა. ზოგჯერ იმისათვის, რომ თანადროულ მოვლენებს სწორად ავუღოთ ალღო, წარსულისკენ მიბრუნება და პირველწყაროებში ჩახედვა გვიწევს. იქ კი, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „ისტორიას გამეორება უყვარს".

რაც შეეხება 1918 წელს ტფილისში გამომავალ გაზეთებს („მშაკი", „ორიზონი", „აშხატავორი", „ჟოღოვრდი ძაინი", „პაიქარი" და სხვ.), ისინი შესანიშნავ მასალას გვაწვდიან მე-20 ს.-ის ოციანი წლების მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და, კერძოდ, საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური ვითარების შესასწავლად.

გაზეთი „მშაკი" (1872-1920წწ.) ამ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გაზეთი იყო. ის თავისი ლიბერალურ-ბურჟუაზიული პოზიციით გამოირჩეოდა. ეს ლიტერატურული და პოლიტიკური ყოველკვირეული გაზეთი ბევრ საქმეს აგვარებდა და, თანაც, მიმდინარე მოვლენებზე ამბების გაგების საუკეთესო საშუალებაც იყო. ჩვენი საკვლევი პერიოდისთვის „მშაკი" სახალხო პარტიის ტრიბუნად გამოდიოდა.

გაზეთი „ორიზონი" (1908-1918 წწ., 1918 წლიდან „ნორ ორიზონი"), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დაშნაკცუთიუნის" ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანო უფრო იყო, ვიდრე ლიტერატურულ-საზოგადოებრივი. მას შემდეგ, რაც დაშნაკებმა ტფილისში გადაინაცვლეს და აქ თავიანთი პარტიის აღმოსავლეთის ბიურო შექმნეს, ადრინდელი „დროშაკის" ნაცვლად, პროპაგანდის ახალი საშუალება გახდა საჭირო.

იმავე იდეების მატარებელი და გამავრცელებელი იყო მუშურ-გლეხური გაზეთი „აშხატავორი“ (1917-20 წწ.), 1919-20 წლებში კი „ნორ აშხატავორი“ – „დაშნაკცუთიუნის“ საქართველოსა და ტფილისის კომიტეტების ორგანო.

გაზეთი „პაიქარი“ (1915-1919 წწ.) იყო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატ მუშათა პარტიის ორგანო, ხოლო „ჟოღოვრდი ძაინ“ (1918-19 წწ.) – სომხური სახალხო პარტიის პოლიტიკურ-ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი.

მაშასადამე, ტფილისის იმდროინდელი სომხური პრესა დიდ როლს ასრულებდა საქართველოს სომხების არა მხოლოდ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ, ასევე, განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში. გარდა ამისა, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, სომხური ჟურნალ-გაზეთები ზედმიწევნით და გულდასმით, გაფაციცებითაც კი, მიადევნებდნენ თვალს ქართველთა ცხოვრებას, მისი მთავრობისა და პარლამენტის საქმიანობას, კრიჭაში უდგებოდნენ და საკუთარი სინდისივით თან დასდევდნენ მათ. თითქმის ყველა გაზეთს ჰქონდა რუბრიკა „ქართველთა ცხოვრება“, რედაქტორის ან რედაქციის წინასიტყვაობა-მიმოხილვები, რომლებიც, უპირატესად, ქართველ მენშევიკთა და სომეხ დაშნაკთა საქმიანობასა და ურთიერთმიმართებას ასახავდა.

სომხური პრესა „გაჰყვიროდა“ საქართველოში სომეხი ლტოლვილების მდგომარეობაზე, აზერბაიჯანში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტაზე, პარლამენტის სომეხი წევრებისა და ქართველი პარლამენტარების ურთიერთობაზე, სომეხ-ქართველთა მოსალოდნელ დაპირისპირებაზე, ქართული მთავრობის უყურადღებობაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ნათელია, თუ რამხელა მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება იყოს მეზობელი ხალხის პრესის როლი ჩვენი ისტორიული წარსულის შესავსებად, მით უმეტეს, ისეთ პერიოდში, როცა, არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, არამედ მთელი დედამიწის ზურგზე, ყველაფერი არეული იყო.

და, ვინაიდან ამ პერიოდში ამიერკავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენათა ტონის მიმცემი დასავლეთიდან უკვე კარგა ხნის გადმობარგებული დაშნაკცუთიუნის პარტია იყო, ამიტომ, უფრო მეტად საინტერესოა, თუ რას წერენ ისინი თავიანთ გაზეთებში, რის პროპაგანდას ეწევიან, როგორ განაწყობენ აქ მცხოვრებ ხალხებს ერთმანეთის მიმართ (გავიხსენოთ, რომ დაშნაკები თავიდან „დრო-

შაკაკანებად“ იწოდებოდნენ მათი პირველი პარტიული ორგანოს – გაზეთ „დროშაკის“ სახელწოდების მიხედვით, რაც იმაზე მეტყველებს, თუ რა დიდ როლს ასრულებდა ბეჭდვითი სიტყვა სომხურ პოლიტიკურ ცხოვრებაში).

ჩვენ, მეტი თვალსაჩინოებისა და პოზიციების სიცხადისათვის, მოვლენათა შეფასების დაშნაკური და ხალხოსნური პრიზმა ავირჩიეთ ორი გაზეთის – „ორიზონისა“ („ჰორიზონტი“) და „ჟოღოვრდი ძაინ“- ის („ხალხის ხმა“) მაგალითზე და, აქედან გამომდინარე, აუცილებელ მიზანშეწონილობად მივიჩნიეთ, რომ ამ გაზეთებიდან გვეთარგმნა 1918 წლის ოქტომბერ-დეკემბრის ის სტატიები, რომლებიც თანამიმდევრულად ასახავს სომხეთ-საქართველოს ომამდელ ვითარებასა და ომის მიმდინარეობის პერიპეტიებს.

ხსენებული გაზეთებისა და, კერძოდ, „დაშნაკცაკანების“ გაზეთ „ორიზონის“, ფურცლებიდან თანამედროვე მკითხველს ნათელი შთაბეჭდილება შეექმნება იმაზე, თუ რა დიდი როლი ითამაშა პარტიამ შემდგომში სომხეთ-საქართველოს ომამდე მიყვანის საქმეში, ანუ როგორ ღირსეულად მიაცილა დაშნაკურმა პრესამ (ისარგებლა რა საქართველოს მთავრობის მოუმზადებლობითა და უყურადღებობით თუ მყვირალა სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალიზმის ფონზე ძირითადი ეროვნული საკითხებისადმი ზერელე დამოკიდებულებით) ორივე მხარე ომამდე.

ყველაფერი დაიწყო ჯერ კიდევ 1918 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ლტოლვილთა საკითხზე „შეტევით“. „იხოცებიან სომეხი ლტოლვილები, სომეხი დევნილები ეროვნული ნიშნით იჩაგრებიან, მიხედეთ ლტოლვილ სომხებს, თავშესაფარი მოუნახეთ მათ!“, – მოუწოდებდა „ორიზონი“, რაზედაც ქართველი სოციალ-დემოკრატების ორგანოს („საქართველოს რესპუბლიკა“) პასუხი ასეთი იყო: „საქართველოს რესპუბლიკა საქველმოქმედო ამხანაგობა არ არის, ხოლო თურქთაგან გამოქცეული ქართველი ლტოლვილები ისევე იჩაგრებიან ამ ადგილებში (საუბარია ახალქალაქიდან გამოქცეულ და ბაკურიანი-წალკა-მე-300 ვერსის მიმართულებით წამოსულ და აქ დაბანაკებულ ხალხზე), როგორც სომხები. მათაც იგივე სენი ავლებს მუსრს, რაც სომხებს.“

დაშნაკები არც თავისიანებს ინდობდნენ და ახლა იერიში საქართველოს პარლამენტის სომეხ დეპუტატებზე მიჰქონდათ. ისინი აიძულებდნენ მათ, რომ კიდევ უფრო კარგად გაეხმოვანებინათ სო-

მეხი ნაციონალისტების მოთხოვნები. „შუამდინარეთი, ერზერუმი, ბაკურიანი, წალკა, მე-300 ვერსი სასაკლაოებია. ის, რაც მისაღებია თალაათ-ენვერებისთვის, ნუთუ მისაღები უნდა იყოს დემოკრატიულ გერმანიას შეფარებული ქართველებისთვის?!“- კითხულობდნენ გაზეთში და პასუხს ელოდნენ.

ახალქალაქის მაზრა, როგორც ვიცით, ტფილისის გუბერნიაში შედიოდა. აქედან იწყებოდა შორს მიმავალი მიზნების აღსრულება. თუ ამ ბანაკებში საქართველოს მთავრობა ვერ მოუვლიდა და ვერ უზრუნველყოფდა მათი სიცოცხლის უსაფრთხოებას, მაშინ ისინი, ბუნებრივია, მოსთხოვდნენ მიმღებ ქვეყანას, ან მათი უკან დაბრუნება მოეხერხებინა როგორმე, ანდა გაენაწილებინა ისინი იმავე ტფილისის გუბერნიაში შემავალ ბორჩალოს მაზრაში. არსად არ ახსენებდნენ თავიანთი რესპუბლიკის, ანუ მშობლიური სომხეთის, მიწა-წყალს, რადგან „დიადი სომხეთის“ ტერიტორიულ გაფართოებაში სომხებით კომპაქტურად დასახლებული სხვა მიწების მიერთება იგულისხმებოდა.

ამ საკითხზე საუბრობდა იმ დღეებში გამოსული ეროვნულ-დემოკრატიული ყოველკვირეული გაზეთი „კლდე“, რომლის ამონარიდსაც თვით გაზეთი „ორიზონი“ გვთავაზობს რუბრიკაში „ქართველთა ცხოვრება“: „მიუხედავად დაშნაკების ასეთი ნაციონალიზმისა, მაინც არ აღმოჩნდა მათ ბურჟუაზიაში ნამდვილი პატრიოტი თავისი ქვეყნისა. მაშინ, როცა რუსის ჯარმა დაიკავა სომხეთი და აღარ იყო მუსლიმი დამპყრობლების შეჭრის საშიშროება, ამ ხალხის შვილებმა მაინც არ გამოიჩინეს ინიციატივა და არ გამოთქვეს სურვილი თავისი მიწების აღორძინებისა. ისინი მტკიცედ გამაგრდნენ და ჩაიკეტნენ ტფლისში და აქედან ცდილობდნენ ემართათ დიდი სომხეთის ბედი და საქართველოს საქმეები.“

სომეხთა ეროვნული საბჭოს მოთხოვნაზე, რომ შეეფარებინათ მათი ემიგრანტები, გაზეთი „კლდე“ ასეთ პასუხს აძლევდა სტატიაში „სომხების თავი, სხეული და კისერი“: „თუ ტფილისს, როგორც კულტურულ ცენტრს, სომხების თავს ვუწოდებთ, ხოლო სომხეთის სამხრეთ მაზრებს – სომეხთა სხეულს, ნათელია, რომ ამ თავსა და სხეულს შორის კისერი უნდა იყოს. მხოლოდ, ამჟამად ეს კისერი სუსტია და ჩვენ თუ სომეხთა ეროვნული საბჭოს თხოვნას შევასრულებთ და მათს დევნილებს ჩვენს ქვეყანაში განვათავსებთ, ამით ჩვენ ხსენებულ კისერს გავამაგრებთ და საქართველოს ტერიტო-

რიაზე მთლიანი სომხური ორგანიზმის შექმნას შევუწყობთ ხელს. ერთხელ უკვე აყრილი ხალხი კი, როგორც ისტორიამ გვაჩვენა, უკან აღარ ბრუნდება“.

ასეთი მწვავე გამონათქვამებით მდიდარია ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა გამოსვლები. ამიტომ, „ორიზონი“ განსაკუთრებულ ადგილს უთმობს მათს ორგანოებს („საქართველო“ და „კლდე“), როგორც ყველაზე მეტი საფრთხის შემცველს, ისევე როგორც სოციალ-დემოკრატთა „ერთობას“.

ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტში სომეხ დაშნაკ დეპუტატთა ფრაქციას დავით დავითხანიანი ედგა სათავეში. ის სიტყვით კეთილშობილურად გამოდიოდა, საქმით კი კრიჭაში ედგა ეროვნული მიმართულების პარტიებსა და მათს წარმომადგენლებს. როგორც გაზეთი „კლდე“ გვაუწყებს, დავითხანიანი ჩუმად შეპარულა ქართველი ეროვნული დემოკრატების ყრილობაზე და გაზეთიც შეუძენია, თუმცა უცნიათ და კარგადაც შეურცხვენიათ.

გამართლდა ეროვნულ-დემოკრატთა ღაღადისი სომხური ბურჟუაზიის ვაიპატრიოტობაზე. როცა საქმე სომეხი ლტოლვილების უკან დაბრუნებაზე მიდგა, ნოე ჟორდანიამ ახალქალაქში შესვლაზე თურქული სარდლობის ნებართვა მოითხოვა. მანვე განაცხადა, რომ დევნილთა ერთ ნაწილს ბორჩალოს მაზრაში (თურქთაგან დაცლილ ადგილებში) ჩაასახლებდნენ, ხოლო დანარჩენები სომხეთში უნდა გაეგზავნათ, რამაც საფუძვლიანად აღაშფოთა დაშნაკები და ყველაფერს ნათელი მოეფინა... ეს მათს მიზნებში აღარ შედიოდა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობასთან, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, არსებობდა ლტოლვილთა დახმარების კომიტეტი, რომლის ფუნქციები იყო: ლტოლვილთა რაოდენობის დადგენა, მათი მიღების მიზანშეწონილობისა და დახმარების კატეგორიის განსაზღვრა. 1918 წლის 8 ნოემბრის სხდომის მასალებით, ლტოლვილთა ერთი მიმართულება იყო ახალციხე-ახალქალაქიდან ბაკურიანის გარეუბნებისკენ, ხოლო მეორე – ოსმალეთიდან და ერევნის გუბერნიიდან ტფილისის მაზრისკენ. ამ საკითხთა შესასწავლად საქართველოს პარლამენტში შეიქმნა, აგრეთვე, სპეციალური კომისია, რომელსაც „ლტოლვილთა საქმის მომწყობი კომისია“ ერქვა. „რაც შეეხება საქართველოში მცხოვრები დაშნაკცაკანების რეზოლუციებს, – აცხადებდა ნ. ჟორდანია, – ისინი მე წარმომიდგინა მოქალაქე ავეტისიანმა. უაღრესად გამაკვირვა

გაზეთ „ორიზონის“ გამოსვლამ, რადგან ამ გაზეთის წერილებს არაფერი საერთო არ აქვთ ამ რეზოლუციებთან. მაგრამ შემდეგში გავიგე, რომ გაზეთი „ორიზონი“ „დაშნაკცუთიუნის“ პარტიის აღმოსავლეთის ბიუროს ორგანო ყოფილა და, მაშასადამე, წარმოადგენს არა საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებთა ინტერესებს, არამედ სრულებით სხვა სახელმწიფოსას. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში მცხოვრებ სომხის დემოკრატიას ქართველ დემოკრატიასთან ძმური დამოკიდებულება სურს დაამყაროს, მაგრამ მას ხელს უშლიან ის მეთაურები, რომელთაც საქართველოში იმის ჩადენა სურთ, რასაც ყველა სხვა ქვეყანაში ჩადიოდნენ. ბ-ნი ავეტისიანცი ამბობდა, რომ ოსმალებმა განუცხადეს ლტოლვილთა საქმის მომწყობ კომისიას, რომ მათ არაფერი საწინააღმდეგო არა აქვთ ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნებისო. ჩვენ არ დაგვიჯერეს და ოსმალებს დაუჯერეს. სჩანს, ჩვენ მათი მტრები ვყოფილვართ და ოსმალონი კი – მეგობრები! ლტოლვილებმაც უთუოდ წაიკითხეს გაზეთი „ორიზონი“ და გადავიდენ საზღვარზედ, მაგრამ ეს არის მე მივიღე დეპეშა ღენერალ მაყაშვილისგან, რომ საზღვარზედ გადასულ ლტოლვილებს ოსმალებმა საარტილერიო სროლა აუტეხეს, რომელიც ეხლაც გრძელდებაო. მე მგონია, რომ ეხლა მაინც გაიგეს, თუ ვისი პოლიტიკაა მართალი.“

24 ოქტომბრის „ორიზონში“ დაბეჭდილ სტატიაში სახელდება „საფუძველი მღელვარებისა“ – საქართველო-სომხეთის საზღვრის დემარკაციის საკითხი, რომელიც ლორე-ფამბაკის კუთვნილებას ეხება. „არავისთვის საიდუმლო არ არის, – წერს გაზეთი, – რომ თიფლისის მაზრის ზოგიერთი ნაწილი (ბორჩალოს სომხებით დასახლებული ადგილები (ძირითადად, ლორე, ახალქალაქი და მისი მომიჯნავე ახალციხის 10-12 სომხური სოფელი), უსამართლო პოლიტიკური ანგარიშით, თიფლისის მაზრაში შეიყვანეს. სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ ქართული საზოგადოების მეთაურმა პირებმა (ჟორდანია, წერეთელი, რამიშვილი) აშკარად გამოუცხადეს სომეხთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებს, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სომეხთა უფლებას თიფლისის მაზრაში და, მხოლოდ თურქეთის შეჭრის შიშით, დროებით იკავებენ ამ ადგილებს.“

კარგად ჩანს, რომ დაშნაკები ორმაგ თამაშს ეწევიან და, თან, რუსეთის სოციალ-დემოკრატიას აგულიანებენ: „არ გვინდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ დღევანდელი შოვინისტური ხმაური ერთბაშად ჩაახშობს დიდი რევოლუციის წინამძღოლების ხმას.“

გაზეთ „ორიზონის“ ოქტომბრის ბოლო ნომრებში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის საგანგებოდ მოწვეულ „ისტორიულ სხდომას“, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა. მასზე სიტყვით გამოსულა შს მინისტრი ნოე რამიშვილი. განიხილებოდა სომხეთ-საქართველოს საზღვარზე 18 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტი, რომელიც სომხურმა მხარემ, საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად და მოულოდნელად, დაიწყო. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ტფლისის გუბერნია საქართველოს კუთვნილება და მისი განუყოფელი ნაწილია. ნ. რამიშვილმა ოპოზიციური პრესის ერთ ნაწილზეც ილაპარაკა, კერძოდ, იმ ნაწილზე, რომელიც ცდილობდა, რომ ამხელა მასშტაბის დაპირისპირება ერთ სოფელში მომხდარ უბრალო ინციდენტად წარმოეჩინა და ორ ერს შორის არსებული ტერიტორიული დავა მიეჩქმალა. დაშნაკურ გაზეთს ის ფაქტი აღიზიანებდა, რომ ტფილისის გუბერნია საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნეოდა. იგი თავისი ფურცლებიდან, ვითომდა, სომეხი ხალხის ენით საუბრობდა, სომეხ მშრომელთა სათქმელს გადმოსცემდა, რითაც უარესი შავი დღისთვის იმეტებდა ცხოვრებისგან ისედაც გაწამებულ ხალხს.

„ორიზონმა“ მთლიანად დაბეჭდა ეს მრავალმხრივ საყურადღებო სხდომა, რომელშიც ყველა პარტიის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. განსაკუთრებით, რადიკალური იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფუძემდებლის, სპირიდონ კედიას, გამოსვლა: „თუ სომხეთის მთავრობას ჩვენთან მეგობრობა არ სურს, ჩვენი სახელმწიფო ენერგიული ხერხებით უნდა განთავისუფლდეს მათი ლტოლვილებისგან და მოიშოროს ეს მძიმე ტვირთი, დაკეტოს საზღვრები.“

ასევე მკაცრად მიუთითებდა საქართველოს მთავრობას დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ვეშაპელი. ისმოდა შეძახილი, რომ დაშნაკები თურქ ასკერებს შეეკვრნენო, რასაც „ორიზონისგან“ მოჰყვა მთელი ტირადა იმ რიტორიკული შეკითხვებისა, სადაც ჩამოთვლილია თურქების მიერ სომხების წინააღმდეგ ჩადენილი ყველა დანაშაული. ყოველი აბზაცი ბოლოვდება ასეთი შეკითხვით: „თურქებს შევეკარით?! ჩვენი ეროვნების იავარმყოფელთ?! თურქები ქართველების მტრებია და სომხების მოყვარენი? სომხები შეეკვრნენ თურქ ასკერებს? და ყველაფერი სომხების მიერ შეთხზული ავანტიურაა?!

გაზეთი იქით ეკითხება სხდომის მონაწილეებს: „რა მიიღეს სომხებმა თურქებთან მეგობრობით? – ყარსი თუ ბაქო, ლორე თუ წალკა? ე. ი., სომეხი არც მომთმენია, არც სოლიდარული, ანუ ავანტიურით აღწევს ყველაფერს? ლორე ქართულად მიგაჩნიათ და ყარაქილისაც საქართველოს უნდა დაუბრუნდეს?! ეროვნული მოძრაობა ირაცხება ავაზაკურ თავდასხმად? მეთაურებად ქართველები რად უნდა გვყავდეს? ვინ მისცა მათ უპირატესობა?“ – აი, ასეთია დაშნაკური გაზეთის პოზიცია, რომელსაც ხელს აწერს „ერთი ესერი“ (მოგეხსენებათ, სოციალ-რევოლუციონერთა პარტია დაშნაკთა შეხედულებებს იზიარებდა, ლ. გ.).

26 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა ლორეს ინციდენტის შესახებ, გადაწყდა status quo – ს შენარჩუნება. „ორიზონი“ „სავალალო გაუგებრობებს“ უწოდებს ამ ორ ქვეყანას შორის მოსალოდნელ ომს („თუ არ გადაწყდა საზღვრების საკითხი, სავალალო გაუგებრობები გარდაუვალი იქნება“).

26 ოქტომბრის ისტორიული სხდომის შემდეგ, ბუნებრივია, ლოგიკურად მოვიდა სერიოზული მოლაპარაკებების, ერთა ნამდვილი თვითგამორკვევისა და ურთიერთაღიარების დრო. დღის წესრიგმა კონფერენციის მოწვევა მოითხოვა, თუმცა აქაც კვლავ დაშნაკებმა და „ორიზონმა“ შექმნეს ხელოვნური ბარიერი. უკვე აშკარა და დაუფარავი გახდა ამიერკავკასიაში დაშნაკ-მენშევიკ-მუსავატელთა ცილობა პირველობაზე. ვიღას ახსოვდა მშრომელი ხალხი?!

„ორიზონის“ აზრით, სომეხ-თურქთა გასანეიტრალებელ საპირწონედ შექმნილა მესამე მხარე – თავადური მენშევიზმი, ანუ ქართული სოციალ-დემოკრატია. გაზეთი იმედოვნებს, რომ შხამიანი კბილივით ამოიძრობენ და გვერდზე მოისვრიან მუსავატელთა ავაზაკურ სისხლისმსმელ დაჯგუფებას. ასევე გაცამტვერდება ქართული სოციალ-დემოკრატია, როცა მას გარედან რუსულ-თურქული მხარდაჭერა მოაკლდება და ის აგონიაში უკანასკნელ საათებს დაითვლის.

დიდი ამბავი დატრიალებულა ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით. ეს კონფერენცია 1918 წლის 10 ნოემბრისთვის დაიგეგმა და ერთ-ერთ მიზნად ისახავდა სადავო ტერიტორიების საკითხის გადაწყვეტასაც. წესით, კონფერენციის მონაწილე ყველა რესპუბლიკას თავისი წარმომადგენლები უნდა ჰყოლოდა. საქართველოს წარმოადგენდნენ შს მინისტრი ნოე რამიშვილი და სს მინისტრი ევგენი გე-

გეჭკორი; აზერბაიჯანს – მუჰამედ ჯაფაროვი და მუსტაფა ვექილოვი, მთიელთა რესპუბლიკას – ფშემახო, კოცევი და ჯაბაჰი; სომხეთმა არ გამოთქვა კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი და არც ოფიციალურად გამოაცხადა ამის შესახებ, რის გამოც კონფერენცია 14 ნოემბრისთვის გადაიდო. სომხეთის მთავრობის სურვილი იყო, კონფერენციის მოწვევამდე შექმნილიყო ქართველთა და სომეხთა კომისია და იქ განეხილათ როგორც სასაზღვრო, ისე ბაკურიანისა და ახალქალაქის ლტოლვილთა ბედი. ამ მიზეზით, კონფერენცია კვლავ 20 ნოემბრამდე გადაიდო.

გაზეთი „ორიზონი“ კონფერენციის მოწვევის მიზეზს ვერ პოულობს და ორ კითხვას სვამს: 1) რატომ არ შეუძლია საქართველოს ამ საკითხების გადაჭრა სხვა რესპუბლიკებთან შეუთანხმებლად და 2) რატომ არ გააკეთა მან ეს მაშინ, როცა უფრო ძლიერი იყო და სხვა რესპუბლიკებს მისი თანადგომა სჭირდებოდათ? „ორიზონი“ აცხადებს, რომ „ამიერკავკასია“ რუსული იდეაა და, ალბათ, ამიტომაც სურს საქართველოს რუსეთთან ერთად აღნიშნული კონფერენციის ჩატარება. ასევე რა ესაქმებათ მთიელებს ამიერკავკასიასთან? ან მთიელი ხალხების რომელ რესპუბლიკაზეა საუბარი, ის ხომ ჩრდილო კავკასიაში, საერთოდ, არ არსებობს.“ აი, ასეთი დამოკიდებულებით, ანუ სიტყვის ბანზე აგდებით და საგარეო საკითხებზე აქცენტირებით, აშკარად გამოჩნდა, რომ სომხები კონფერენციაზე მისვლას არ გეგმავდნენ.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანო „სახალხო საქმე“ ამ ამბავს ასე განიხილავდა (ამასაც „ორიზონი“ ბეჭდავს თავის გვერდზე): „სომეხთა ხელმძღვანელებს ისიც კი თავს ატკივებს, რომ აღნიშნული კონფერენციის მოწყობა საქართველომ ითავა და არა ვინმე სხვამ. ასეთი კაცუნების წყალობით, შეიძლება ბევრი რამ გაფუჭდეს. ჩვენთვის ტფილისის ტერიტორია საქართველოს უდავო ტერიტორიაა. იყო დრო, როცა ჩვენ ამ საკითხზე ცოტა სხვა აზრის ვიყავით. ვთვლიდით, რომ საქართველო და სხვა ავტონომიური ერთეულები ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცეოდნენ, რომ იქნებოდა ერთი ძმური კავშირი... ახლა კი გარემოებები შეიცვალა და მეზობელი სომხეთი იარაღით ხელში მოდის საქართველოს მიწის დასაპყრობად.“

ამ და სხვა გარემოებათა წყალობით, საომარი სიტუაცია შეიქმნა და შედეგებმაც არ დააყოვნა. ომი, იდეოლოგიურად, სწორედ

პრესით მომწიფდა ჯერ კიდევ ოქტომბრამდე, ოქტომბერში კი მას ვისთვის სამწუხარო გაუგებრობა ეწოდა, ვისთვის ეროვნული ინტერესებისთვის ომი და ვისთვის კიდევ ხელსაყრელი ვითარება სხვისი მიწების მისატაცებლად. იდეოლოგიური ფრონტი პრესაში იყო გახსნილი, ფიზიკურად კი – ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში.

„მორჩით ინტრიგების ხლართვას და ჩვენი ხალხის ჟლეტას! აღარ ძალგვიძს გაჩუმება და საქართველოს შუამდინარეთის გაძლება!“, – გაჰყვიროდნენ ახალქალაქზე დაშნაკები. ცალკე სოციალ-დემოკრატიული „ერთობა“ აცხადებდა, რომ დაშნაკებს არ სურთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სადავო საკითხების კონფერენციის ან არბიტრაჟის გზით გადაწყვეტა.

„ორიზონი“ კვლავ უკიჟინებდა მათ, რომ ლორე დაშნაკებმა კი არა, სომეხმა ხალხმა დაიკავა; რომ რუსეთის ქონება მთლიანად საქართველოს დარჩა („სომხებს ერთი ბეწოც არ ერგოთ, აგრესიულს კი მარტო ჩვენ გვეძახიან“).

ასე რომ, სრულიად მოსალოდნელი იყო ის, რაც მოხდა: 1918 წლის 19 დეკემბერს ტფილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, დაიხურა სომხური დაშნაკური გაზეთები „ნორ ორიზონი“, „აშხატავორი“, „კავკაზსკოე სლოვო“, რომელთა შემადგენლობა და რედაქტორი ანანოვი დააპატიმრეს ტფილისელი სომხებისთვის აჯანყებისა და ამბოხებისკენ მოწოდების გამო. ამიტომ, იმაზე, თუ რას იტყოდა „ორიზონი“ სომხეთ-საქართველოს უკვე ოფიციალურად გამოცხადებული ომის შესახებ, ბუნებრივია, ვერაფერს ვიტყვით. ამ დროისთვის, როგორც ჩანს, გაზეთი უკვე აღარ ფუნქციონირებდა.

სულ სხვა რაკურსით მიმოიხილავს ამ პერიოდში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, ლტოლვილობის, კონფერენციის მოწვევისა და ომის საკითხებს გაზეთი „უოღოვრდი ძაინი“. იგი სომხური სახალხო პარტიის ორგანო იყო და ესერებსა და დაშნაკებს უპირისპირდებოდა. გაზეთს ჰქონდა სპეციალური რუბრიკები: „ქართული გაზეთებიდან“ და „საქართველო“, სადაც მიმოიხილავდა ქართული პოლიტიკური სპექტრისა და ქართველი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას. გაზეთი „შემთხვევას“ არქმევს სომხეთ-საქართველოს საზღვარზე, კერძოდ, სანაინში, მომხდარ ინციდენტს და გვატყობინებს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ნორჲნა“ თავს ესხმის სომხეთის მთავრობას და ამ საქმეში მას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას: „ჩვენ დაშნაკური მთავრობის

დამცველად ვერ გამოვდგებით,-წერს გაზეთი, – თუმცა მასზე თავდასხმა ნაადრევად მიგვაჩნია. გვინდა დავიჯეროთ, რომ ო. ქაჯაზნუნის მთავრობა ამაში დამნაშავე არ არის და, თუ ბრალეულობა დამტკიცდება, უმკაცრესად უნდა დაისაჯონ.“

გაზეთი დაწვრილებით აღწერს ქართულ ამბებს, გადმოსცემს სანაინის ოპერაციაში მონაწილე მეთაურების გვარ-სახელებს, სრულად აქვს მოყვანილი გენერალ წულუკიძის დეპეშა საქართველოს სამხედრო მინისტრისადმი. ზედმეტი კომენტარის გარეშეა გადმოცემული ლტოლვილთა ჩასახლების საკითხი ლორეში.

სხვა მიდგომა აქვს სახალხო პარტიას ამიერკავკასიის რესპუბლიკების კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებითაც: „საქართველოს მთავრობის წინადადება ძალიან დროულია და მას კმაყოფილებით მიიღებს ჩვენი ხალხების ყველა შეგნებული ელემენტი. მის მიერ წამოყენებული ორი უმთავრესი საკითხი (იგულისხმება დამოუკიდებლობის, ურთიერთაღიარებისა და სადავო საზღვრების საკითხი, ლ. გ.) თითოეული ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია და თუ ყველა მათგანი ამ საკითხებს გულწრფელად მიუდგება, გამოსავალს ვიპოვით.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“ ზემოთ ნახსენები დაშნაკური ფრაქციის თავმჯდომარის, დავით დავითხანიანის, შესახებაც ნიშნისგებით ბეჭდავს ეროვნული დემოკრატების გაზეთ „კლდეში“ დაბეჭდილ სტატიას. გვიყვება, თუ როგორ იცნეს იგი და გააძევეს კრებიდან.

გაზეთი, ასევე, გულმოსულია დაშნაკთა ორგანოზე „აშხატავორი“, სადაც ქართულ სოციალ-დემოკრატიას აკრიტიკებენ და წერს: „აშხატავორს“ სურდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესახებ ტყუილი ელაპარაკა, ფაქტიურად კი, თავისდაუნებურად, დაშნაკობაზე თქვა სიმართლე. ამაზეა ნათქვამი, – ვინც სხვას ორმოს უთხრის, შიგ თვითონ ვარდებაო“.

„ჟოღოვრდი ძაინი“ დაწვრილებით გვაცნობს საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭოს სხდომებს, მის დეპუტატთა მოსაზრებებს სომეხთა და ქართველთა შორის აღმოცენებულ უთანხმოებაზე და დაასკვნის: „ორივე ერის ინტელიგენციამ თავის თავში უნდა იპოვოს მორალური ძალა, რომ ქართველთა და სომეხთა კონფლიქტი მოგვარდეს. ამისათვის მას გარედან დახმარება არ უნდა სჭირდებოდეს. ჩვენ ვითხოვთ ომის შეწყვეტას.“

კულმინაციურ მომენტებში კი გაზეთი ქართულ მთავრობას სიფხიზლისა და სიფრთხილისკენ მოუწოდებს და, ხელოვნური ბარიე-

რების თავიდან ასაცილებლად, მოვლენების გულმოდგინედ შესწავლას ურჩევს.

„ჟოღოვრდი ძაინი“ დეტალურად მიმოიხილავს 1918 წლის დეკემბრის მოვლენებს, კერძოდ, სომხეთ-საქართველოს ომის პერიპეტიებს, რუსეთის, ოსმალეთის, აზერბაიჯანის დამოკიდებულებას ამ ომისადმი, საქართველოში საომარი მობილიზაციისა და სომეხ ტყვეთა ამბებს... ორი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების – სირეკან ტიგრანიანისა და ევგენი გეგეჭკორის, ელჩების – არშაკ ჯამალიანისა და სოსიკო მდივნის მიმოწერას...

„ჟოღოვრდი ძაინის“ 1918 წლის 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოში სომხეთის რწმუნებულის, ა. ჯამალიანის, წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ევ. გეგეჭკორისადმი: „ბაქოში ქართველმა მოქალაქეებმა აჩვენეს კაცთმოყვარეობის გასაოცარი მაგალითი და დაიცვეს იმ სომხური ოჯახების სიცოცხლე, რომლებმაც მათ დახმარება სთხოვეს. ამის მოწმეები არიან ის ცოცხლად დარჩენილი სომხები, რომლებმაც თიფლისს შეაფარეს თავი... ჩემს მორალურ ვალდებულებად ვთვლი, რომ ქართველი ხალხის უზენაესი კრების თავმჯდომარეს გადავცე ის უღრმესი მადლიერება, რომლითაც გამსჭვალულია სომეხი ხალხი გულითადი ქართველი ხალხისადმი. გთხოვთ, ეს წერილი წარუდგინოთ პარლამენტს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ორი ხალხის საუკუნოვან ძმობას, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, ამ ხალხების მტერთაგან მოწყობილი ვერანაირი არეულობა ვერ გაწყვეტს.“

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებრივია, გაგვიჩნდეს ინტერესი იმ რედაქტორთა და კორესპონდენტთა გაცნობისა, ვინც ამ მასალის უკან იდგა და, ვინც იდეოლოგიურად ამზადებდა ხალხს.

გაზეთები „ორიზონი“ და „ჟოღოვრდი ძაინი“ – ორივე გოლოვინსკის გამზირზე გამოდიოდა. „ორიზონს“ „აშხატავორის“ ტიპოგრაფიაში ბეჭდავდნენ, მისი გამომცემელი კი მარკიანოს როტინიანცის სახლი იყო. „ჟოღოვრდი ძაინს“ სარედაქციო კოლეგია აწერდა ხელს და გამოსცემდა ქართველ ტიპოგრაფთა ამხანაგობა.

ორივე გაზეთის სტატიათა უმრავლესობა უავტოროა. „ორიზონში“, ძირითადად, გაზეთის თავში დაბეჭდილი რედაქციისგან მომზადებული მოწინავე წერილებია, ერთი-ორგან თუ გამოჩნდება ავტორის სახელი და გვარი. მათ შორის, საყურადღებოა პ. აბელიანის მიერ ხელმოწერილი სტატიები, სადაც ლტოლვილობასთან დაკავშირებული საკითხებია მიმოხილული.

პოღოს აბელიანი (1877-1943) წარმოშობით ახალქალაქელი იყო, დაამთავრა ეჯმიაწინის გევორქიანის სემინარია და ტფილისის ნერსესიანის სკოლა. იგი დაშნაკცუთიუნისა და ესერთა პარტიების წევრი იყო. 1918 წლიდან ტფილისის სომხური ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი გახლდათ და მკაცრად აკრიტიკებდა ქართველ მენშევიკებს სომეხი ლტოლვილების მიმართ გამოჩენილი გულგრილობისა და ლორე-ჯავახეთის გარშემო ატეხილი ძმათამკვლელი ომისთვის.

როგორც ზემოთ ვნახეთ, „ორიზონი“ ხშირად ბეჭდავდა ამონარიდებს ქართული გაზეთების სტატიებიდან. როგორც ჩანს, ქართველ ავტორთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა პართენ (პარმენ) გოთუას (1873-1936) წერილები, სადაც ბევრი რამ იყო ნათქვამი ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთა თვითგამორკვევის საკითხებზე. მოგეხსენებათ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი პ. გოთუა ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში აქვეყნებდა პუბლიკაციებს.

1918 წლის ივლის-აგვისტოდან დახურვამდე „ორიზონს“ რედაქტორობდა ვაჰან ნავასარდიანი. იგი წარმოშობით ყარაბაღელი (შუშელი) იყო, მონაწილეობდა ყარაქილისას ბრძოლაში, მოღვაწეობდა ალექსანდროპოლში, საიდანაც, ალექსანდრე ხატისიანის (ტფილისის ყოფილი თავი, დაშნაკი) რჩევით, გადავიდა ტფილისში. ვ. ნავასარდიანი, რა თქმა უნდა, დაშნაკთა პარტიის წევრი და მათი აგიტატორ-პროპაგანდისტი იყო. ამიტომაც, „ორიზონი“ სწორედ მას მიანდეს. მას შემდეგ კი, რაც სომხეთ-საქართველოს ომი გარდაუვალი გახდა და პოლიციამ დევნა დაუწყო, ნავასარდიანი თავის გაზეთიანად იატაკქვეშეთში გადაბარგდა, თუმცა იქიდანაც კარგად ერეოდა სომეხ-ქართველთა „სამშვიდობო“ მოლაპარაკებებში. ამ ყველაფერს შედეგად გაზეთის დახურვა მოჰყვა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენ თავს ვიდეთ ისეთი საპასუხისმგებლო საქმე (და ეს საშური საქმეა!), როგორიც 1918 წელს ტფილისში (ქართული გაზეთების ამონარიდებში „თბილისის“ მაგიერ ყველგან ვიყენებთ „ტფილისს“, როგორც ეს იყო მიღებული 1936 წლამდე, ხოლო სომხურ ტექსტებში შენარჩუნებულია მისი სომხური სახელწოდება – „თიფლისი“, ლ. გ.) გამომავალი სომხური გაზეთების მიერ გადმოცემული ქართული ამბების თარგმანია, რომ ამიერიდან ყველა მკვლევარს გაუადვილდეს ზემოხსენებული მასალების გაცნობა ქართულ ენაზე და არ მოუწიოს აქა-იქ

და კანტიკუნტად გაფანტული ცნობების მოხმობა სხვადასხვა ავტორთა წიგნებიდან. მით უმეტეს, რომ მათ მიერ მოტანილი ციტატები ხშირად ბევრ უზუსტობას შეიცავს. ამიტომაც, უპირველესად, აქ არის საჭირო თარგმანის სიზუსტე. ამ ტიპის თარგმანში უნდა ეცადო, რომ შეინარჩუნო საგაზეთო ენა, სათანადო სამხედრო და პოლიტიკური ტერმინები, ცალკეულ ავტორთათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი, მათი სტილი და, თან, ზუსტად ორიგინალს უნდა მიყვე, ვინაიდან ეს არის ისტორიული წყარო და ამით თაობებმა უნდა ისარგებლონ (არ უნდა გამოგრჩეს შორისდებულებიც კი, რადგან ხშირად, სწორედ, მათშია ჩაქსოვილი მხარეთა ნამდვილი დამოკიდებულება მოვლენებისადმი, ფარული რისხვა თუ ირონია).

სომხურმა მხარემ თავისი იკითხოს და, ამ თვალსაჩინო წყაროების მითითებით, აღარც იმათ გაუჩნდებათ კითხვები... მათივე გაზეთებიდან ცხადად ჩანს, თუ რატომ იყო მოუგვარებელი ბევრი პოლიტიკური საკითხი ამიერკავკასიის რეგიონში ან რატომ იყო საძებნელი ომის დამწყები და ინიციატორი საქართველო-სომხეთის საზღვარზე.

წინამდებარე თარგმანი მხოლოდ დასაწყისია, რასაც გაგრძელება უნდა მოყვეს!

გაზეთი „ორიზონი“
(ქართ. „ჰორიზონტი“)

ქალაქის საბჭო და სომხები

ამ ბოლო დღეებში ქართულ გაზეთებში ერთობ ბევრი სტატია დაიბეჭდა თიფლის ქალაქის საბჭოს შესახებ. ამის მთავარი მიზეზი სათათბიროს 30 სექტემბრის სხდომაზე მიღებული რეზოლუცია გახლდათ, რომლითაც ითხოვდნენ, რომ ქალაქის მილიციას მხარი არ დაეჭირა კონტრრევოლუციისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მოქმედი კერძო ჯგუფისთვის. ეროვნულ-დემოკრატიული ორგანო „საქართველო“ რეზოლუციის საკითხს სამ მოზრდილ საგაზეთო სტატიას (N82, N185 და N188) უძღვნის და მასთან ერთად ახალი დემოკრატიული სათათბიროს საქმიანობასაც მიმოიხილავს. სტატიების ავტორია ყველასთვის ცნობილი პ. გოთუა, რომელიც ძალიან მუქ ფერში აღგვიწერს სათათბიროს ნაკლოვან მხარეებს. ზემოაღნიშნულ სტატიებში არის აგრეთვე ცალკეული ეპიზოდები, რომლებიც სომხებს შეეხება და, რომლებსაც აქ მოვიტანთ.

პ. გოთუა საუბრობს იმაზე, თუ როგორ ცდილობდა ცარისტული რუსეთი კავკასიის მთიანეთის სამხრეთით ახალი რუსეთის შექმნასა და ამ გზით საქართველოსა და სომხეთის განადგურებას.

„ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, – ამბობს პ. გოთუა, – რუსეთმა, სხვათა შორის, სომეხ ხალხს მიმართა და ის მარტივ იარაღად გამოიყენა. მან ამ პოლიტიკით, ჯერ ერთი, გაანადგურა სომხეთი და მისი ლტოლვილი ხალხი, რომელიც თავის მშობლიურ ქვეყანას განაშორა და, მეორეც, გაანადგურა ქართველებიც, რომელთა მიწებზე ლტოლვილი სომხები დაასახლა და ამით ამ ტანჯულ ხალხებს შორის სიძულვილი კიდევ უფრო გააღვივა. ასე იქცეოდა რუსეთის ყველა ოფიციალური პირი, იქნებოდა ეს ტორმასოვი, პასკევიჩი თუ ორივე ვორონცოვი. ისტორიული ცნობების მიხედვით, ერეკლე მეფის ზეობის ბოლო წლებში (მე-18 საუკუნის მიწურულს) საქართველოში 9000-მდე სომეხი ცხოვრობდა. 1914 წლამდე, მაშასადამე, ახლანდელი ომის დაწყებამდე კი, მათი რაოდენობა 160 000 სულამდე გაიზარდა. ომის განმავლობაში ტფილისში მცხოვრებთ

მიემატა და იქ დასახლდა დაახლოებით 40 000 სული. ასე რომ, რევოლუციის დასაწყისისთვის აქ უკვე 200 000 სომეხი მოსახლეობდა. აქედან მხოლოდ 1/6 ნაწილი მოდიოდა ადგილობრივ სომხებზე, დანარჩენ 5/6-ს რუსეთის მმართველობის დროს ტფილისში შემოსული სომხები შეადგენდნენ.

ქართველები ტფილისში, განსაკუთრებით, რუსეთის მმართველობის დროს დაზარალდნენ. მათ მთავრობა დევნიდა როგორც პირდაპირ, ისე მალულად. ქართველებს ეკონომიკურად ავიწროვებდნენ აგრეთვე უცხო ელემენტებიც, რომლებიც ქალაქის მმართველობაში, რუსეთის ხელშეწყობით, იყვნენ ჩართულნი. თუმცა ქართველი ხალხი იმ იმედს არასოდეს კარგავდა, რომ ტფილისი ახლაც, ადრეც და მუდამაც მათი დედაქალაქი იქნებოდა. მან ხელახლა ააღორძინა ტფილისი, როგორც კულტურული ცენტრი და, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობასა და პლუტოკრატიულ წრეებში ჯერ კიდევ ისე ძლიერი არ იყო, ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა და საძირკველი დემოკრატიულ წრეებში განიმტკიცა, ანუ თავისი წარმატება დემოკრატიას დაუკავშირა.

ტფილისში მცხოვრები ქართველების რიცხვი, მიუხედავად დევნისა, თანდათანობით იზრდებოდა და 1914-15 წლებში დაახლოებით 80 000 სულს შეადგენდა. რევოლუციის შემდეგ რუსებისა და სომხების რიცხვი შემცირდა, ქართველთა რაოდენობა კი საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა ამის შესახებ დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია.

ტფილის ქალაქის ბოლო არჩევნებით ქართველი ხალხი ორ რამეს ისახავდა მიზნად, კერძოდ, იმას, რომ ბურჟუაზიის ადგილი დემოკრატიას აეღო და უცხოტომელთა ადგილი – ქართველებს. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ სოციალ-დემოკრატიის მომხრენი, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მან ამ ბრძოლაში მეტი პოლიტიკური შნო და მოქნილობა გამოამჟღავნა. ბურჟუაზიის ჩამოგდება ძნელი არ ყოფილა... სოციალ-დემოკრატიამ სომეხთა წარმომადგენლებს ფესვმაგარი ჰეგემონია წაჰგლიჯა ხელიდან და იგი ქართველი ხალხის წარმომადგენლებს გადასცა. არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის ეს დიდი ისტორიული გამარჯვება იყო“.

სტატიის ავტორი მიუთითებს იმაზეც, რომ საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების შექმნის შემდეგ თიფლისის საქალაქო სათათბიროს თითქმის ყველა თვალსაჩინო ძალა ჩამოშორდა და

საკუთარ რეგიონში გააგრძელა საქმიანობა. 30 სექტემბრის სხდომაზე კი, მიღებული რეზოლუციის საკითხთან დაკავშირებით, ყველამ ერთად მოიყარა თავი.

ავტორი წერს: „ე. წ. კადეტები, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სომეხი კონსერვატორები, ზურგს უმაგრებენ სოციალ-რევოლუციონერებს საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. დაშნაკების ფრაქცია ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებს, თუმცა თვალში საცემია ისიც, რომ ისინი ჩუმად რუსების მიმართულებას ემხრობიან. ამრიგად, ნელ-ნელა მომზადდა საქართველოს მოწინააღმდეგეთა ერთი ბლოკი და მათი ბოლო გამოსვლა სოციალ-დემოკრატიის დამარცხებით დამთავრდა. ეს პროფესიონალურად ნასროლი ჯოხი იყო, რომელიც საქართველოს მთავრობას უნდა მოხვედროდა. სათათბიროს უმრავლესობას სრულიად არ აინტერესებს მათთვის უცხო ქალაქის ბედი, თავს არიდებს ეკონომიკური საკითხების განხილვას და სავსებით უგულოდ ეკიდება საქმეს. მათ აინტერესებთ პოლიტიკური სკანდალები, რომლებშიც ისინი ოსტატობასა და მჭევრმეტყველებას ამჟღავნებენ. უპატიებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენი მთავრობა, ამდენი ხნის განმავლობაში, ქალაქის სათათბიროს საკმარის ყურადღებას არ აქცევს. მარტო ჩვენნაირ მომთმენ და პოლიტიკური „დარდიმანდობით“ გამსჭვალულ ხალხს შეეძლო თავისი დედაქალაქი ისეთი ადამიანების ხელში ჩაეგდო, რომელთა უმრავლესობა ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგია და, იმავდროულად, არც ქალაქის საქმეებში არის გამოსადეგი. თუ არჩევნები არსებული რუსული კანონის მიხედვით ჩატარდება, ახალ სათათბიროში, ადრინდელთან შედარებით, უფრო მეტი საქართველოს მტერი მოხვდება“.

ამიტომ სტატიის ავტორი პ. გოთუა საქართველოს მთავრობას ურჩევს, რომ საჩქაროდ შეიმუშაოს ახალი საქალაქო კანონი, დაშალოს დღევანდელი სათათბირო და ახალი არჩევნები დანიშნოს.

სომეხი ხალხის წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში

4 ოქტომბერს გაზეთებმა („შრომა“ და „საქართველო“) მოწინავე სტატიები მიუძღვნეს 2 ოქტომბრის სხდომას, რომელზედაც საქართველოში მცხოვრებ სომეხთა წარმომადგენლების პარლამენტში ყოფნის საკითხი განიხილეს და მათი რწმუნებულის პირველი სიტყვა მოისმინეს.

ესერების ორგანო „შრომა“ წერს:

„2 ოქტომბერი ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებელ ცხოვრებაში სამახსოვრო დღედ დარჩება. ამ დღეს საქართველოს პარლამენტში პირველად შედგეს ფეხი არაქართველი ხალხების წარმომადგენლებმა. შემთხვევითი არ არის, რომ ეროვნული უმცირესობებიდან ქართულ პარლამენტში ყველაზე წინ სომხები შევიდნენ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ, მიუხედავად მთელი რიგი წრეების შოვინისტური მისწრაფებებისა, ამ ორი ერის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს მათ შორის ძმური კავშირისა და ერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას. უდავო ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ ის ამბავი, რომ, რაც უნდა ბევრი მეგობარი გვყავდეს სამშობლოს გარეთ, ჩვენს უახლოეს და უძვირფასეს მეგობრებად მაინც ისინი უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც ან ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ანდა ჩვენ გვერდით, ე. ი., მეზობლად, ეს სამკვდრო-სასიცოცხლო გარდაუვალობაა. ამის გარეშე ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ვერ განმტკიცდება. ეს კარგად ესმის ჩვენს ეროვნულ საბჭოსაც. ამის გამო მან უკვე მიიღო კანონი, რომელიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შეეხება, რაც მათ იმის უფლებასაც აძლევს, რომ პარლამენტში სიტყვა დედა ენაზე წარმოთქვან. ეს ნაბიჯები იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს პარლამენტისთვის რომელიმე ცალკე აღებული ხალხის უფლებების ცნობა და მისი პატივისცემა მხოლოდ ცარიელი სიტყვები როდია. რამდენადაც გვახსოვს, თვით რუსეთის დამფუძნებელი კრების შესანიშნავ, დემოკრატიული სულით გამსჭვალულ კანონმდებლობაშიც კი არსად არ არის რაიმე მინიშნება ეროვნული

უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ამ უფლების მინიჭების შესახებ (ანუ იმაზე, რომ კრების სხდომებზე მათ თავიანთ ენაზე ლაპარაკი შეძლონ). საქართველოს პარლამენტმა, უამრავი მოსალოდნელი დაბრკოლების მიუხედავად, ეს კანონი უკვე მიიღო და ამით, უეჭველად, აღასრულა თავისი ვალი ეროვნული უმცირესობების დემოკრატიის წინაშე. ახლა ამ უკანასკნელს შესაძლებლობა ეძლევა არა მხოლოდ გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში, არამედ მშობლიურ ენაზე მოუსმინოს კიდეც მათ და გაიგოს, თუ რას ფიქრობენ ან აკეთებენ მისი ნდობით აღჭურვილი დეპუტატები.

საქართველოს პარლამენტი თბილად მიესალმა თავის ახალ წევრებს და აღფრთოვანებით მოისმინა მათი წარმომადგენლის სიტყვა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ისინი მგზნებარე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს დემოკრატიის აღმშენებლობით საქმიანობაში და, მათი გამომგზავნი დემოკრატიის შესაფერისად, მუყაითი შრომითა და პოლიტიკური სიბრძნით შეიტანენ წვლილს საქართველოს ხალხების ძმური კავშირის განმტკიცებაში. თბილი და გულწრფელი სალამი საქართველოს პარლამენტის ახალ წევრებს!

გაუმარჯოს საქართველოს ხალხების სოლიდარობას!“

ეროვნული დემოკრატების ორგანო „საქართველო“ ამბობს:

„ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების კანონით, უპირველეს ყოვლისა, სომხებმა ისარგებლეს. სამშაბათს ეროვნული საბჭოს მორიგ სხდომას მოქმედ სომხურ პარტიათაგან ათი დეპუტატი ესწრებოდა. მათ სამომავლო საქმიანობის შესახებ ერთიანი დეკლარაცია წარადგინეს, რომელიც (მიუხედავად სიმოკლისა) მნიშვნელოვანი იყო თავისი შინაარსით. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ პარლამენტში სომეხი ხალხის წარმომადგენლებმა, თავიანთი ტაქტის, განსწავლულობისა და შეგნების წყალობით, სიტყვა სახელმწიფო ენაზე, ანუ ქართულად წარმოთქვეს. რა შინაარსის იყო ბ-ნ დავითხანიანის (სომეხი წარმომადგენლების სახელით) გამოსვლა?

საქართველოს ყველა ქვეშევრდომი მოქალაქე, ვინც კი საქართველოს უწყვეტი და ნორმალური განვითარების იდეით არის გამსჭვალული და მისი წინსვლა სურს, დიდი კმაყოფილებით შეხვდა სომეხი წარმომადგენლების ამ დებიუტს საქართველოს პარლამენტში“.

ამის შემდეგ გაზეთი ციტირებს „ორიზონის“ მკითხველებისთვის უკვე წარდგენილ ბ-ნ დავითხანიანის მოხსენებას და განაგრძობს:

„საპასუხისმგებლოა ყველა წარმოთქმული სიტყვა და ფიცი, განსაკუთრებით კი, უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებებში გაკეთებული განცხადებები, რომლის თითოეულ სიტყვასა და ნაბიჯს უდავო მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სულიერი მდგომარეობისა და სამოქალაქო განათლებისთვის.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომეხი ხალხის რჩეულნი დიდ ზემოქმედებას მოახდენენ ხალხის ფართო მასებზე და თავიანთ იდეებს ცხოვრებაში წარმატებით გაატარებენ. საქართველოს ფარგლებში მცხოვრები სომეხი ხალხის უმრავლესობამ კარგად გაიგო ამ ქვეყნის კეთილდღეობისთვის სოლიდარული შრომის მნიშვნელობა, მით უმეტეს, დღეს, როცა ჩვენს ქვეყანას ათასი ჯურის შინაური თუ გარეული მტერი ასევია. საქართველოს სომხების მიერ არჩეული გზა ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნის მშენებლობისა და განმტკიცებისთვის.

პოლიტიკურ ცხოვრებაში სომხების ჩართვას ქართველი ხალხი მიიღებს, როგორც სახელმწიფოებრივად ჯანსაღ საქმიანობას და მათთან ერთად იღვაწებს საქართველოში მცხოვრები ხალხების სოლიდარობის განმტკიცებისთვის.

იმედი გვაქვს, რომ სომეხი ხალხის წარმომადგენელთა ღონიერ სიტყვას ღონიერი საქმეც მოჰყვება ქართული სახელმწიფოს სასაგებლოდ“.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 11 ოქტომბერი, N 206, გვ. 3-4

სომხების შესახებ

სოციალ-დემოკრატების ორგანო „ერთობა“ (N211) საუბრობს 1 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტში სომეხი დეპუტატების მიერ გაკეთებულ განცხადებაზე და ამბობს: „ეს განცხადება მეტად საინტერესოა. ჩვენ სიხარულით ვხვდებით მას, თუმცა გვაეჭვებს ის გარემოება, რომ სომეხ დეპუტატთა შორის საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლებიც ურევია. ისინი ყველგან და ყოველთვის ჩვენ საპირისპიროდ არიან მომართულნი. და, მიუხედავად ყოველივე ამისა, მტკიცედ გვჯერა, რომ სომეხ წარმომადგენელთა უმრავლესობა სრულად განახორციელებს იმ პირობას, რომელიც ხსენებულ დეკლარაციაშია ხაზგასმული.“

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 12 ოქტომბერი, N 207, გვ. 2

პასუხი ჩვენს გაზეთს

ამ დღეებში სოციალ-დემოკრატების ორგანომ („ერთობა“, N217) „ორიზონიდან“ რამდენიმე სარედაქციო წერილი გადაბეჭდა და მას პასუხობს. ჩვენს გაზეთში განხილული იყო საქართველოს პარლამენტში სომეხი დეპუტატების მდგომარეობისა და ლტოლვილობის საკითხები. ქართული გაზეთი ჩვენდამი და ამ თემებისადმი დამოკიდებულებას შემდეგნაირად გადმოსცემს:

„ჩვენ დაშნაკებისგან, – ამბობს ის, – მეტს არც არაფერს ველოდით. მათ თურქების მიერ მოწყობილი ჟლეტა ურჩევნიათ საქართველოს ფარგლებში სომხების შეფარებას და ეს იმიტომ, რომ მათგან პირველი შოვინიზმს ასაზრდოებს, ველურ, უშუალო, მაგრამ ზოოლოგიურ შოვინიზმს, ტომთა ულმობელ ურთიერთმტრობას, ე. ი., სწორედ, იმ ნიადაგს, რომელზედაც ეს პარტია თავის გაბატონებულ მდგომარეობას ამყარებს. მათ იციან ისიც, რომ ჩვენში სომეხი ლტოლვილები ქართველი ლტოლვილებისნაირ მდგომარეობაში არიან; იციან, რომ სახელმწიფოს, რომელსაც შემოსავლის წყარო არა აქვს, არ შეუძლია ნახევარი მილიონი უცხო ქვეშევრდომის რჩენა-შენახვა. ამიტომაც აყენებს „ორიზონი“ ამ საკითხს, როგორც ერთადერთს, რომელსაც უნდა დაეყრდნოს საქართველოს პარლამენტში სომეხთა წარმომადგენლობა. ნუთუ ეს არის ბუნებრივი საქმიანობა? ნუთუ ამას ნიშნავს იმ დეკლარაციის განხორციელება, რომელიც ასეთი ამბით წაიკითხეს პარლამენტში?

ერთი რამ უნდა მოვახსენოთ ბატონ დაშნაკცაკანებს: სოციალ-დემოკრატია იცავს ყველა ხალხს, იცავს ეროვნული უმცირესობების უფლებებს, თუმცა ის, იმავდროულად, სათანადო პასუხს სცემს შოვინისტურად გამომსვლელებსაც. საქართველოს რესპუბლიკა საქველმოქმედო ამხანაგობა არ არის. მისი მოვალეობა ქველმოქმედებათა რაოდენობით არ იზომება და ვინც მას იმის გამო გადაემტერება, რომ ნახევარ მილიონ უცხო ლტოლვილს ვერ პატრონობს, მან თავიდანვე უნდა აღიაროს, რომ მტრული ზრახვები ამოქმედებს

და ეროვნული შუღლის გასაჩაღებლად მიზეზს დაეძებს. ნუთუ ბაკურიანსა და სხვა ადგილებში ქართველი ლტოლვილები არ არიან? ნუთუ მათაც იგივე სენი არ ავლებს მუსრს, რაც სომხებს? მაშ, რაში სჭირდება „ორიზონს“, რომ საკითხი ეროვნულ ფონზე ასე ცალმხრივად განიხილოს? ნუთუ ეს გზა საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას ემსახურება? ცნობილია, რომ ნაციონალისტების ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია – მათ არ შეუძლიათ ეროვნული სიძულვილის გარეშე არსებობა. სანამ სომხური დემოკრატია ამას არ შეიგნებს და ბოლოს არ მოუღებს დაშნაკების პროვოკაციულ მიზნებს, იგი ვერ იტყვის, რომ მან საბოლოოდ განამტკიცა თავისი დემოკრატიული რესპუბლიკა. საზოგადოდ, ნაციონალისტები დემოკრატიული სოლიდარობის მტრები არიან. სომეხი დაშნაკცაკანები ქართველი ნაციონალისტების ამხანაგებად გამოდიან. სწორედ, ამას უნდა გაუსვან ხაზი საქართველოს დემოკრატიულმა პარტიებმა.

რუბრიკა: „სომხების შესახებ“

„ერთობა“ (N208) საქართველოს პარლამენტში ქართული ენის ერთადერთ სასაუბრო ენად აღიარების შესახებ შემდეგს წერს:

„თუ რომელიმე ეროვნული უმცირესობა ქართული ენის უცოდინარი დეპუტატის გამოგზავნას მოისურვებს, დაე, გამოგზავნოს, ეს მისი ნებაა. ვფიქრობთ, რომ ასეთი დეპუტატი თვითონ იგრძნობს უხერხულობას და არ მოისურვებს ისეთ დაწესებულებაში ჯდომას, რომლისაც არაფერი გაეგება. ვიმეორებთ, ყველა ხალხს აქვს უფლება, აირჩიოს თავისი დეპუტაცია, ხოლო დეპუტატები მოვალენი არიან, ხალხს ემსახურონ და არა საკუთარ პერსონას“.

სოციალ-დემოკრატიული ორგანო „სახალხო საქმე“ (N347) ეროვნული უმცირესობების ქართულ პარლამენტში მოწვევის შესახებ ამას ამბობს:

„პირველი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკამ, შემდეგ სიტყვა გადაეცათ საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებს. ჩვენ მოვიწვიეთ მოძმეები და გულწრფელად ვუთხარით მათ: „მობრძანდით!“ დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინიც ასეთივე გულწრფელობით მოგვექცევიან ჩვენ და საქართველოში აღარ იარსებებს ის წინააღმდეგობა, რომელიც, თავის დროზე, ამიერკავკასიის რესპუბლიკის სეიმის დაშლის მიზეზად იქცა.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 13 ოქტომბერი, N 208, გვ. 3

სომხები თიფლის-ქალაქის საბჭოში

ქართული გაზეთები განაგრძობენ თიფლის-ქალაქის სათათბიროში ამ ბოლო დროს მომხდარი თავგადასავლების მიმოხილვას.

სოციალ-დემოკრატების ორგანო „ერთობა“ (N218) 2 ოქტომბერს სათათბიროში ჩატარებული სხდომის (ამ სხდომაზე დაშნაკთა ფრაქციამ უარი თქვა პარტიის მხრიდან გამგეობის წევრობის კანდიდატების წარდგენაზე) შესახებ შემდეგს წერს:

„გასაკვირი იყო დაშნაკცაკანების ქცევა. ეს უპრინციპო, მერყევი პარტია ამ წუთებში ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება ესერებს და ისიც უარს ამბობს ქალაქის გამგეობის საქმეებში მონაწილეობაზე. გვახსოვს, თუ როგორ იგლეჯდა ეს პარტია თმასა და წვერს, – ჩვენ ხალხის ფართო მასები მოგვდევს, მათზე ზრუნვა გვსურს და გამგეობაშიც უნდა გვამუშაოთო. ახლა კი, როცა გამგეობას, მართლაც, დიდი საქმე აქვს, ეს პარტია სამუშაოს თავს არიდებს და გვერდში უდგას გაყიდვა-გამოყიდვით დაკავებულ მდიდართა კლასსა და საქართველოს დემოკრატიის მტრებს, რომლებიც სპეკულაციასთან მებრძოლი რაზმის წინააღმდეგ ილაშქრებენ და ნამდვილ კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეწევიან. მოგეხსენებათ, სხვა ერების მსგავსად, სომეხ ერშიც უხვად მოიპოვება ორივე სახის ელემენტები.

გვეგონა, რომ დაშნაკცაკანები, საქართველოს პარლამენტში დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, აღარ მოისურვებდნენ ამ ელემენტებზე დაყრდნობას და მათი სურვილების აყოლას. თუმცა ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ისინი დღეს ერთს ამბობენ, ხვალ – სხვას. ბოლოს და ბოლოს, ვერ გაგიგიათ, ვინ არიან ისინი, რა გზას ადგანან და რა პრინციპებს აღიარებენ... ესენი ერთ დღეს ინტერნაციონალიზმის ღმერთზე ლოცულობენ, მეორე დღეს კი უკიდურესი ნაციონალისტები ხდებიან; დღეს მუშათა ინტერესებზე ფიქრობენ, ხვალ ბურჟუაზიას უჩოქებენ და მის სპეკულაციურ მისწრაფებებს ემსახურებიან.

მათ სათათბიროს ოთხშაბათის სხდომაზე, სწორედ, ამ უკანასკნელ პოზიციას მიანიჭეს უპირატესობა და ამით ზურგი აქციეს სომხების დემოკრატიულ ელემენტებს, რომლებიც დღემდე მათი მიმდევრები არიან. დემოკრატიამ მათი ასეთი საქციელიდან შესაფერისი დასკვნა უნდა გააკეთოს.

ბურჟუაზიის ჯიბის ინტერესებმა სომხური დემოკრატიის ინტერესები შეიწირა. დაშნაკები შეეცადნენ, რომ ისინი, სომხური ბურჟუაზიის სასარგებლოდ, სხვა დემოკრატებისგან განეცალკევებინათ.

ვიმედოვნებთ, რომ დემოკრატია თვით გაიკვალავს სწორ გზას, სხვა ერის დემოკრატიაში დაინახავს თავის სარგებელს და, დაშნაკების მონად დარჩენას, მათთან ხელჩაკიდებულ სიარულს ამჯობინებს.

მართალია, დაშნაკები ქალაქის სათათბიროში ამტკიცებენ, რომ პოლიტიკურ ბრძოლას არ აპირებენ, საგანგებოდ შექმნილ სპეცრაზმს ვერ ურიგდებიან და ამიტომ არ შედიან გამგეობაში... ნუთუ ვერ ხედავენ, ვის კომპანიაში ამოყვეს თავი? ამ ნაბიჯით ისინი იმ ჩინოვნიკ ესერებს გაუთანაბრდნენ, რომლებიც თვითმმართველობაში პოლიტიკური ბრძოლის გაჩაღებას გვპირდებიან. დაშნაკებიც ხომ მათ ამოუდგნენ გვერდში. ასე რომ, რა საბუთებიც გინდა მოიტანონ, შედეგი ერთი და იგივე იქნება.

ესეც რომ არ იყოს, თვით სპეცრაზმის საკითხი რესპუბლიკის კანონის ცნობა-არცნობის საკითხია, უაღრესად პოლიტიკური საკითხი. დაშნაკებმა არგუმენტების ჩირგვებში ხოხობივით თავიც რომ მალონ, მათ საქციელს ბოლო არ გამოუჩნდება?! თანაც, ამ ბოლოს ხომ ყველა დაინახავს?!

მაშასადამე, ოთხშაბათის სხდომაზე ესერ-დაშნაკებმა, რუსის განაწყენებული ჩინოვნიკების მსგავსად, ერთხელ კიდევ გამოამჟღავნეს, თუ რაოდენ ძლიერია მათში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ სიარულის მიდრეკილება. ამას სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მომხრე და აღმშენებელი საქართველოს დემოკრატია აუცილებლად მიიღებს მხედველობაში

ეროვნულ-დემოკრატების ორგანო „საქართველო“ (N191) იმავე საკითხებისადმი მიძღვნილ სტატიაში, სხვათა შორის, ამბობს:

„ჩვენ ახლა იმ მომენტში ვართ, როცა სათათბიროში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ დავები და დემონსტრაციები გრძელდება. ამ ვითარებას ჩქარა უნდა მოეღოს ბოლო. პარლამენტმა ჩვენს ქალაქებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და

მოკლე დროში ახალი კანონპროექტი შეიმუშაოს, რომელიც ახალ არჩევნებს დაედება საფუძვლად. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ქალაქის სათათბიროს ქართულ დაწესებულებად გადაქცევას, იქ არსებული კონფლიქტების ძირფესვიანად აღმოფხვრას და ნახევრად მტრული ბანაკის გარდაქმნას საქართველოს მთლიანობისა და თავისუფლების დამცველ ორგანოდ და დედაბოძად“.

რუბრიკა: „სომხების შესახებ“

ეროვნულ-დემოკრატების ორგანო „საქართველო“ (N181) უაღრესად უკმაყოფილოა, რომ საქართველოს პარლამენტი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლებას აძლევს. ის ამის გამო დაწერილ და „ბაბილონის გოდლად“ წოდებულ მოწინავე სტატიაში აღნიშნავს:

„მიღებული კანონით, საქართველოს პარლამენტში ეროვნულ უმცირესობებს დედა ენაზე ლაპარაკის უფლება ეძლევათ. ე. ი., ჩვენ ეროვნულ საბჭოში მოწმენი ვიქნებით დაახლოებით შვიდ ენაზე მეტყველებისა. ეს იქნება ნამდვილი ბაბილონის გოდოლი! დღეს ჩვენი ეროვნული საბჭო (კანონიერად ჩამოყალიბებული და მოწესრიგებული, ნაყოფიერი საკანონმდებლო საქმიანობის მესვეური) ისეთ სალაყბოდ გადაიქცევა, დამსწრეთა ერთი ნაწილი მეორის ლაპარაკს რომ ვერ გაიგებს. ჩვენ სათავეშივე ჩავკლავთ ეროვნული საბჭოს სახელმწიფოებრივ ჩანასახს და მას სახელმწიფოს განმავითარებლისა და კულტურის მარეგულირებლის როლსა და დანიშნულებას მოვუსპობთ! არ ვიცი, რამდენად სასარგებლო იქნება ასეთი გარემოება ინტერნაციონალის დამკვიდრებისთვის. ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას ისეთი საშინელი სიურპრიზი მოელის, რომლის გათვალისწინებაც ამჟამად შეუძლებელია!..

საქართველოს ეროვნული უმცირესობები სახელმწიფოებრივი გამოცდის წინაშე დგანან. კანონის ხარვეზების მიუხედავად, საღმა სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ არაქართველ მოქალაქეებს უნდა აგრძნობინოს, რომ ისინი მოვალენი არიან, პარლამენტისთვის ქართულ ენაზე მოლაპარაკე კანდიდატები შეარჩიონ და საკანონმდებლო საქმიანობის შემაფერხებელ ფაქტორად არ იქცნენ.

ამ დღეებში თიფლის ქალაქის სათათბიროში რწმუნებულ ხანდანიანის მიერ წამოჭრილმა საკითხმა (სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი და ვაჭართა საქონლის აღმწერი საგანგებო რაზმის საქმიანობის ნაკლოვანებათა შესახებ) საბაბი მისცა გაზეთ „ერთობას“ (N212), რომ მოწინავე სტატია მიეძღვნა საბჭოს აღნიშნულ სხდომაზე ხმოსანთა პოზიციისთვის. გაზეთი თავის წერილში იმ აზრს ავითა-

რებს, რომ კადეტების წარმომადგენელ ხანდანიანის წინადადებას დაშნაკმა და კადეტმა ხმოსნებმა მეგობრობის გამო დაუჭირეს მხარი. მათ სურთ, რომ ვაჭართა ჯიბე სქელი იყოს, ხოლო ესერებს განაწყენებული რუსი ჩინოვნიკების გულის მოგება სწყურიათ.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 16 ოქტომბერი, N 210, გვ. 3-4

საქართველოს პარლამენტში

15 ოქტომბერი. სხდომა იხსნება 1 სთ და 15 წთ-ზე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით.

განიხილება დაშნაკთა პარტიის წევრების განცხადება, რომ პარლამენტში შეიქმნა დაშნაკების ფრაქცია დავითხანიანის ხელმძღვანელობით.

პარლამენტის მაჰმადიანთა ჯგუფის წარმომადგენელი შარიფოვი („ჰივმეთი“) შემდეგ განცხადებას აკეთებს:

„მოქალაქენო! საქართველოს პარლამენტის წევრებო! მაჰმადიანი დეპუტატების სახელით, ბოდიშს გიხდით ქართულის არცოდნის გამო. უფლებამოსილი ვარ, გაუწყოთ, რომ ჩემი მეგობრები რუსულად ილაპარაკებენ, რამეთუ ეს პარლამენტის ყველა წევრისთვის გასაგები ენაა. მათ დამავალეს, რომ ეს ამბავი გადმომეცა თქვენთვის. შემოვედით რა პარლამენტში, ჩვენ, საქართველოს მაჰმადიანთა წარმომადგენლები, ვიმედოვნებთ, რომ დაგეხმარებით ჩვენი ცოდნით და მუსულმანთა საკითხის გადაწყვეტაში მუშაობას გაგიადვილებთ. მით უმეტეს, რომ ჩვენ კარგად ვიცნობთ მათს ფსიქოლოგიასა და სურვილებს. ზედმეტად მიგვაჩნია, რომ აქ ჩვენი ხალხების მეზობლურ და მეგობრულ კეთილგანწყობაზე ვილაპარაკოთ. ყველამ კარგად იცის მათი ურთიერთდამოკიდებულება. ახლა მუსულმანთა დემოკრატია (რომელიც საკუთარ ზურგზე განიცდიდა და იტანდა ყველანაირ ტანჯვა-წამებას არა მარტო გარეშე მტრისგან, არამედ თავისივე ხალხის წრიდან გამოსული მოღალატეებისგან) შეძლებს შვებით ამოსუნთქვას, იგრძნობს მშვიდობიანი შრომისა და თავისუფლების ხიბლს. გვერწმუნეთ, არ არსებობს ძალა, რომელიც თავისუფალი საქართველოსგან ჩვენს მოწყვეტას შეძლებს. რუსეთის დიდი რევოლუცია, რომელმაც ჩვენ თავისუფლება მოგვანიჭა, მძიმე და სასიკვდილო კრიზისს განიცდის. და თუ სადმე არის კუთხე, სადაც რევოლუციის მონაპოვარი შენარჩუნებულია, სადაც ძმობა და ერთობა არსებობს, ეს არის პატარა საქართველო. ჩვენ, საქართველოს მაჰმადიათა წარმომადგენლები, ყველა ღონეს ვიხმართ, რომ დავიცვათ და განვამტკიცოთ ეს მხარე როგორც გარეული, ისე შინაური მტრისგან. იცოდეთ, რომ, რა განსაცდელიც უნდა მოელოდეს ამ ნორჩ სახელმწიფოს, ჩვენ თქვენთან ერთად ვიქნებით და ძმურად გავიზიარებთ მის ჭირ-ლხინს. მოგესალმებით, პარლამე-

ნტის წევრნო და თქვენი სახით, მხურვალე სალამს ვუძღვნით თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს და მას ყოველივე კეთილს ვუსურვებთ.“

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 17 ოქტომბერი, N 211, გვ. 2

რას ფიქრობენ საქართველოს ეროვნული საბჭოს სომეხი დეპუტატები?

საქართველოს შუამდინარეთი უშფოთველად განაგრძობს უთვისტომო და უიღბლო სომეხი ხალხის მკერდიდან ასობით მსხვერპლის ულმობლად ამოგლეჯას.

საზღვრის ამ მხარეს, ე. ი., თავისუფალ და გერმანიის მფარველობის ქვეშ მყოფ საქართველოში, სწორედ, ისე ნადგურდება სომეხი ხალხი, როგორც ეს ხდებოდა და ხდება პირსისხლიანი სულთნების სამშობლოში.

სროლას, სახრჩობელებს, ხოცვასა და ჟლეტას ახლა სომეხთა გენოციდის ისეთი საზიზღარი ფორმა ცვლის, როცა უხმოდ და უხმაუროდ, კარგად გამართული და სრულყოფილი მეთოდებით ყოველდღე ათეულობით და ასეულობით უდანაშაულო, საწყალი, უმწეო და დაუცველი მსხვერპლი ჩადის მიწაში.

კაცობრიობის დიდმა ჯალათებმა, თავიანთი „სინდისის დასამშვიდებლად“ და სომეხთა გენოციდის გასაადვილებლად, გამოიგონეს „მშვიდობიანი ფორმა“ ხოცვა-ჟლეტისა და ამ გზით მარტივად აქციეს ჩვენი მშვენიერი და აყვავებული სამშობლო უდაბნოდ. ყველგან შიშველი, დამშეული, უსახლკარო, ავადმყოფი, ნაწამები ცოცხალი გვამების ქარავნებია, რომელთაც გადასახლების ადგილებში ერეკებიან და იქ მათი „მშვიდად“ მოსპობისათვის ყველა ღონეს ხმარობენ...

შუამდინარეთი, ერზრუმი, ბაკურიანი, წალკა და მე-300 ვერსი – აი, მცირე ჩამონათვალი იმ სასაკლაოებისა, სადაც დაუცველი სომეხი ხალხი შეყარეს და, თუმცა ისინი მაშინვე თოფით არ ამოუხოცავთ, ბევრიც არაფერი დაუკლიათ, რამეთუ ყოველდღე კვდება ასობით და ათასობით ადამიანი.

ნუთუ ის, რაც გასაგები და ბუნებრივი იყო სისხლიანი და მტარვალი ვანდალების აკვანში (იგულისხმება თურქეთი, ლ. გ.), მოსათმენი და ასატანია გერმანიის მფარველობის ქვეშ მყოფ თავისუფალ

და ლიბერალურ საქართველოში? ნუთუ ის, რაც ასე მშობლიური და ახლობელი იყო აზიაში გაბატონებულ და უკანონო ბოროტმოქმედთათვის, თალაათ-ენვერ-შევქეთების გონების, სულისა და გულისათვის, შეიძლება, რომ კანონიერი, ბუნებრივი, აუცილებელი და მისაღები იყოს იმ ქვეყანაში, სადაც დღეს სახელმწიფო ხომალდს ამ ხალხის საუკეთესო შვილები მართავენ, მორთულ – მოკაზმულნი სოციალიზმის, ლიბერალიზმისა და რევოლუციის ლამაზი ფარჩით. ნუთუ ჩვენ (ვინც უდრტვინველნი და უძლურნი ვიყავით ძლიერთა ამა ქვეყნისათაგან შეგულიანებული ბოროტმოქმედი თურქეთის წინაშე) კვლავაც მიმტევებელნი ვიქნებით და ავიტანთ მსგავს ბოროტებას იმ ქვეყნისა, რომელმაც კაცთმოყვარეობისა და კულტურული ერის თამასუქი მისცა განათლებულ კაცობრიობას.

თუმცა, მოდი, ვიკითხოთ, თუ რას ფიქრობენ და რას აკეთებენ ეროვნული საბჭოს სომეხი დეპუტატები საქართველოს შუამდინარეთში ამოსაჟლეტად განწირული უიღბლო სომეხი ხალხის გადასარჩენად? თუ როგორ და რა მიზნით სურთ მათ საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის მორგება და შეთავსება მაშინ, როცა ასე ულმობლად და არაადამიანურად იტანჯება მათი ღვიძლი ხალხი? ხალხი, რომელმაც ისინი აქ გამოგზავნა? ნუთუ შეიძლება, რომ ასე მშვიდად, აუღელვებლად და გაუაზრებლად ეწეოდეთ აღმშენებლობით საქმიანობას ქვეყნის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში, ორგანოში, რომლის თანხმობითა და ნებართვით, სომეხთა საკონცენტრაციო ბანაკებში თავშეფარებულ ხალხს საფლავს უთხრიან? როგორ და რის გაკეთებას ფიქრობენ ამ ბანაკების დაუყოვნებლივ მოსასპობად სომეხი დეპუტატები?

ჩვენ პასუხს ველით.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 22 ოქტომბერი, N 215, გვ. 1

საზღვრების დემარკაციის საკითხი

ბოლო დღეებში თიფლისის საზოგადოებაში სხვადასხვა სახის ინფორმაცია ვრცელდება სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებით. საუბრობენ რაღაცა ულტიმატუმზე, რომელიც საქართველოს მთავრობას სომხეთის მთავრობისთვის წარუდგენია ორ ქვეყანას შორის საზღვრების დადგენის მოთხოვნით, საუბრობენ ქართული და სომხური ჯარების დაძვრის შესახებ და, გარდა ამ ამბებისა, ვარაუდობენ აგრეთვე სომხურ-ქართული კონფლიქტის შესაძლებლობას თვით საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე. ამ ამბების ზეგავლენით ქალაქში დამძიმებული ატმოსფერო შეიქმნა, რამაც საზოგადოებაში არსებული ნაძირლებისა და ყაჩაღებისთვის მეტად ხელსაყრელი და მომგებიანი ნიადაგი მოამზადა სხვადასხვანაირი „გმირობის“ ჩასადენად. სამწუხაროდ, ოფიციალური წრეები, ამ ყველაფერთან დაკავშირებით, საოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებენ მაშინ, როცა აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება ატმოსფეროს განსამუხტავად.

ჩვენ მიერ მიღებულ უმნიშვნელო ცნობებს თუ გადავხედავთ, ამ ამბებს შემდეგი მოვლენები უდევს საფუძვლად: სომხეთის მთავრობის დიპლომატიური ღონისძიებების შედეგად, თურქეთის მთავრობამ ივლისის ბოლოს გადაწყვიტა, რომ დაეცალა ლორე და ფამბაკი, რომელსაც ის, ბათუმის შეთანხმების წინააღმდეგ, უკანონოდ იკავებდა. ამ საკითხის სისრულეში მოყვანას დაახლოებით ორი თვე დასჭირდა და, ბოლოს, გადაწყვეტილებამდე ორი დღით ადრე, თურქეთის მთავრობამ (გაითვალისწინა რა საზოგადო პოლიტიკური ვითარება) ჯარს ზემოხსენებული რაიონების დაცლა უბრძანა. სომხეთის ხელისუფლებამ კი თურქების მიერ დაცლილი ადგილები დაიკავა, რამეთუ თურქთაგან ოკუპირებული ტერიტორიები წმინდად სომხური მოსახლეობითაა დასახლებული და, ბუნებრივია, სომხეთს ეკუთვნის.

საქართველოს მთავრობამ, ეს ამბავი რომ გაიგო, პროტესტი გამოთქვა სომხეთის მთავრობის ამ ნაბიჯთან დაკავშირებით, ვინაიდან მასაც პრეტენზიები აქვს ლორეს იმ ნაწილის მიმართ, რომელიც თურქებს ეკავათ. ამ პრეტენზიების საფუძველი კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ტერიტორია, ძველი ადმინისტრაციული დაყოფით, თიფლისის მაზრაში შედიოდა. თუ რით უპასუხა სომხეთის მთავრობამ ამ პროტესტს, ჩვენ არ ვიცით, რადგან სომხეთის დიპლომატიური მისია, ამ საკითხთან დაკავშირებით, დუმს. თუმცა, თუ ჩვენს ხელთ არსებული ცნობები მართალია, პასუხის ცოდნის გარეშეც შეგვიძლია, რომ რაღაცა დამოკიდებულება გაგვიჩნდეს ახლად აღმოცენებული კონფლიქტის მიმართ (ეს იმდენად ცხადი და აშკარაა!).

მართლაც, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ თიფლისის მაზრის ზოგიერთი ნაწილი, როგორიცაა, მაგ., ბორჩალოს სომხებით დასახლებული ადგილები (ძირითადად, ლორე), ახალქალაქი და მისი მომიჯნავე ახალციხის 10-12 სომხური სოფელი, მხოლოდ ძველი რეჟიმის რუსეთის ახირებითა და უსამართლო პოლიტიკური ანგარიშებით, შეიყვანეს თიფლისის მაზრაში. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ სომეხი ხალხი, თუ ძველი რეჟიმითა და თუ რევოლუციური რუსეთის ბატონობის ჟამს, ყველაზე მწვავედ აპროტესტებდა სომხური სხეულის რღვევას. პროტესტი ყველაზე მეტად ერთი წლის წინ გამწვავდა, როცა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისა და შემდგომში, აგრეთვე, ამიერკავკასიის კომისარიატის მაგიდაზე საზღვართა გამიჯვნის საკითხი ხელახლა დაიდო. ეს ყველაფერი კარგად მოეხსენება ქართულ საზოგადოებრიობასაც, განსაკუთრებით, მის ამჟამინდელ ხელმძღვანელ ფენებს, რომლებიც, სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, ყოველთვის ხმას აძლევდნენ ჩვენს პროტესტს და ყველა კომისიაში ჩვენს მოთხოვნებს იცავდნენ, ერების თვითგამორკვევის სამართლიანი და ელემენტარული უფლებიდან გამომდინარე. აბა, მაშ ეხლა რა ხდება, რომ ეს წრეები მკერდზე მუშტს იბრახუნებენ, როცა სომხური სხეულიდან ძალით მოგლეჯილი სომეხი ხალხის ერთი ნაწილი თავის დედა სხეულს უერთდება? სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ არ იყო, რომ ქართული საზოგადოების ხელმძღვანელმა პირებმა ჟორდანიას, წერეთლისა და რამიშვილის სახით, აშკარად განუცხადეს სომხეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებს, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან მათს უფლებას თიფლისის მაზრაში შემავალ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც სომხეთის

საზღვართან მდებარეობენ და, თანაც, სომხებით არიან დასახლებულნი და, რომ ისინი სომხებით დასახლებული ბორჩალოს ერთ ნაწილს, მხოლოდ თურქეთის შეჭრის შიშით, იკავებენ დროებით?

თუმცა ამ დავაში არის ერთი რამ, რასაც ჩვენ ჩუმად გვერდს ვერ ავუვლით. ერთი წუთით ვივარაუდოთ, რომ ის, რაც უდავოა, როგორც ჩვენთვის, ისე ყველა ჭეშმარიტი დემოკრატისთვის, სადავოა ქართული დემოკრატიის მესვეურთათვის; ვივარაუდოთ, რომ მათ უფლება აქვთ, გარკვეული მოვლენების ზეგავლენით, ერების თვითგამორკვევის საკითხს გვერდი აუარონ (ეყრდნობიან რა გოლიცინების განკარგულებას) და სომხებით დასახლებული ადგილების მშობელ მიწასთან მიერთება სადავოდ მიიჩნიონ... თუმცა, ამ შემთხვევაშიც რა უფლება აქვს საქართველოს, როგორც ერთ-ერთ მოდავე მხარეს, რომ ერთი მხრივ, სრული მონოპოლია გამოაცხადოს სადავო ტერიტორიებზე და, მეორე მხრივ, ყველაფერი ჩამოართვას მას? ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ გაგვცემს, თუ არ სურს, რომ სამართლებრივი ნორმების სფეროდან გამოვიდეს და ახირება – ძალადობის სფეროში შევიდეს.

ჩვენ შეგვიძლია ხსენებული საკითხის გარშემო კიდევ უამრავი შენიშვნა შემოგთავაზოთ, თუმცა ესეც საკმარისია, რაც ვთქვით კონფლიქტში მონაწილე მოდავე მხარეების დემოკრატიული და იურიდიული ცხოვრების წესის დასახასიათებლად.

ამ დაკვირვებებიდან გამომდინარე, ლოგიკური დასკვნა ისაა, რომ სომხეთის მთავრობა საბედისწერო დარტყმას მიაყენებს თავის სამართლიანობასა და დემოკრატიზმს, თუ ძალადობას შეურიგდება და ახლავე უარს იტყვის თურქეთის უღლისაგან განთავისუფლებული სომხებით დასახლებულ ლორესა და მის მშობელ მიწასთან მიერთების საკითხზე. ასეთი უარის თქმა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება, რამეთუ ეს ისე განარისხებს სომეხ ხალხს, რომ ვერც ერთი მთავრობა (როგორი შემადგენლობისაც უნდა იყოს იგი) სომხეთში ორ დღესაც ვერ იარსებებს. თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ ლორეს ზემოთ ხსენებული ნაწილის დაკავებით არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან ერთად, მან დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან, რათა მშვიდობიანი გზითა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპით გადაწყდეს საზღვრის გამიჯვნასთან დაკავშირებული ყველა ის საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ გადაუჭრელია ამ ორ ქვეყანას შორის. ეს საქმე აუცილებ-

ლად ჩქარა უნდა მოგვარდეს არა მარტო სომხეთის შიდა საქმეების მოსაწესრიგებლად, არამედ სომხეთსა და საქართველოს შორის, ერთხელ და სამუდამოდ, ნორმალური მეზობლური ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად.

იმედს ვიტოვებთ, რომ ქართული დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლები ეროვნულ ხმას აღიმაღლებენ და, როგორც დღევანდელი უთანხმოების, ასევე მომავალი სადემარკაციო საკითხების გადაწყვეტისას, სამართლიანობისა და დემოკრატიზმის საოცნებო მოთხოვნებს ფეხქვეშ არ გათელავენ.

ვიმედოვნებთ, რომ ეს ხმა ის ხმა არ იქნება, რომელიც უკვე ისმის „Борьба“ -ს ფურცლებიდან. მისი ბოლოდროინდელი სარედაქციო სტატიის მიზანია საზოგადო ვნებების უფრო მეტად აბურდვა და აგიზგიზება, ვიდრე საკითხის გამარტივება. არ გვინდა, შევურიგდეთ იმ აზრს, რომ დღევანდელი რეაქციის შოვინისტური ღაღადისი და იმპერიალისტური გრუხუნი სავსებით ჩაახშობს რუსეთის დიდი რევოლუციის წინამძღოლების ხმას.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 24 ოქტომბერი, N 217, გვ.2.

დავა სომხეთ-საქართველოს საზღვარზე
(საქართველოს სომხური დიპლომატიის ცნობათა ბიუროდან)

საქართველოს მთავრობაში სომხეთის საქმეთა რწმუნებულმა შემდეგი სახის დეპეშა მიიღო:

„სომხეთის რწმუნებულ ა. ჯამალიანს. ერევანი-თბილისი. თავმჯდომარე ჟორდანიას. ასლი სომხეთის უფლებამოსილ პირს – ჯამალიანს.

„დილიჟანის საჯარისო ნაწილის მეთაური გვაცნობებს, რომ საქართველოს სარდლობამ მას ულტიმატუმი წაუყენა და მოითხოვა სადგურ შაჰალის დაცლა. ჩვენ ვუბრძანეთ, რომ არ დაცალონ სადგური და, ქართველების მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, დაიცვან ის. სამართლიანობისა და კანონის სახელით მოვითხოვთ, რომ ომისაგან განაწამებ საქართველოსა და სომხეთს თავიდან ავარიდოთ ის სირთულეები, რომლებმაც შეიძლება ახალი უბედურება გამოიწვიოს. გთხოვთ, არ მიმართოთ აგრესიულ ქმედებებს, შეაჩეროთ ქართული ჯარების წინსვლა, დატოვოთ ისინი იმავე ადგილზე და იმავე მდგომარეობაში, რაშიც ახლა იმყოფებიან, ხოლო საზღვრების საკითხი მშვიდობიანი შეთანხმებით მოაგვაროთ. შეგახსენებთ თქვენსავე განცხადებას, რომელიც საზეიმოდ გააკეთეთ ივნისში (რამიშვილის, აჰარონიანისა და ხატისიანის თანდასწრებით) იმაზე, რომ საქართველო ლორეზე არ აცხადებს პრეტენზიას და დროებით იკავებს მას მესამე სახელმწიფოს შეჭრის თავიდან ასაცილებლად.

ველოდები თქვენს პასუხს. თავმჯდომარე ქაჯაზნუნი. გადაეცა ერევნიდან

დილიჟანში საგანგებო დავალებათა კომისარ თოროსიანს“.

სამთავრობო შეტყობინება (საქართველო-სომხეთის სასაზღვრო კონფლიქტის შესახებ)

19 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო შეტყობინება იმაზე, რომ სომხეთის რეგულარულმა ჯარებმა დაიკავეს სადგურ ქობერსა და სასაზღვრო ხიდს შორის მდებარე ადგილი, ისევე როგორც სანაინის მიმდებარე მიდამოები (ბორჩალოს რაიონი) და, მიუხედავად ადგილობრივი გერმანული სამხედრო ხელისუფლების თხოვნისა, რომ დაუყოვნებლივ გადაეცათ საქართველოს ტერიტორია, აგრძელებენ თავდასხმებს ახალ-ახალ ადგილებზე – საზღვრის როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, ანუ გერმანული შენაერთებისგან დატოვებულ და თურქეთის ჯარებისგან დაცლილ ტერიტორიებზე. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს მთავრობაში მყოფ სომხეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელ ჯამალიანს იმავე დღეს გადასცა შეტყობინება, რომელშიც მიუთითებდა, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, მშვიდობიანი გზით მოაგვაროს მეგობარ სომხეთთან საზღვრების საკითხი. თუმცა, სანამ ეს შეთანხმება მიიღწევა, სომხეთის საჯარისო ნაწილების თიფლისის მაზრის საზღვრებში შესვლა უნდა ჩაითვალოს სომხეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აშკარა მტრულ აქტად. საპასუხოდ, სომხეთის ხსენებულმა წარმომადგენელმა იმავე დღეს პირადად მოინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი და ამ უკანასკნელს განუცხადა, რომ ბორჩალოს რაიონში სადავო ტერიტორიების დაკავებას ადგილი ჰქონდა ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებით. იმავდროულად, სამხედრო მინისტრმა, მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს საზღვრების დასაცავად სათანადო ზომებს მიმართა. ამასთან, ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა, რომელიც სანაინს 20 ოქტომბერს გაიგზავნა, მოგვახსენა, რომ დერეთჩაიზე, ქობერსა და ქორინჯზე ჩვენი მხარე სომხური საჯარისო ნაწილების მიერ დაკავებული დახვდა. მან მათ ულტიმატუმი წაუყენა, რომ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ჩვენი ტერიტორია და სომხებმა ეს მოთხოვნა შეასრულეს. 21 ოქტომბერს სომხურ საქმეთა რწმუნებულმა – ჯამალიანმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შეატყობინა, რომ აღნიშნული ნოტა გაეგზავნა სომხეთის მთავრობას და, იმავდროულად, იმედი გამოთქვა, რომ ორი რესპუბლიკის მთავრობათა მუდმივი და გულწრფელი სწრაფვა მეგო-

ბრული ურთიერთობების განმტკიცებისკენ მალე იმ შედეგს გამოიღებს, რომ ეს ორი ხალხი მშვიდობიანად შეთანხმდება ერთმანეთში და საკითხი ორივე მხარისთვის სასარგებლოდ და მომგებიანად გადაწყდება.

23 ოქტომბერს სომხეთის მთავრობის მეთაურმა – ქაჯაზნუნმა გამოგზავნა დეპეშა, რომელშიც წერდა, რომ საქართველოს სარდლობამ ულტიმატუმი წაუყენა სადგურ შაჰალის დაცლაზე. მან უბრძანა სომხეთის სამხედრო რაზმს, რომ პოსტი არ დაეტოვებინა, ხოლო ქართულ ჯარებს მოსთხოვა, რომ იმ ადგილიდან არ დაძრულიყვნენ და მშვიდობიანი შეთანხმებით გადაეწყვიტათ საზღვართა საკითხი. საპასუხოდ, თავმჯდომარის ნაცვლად, სამხედრო მინისტრმა იმავე შინაარსის განცხადება მიაგება ქაჯაზნუნს, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა მშვიდობიან შეთანხმებაზე, რომელიც თვითონვე ურჩია და შესთავაზა მათ. საზღვრების საკითხის ამგვარად გადაწყვეტამდე ქართულ ჯარებს ნაბრძანები აქვთ, დარჩნენ მათ მიერ დაკავებულ ხაზზე და არ დაიწყონ სამხედრო მოქმედებები. თუმცა იმავე დღეს, საღამოს, საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი ცნობა, რომ სომხეთის ჯარებს ეთხოვათ, დაეტოვებინათ ქორინჯი და ამის შემდეგ მაშინვე ძალით აეღოთ ქორინჯ-წათერის ახალი ხაზი, რითაც აიძულებდნენ გერმანული სადარაჯოს მცველებს, გასცლოდნენ იქაურობას. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ დაავალა საგარეო საქმეთა მინისტრს, ეცნობებინა სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლისთვის, რომ, თუ სომხური ჯარები დაუყოვნებლივ არ დატოვებდნენ მანამდე თურქეთის ხელში მყოფ საზღვრებს (მასში შედის აგრეთვე ქორინჯი, წათერი და მდ. კამენკა) და მომავალშიც თიფლისის მაზრის საზღვრებში რომელიმე ადგილს დაიკავებდნენ, საქართველოს მთავრობა ამ აქტს მიიღებდა, როგორც სომხური მთავრობის მხრიდან საომარი მოქმედებების დასაწყისს, რასაც ორივე რესპუბლიკისთვის გამანადგურებელი შედეგების მოტანა შეეძლო და ამისთვის მთელ პასუხისმგებლობას მას დააკისრებდა.

ნოტა უკვე გადაეცა ა. ჯამალიანს. მთავრობა არ კარგავს იმედს, რომ აღმოცენებული კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდება.

სომხების თავი, სხეული და კისერი

ეროვნულ-დემოკრატების დამოუკიდებელი ორგანო – კვირის გაზეთი „კლდე“ (N 5) თავის მკითხველებს ატყობინებს, რომ საქართველოს სომეხთა ეროვნულმა საბჭომ ქვეყნის მთავრობისგან ითხოვა სომეხი დევნილების სოფლებში დროებით განთავსების ნებართვა. გაზეთი ამ საკითხთან დაკავშირებულ ამბებს შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო, მისი მთავრობის მორიგი პრინციპი იყო „საქართველო უქართველებოდ“. შემდეგ მან ეს პრინციპი სისტემად აქცია და თავისი მმართველობის ბოლო დღემდე დევნიდა ქართველებს, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო და, რადგან გასული საუკუნის პირველ ნახევარში თვითონ ემიგრანტობა დიდი სიჭრელით არ გამოირჩეოდა, გადაწყვიტა, რომ, ქვეყნის მოსახლეობის გამრავალფეროვნების მიზნით, პირველსავე წლებში სომხები, კერძოდ, 2000 სომხური ოჯახი ყარაბაღიდან ტფილისში, ავლაბრის უბანში, დაესახლებინა. ამას მოჰყვა ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში სომხური კოლონიების დაარსება და, ამგვარად, ლორესა და ფამბაკის გასომხება, რის შემდეგაც ემიგრანტები შევიდნენ აგრეთვე ისეთ ცენტრებში, როგორიც არის შულავერი და დაღეთი, რომელიც შემდგომში დაღეთ-ხაჩენად მოინათლა და ასეთი როლი ითამაშა ბელი-კლიუჩის (ახლ. თეთრიწყარო, ლ. გ.) აჯანყებისა და ნგრევის საქმეში.

1828 წელს რუსებმა ქართველი მაჰმადიანები ახალქალაქის მაზრიდან აყარეს და მათ მაგიერ იქ ერზრუმელი სომხები ჩაასახლეს. ასე გადაიქცა ეს წმინდად ქართული მაზრა წმინდად სომხურ მაზრად. როგორც ცნობილია, დღევანდელი კულტურა საკუთრივ ქალაქური კულტურაა. ის ხალხი კი, რომლის ქალაქური ცხოვრებაც ნაკლებად არის განვითარებული და მოწყვეტილია მხარეთა ურთიერთდამაკავშირებელი და ხელმძღვანელი დედაქალაქისგან, ერთმანეთს ნივთივით იყენებს სხვების კულტურის სასარგებლოდ. სწორედ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ რუსეთის მთავრობა მთელი საუკუნის განმა-

ვლობაში ცდილობდა ტფილისში სომხები ქართველთა დასუსტების ხარჯზე გაეძლიერებინა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარ პოლიტიკაში არანაკლებ როლს თამაშობდნენ სომეხთა მოწინავე წრეები. ისინი შთაგონებულნი იყვნენ „ოსმალეთის საქართველოში“ და თურქეთის „დაშლილ“ სხეულზე დიდი სომხეთის აღდგენის იდეით და ამ სურვილის ცენტრად ამორჩეული ჰქონდათ არა ერევანი და ერზრუმი, არამედ ჩვენი დედაქალაქი ტფილისი.

დღეს ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ არა ჩვენ სასარგებლოდ.

დღეს თურქეთის სომხეთის აღდგენის იდეას ფეხქვეშ მიწა სამუდამოდ გამოეცალა. ხოლო (აქ წაშლილია სიტყვა, ლ. გ.)... და ერევნის სომხებში ჯერ კიდევ არ შეინიშნება სიმტკიცე, თითქოს ყოველ წუთს მზად არიან, რომ აიყარონ და გაიქცნენ. თუკი სამხრეთში ძლიერი სომხეთის არსებობა საქართველოს საუკეთესო დასაყრდენს უქმნის, იმავე სომხეთის აყრა და ქართველთა საზღვრებში დაფუძნება ერს დიდი გამოცდის წინაშე აყენებს, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ მათი ხელმძღვანელის უცნაურ ბუნებას.

მიუხედავად მათი მკაცრი და ულმობელი ნაციონალიზმისა, სომეხ ინტელიგენციასა და მის მკვებავ ბურჟუაზიას არ აღმოაჩნდა სამშობლოსა და მშობლიური ხალხის ნამდვილი სიყვარული. მაშინ, როცა რუსის ჯარმა მთლიანად დაიკავა დიდი სომხეთი და მათ წინაშე ფართო ასპარეზი გადაიშალა იქ საქმიანობისთვის, ამ ადამიანებმა ერზრუმსა და ერზნკაში მოღვაწეობის არავითარი სურვილი არ გამოთქვეს. ანდა კიდევ: როცა ყარსსა და ერევანს უკვე სომხეთის რეგულარული ჯარი იკავებდა, მათმა ხელმძღვანელობამ და ინტელიგენციამ იქ მუშაობა არც კი მოისურვა. ისინი მტკიცედ ჩაიკეტნენ ტფილისში და იქიდან ცდილობდნენ ემართათ დიდი სომხეთის ბედიც და საქართველოს საქმეებიც.

აშკარად ჩანს, რომ სომხური ბურჟუაზია ტფილისს ვანსა და ერევანში არ გაცვლის და, უეჭველია, რომ ეს, როგორც ისტორიული და პრაქტიკული სენტიმენტალიზმისგან დაცლილი ხალხი, თავის ეროვნულ აღმშენებლობით საქმიანობას ჩრდილოეთში გადაიტანს.

საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ზრდა ტფილისის გარეშე შეუძლებელია. ასეთი ზრდის ხელის შესაშლელად რუსმა მმართველებმა დედაქალაქი უკიდურესად აავსეს სომხებით. იმავე მმართველებმა გადააავსეს აგრეთვე ისეთი სტრატეგიული რაიონები,

როგორიცა ლორე, ფამბაკი და ბორჩალო და ამით საქართველოს სომხები ყარსისა და ალექსანდროპოლის სომხებს დაუკავშირეს.

მეორე მხრივ, ტფილისსა და ლორე-ფამბაკს შორის დარჩენილ მცირე ფართობზე მცხოვრები ქართველები და მათი სასულიერო პირები, სომხების ენერგიული საქმიანობის შედეგად, გასომხების გზას დაადგნენ.

ასე რომ, თუ ტფილისს, როგორც კულტურულ ცენტრს, სომხების თავს ვუწოდებთ, ხოლო სომხების სამხრეთ მაზრებს – სომეხთა სხეულს, ნათელი გახდება, რომ ამ თავსა და სხეულს შორის კისერი უნდა იყოს, მხოლოდ ამჟამად ეს კისერი სუსტია და, თუ ჩვენ სომეხთა ეროვნული საბჭოს თხოვნას შევასრულებთ და დევნილებს ჩვენს ქვეყანაში განვათავსებთ, ამით ხსენებულ კისერს გავამაგრებთ და საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი სომხური ორგანიზმის შექმნას შევუწყობთ ხელს.

რაც შეეხება დევნილების სამშობლოში დაბრუნების ანდა რომელიღაც სხვა ადგილას დასახლების საკითხს, ეს ტყუილი ამბავია. გამოცდილებით ვიცით, რომ ერთხელ უკვე აყრილი და ოჯახდანგრეული ხალხი უკან აღარასოდეს ბრუნდება, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ის თავის სამშობლოზე უკეთეს ქვეყანაში მკვიდრდება.

გახსოვთ, თვით ფონ-პლიევისნაირმა ყოვლის შემძლე კაცმაც კი ვერ მოახერხა, ადგილიდან დაეძრა სოხუმისა და სოჭის მაზრებში „დროებით დაფუძნებული“ სომხები. ტფილისს არცერთ მაზრასთან არა აქვს ისეთი კავშირი, როგორც ბორჩალოსთან. მაშასადამე, ამ უკანასკნელის მთლიანად გასომხება ტფილისის სრულ გასომხებას ნიშნავს. ამით აიხსნება სომეხი ხელმძღვანელების ასეთი ენერგიული და მონდომებული მცდელობა, რომ თავიანთი დევნილები ამ მაზრაში დაასახლონ.

დღეს, როგორც მოვისმინეთ, ბორჩალოს მაზრის, კერძოდ, ლორეს, თრიალეთისა და წალკის რაიონების თურქები ტოვებენ თავიანთ ადგილებს და თურქეთში მიდიან. ჩვენთვის სულერთი როდია, თუ რომელი ელემენტებით შეივსება თურქებისგან დაცლილი ადგილები – იმ ტომით, რომელიც ჩვენი ეროვნული მტერია და ჩვენს სხეულზე ცხოვრებას აპირებს, თუ იმ ნეიტრალური ელემენტებით, როგორიც მართლმადიდებელი ბერძნები და აისორები არიან, რომელთაც, ჩვენს ტერიტორიასთან დაკავშირებით, არავითარი შორსმიმავალი პოლიტიკური გეგმები არ აქვთ.

სომეხმა „მედროშეებმა“ (დროშაკაკანები, ანუ იგივე დაშნაკები, ლ. გ.) ქართლის გულშიც კი გაასომხეს ქართველი გრიგორიანელები და ამით ძმა ძმას დაუპირისპირეს – ერთმანეთისგან რელიგიურად და პოლიტიკურად გააცალკევეს, თითქოს ორი სხვადასხვა ხალხი ცხოვრობდეს გვერდიგვერდ.

დაე, მეტი ჭკუის კოლოფებმა იმსჯელონ იმაზე, თუ როგორი არახელსაყრელი შედეგები ექნება ჩვენს ქვეყანაში სომხური ელემენტების გაძლიერებას.

ნუთუ ვერ დავრწმუნდით ჩვენი ორიენტაციების ურთიერთშეურიგებლობაში? ნუთუ ვერ ვხედავთ მათს საშინელ სიძულვილსა და ბრძოლას ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ? დაშნაკების ამჟამინდელი სიმშვიდე ჯარების ახალი შენაერთების გადაწყობისათვის არსებული საქმიანი სიმშვიდეა და დროის მოგება.

როგორ გგონიათ, ისტორიის საჭე, თუნდაც დროებით, ჩვენს სასარგებლოდ რომ არ შემობრუნდეს, ჩვენს დედაქალაქსა და მის შემოგარენში მყოფ 500 000-600 000 სომეხ დევნილს გაუჭირდება ქართველების ამ ადგილებიდან აყრა?

თუ ჩვენი მთავრობა ნებას მისცემს ლტოლვილებს, რომ მათი თავმოყრის ადგილები დატოვონ და სოფლებში გადავიდნენ, საქართველო მალე სომხეთად გამოცხადდება. განა ეს ესმით ბ-ნ ნოე ჟორდანიას, ბ. ნოე რამიშვილს და ბ. ნოე ხომერიკს?“

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 25 ოქტომბერი, N218, გვ. 1

სომეხ-ქართველთა სასაზღვრო კონფლიქტი

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ო. ქაჯაზნუნი ტელეგრაფით გადმოგვცემს:

„თიფლისი. ჯამალიანს. ერევნიდან. გაგზავნილია 23 ოქტომბერს, 19 საათსა და 20 წუთზე. მიღებულია 24 ოქტომბერს.

სომხეთის საბჭომ მოისმინა ცნობა საქართველოს მთავრობის მემორანდუმის (N4303), შაჰალის გაწმენდის ულტიმატუმისა და, აგრეთვე, ქართული მთავრობის მიერ ჩატარებული ოპერაციების შესახებ და გადაწყვიტა, რომ, ამ კუთხით, სამთავრობო ღონისძიებანი შეიმუშაოს. მთავრობას დაევალა, ძალ-ღონე არ დაიშუროს ამ ინციდენტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო დაკავებული პოზიციიდან არ გადაუხვევს.

გთხოვ, ამის შესახებ აცნობო საქართველოს მთავრობას.“

სანაინის რაიონში აღმოცენებული ინციდენტის ადგილზე გაცნობის მიზნით სომხეთის დიპლომატიური მისიის მიერ გაგზავნილი დელეგაციის წევრი მ. არზუმანიანი ტელეგრაფით გვამცნობს:

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. ასლი – ა. ჯამალიანს. სანაინი. 25 ოქტომბერი.

წათერისა და ქარინჯის საკითხი გავარკვიე, მოველაპარაკე პოლკოვნიკ ზაქარიაძეს, რომელსაც ნაბრძანები აქვს, დაიკავოს ძველი ხაზი. გთხოვთ, განკარგულება გასცეთ, რომ წათერისა და ქარინჯისათვის სამხედრო მოქმედებები არ წამოიწყონ, სანამ ჩვენ ერევანში ჩავიდოდეთ.“

სომხურ-ქართული სასაზღვრო ხაზის გამო

24 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სარდლობას შემდეგ ბრძანებას უგზავნის:

„მხედველობაში იღებს რა ბორჩალოს მაზრის სამხრეთის საზღვარზე არსებულ ამბებს, რომლებიც სომხეთის რესპუბლიკის ზოგიერთი შენაერთის გადაადგილებას უკავშირდება (იგულისხმება სასაზღვრო ხაზისაკენ დაძვრა – წინსვლა), საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ბორჩალოს მაზრასა და ქართული სარკინიგზო მაგისტრალის სამხრეთ ნაწილში საომარი მდგომარეობა გამოაცხადოს.

ბორჩალოს მაზრისა და საქართველოს მთავრობის ჯარების მიერ დაკავებული საქართველოს რკინიგზის სამხრეთი შტოს გენერალ-გუბერნატორად ინიშნება მე-2 ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური გენერალ-მაიორი გიორგი წულუკიძე.“

გაზეთი „ორიზონი“, თფილისი, 1918 წლის 26 ოქტომბერი, N 219

ატმოსფერო იწმინდება

როგორც იქნა, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა ლორეს ინციდენტის შესახებ, რომელიც, ამ ბოლო დღეების განმავლობაში, ასერიგად აღელვებდა საზოგადოებას. სომხეთის ადგილობრივმა დიპლომატიურმა მისიამაც, თავის მხრივ, გამოაქვეყნა ის დეპეშა, რომელიც მან 23 ოქტომბერს მიიღო საქართველოს მინისტრ-თავმჯდომარის – ჟორდანიას სახელზე სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ქაჯაზნუნისგან. ეს დეპეშები ჩვენ იმის ეჭვს აღარ გვიტოვებს (ორივე მთავრობა, მართლაც, ამ რწმენით არის გამსჭვალული), რომ საქართველო-სომხეთის ომი, დღევანდელი პოლიტიკური მოვლენების ფონზე, პირდაპირ დამღუპველი იქნება მებრძოლი მხარეებისთვის, დამოუკიდებლად იმისა, ვინ მართალია და ვინ – მტყუანი, ვინ იქნება გამარჯვებული და ვინ – დამარცხებული. თუ ოფიციალურ შეტყობინებებს გადავხედავთ, მაშინ სომხეთ-საქართველოს უთანხმოებანი ლორეს თაობაზე ორივე მთავრობისთვის უკვე გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს. ორივე მხარე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართველები უნდა დარჩნენ ადრინდელ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იყვნენ, ხოლო სომხებმა ამჟამად უნდა დაიკავონ მხოლოდ ის პოზიციები, რომლებიც თურქებს ეკავათ, სანამ საზღვრის გაყოფის საკითხი ორმხრივი შეთანხმებით არ გადაწყდება. ამავე თვალსაზრისზე დგას კავკასიის გერმანული დელეგაციაც, რომელსაც გარკვეული სამხედრო ვალდებულებები აქვს საქართველოს დაცვის საკითხში და, რომელიც, ბუნებრივია, დაინტერესებულია ლორეში მიმდინარე ამბებით.

თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად, ჩვენ მაინც მშვიდად ვერ ვგრძნობთ თავს, რადგან გვგონია, რომ მოვლენები შემდეგში შეიძლება ისე არ განვითარდეს, როგორც ამ ორ მთავრობას სურს. საქმე ის არის, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის სატელეფონო კავშირები მოუწესრიგებელია და ზოგჯერ კავშირი დღეობით წყდება, ხოლო კურიერების საშუალებით შეტყობინების გადაცემა ერევნი-

დან თიფლისში სამ დღეს მოითხოვს. მაგ., ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ თვის 19-ში საღამოს მიღებული ქართული მთავრობის პირველი ნოტა მხოლოდ 22-ში გადაეცა ერევანს, ხოლო ქაჯაზნუნის დეპეშამ, რომელიც 20-ში უნდა იყოს დაწერილი, თიფლისამდე მხოლოდ 23 -ში ჩამოაღწია. ასეთ ვითარებაში ადვილი შესაძლებელია, რომ სომხურმა მთავრობამ დროულად ვერ შეიტყოს ქართული მთავრობის გუშინდელი ნოტის შესახებ, რომლითაც ეს უკანასკნელი თანხმობას აცხადებს სომხების მიერ თურქების პოზიციების დაკავებაზე და, ქაჯაზნუნის დეპეშის საფუძველზე, ქართველების მიერ შაჰალის რაიონზე თავდასხმის შემთხვევაში, შეუძლია, სომხურ ჯარებს უბრძანოს წინააღმდეგობის გაწევა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მან ჯარს იმ საბრძოლო მოქმედებების შეყვეტა არ უბრძანოს, რომელთა შესრულებაც თავდაცვის მიზნით მოუწევს. ამ გადაადგილებებმა თუ მოქმედებებმა, შეიძლება, თავის მხრივ, ქართველთა მხრიდანაც საპასუხო ქმედებები გამოიწვიოს და, ამ ყველაფრის შედეგად, სავალალო კონფლიქტებს ექნეს ადგილი. მართალია, სომხეთის ადგილობრივმა მისიამ ხუთშაბათ საღამოს საგანგებო მატარებლით ხალხი გაგზავნა ერევანში საქართველოს მთავრობის ნოტის გადასაცემად, თუმცა შაბათამდე ეს ნოტა ძლივს ჩააღწევს დანიშნულების ადგილამდე. ამ დროის განმავლობაში კი, შესაძლებელია, გაუთვალისწინებელი მოვლენები განვითარდეს. თუმცა, ამის გამო საზოგადოებამ რწმენა არ უნდა დაკარგოს. ლორეს საკითხში ორივე მთავრობა ერთსა და იმავე დასკვნამდე მიდის. მათ შეუძლიათ ისეთი საშუალებების გამონახვა, რომლებითაც ადვილად აღმოფხვრიან ამ უხერხული გარემოებებით გამოწვეულ კონფლიქტს. ბოროტი კეთილის გარეშე არ არსებობსო, – ამბობს ხალხური სიბრძნე.

ლორესთან დაკავშირებული დავიდან უპირველესი სიკეთე, ჩვენი აზრით, ის იქნება, რომ სომხეთისა და საქართველოს მთავრობები, ამ გამოცდით დაბრძენებულნი, ეცდებიან, რაც შეიძლება მალე გადაწყვიტონ სადავო საზღვრის საკითხი, რამეთუ, სანამ ეს დავა არ დასრულდება, ამ ორ ქვეყანას შორის სავალალო გაუგებრობები გარდაუვალი იქნება.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 26 ოქტომბერი, N 219, გვ. 1

სომხეთი და საქართველო

ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობები, რომელთა მიხედვითაც, სომხეთიდან საქართველოში მოსულებს უნდა ჰქონდეთ ქართული მთავრობის ნებართვა. ამის შესახებ ბრძანება გასცა სამხედრო მინისტრმა. სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა – ა. ჯამალიანმა მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს და სთხოვა, შეეტყობინებინათ მისთვის, თუ როგორ და რა წესით მიიღებენ სომეხი მოქალაქეები სომხეთიდან საქართველოში შემოსვლის ნებართვას მაშინ, როცა საქართველოს სომხეთში დიპლომატიური წარმომადგენელი არ ჰყავს.

დელეგატებისა და დეპუტატების გამგზავრება ერევანს

გუშინ, საღამოს, კერძო მატარებლით ერევანს გაემგზავრნენ სომხეთის მთავრობაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლად დანიშნული მდივანი, საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭოს დელეგატები – ს. მანასიანი, ა. ერზინკიანი, ა. სტამბოლციანი და ს. ჰარუთიუნიანი, ასევე, სომხეთის დარბაზის წევრები. იმავე მატარებლით ბორჩალოსკენ გაემგზავრა სომეხთა და ქართველთა შერეული დელეგაცია, რომლის სომეხი წევრები იყვნენ ალ . პაპოვიანი, ა. ოვანისიანი, ს. დანდურიანი და ა. ქოჩარიანი.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 27 ოქტომბერი, N 220, გვ. 4

თავმჯდომარე ო. ქაჯაზნუნის დეპეშა (N32) თიფლისი. ერევნიდან. 26 ოქტომბერი. 18 სთ და 15 წთ

სამხედრო და საგარეო საქმეთა მინისტრებს

„თქვენი რადიოდეპეშის პასუხად (მიღებულია ერევანში 25 ოქტომბერს, 23 საათსა და 18 წუთზე), გაცნობებთ, რომ ჩვენს ჯარებს მკაცრად აქვთ ნაბრძანები თურქთაგან დატოვებული პოზიციების დაკავება. ბრძანება განმეორებითაც გაიცა ქარინჯისა და წათერის დაცლაზე, რომელიც თავდაცვის მიზნით შეცდომით დაიკავეს. კეთილი ინებეთ და თქვენც უბრძანეთ, რომ შეწყვიტონ დაწყებული საბრძოლო მოქმედებები და ქართველი ჯარისკაცების წინსვლა, ხოლო სადავო საზღვრების საკითხის მშვიდობიანად მოსაგვარებლად, გირჩევთ, მოვიწვიოთ სომხურ-ქართული კონფერენცია.“

თავმჯდომარე ქაჯაზნუნი

კონფერენცია

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შეატყობინა სომხეთის საქმეთა რწმუნებულს, რომ 3 ნოემბერს იკრიბება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მთიელთა კავშირის წარმომადგენლების კონფერენცია ამ რესპუბლიკებთან დაკავშირებული პოლიტიკური და სასაზღვრო საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც ასევე აუცილებელია იმისათვის, რომ მათ ევროპის მომავალ სამშვიდობო შეკრებაზე თავიანთი მოთხოვნები წამოაყენონ.

სომხეთის რწმუნებულის შეტყობინებები

საქართველოს მთავრობამ ლორეს რაიონში სომეხი ემიგრანტების განთავსებაზე უარი განაცხადა. ამის გამო სომხეთის საქმეთა რწმუნებული ა. ჯამალიანი მიმართავს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი შეტყობინებით:

„სომხეთის მთავრობა ლორეს მაზრას (ყოფილი ბორჩალოს მაზრა) საქართველოს ტერიტორიად არ მიიჩნევს და ამიტომ ვერ მიიღებს იმას, რომ საქართველოს მთავრობა ამ მხარის სომხურ სოფლებში სომეხი ემიგრანტების განთავსებაზე უარს ამბობს და, თუ საქართველოს მთავრობა მათ ამ ადგილებში წინააღმდეგობას გაუწევს, მაშინ სომხეთის მთავრობა ამას ჩათვლის არა მხოლოდ უსამართლო, არამედ ძალადობრივ აქტადაც“.

სომეხ-ქართველთა კონფლიქტის ირგვლივ

საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადება, რომელიც შეეხება სომხეთის რწმუნებულისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწის – ბ-ნ გვარჯალაძის მოლაპარაკებას ლორეს მხარის დაკავებაზე (სომხეთ-თურქეთის შეთანხმებისამებრ).

სომხეთის რწმუნებულმა ა. ჯამალიანმა 25 ოქტომბერს წერილობით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ რამიშვილს, სადაც მიუთითა, რომ გადმოცემული შეტყობინება საჭიროებს შემდგომ ახსნა-განმარტებას.

ბ-ნმა გვარჯალაძემ განაცხადა, რომ მას თავად აქვს ერთი დოკუმენტი, რის საფუძველზეც, თურქეთის წარმომადგენელი – აბდულ ქერიმ-ფაშა საქართველოს მთავრობას ურჩევს ლორეს მხარის დაკავებას, რამეთუ თურქები აპირებენ მის დაცლას. საპასუხოდ ა. ჯამალიანი ატყობინებს, რომ, აბდულ-ქერიმ ფაშას ცნობით, ასეთივე შეთავაზება მიიღო სომხეთის მთავრობამაც მამად-ალი ფაშასგან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სომხეთისა და საქართველოსთვის ერთი და იმავე ტერიტორიის შეთავაზება (და, თანაც, ერთდროულად) ორივე რესპუბლიკისგან მოითხოვს მათ შორის აღმოცენებული დავის ორმხრივი მშვიდობიანი შეთანხმებით გადაწყვეტას.

დეპეშა სომხეთის სოციალ-დემოკრატების კომიტეტისგან

თიფლისი. სოც.-დემოკრატიული პარტიის სამხარეო კომიტეტს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს

„მხედველობაში ვიღებთ რა იმას, რომ სადავო სასაზღვრო საკითხების იარაღის ძალით გადაწყვეტა ამაზრზენი დანაშაულია ქართველი და სომეხი ხალხების მიმართ, რომ ომი გამოუსწორებელი დარტყმაა ამიერკავკასიის ისედაც დაძაბუნებული მასებისთვის, სომხეთის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ხვეწნით გთხოვთ, რათა ყველა ღონეს მიმართოთ და ყარაქილისა-სანაინის რაიონში ორი დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებს შორის შეტაკება თავიდან აირიდოთ. ჩვენ გპირდებით, რომ ყველანაირად დაგეხმარებით კონფლიქტის მშვიდობიანად, დემოკრატიული პრინციპებით მოგვარებაში“.

სომხეთის სოც.-დემ. კომიტეტი
ერევნის სოც.-დემ. კომიტეტი

ზემოხსენებულ დეპეშას სოციალ-დემოკრატიული პარტიის თიფლისის სამხარეო კომიტეტმა შემდეგი უპასუხა:

„თქვენი შემოთავაზება შეესაბამება ჩვენს მგზნებარე სურვილს. კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას ჩვენგანაც გულწრფელი მომხრეები ჰყავს როგორც მთავრობის, ისე სრულიად დემოკრატიის მხრივ. გთხოვთ, რომ მთელი ძალისხმევა მოახმაროთ იმას, რომ თქვენმა მთავრობამ დამპყრობლური ნაბიჯი არ გადადგას და სადავო საკითხები მშვიდობიანად, ძალის გამოუყენებლად გადაჭრათ. ვიმედოვნებთ, რომ თქვენც ამ აზრზე დგახართ.“

სომხეთ-საქართველოს საზღვარზე

გენერალი წულუკიძე სანაინიდან სამხედრო მინისტრს უდეპეშებს:

„ამავე 26 ოქტომბერს, დილის 5 სთ-ზე, ჩემი ბრძანებით, N4 ჯავშნოსანი მატარებლიდან ცეცხლი გავუხსენით ჩვენი საჯარისო შენაერთის ფრთასა და ზურგში (ქარინჯის მაღლობებზე) მყოფ ბანდებს, რის შედეგადაც ისინი გაიფანტნენ. ჩვენს მოწინავე ჯარს ვუბრძანე სოფელ ქარინჯში შესვლა. სროლას შემოუერთდნენ ჩვენი დამცველებიც, რომლებიც ხიდთან, 118-ე ვერსზე იმყოფებოდნენ, როტმისტრ შანიძის მეთაურობით. სროლის შედეგად დაიჭრნენ ჯავშნოსანი მატარებლის არტილერისტი ჯორბინაძე (ჯორბენაძე, ლ. გ.) და ცხენოსანთა ასეულის ჯარისკაცი ბურჯულიანი (ბურჯალიანი, ლ. გ.).

დილის 7 სთ-ზე სამხედრო მოქმედებები შეწყდა. რამდენიმე შემთხვევის გადამოწმების შემდეგ სომეხი დელეგატების ერთი ნაწილი წავიდა ყარაქილისაში, სადაც იმყოფება სომხეთის ჯარების მთავარსარდალი დრო. ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო ხიდთან, ნეიტრალურ ზოლზე (118-ე ვერსი), მოვიდა სომხეთის სამსახურში მყოფი სარდალი კოროლკოვი (კორელკოვი, ლ. გ.), რომელიც ხელმძღვანელობს ჯარს სარკინიგზო ხაზიდან ქარინჯამდე (როგორც თვითონ გვაცნობა). კოროლკოვმა გადმოგვცა დროს მიერ ხელმოწერილი სასწრაფო დეპეშის ასლი (26 ოქტ.), რომლითაც უბრძანა სოფლების (ქარინჯი და წათერი) გადმოცემა და ასევე დაავალა, რომ ამის შესახებ შეეტყობინებინა ქართული სარდლობისათვის. ამ დეპეშის საფუძველზე, გავეცი ბრძანება, რომ შეეწყვიტათ ყოველგვარი მოქმედება და ქარინჯ-წათერში დამდგარიყვნენ მცველები – თითოეული 15-15 ჯარისკაცით და ოფიცრით, ხოლო ჯარის დანარჩენ ნაწილს ვუბრძანე, რომ თავი მოეყარათ სანაინში. იმაზე, თუ რომელი ხაზი აიღეს სომხურმა ჯარებმა, ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ ვეცდები, რომ დროსთან პირადად შეხვედრისას გავარკვიო ეს ამბავი.

თავს მოვალედ ვრაცხ, შეგატყობინოთ ცხენოსანთა ასეულის კორნეტის – კორძაის (კორძაიას, ლ. გ.) მამაცობისა და ჯავშნოსანი მატარებლის მთელი საჯარისო შემადგენლობის თავდადების შესახებ.

გენ. წულუკიძე

ახალქალაქის ლტოლვილთა მდგომარეობა

ახალქალაქის პატრიოტულმა ადმინისტრაციამ 25 ოქტომბერს შემდეგი წერილით მიმართა საქართველოს მთავრობას და საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს:

„ორი კვირის წინ ახალქალაქის ლტოლვილებს სასიხარულო ამბავი შეატყობინეს იმაზე, რომ მათ სამშობლოში დაბრუნების ნება ეძლევათ. ლტოლვილები გამოცოცხლდნენ და დაიწყეს წასასავლელად მზადება. თუმცა მაინც გამოჩნდა მთელი რიგი ხელის შემშლელი მიზეზები, რომლებიც მათ გადაადგილებას აბრკოლებს. ახალქალაქის პატრიოტულმა ადმინისტრაციამ თქვენდამი მოწერილ მიმართვაში არაერთხელ აღგიწერათ ის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან წალკასა და ბაკურიანში თავშეფარებული ჩვენი თანამემამულენი. მათი მდგომარეობა ყოველგვარ აღწერაზე მაღლა დგას. იმის აღნიშვნაც კი საკმარისია, რომ წალკასა და ბაკურიანში უკვე თითქმის დაზამთრდა და დევნილთა დიდი ნაწილი ღია ცის ქვეშ ცხოვრობს. სიცივე, შიმშილი და დევნილთა წილხვედრი სხვა პირობები ისეთ მდგომარეობას ქმნის, რომ სიკვდილი შეუზღუდავი თავისუფლებით სარგებლობს – მას ვერავინ და ვერაფერი აკავებს. იგი თავის განუსაზღვრელ უფლებას იყენებს. დევნილთა ნახევარი თითქმის მოსპობილია, ხოლო მეორე ნახევრის მოსპობა კანონიერად ხორციელდება. ყოველდღიურად იხოცება ასობით ლტოლვილი, რაც სიკვდილიანობის მასშტაბის ზრდაზე მეტყველებს...

აი, როგორი სურათია იქ: სოფელ განჯაში შედარებით ხელსაყრელ პირობებში მცხოვრები 2060 ადამიანიდან უკვე 720 სულია გარდაცვლილი; სოფ. დიდი ხანჩალის 1700 მცხოვრებიდან სულ 550 სული დარჩა, ხოლო მეორე ნაწილი, კერძოდ კი, 1150 სული დაიღუპა; სოფ. ორჭაში მცხოვრები არაქელ არევიანის 32 სულიანი ოჯახიდან სულ 4 კაცი გადარჩა; სოფ. ღულა ცაროს 27 წევრიანი ოჯახიდან მხოლოდ 5 კაცია სახეზე; სოფელ განჯაში გასპარიანების მთელი მოდგმა – 12 ოჯახი და დაახლოებით 90 სული ბოლო კაცამდე ამოწყდა და სხვა კიდევ მრავალი. ერთი სიტყვით, ამ გარემოებათა გამო, ჩვენი თანამემამულეების განადგურება ისე წარმატებით მიმდინარეობს, რომ, თუ დროულად ხელს არ გამოვიღებთ და გადამწყვეტ ღონისძიებებს არ მივმართავთ, ეს ახალქალაქელთა ბოლო თაობა იქნება გლობუსზე.

ახალქალაქის პატრიოტული ადმინისტრაცია მოგმართავთ თქვენ, როგორც ქართული და სომხური დემოკრატიების უზენაეს ორგანოებს და გთხოვთ, რომ განადგურებისგან იხსნათ დევნილები, რაც სამშობლოში მათი დაუყოვნებელი დაბრუნებით არის შესაძლებელი. როგორც ზემოთ ითქვა, დევნილები სიკვდილს ასობით მსხვერპლით უხდიან ხარკს. ეს გარემოება აუცილებელს ხდის, რომ მათ უკან დასაბრუნებლად შეუძლებელი შევძლოთ. დევნილები ყოველ წამს ელოდებიან, რომ, სადაცაა, თავიანთ ოჯახებში დაბრუნების ნებას მისცემენ.

ახალქალაქის ადმინისტრაციას და, მასთან ერთად, ყველა დევნილს სწამს, რომ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის უმაღლესი ორგანოები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ისინი მშობლიურ მიწა-წყალზე დააბრუნონ პატიოსანი შრომისა და ცხოვრების გასაგრძელებლად. ამ საკითხში დაგვიანება ლტოლვილთათვის გარდაუვალი სიკვდილის ტოლფასია.

თავმჯდომარე: ბ. ოჰანჯიანი
მდივანი: პ. აბელიანი

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 29 ოქტომბერი, N 221, გვ. 1.

სომეხ-ქართველთა კონფლიქტი

26 ოქტომბერს, საღამოს 8 სთ-ზე, იხსნება საგანგებო სხდომა ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. მთელი დარბაზი დეპუტატებითა და საზოგადოებით არის სავსე. თავმჯდომარე აცხადებს, რომ სიტყვა ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს და ნ. რამიშვილი იწყებს თავის გამოსვლას:

მოქალაქენო, საქართველოს პარლამენტის წევრებო, მაქვს პატივი, მთავრობის დავალებით, სომხეთსა და საქართველოს შორის შექმნილი სავალალო, რთული მდგომარეობის გამო მოგახსენოთ შემდეგი: „მთავრობამ 18 ოქტომბერს მიიღო შეტყობინება, რომ სომხეთის რეგულარულმა ჯარმა ტფილისის მაზრის ნაწილი დაიჭირა. საჭიროდ ვთვლით, გაუწყოთ, რომ საქართველოს ტერიტორიის ამ ნაწილის დაკავება ჩვენთან შეუთანხმებლად მოხდა. მთავრობამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. მეორე მხრივ, იმის უტყუარი ფაქტებიც გვაქვს, რათა გაცნობოთ, რომ ეს ნაბიჯი სომხეთის მთავრობამ თურქეთის მთავრობასთან შეთანხმებით გადადგა. ასეთი იყო სომხეთის დიპლომატიური მისიის რწმუნებულის – ა. ჯამალიანის შეტყობინება, რომელიც მან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწეს გადასცა. თქვენთვის გასაგებია ის აღშფოთება, რომელიც ამ ნაბიჯმა გამოიწვია სამთავრობო წრეებში. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ მეზობელი ქვეყნები ჩვენთან შეუთანხმებლად ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდნენ (იგულისხმება ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებთან დაკავშირებული საკითხები). ვინაიდან არცერთი ეს პირობა არ შესრულებულა და თანაც ტფილისის მაზრა უდავოდ წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიას, მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა, რომ ერთი ნოტა გაეგზავნა სომხეთის დიპლომატიური რწმუნებულისთვის და მიეთითებინა, რომ საქართველოს მთავრობა მუდამ მზად არის, მშვიდობიანი შეთანხმების გზით მოაგვაროს მეგობარ სომხეთთან საზღვრების საკითხი. და რადგან ეს შეთანხმება ჯერ კიდევ მიღწეული არ არის, სომხური ჯარების ტფილისის მაზრის სა-

ზღვრებში შესვლა სომხეთის მხარეს საქართველოს მიმართ მტრულ აქტად უნდა ჩაეთვალოს. ამ განცხადების პასუხად, სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა გვაცნობა, რომ ის დაუყოვნებლივ გაუგზავნის მთავრობას ამ უწყებას და გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ ორ რესპუბლიკას შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება საზღვრების საკითხის დადებითად მოგვარების კიდევ ერთი პირობა იქნება.

მე საჭიროდ ვთვლი, განგიცხადოთ, რომ, აღნიშნული ნოტის მიუხედავად, სომხეთის მთავრობის წარმომადგენლებმა დღემდე არ გადადგეს ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით. როცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სომხურმა ჯარებმა არა მხოლოდ გადმოკვეთეს ჩვენი საზღვარი, არამედ ის ადგილებიც დაიკავეს, რომლებიც მანამდე ჩვენ გვეკავა, მაშინვე გავგზავნეთ ჯარი საზღვრის დასაცავად. იქ გაგზავნილი ჯავშნოსანი მატარებლის მეთაურმა გოგუაძემ მთავრობას მოახსენა, რომ მან ულტიმატუმი წაუყენა სომხურ საჯარისო ნაწილებს, რომ დაეტოვებინათ დაკავებული ადგილები სადგურ „კობერთან“. სომხები ასეც მოიქცნენ. ამან ჩვენ განგვიმტკიცა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების იმედი. შემდეგ ის იმედი კიდევ უფრო გაგვიცხოველა 24 ოქტომბერს სომხეთის მთავრობის მეთაურის – ქაჯაზნუნისგან მიღებულმა დეპეშამ, რომლითაც მან ქართულ ჯარებს სთხოვა, შეენარჩუნებინათ ამჟამინდელი პოზიციები, ხოლო საზღვრების საკითხი მშვიდობიანი შეთანხმებით გადაეწყვიტათ. ამ დეპეშას სამხედრო მინისტრმა უპასუხა, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა მშვიდობიან შეთანხმებაზე, რაც თვითონაც შესთავაზა მათ და, რომ სანაინის ჯარს უკვე ნაბრძანები აქვს, დარჩეს მის მიერ დაკავებულ ხაზზე და არ დაიწყოს საბრძოლო მოქმედებები. მთავრობამ, იმავდროულად, აცნობა სომხეთის რწმუნებულს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეს. ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო 23 ოქტომბერს მიღებული რაპორტი იმის თაობაზე, რომ სომხეთის ჯარებმა ქარინჯის დატოვება მოითხოვეს, რის შემდეგაც მაშინვე ძალით დაიკავეს ქარინჯ – წათერის ახალი ხაზი და აიძულეს გერმანული სადარაჯო პოსტი, რომ იქიდან აბარგებულიყო. საქართველოს მთავრობამ განიხილა შექმნილი მდგომარეობა და გადაწყვიტა, რომ ახალი ნოტა გაეგზავნა სომხეთის მთავრობისთვის, რომელშიც მიუთითებდა, რომ საქართველოს სამხედრო მინისტრმა, მათი თხოვნის თანახმად, ქართულ ჯარს უბრძანა იმჟამინდელ ხაზზე დარჩენი-

ლიყო (რომელიც ამ უკანასკნელს თურქების წასვლამდე ეკავა) და დალოდებოდა საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

ამის მიუხედავად, სომხური ჯარები განაგრძობენ თავდასხმას. საქართველოს მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელს ატყობინებს, რომ, თუ სომხეთის ჯარები ახლავე არ დატოვებენ ჩვენ მიერ დაკავებულ პოზიციებს (საუბარია იმ ადგილებზე, რომლებიც თურქების წასვლამდე გვეკავა) და/ან შემდეგში დაიკავებენ ტფილისის მაზრის ფარგლებში შემავალ რომელიმე ტერიტორიას, ამ შემთხვევაში ჩავთვლით, რომ სომხეთმა საომარი მოქმედება დაიწყო და მასვე მოუწევს სავალალო შედეგებზე სრული პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება.

ამ ნოტაზე ჯერ პასუხი არ მიგვიღია. ეს, ნაწილობრივ, იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ერევანში, დეპეშის მიღებამდე, სომხეთის ადგილობრივმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა იქ თავისი დელეგატები კერძო საგანგებო მატარებლით გაგზავნა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შესათავაზებლად. გარდა ამისა, საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აქედანაც იმავე მიზნით გაემგზავრნენ ერევანს. სომხეთის ჯარების დამპყრობლური ნაბიჯების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ გადამწყვეტ ზომებს მიმართა და ბორჩალოს მაზრასა და საქართველოს რკინიგზის სამხრეთ მონაკვეთზე საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. გზების ამ ნაწილში მიმოსვლა შეწყდა. გარდა ამისა, სომხეთის მთავრობამ შეწყვიტა აგრეთვე ბონების გამოშვება. საქართველოს მთავრობას გულწრფელად სურს, მშვიდობიანად გადაწყვიტოს სადავო საკითხი, თუმცა ყველა საშუალებას იხმარს რესპუბლიკის საზღვრების დასაცავად. ყოველგვარი გაუგებრობა რომ გამოვრიცხოთ, საჭიროდ ვთვლი, განვაცხადო, რომ ტფილისის მაზრას, უდავოდ, ქართულ ტერიტორიად ვთვლით. უნდა განგიცხადოთ აგრეთვე ისიც, რომ, როცა პრესის ერთი ნაწილი (გამოდის რა ჩვენ წინააღმდეგ) ხალხების თვითგამორკვევის უფლებაზე საუბრობს, ავიწყდება, რომ ის მხოლოდ ერთი სოფლის ფარგლებში არ ხორციელდება, არამედ მას მხედველობაში აქვს სივრცის უფრო დიდი ნაწილი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ელზას-ლოტარინგიის საკითხსაც შეიძლება არა ერთი, არამედ რამდენიმე გამოსავალი ჰქონოდა. ტფილისის მაზრის საკითხის გადაწყვეტაც (ისტორიული და დემოკ-

რატიული პრინციპების გათვალისწინებით) ისე ხდება, როგორც ეს საქართველოს მთავრობას მიაჩნია. იმავდროულად, გიცხადებთ, რომ ყველანი დაუშვებლად ვთვლით ამიერკავკასიიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების საკითხის იარაღის ძალით გადაწყვეტას. ეს გაახარებდა იმ მესამე ძალას, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენში ერთაშორისი ანტაგონიზმის გაღრმავებას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა, საზღვრებთან დაკავშირებული ყველა საკითხი შეთანხმებით, ხოლო, შეთანხმების შეუძლებლობის შემთხვევაში, არბიტრაჟის საშუალებით გადაჭრას. ვიმედოვნებთ, რომ ეს სომხეთის მთავრობისთვისაც ერთადერთი გონივრული გზაა, რომლითაც ამ სამწუხარო კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა შეიქმნება. საქართველო-სომხეთის დემოკრატებს შორის სოლიდარობა იზეიმებს, რათა მომავალში ერთად გასწიონ ჭაპანი (ხანგრძლივი ტაში).

სამხედრო ომების მინისტრი გრ. გიორგაძე: მოქალაქე დეპუტატებო, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს საქართველომ აღიარა სამუდამო ნეიტრალობა. ჩვენ არ გვსურს ვიბატონოთ სხვებზე, თუმცა, იმავდროულად, თავს მოვალედ ვრაცხთ, რომ დავიცვათ ჩვენი საზღვრები და დამოუკიდებლობა (მქუხარე ტაში). ჩვენ ჯარსაც იმ შეგნებით ვწვრთნით, რომ მან უზრუნველყოს საზღვრების უსაფრთხოება და რევოლუციით მოპოვებული თავისუფლება შეინარჩუნოს. მისი დახმარებით გავუმკლავდით ანარქიასაც. ეს ჯარი წინ უნდა აღუდგეს აგრეთვე შინაურ მტრებს და ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიოს მათ, როცა ისინი რესპუბლიკას ხიფათით ემუქრებიან (ტაში). მაშინ, როცა სომხურმა ჯარებმა, თურქ ასკერებთან შეთანხმებით, ჩვენ შეუტყობინებლად, საქართველოს საზღვარი გადმოლახეს, ამით მათ, ფორმალურად, იმის საბაბი მოგვცეს, რომ ომი გამოგვეცხადებინა. თუმცა ჩვენ ეს არ ვქენით, არ ვისურვეთ სისხლისღვრა. რამდენადაც ჯერ ყველა სამშვიდობო რესურსი არ ამოგვიწურავს, ჯარებს იარაღის ხელში აღება და მოქმედებაზე გადასვლა არ ვუბრძანეთ. როცა ჩვენს ჯარებს საზღვართან თავიანთი პოზიციები ეჭირათ, სომხურმა მხარემ მათ ცეცხლი გაუხსნა. ისინი, შეიძლება, უკანონო რაზმებიც იყვნენ და არა სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილები, თუმცა, უეჭველია, რომ ერთად არიან. მაგარამ თუ სხვა ადგილებშიც იგივე განმეორდება (რაზეც გარკვეული ცნობები გაგვაჩნია), მაშინ ეს ყველაფერი აჯანყების სახეს მიიღებს

და ამგვარი ქმედება ყველგან ღალატად ჩაითვლება. ჩვენ მათ სასტიკად ჩავახშობთ (ტაში). იმედი გვაქვს, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდება, რისთვისაც ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, მაგრამ თუ ჩვენი მშვიდობისმოყვარე მცდელობანი ამაო გამოდგა, ჩვენი ჯარი საპატიო ვალს მოიხდის სამშობლოსა და რესპუბლიკის წინაშე (მქუხარე ტაში).

მ. არსენიძე (სოც.-დემ.): ევროპაში პირველი სამშვიდობო სხივი ბრწყინავს, ჩვენს თავზე კი ომის შავი ღრუბელი გროვდება. თუ დიდმა სახელმწიფოებმა ომის სიმძიმეს ვერ გაუძლეს, პატარები რაღას იზამენ? ისინი, უპირობოდ, მესამე ძალის მსხვერპლნი გახდებიან და მათი გეგმების განხორციელებას შეუწყობენ ხელს, რაც ერთნაირად საზიანოა პროვოკაციაზე წამოგებული პატარა ქვეყნებისთვის. ჩვენს შემთხვევაშიც ხელთ გვაქვს რამდენიმე ცნობა, რომელიც ამ მესამე ხელის არსებობას ადასტურებს. ჩვენ წმინდა სინდისით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. ყველაზე მეტად კი ჩვენი მთავრობის თავშეკავება მანცვიფრებს. ძლიერი იმპერიალისტებიც კი 24 საათით ადრე აცნობებენ ხოლმე თავიანთ მოწინააღმდეგეებს სამხედრო მოქმედების დაწყებას. აქ კი ღამით თავზე მოულოდნელად გვესხმიან ყაჩაღებივით... კიდევაც უჩვეულო თავდაჭერა, სიმშვიდე და გამძლეობა აჩვენა ჩვენმა ჯარმა. ის ღირსია დემოკრატიული წესწყობილებისა და ჩვენი მთავრობაც ასეთ ჯარს იმსახურებს და, თუ ახლა ომი არ არის, მე ამას მივაწერ არა მოწინააღმდეგე მხარის მთავრობის სურვილს, არამედ დემოკრატიის ზეგავლენის ძალას, რომელზეც ჩვენ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების იმედს ვამყარებთ, მაგრამ ვაცხადებთ, რომ, მიუხედავად ჩვენი მშვიდობიანობის მომხრეობისა, აუცილებლობის შემთხვევაში მთელი ძალ-ღონით დავიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას (ტაში) და მთელს ენერგიას დავდებთ იმ სასწორზე, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვისა და განმტკიცებისაკენ გადაიხრება (მქუხარე ტაში).

ი. გობეჩია (ეს-ერ): ახლა, როცა ოთხწლიანი მსოფლიო ომის შემდეგ პირველად გამოანათა მშვიდობის ვარსკვლავმა, როცა ამერკავკასიის ხალხები თურქთაგან ძალით განთავისუფლებას ეღირსნენ და მათ ხელახლა გასაერთიანებლად ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა, საქართველოსა და სომხეთს შორის ომის დაწყება ამ ხალხების მომავალს სრულიად მოსპობს. ერთ არასწორ ნაბიჯსაც კი,

შეიძლება, დიდი ხანძარი მოჰყვეს. ყველანი უჩვეულო უბედურების წინაშე ვდგავართ... ამ ვითარებაში ჩვენმა მთავრობამ ისეთი ეროვნებათაშორისი ორგანო უნდა შექმნას, რომ ხიფათი ყველა საშუალებით აგვაცილოს თავიდან და სადავო საკითხებიც მშვიდობიანად გადაწყვიტოს. იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს მთავრობა არ შეანელებს ჩვენ მიერ მითითებული მიმართულებით სვლას საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით (ტაში).

ი. გომართელი (ალიონი): „მგელს რაც გინდა აჭამო, თვალი მაინც ტყისკენ გაურბისო“, – ეს ანდაზა გამახსენდა, ორატორებს რომ ვუსმენდი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ სომეხი ხალხის ბაირახტარი პარტიებს შორის ყველაზე გავლენიანი დაშნაკობაა. ჩვენ გვქონდა იმის შესაძლებლობა, გაგვეგო, თუ რას განიცდის ეს პარტია საქართველოს მიმართ, ამიტომ ის, რაც დღეს ხდება, მე სულ არ მიკვირს – ისინი ისე მოიქცნენ, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ. მე არ შემიძლია ორაზროვნად ლაპარაკი მაშინ, როცა გულწრფელობაა საჭირო. მინდა ნათლად განგიცხადოთ, რომ საქართველოს მტერთა რიგებში დაშნაკები ბოლო ადგილზე არ არიან. როცა სომხურ დემოკრატიას მიმართავთ, გავიწყდებათ, რომ ამ დემოკრატიას დაშნაკები ხელმძღვანელობენ. ქართულ და სომხურ დემოკრატიებს შეუძლიათ საერთო ჭირი და ლხინი გაიზიარონ, თუმცა დაშნაკობას სხვანაირად ესმის თავისი ხალხის პრობლემები. როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ისინი თავიანთ გაზეთებში ქართველებს მოღალატეებს უწოდებდნენ და წერდნენ, რომ სომეხი ხალხი არასოდეს დაივიწყებდა ამ ღალატს. ჩვენ ტაშის გრიალით შევხვდით დაშნაკების გამოჩენას პარლამენტში, თუმცა მაშინ, როცა მათი ერთი წარმომადგენელი აქ ლამაზად საუბრობდა, მეორე ჩვენ წინააღმდეგ ზარბაზნებს ამზადებდა. უფრო კარგი იქნებოდა ცხადად მტრობა. დაშნაკებს გული შავი აქვთ და თეთრ კბილებს კი გვიჩენენ. ჩვენმა მთავრობამ ძმათა შორის სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ყველა ხერხს მიმართა, მაგრამ თუ, ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ, ეს მაინც მოხდება, ჩვენც მზად ვიქნებით. საქართველოში ცხოვრობენ სომხები, რომლებიც მისი მოქალაქეები არიან. მინდა, გავიგო, რას ფიქრობენ ისინი იმ დროს, როცა სომხეთის მთავრობა ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობას ცდილობს.

ს. კედია (ეროვ.-დემ.): საქართველოს დამოუკიდებლობა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ტანჯვით იკურთხა. იგი მსოფლიო

ხანძრის დროს იშვა. ამ წმინდა ოცნების ასრულების დღიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობაში გაცხარებული საქმიანობა მიმდინარეობს დამოუკიდებლობის დასაცავად, მის ფესვებში კი ქართული ტრადიციების ძლიერი სისხლი მიედინება. საქართველო არც ახლაა ვინმეს მტერი და არც წარსულში მტრობდა ვინმეს. ამაშიც ჩანს ქართველი ხალხის ტრადიციის ძლიერი ძალა. თუმცა, ჩვენი ძალების უკიდურესი დაძაბვის ჟამს, ჩვენდა მოულოდნელად, თავს გვესხმის სომხეთის მთავრობა. ის ჩვენგან ქართული მიწა-წყლის იმ ნაწილს ითხოვს, რომელიც მისი არასოდეს ყოფილა. მტერთან საბრძოლველად საქართველოში ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს. ჩვენმა მთავრობამ თავისი მოქმედებით დაამტკიცა, რომ მას კეთილშობილი დამოკიდებულება მოეთხოვება მეზობლების მიმართ. თუმცა, ვშიშობ, ჩვენი ლოიალური განწყობა უკიდურესობაში არ გადავარდეს, რამეთუ ჩვენგან სულ კეთილგანწყობაა, მოწინააღმდეგისგან კი უპირობო ღალატი მოდის. ეს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან ჩვენს მთავრობას. მხოლოდ შინაგანი ძლიერებისა და ეროვნული მშვიდობისმოყვარეობის ერთიანობით მივალთ იმ ამოსავალ წერტილამდე, რომელზე დაყრდნობითაც მთავრობა გამარჯვებას შეძლებს. მთელ საქართველოში უნდა მიმართონ საგანგებო ღონისძიებებს. ჩვენი საზღვრები უნდა დაიკეტოს. თუ სომხეთის მთავრობას ჩვენთან მეგობრული კავშირის განმტკიცება არ სურს, ჩვენი სახელმწიფოც ყველა ხერხით უნდა გათავისუფლდეს სომეხი ემიგრანტების მძიმე ტვირთისგან. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მთელი თავისი ენერგიით მთავრობის განკარგულებაშია და ბოლომდე გაჰყვება მას ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში (ტაში).

ვეშაპელი (დამ. ეროვნ.-დემ.): დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ამ საკითხს უფრო სკეპტიკურად უყურებს, ვიდრე მთავრობა და სხვა ფრაქციები. ეროვნებათაშორის ჰორიზონტზე მომხდარი ცვლილებები ერთ-ერთი ჩვენი მეზობლის მიერ ჩვენ წინააღმდეგ დაწყებულ საომარ მოქმედებებთან იყო დაკავშირებული. რაც უნდა შაბლონური ფრაზებით მალოთ ცხოვრების მდინარება, ჩვენ, ნაციონალისტებს, მაინც გვესმის, რომ სომხების პოლიტიკა ამ ინციდენტში ლორეს რაიონით არ მთავრდება. პირიქით, უფრო იზრდება სომხების ღრმა ნაციონალური სულისკვეთების წყალობით. სომხეთის ისტორიული და პოლიტიკური პირობები ისე არახელსაყრელია, რომ მათ თავიანთ საზღვრებში სომხური სახე-

ლმწიფოს შექმნაში ხელი არ ეწყობათ. ამიტომ, ისინი მილიონობით ემიგრანტის საშუალებით ცდილობენ კავკასიაში სახელმწიფოს ფორმირებას. მათი მიზანია, საქართველოს დედაქალაქი პოლიტიკურ ცენტრად აქციონ და ის სომხეთის დედაქალაქად გამოაცხადონ. ამიტომაც, მათი პოლიტიკა ტფილისის დაკავებას ისახავს მიზნად.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ქართული მთავრობის საქმიანობას ეროვნულობა აკლია და ურჩევს მას, ენერგიული პოლიტიკა აწარმოოს საუკუნოვან მეზობლებთან – აზერბაიჯანსა და მთიელთა კავშირთან – მჭიდრო მეგობრული ურთიერთობების განსამტკიცებლად, რათა ამით ახალმოსულს დაუპირისპირდეს.

დაშნაკთა ფრაქციის წარმომადგენლის სიტყვა

ავეტისიანი (დაშნაკი): საქართველოს პარლამენტის წევრო მოქალაქენო, ჩვენი ფრაქცია მიესალმება მთავრობის იმ ნაბიჯებს, რომლის მიზანია დღევანდელი ინციდენტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. ჩვენ ყურადღებით ვუსმენდით პასუხისმგებელი ფრაქციების გამოსვლებს და მაშინ, როცა თქვენ აცხადებდით, რომ ინციდენტი მშვიდობიანად უნდა დასრულდეს და არ უნდა დავუშვათ ძმათა სისხლისღვრა, ვიგრძენით, რომ ჩვენი გულების ფეთქვა სოლიდარულია. აქვე იმ განცხადებათა შინაარსიც გაიხსენეთ, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკებმა ერთმანეთს გაუგზავნეს. მათში ორივე რეპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი ერთსა და იმავეს გვატყობინებს. ისინი მწუხარებას გამოთქვამენ შექმნილი მდგომარეობის გამო და ერთმანეთს ურჩევენ, შეაჩერონ ჯარები და სამართლიანობისა და კანონის, ასევე ომისაგან დაქანცული ორივე მეზობელი ხალხის სახელით, სადავო საკითხები მოაგვარონ საგამოძიებო კომისიის ან არბიტრაჟის საშუალებით. როგორც ვხედავთ, ორივე მთავრობის ლიდერები ერთნაირად მშვიდობისმოყვარედ არიან განწყობილნი. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში (თუ აქ მჯდომი მთავრობისა და, თუ სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის, სახელით) მათს ურთიერთობას შავი ლაქა გაუჩნდებოდა იმ პოლიტიკისთვის, რომელიც ორ მეზობელ ხალხს შორის კონფლიქტისა და სისხლისღვრის გაღვივებას შეუწყობდა ხელს, იმ ხალხებს შორის,

რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში არ იცოდნენ, რა იყო ერთმანეთთან ომი... დღეს (დემოკრატიის მმართველობის პირობებში) მათ რომ ერთმანეთის წინააღმდეგ მახვილი ეშიშვლებინათ, ჩვენი თავისუფლების იტორიაში ეს სისხლიანი ასოებით ჩაიწერებოდა. რაც შეეხება სულიერად ახლოს მდგომი ორი მეზობელი ქვეყნის ხელოვნურად შექმნილი გამყოფი საზღვრის ვიწრო ზოლში აღმოცენებულ ინციდენტს, ჩვენ, რა თქმა უნდა, იძულებულნი ვართ, ის ცალკე განხილვის საგნად ვაქციოთ და, რაც ყველაზე მთავარია, გავარკვიოთ სომხეთის რესპუბლიკის წინაშე წარდგენილი ულტიმატუმის ნამდვილი წარმომავლობა. ვისარგებლებ შემთხვევით და ვუპასუხებ გომართელს დაშნაკების მისამართით გამოთქმულ შენიშვნებზე (ის თავს ესხმის დაშნაკებს და უდიერად მოიხსენიებს მათ); იმ გომართელს, ვისთვისაც „სომხური დემოკრატია“ სხვაა და „დაშნაკობა“ კიდევ – სხვა და, რომელმაც „წინასწარ“ იცოდა, რომ მოსახდენი მოხდებოდა. დიახ, მაღალი ტრიბუნიდან ვაცხადებ, რომ პარტიის არცერთ ორგანოში საქართველოს რესპუბლიკის მისამართით „შურისძიებაზე“ მინიშნებაც არ ყოფილა. თქვენი განცხადება, ბატონი გომართელის განცხადება, დანაშაულია. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ თქვენი შეტევები უპასუხისმგებლოა და უპასუხისმგებლო გუნდისგან მოდის, იმ გუნდის, რომელსაც ჩვენს პარლამენტში „ალიონელები“ ჰქვიათ. ეს ხალხისაგან გარიყული ინტელიგენციის ჯგუფია, რომელიც თავის დემოკრატიულ ფესვს მოწყდა. ჯგუფი, რომელიც თავის თავშია ჩაფლული და, რომელსაც, რადგან დიდი სამოქმედო ასპარეზი არა აქვს, დაკავებულია იმით, რასაც ჩვენ რუსეთის რევოლუციის შემდეგ „ინტელიგენტჩიკობას“ ვუწოდებთ. ეს მავნებლური საქმიანობაა და, როგორც ერთი ჯგუფის დაავადება, ხალხის მასების დაინფიცირებასაც იწვევს. თქვენ ხართ, ბატონო გომართელო, ის, ვინც დაშნაკებს განსჯით? მინდა იცოდეთ, რომ ეს დაშნაკობა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში სომხურ დემოკრატიას ედგა სათვეში.

თქვენ ლაპარაკობთ „შავზე და თეთრზე“ (თქვენი შიდა მხარე შავია, გარეთა კი – თეთრი)? გაიგეთ, რომ დაშნაკებს, თავიანთი არსებობისა და საქმიანობის განმავლობაში, თვით ცარისტული რუსეთის უმძიმესი და უსასტიკესი რეჟიმის დროსაც კი, არასოდეს შეუნიღბავთ საკუთარი იდეები, ფიქრები და მისწრაფებები. დამერწმუნეთ, რომ თავისუფალ საქართველოში ჩვენ უფრო თავისუფლად გამოვხატავთ მათ (ვგულისხმობთ ჩვენს საბოლოო მიზნებს).

გვეკითხებით, რას ფიქრობენ პარლამენტში მსხდომი, ანდა საქართველოს მკვიდრი სომხები? გარკვევით გეტყვით, რომ სომხური დემოკრატია იმავე აზრზეა, რაზეც ქართული დემოკრატია. მაშასადამე, ინციდენტი მშვიდობიანად უნდა დასრულდეს და, რა ფასადაც გინდა დაგვიჯდეს, თავი უნდა ავარიდოთ ძმათამკვლელ „ომს“. ჩვენ გუნდში არ გვყავს თქვენნაირები, ბატონო ალიონისტებო და, აბა, როგორ გეტყვით, ისინი რას ფიქრობენ?

თქვენ ფაქტები გჭირდებათ? – აი, ინებეთ:

საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭო, სამი დღე და ღამეა, გადაბმით ატარებს სხდომებს საზღვრის ინციდენტთან დაკავშირებით და, მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით, იღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. ნოე ბესარიონის ძემ გაცნობათ, რომ საბჭოს წარმომადგენლები ესტუმრნენ მას, რათა მშვიდობიანად მოგვარდეს ეს ინციდენტი. იგივე დელეგაცია ერევანშიც ანალოგიური მისიით გაემგზავრა... და ამ ყველაფრის შესახებ ლაპარაკობენ მაშინ, როცა ამიერკავკასიას გარედან ახალი ძალები ემუქრებიან და, როცა, მათ მოსაგერიებლად, ხელოვნურად შუაზე გაყოფილ ხალხებს შორის მყარი სულიერი კავშირია საჭირო.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 30 ოქტობერი, N222, გვ. 2-3

ისტორიული სხდომა

ახლანდელი თაობა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბევრი სიმწარის წყალობით, დიდი ისტორიული ამბების თვითმხილველი შეიქნა. ჩვენს დროში მოხდა ყველანაირი მოვლენა და მეტამორფოზა, იქნება ეს ისტორიული, გეოგრაფიული, ეროვნული, სოციალური, გონებრივი თუ ზნეობრივი.

ერთ-ერთი ასეთი დიდი მნიშვნელობის მქონეა საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის ისტორიული სხდომა. უნდა ითქვას, რომ თიფლისში უკვე გამოიკვეთა კურსი, რომლითაც საქართველოსა და სომხეთს შორის სოლიდარული ურთიერთობა უნდა დამყარდეს. ამიტომ თავიდან უნდა მოვიშოროთ დარდი და სასოწარკვეთა. ოდითგან მრავალჭირგამოვლილი, ერთმანეთს შეთვისებული და უძველესი ისტორიის მქონე ორი ერი დღეს ერთმანეთის წინააღმდეგ აღმდგარა.

დღევანდელ ეპოქაში, მსოფლიო ინტერნაციონალიზმის ფონზე, მრავალანაირი პარადოქსი იჩენს თავს. ეს სხდომაც მათ რიცხვში უნდა ჩაითვალოს. თუმცა პოლიტიკური, უფრო სწორად კი, პარტიულ-იდეოლოგიური ახსნა-განმარტებით ყველანაირი შანტაჟი აღმოიფხვრება, ყველა (დიდი თუ პატარა) „მზაკვრობა“ გაქრება და მომავალი ინტერნაციონალის მაგიდასთან მოვლენებსაც თავისი ნამდვილი ელფერი დაუბრუნდებათ. მას ხმას მისცემენ მსოფლიოს როგორც მოძალადე, ისე მშრომელი ხალხები.

– ეს პრობლემა დიდხნიანი არ არის.

– მაინც რა მოხდა?

სომხებმა, „თურქ ასკერებთან მოკავშირეობით“, თიფლისის მაზრის მიწა-წყლის ნაწილი წაიღეს.

– რატომ?

რადგანაც... არსებობს „მესამე ხელი“, რომელიც სომხებს მეზობლის წინააღმდეგ პროვოკაციისკენ უბიძგებს და ეს „მესამე ხელი“ ის თურქებია, რომლებიც სომხებთან მეგობრობენ და მათი მეზობლების დიდი მტრები არიან.

ყოველმა ადამიანმა იცის, რომ ამ აქაოსებულ სამყაროში ყველაფერი შეიძლება ითქვას და „აიხსნას“, რომ ენა რბილია და, რასაც უნდა, იმას იტყვის, თუმცა ჯერ კიდევ არ ვიცით, რას იტყვის მენშევიზმის დათაფლული ენა.

– „სომხები შეეკრნენ თურქ ასკერებს“...

ეს ის სომხებია, რომელთა სისხლი ჯერაც არ გამხმარა; ეს ის სომხებია, რომლებმაც ორი მილიონი გვამი შეატოვეს ასკერებს; ეს იმ სომხების გვამებია, რომელთა ძვლებით, შეიძლება, თიფლისის მთელი მაზრა დაიფაროს.

– „თურქ ასკერებს შეეკრნენ“... ისინი ამ გვამების უსასრულო ზღვას გადაახტნენ და „თურქ ასკერებს შეეკრნენ“. სომხებს 25000 ქალწული ჯერ კიდევ „ასკერების უბეში“ ჰყავთ და „შეეკრნენ“...

ბაღდადიდან პოლისში, მერსინიდან – სამსონში უსასრულოდ მოხეტიალე ათასობით შიშველი და მშიერ-მწყურვალი, ძალით გამუსლიმებული ობოლი ჰყავთ, ჯუჯების (აქ პატარა ბავშვები იგულისხმება, ლ. გ.) მთელი არმია (ტალახში ამოსვრილი ბრილიანტივით) და „შეეკრნენ“...

დღეს 30 000 გვამის დამმარხავიც არავინ არის აოხრებულ ბაქოში და „შეეკრნენ“...

სვაზიდან ყარსამდე სამყაროსგან მთლად მოწყვეტილნი, მარტონი, ყოველგვარი დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდნენ წინ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ, რათა გამოქცეოდნენ ამ „მესამე ხელს“, რომელიც ახლა თიფლისში გვიახლოვდება და „შეეკრნენ“...

კასპიის ზღვამდე, ამიერკავკასიის მიწა-წყლის უღრმეს შრეებამდე ჩააღწია მათმა სისხლმა და „შეეკრნენ“...

ყარაქილისასა და ლორეში, ჯერ კიდევ გუშინ რომ ცოცხლები იყვნენ, დღეს მიწაში დამარხულები გვესაუბრებიან და „შეეკრნენ“...

ჰო, დაავიწყდათ და შეეკრნენ, იმედია, არა თქვენ ან ვინმეს წინააღმდეგ.

– მაგრამ ერთმანეთს „შეეკრნენ“.

– მათი ეროვნების იავარმყოფელთ „შეეკრნენ“.

– „შეეკრნენ“ ქართველი ხალხის მტერ თურქებს.

მაგრამ როდიდან გახდნენ სომხები თურქების მეგობრები და ქართველები კი – მათი მტრები? ხუთი თვის წინ ქართული „სოციალისტური“ დელეგაცია კ. პოლისის თურქ რედაქტორებს ატყობინებდა: „სომხები ყველანაირად ცდილობენ, რომ თურქეთის განადგურებას შეუწყონ ხელი, რადგან ამაშია მათი ხსნა. ქართველები კი ამის წინააღმდეგნი არიან.“

– ნუთუ ტყუილი იყო? ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა საიმისოდ, რომ ასეთი დიდი პოლიტიკური ნახტომი გაკეთებულიყო და ამ სწრაფი ღონისძიებისათვის სომხებმა თურქებისაგან არნახული საჩუქრები მიიღეს. ნეტავ, სად არის ეს საჩუქრები?

ყარსია თუ ბაქო, ლორე თუ წალკა?

და როგორ შედგა ეს „კავშირი“?

უბრალო სოლიდარობის თანდაყოლილი მისწრაფებით, რომელიც სომხებს ახასიათებთ თუ უზარმაზარი მოთმინებით?

აჰ, არა, სომეხი,,მომთმენი არ არის“, არც „სოლიდარული“.

ასე რომ, ცხადია, „ავანტიურით“, რომელიც მხოლოდ საწყალი ქაჯაზნუნის მთავრობას ახასიათებს.

სომხებმა ხომ გერმანელებსაც მიაწერეს თურქების მტრობა?

– უბრალო „ავანტიურაა“!

სომხებმა მოკავშირე რუს ხალხსაც არ უღალატეს მისი დაცემის ჟამს.

– ესეც „ავანტიურაა“!

სომხები არ იყვნენ, არმავირში ჯგუფურად დარბევის შემდეგაც ერთმანეთის მეგობრებად და სოლიდარულებად რომ დარჩნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქარბუქში ოთხივე მხარეს იყვნენ გაფანტულნი?

– უბრალო „ავანტიურაა!“

მაგრამ როგორ მოხდა ამდენი საქმე, ამდენი დიდი საქმე უბრალო „ავანტიურით“? დაუჯერებელი ამბავია... სხვა მიზეზები არ არსებობს ამ „დაშნაკურ“ მთავრობაში, „სოციალისტური“, „ბურჟუაზიული“ ან, თუნდაც, „შოვინიზმი?“

უეჭველად საჭიროა, რომ ეს ზედსართავები ერთ რიგში დაალაგოთ და, თუ გინდათ, მხოლოდ ერთი თქვენი „მაქსი“ მიუმატოთ ყველა უსამართლობას. ეპითეტები მოიშველიეთ და რიგზე გააწყეთ, სხვანაირად როგორ იქნება... საწყალი „თიფლისის მაზრის“ მტკიცებით, ლორე ქართულია და ყარაქილისაც საქართველოსი უნდა გახდეს...

მართალია, სხვა არგუმენტების მოშველიებაც შეიძლება, თუმცა არც ისინი გასცდებიან ბუნებით საზღვრებს. ასე, მაგალითად, ალზას-ლორენის არგუმენტი რომ მოიყვანეს სხდომაზე (კარგია, რატომაც არა!) „ალზას-ლორენიც ერთი რაიონია და თიფლისის მაზრაც. ერთი საფრანგეთისაა, მეორე – საქართველოსი. ალზას-ლორენს არ შეიძლება, რომ ერთი სოფელიც აკლდეს“. თიფლისის მა-

ზრას რატომღა უნდა მოაკლდეს. რა არის ამაზე უფრო ცხადი და ეშმაკური არგუმენტი?

ალზას-ლორენში ახლა ყოველდღიურად 7000 ფრანგი ეცემა, კვდება, იხრჩობა და თუ საკითხი ისე დადგა, რომ, შესადარებლად, მსხვერპლის ჩვენება მოითხოვეს... აქაც რომ ასე მოხდეს, რომელს აჩვენებ

— სომეხს თუ ქართველს?

ან თუ, შემთხვევით, ალზას-ლორენის უახლოესი წარსულის გვერდს გადაშლიან და ლორეს შეადარებენ, რა იქნება?

ან როცა გაირკვევა, რომ ალზას-ლორენი, უპირატესად, ფრანგულია, ლორეზე რას იტყვიან?

„ისინი ადმინისტრაციული მმართველობის მქონე რაიონებია“.

ძალიან კარგი, მაგრამ, თუ თქვენი და ჩვენი ხელით მოსპობილი ცარიზმის ჭკვიანი ბუფონები ერევანსაც მმართველ თიფლისს მიუერთებდნენ, რა მოხდებოდა, რით დავარწმუნებდით, რომ ერევანი წმინდად სომხურია. დაე, უხაროდეთ სომხებს, რომ ერთი დიდი ბოროტებისგან განთავისუფლდნენ. ბედის თამაშით თუ მისი ახირებისა და, უფრო სწორად, გაუგებრობის წყალობით, სომხების წინააღმდეგ დაუღალავად მებრძოლი ცარიზმი კუთხეში დარჩა.

და, ამ ზემოხსენებული არგუმენტების მიუხედავად, ერთ-ერთი ქართველი შეიდემანელი მქუხარე ტაშის ფონზე აცხადებს: „ჩვენ მშვიდობის მომხრენი ვართ, მაგრამ მზად ვართ, ყველაფრის ფასად (რადაც უნდა დაგვიჯდეს) დავიცვათ ჩვენი სამშობლო“. აქ არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს გერმანული მილიტარიზმის დანატოვარი ტრადიციები.

ან როცა ავაზაკურ თავდასხმად ირაცხება ყველასთვის ნათელი ეროვნული მოძრაობა (რომელსაც მიზნად აქვს შორი ტყიდან ქალაქების მაძღარ მცხოვრებთა მაცქერალი, მგელივით დამშეული დევნილების თავიანთ სახლებში დაბრუნება) არ შეიძლება, რომ არ გაგვიკვირდეს ამ ელემენტარული ადამიანური უფლების მარადიულ მოწინააღმდეგე მენშევიკთა სოლიდარობა, იმ მენშევიკთა, რომელნიც ამიერკავკასიის ერთიანობის ბაირახტარად უნდა გვევლინებოდნენ.

და როცა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ თავისი წარმომადგენლობა ხანძრის ჩასაქრობად ერევანს გააგზავნა, თვითკმაყოფილს ნამდვილად ეგონა, რომ მისი გამომწვევი მიზეზები მხოლოდ იქ იყო.

ყველაფერში სუსტია დამნაშავე.

ასეთია სამყაროს კანონი და თუ თქვენ ეს ვითარება „უფრო მასშტაბურ და კარგად დამუშავებულ“ მასალას მოგცემთ ჩვენ წინააღმდეგ, მთელი გულწრფელობით გპირდებით, რომ ჩვენც, ინსტინქტურად, უპირველეს ყოვლისა, სუსტს მივადგებით. სუსტს მივმართავთ ახალი სისხლისა და ახალი მსხვერპლისაგან თავდასახნელად, რამეთუ ინტერნაციონალისათვის მუდამ ძვირფასნი არიან ხალხის დემოკრატიის ნარჩენები.

სუსტს მივმართავთ, რადგან მას საყრდენი არ აქვს და არც არასდროს ჰქონია.

მართლაცდა, ვინ არის (ისტორიულად და ჩვენს დროშიც) ასე დათითოებული და მარტო მყოფი, როგორც სომხები. ბოლოს და ბოლოს, არის კი სადმე ისეთი დემოკრატია ან მშრომელი ადამიანი, ვისაც თავის დღეში „ზედმეტი სისხლი“ არ გამოუშვია, რათა „მეტ ღირსებაზე“ ფიქრი შესძლებოდა.

და ვინ არის დღეს, სისხლიანი ნაციონალიზმის ეპოქის ჟამს, ის ზეკაცი ან ხალხი, რომელიც დავრდომილს ხელს გაუწვდის? ვინ ზოგავს, ვინ არ ესხმის თავს, ვინ არ თელავს აგონიაში ჩავარდნილ რუსეთს? და თუ ისეთ დიდ ხალხს არ ინდობენ, რომელმაც არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ კაცობრიობას ბევრი რამ მისცა, რატომ დაინდობენ აზიის გულში, სისხლში შობილი და მუდამ სისხლისღვრის მაცქერალი მტარვალთა ხელით მოხრილი, გაუთავებელი კვამლითა და ბოლით დაბრმავებული და სრულიად იავარქმნილი ხალხის საწყალ ნაშთებს?!

არბიტრაჟით ან თქვენი ძალებით გაარღვიეთ და გაიარეთ, – ეს არის ძლიერთა მარადიული კანონი. გადარჩენილებმა ტყეები აავსეთ, რამეთუ... სანაინიც თქვენია, ყარაქილისაც თქვენია, ერევანიც თქვენია, არტაანიც თქვენია (Грузия დაგვემოწმება, იქ ქართველი მუსლიმი მოსახლეობაა). ასე გააგრძელეთ გზა ტიგრანაკერტამდე, რადგან... ყველგან ერთი-ორი ქართველი, მუსლიმი თუ ქრისტიანი, მაინც მუდამ იპოვება.

ჩვენ აბსოლუტურად გულგრილნი ვართ. გულგრილნი იმიტომ, რომ ჯერ არ ვიცით, ვისი ქონება ვის შეხვდება.

ჩვენ გულგრილნი ვართ, რამეთუ ბრძოლის სუნით გაჟღენთილი სიტყვების ფონზე, მშვიდობის ამ გაუმჭვირვალე ფარდის ქვეშ, სისხლისაგან დაცლილი ხალხის უკანასკნელი ნაშთების დაცვა და, უბრალოდ, არსებობა გვაინტერესებს.

ბერძნების, სპარსელების, სელჯუკების, თურქებისა და ცარიზმის შემდეგ სომეხი ხალხი თქვენ უნდა დაგემორჩილოთ? ძალიან კარგი. ესეც პროგრესია. შინაარსი კი არც გვაინტერესებს.

თუმცა ჩვენ დღეს ვართ გულგრილნი. ხვალ კი, როცა ისტორიისა და ინტერნაციონალის მაგიდასთან ერთად დავდგებით, ჩვენ თავის გასამართლებლად რაღაცას ვიზამთ, თქვენ რას იტყვით, რა გექნებათ სათქმელი? **ერთი ეს-ერი.**

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 31 ოქტომბერი, N 223 გვ. 1

საქართველოს მთავრობის წინადადება

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა 27 ოქტომბრით დათარიღებული წერილით სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს ამცნო, რომ ამა წლის 10 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, თბილისში ჩატარდება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზეც განიხილავენ საქართველოს მთავრობის მიერ წამოყენებულ შემდეგ საკითხებს:

1) ურთიერთშეთანხმება ყრილობაზე მოწვეული სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ცნობასთან დაკავშირებით;

2) სადავო საკითხების, მათ შორის, სასაზღვრო საკითხის, განხილვა ორმხრივი შეთანხმების ან არბიტრაჟის საშუალებით;

3) ორმხრივი ვალდებულება, რომ არ შევიდნენ ურთიერთობაში ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებიც ზიანს მიაყენებენ კონფერენციის მონაწილე ქვეყნებს;

4) ერთობლივი ძალისხმევითა და ურთიერთმხარდაჭერით გამოსვლა საერთაშორისო კონგრესებზე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობისა და საერთო ინტერესების დასაცავად.

უბრალოდ, უნდა გითხრათ, რომ ეს კონფერენცია ჩვენში რაღაცა ეჭვს ბადებს. ვიცით, რომ სინამდვილეში მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდება; ვიცით, რომ სუსტდება საზღვარგარეთის იმ სახელმწიფოთა ძლიერება, რომლებიც, ასე თუ ისე, ერევიან ჩვენი რესპუბლიკების ცხოვრებაში და მათში სხვადასხვა ნეგატიურ ორიენტაციას გზას უკვალავენ, რითაც ერთმანეთისაგან მიჯნავენ ამიერკავკასიის ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოებს, დიდწილად, სწორედ, იმავე ქართველი მმართველი წრეების მიერ წაქეზებითა და წინამძღოლობით. ასევე ვიცით ისიც, რომ დღეს ჰორიზონტზე უკვე ჩანან ახალი ძალები, რომლებიც ამ რესპუბლიკების კეთილდღეობას, მაინცდამაინც, კარგი თვალით არ უყურებენ... თუმცა ჩვენთვის გაუგებარია ის, თუ რაში სჭირდება საქართველოს მთავრობას (ასეთი მძიმე და სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის გარკვევისას, როგორიც არის მომავალი კონფერენცია თავისი საკვლევი საკითხებით), რომ ანგარიში გაუწიოს ამიერკავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებს და დამოუკიდებლად, მათთან შეუთანხმებლად, ვერ გადაწყვიტოს ეს საკითხები; რაში სჭირდება, რომ მათთან ერთად შეიმუშაოს დღის

წესრიგი და თავიდან დანიშნოს ეს კონფერენცია... მეორეც, გაუგებარია, თუ რატომ არ წარსდგა იგივე მთავრობა მსგავსი წინადადებით მაშინ, როცა მისი მდგომარეობა, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით ძლევამოსილი იყო და, როდესაც ამ უკანასკნელთ ასე სჭირდებოდათ ორმხრივი დახმარება და ხელის შეწყობა...

თუმცა არსებითი ეს არ არის.

საქართველოს მთავრობამ კონფერენციაზე განსახილველი საკითხების სიაში არ შეიტანა ერთი საკითხი, რომელიც დღეს ფრიად მნიშვნელოვანი და დროულია, ჭეშმარიტად, ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი აქ გამოტანილ საკითხთა შორის. ის ერთადერთია, რომელზედაც უშუალოდ არის დამოკიდებული ყველა დანარჩენი საკითხი.

ჩვენთვის უცნობი რჩება, თუ რა კავშირია საქართველოს მმართველ წრეებს, ამიერკავკასიასა და რუსეთს შორის. ნუთუ „კონფერენცია“ (ამ სიტყვას მარტივად და გარკვეულად გამოვთქვამთ) რუსეთთან ერთად უნდა ჩატარდეს სხვების წინააღმდეგ, ანდა, პირიქით, ის უნდა იყოს სხვებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ?

ჩვენ ამ საკითხს საჭიროდ, სწორედ, იმ თვალსაზრისის გამო მივიჩნევთ, რომლის მიხედვითაც, ჩვენს ქვეყანაში „ამიერკავკასია“ რუსეთამდე და ურუსეთოდ არ არსებობდა.

ამიერკავკასია, უმეტესწილად და უპირატესად, რუსული იდეაა და რუსული პოლიტიკური აზრის ნაყოფი, ხოლო გეოგრაფიულად ის მოცემული საზღვრებით რუსეთის ბატონობის დროს გაჩნდა და ჩვენამდეც სწორედ იმავე რუსეთის წყალობით მოაღწია.

აი, ამ ყველაფრის მხედველობაში მიღებით (რომ ჩვენ მიერ წამოყენებულ საკითხს ასეთ საჭირო და სადღეისოდ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ), ვთვლით, რომ, ამ საკითხებზე პასუხგაუცემლად, მსგავსი კონფერენციის ჩატარება შეუძლებელი იქნება. რა აზრი და მნიშვნელობა ექნება მას ჩვენი თუ უცხოელების თვალში?

ჩვენთვის გაუგებარია ის, თუ რა კავშირში არიან მთიელები ამიერკავკასიასთან და, ბოლოს, ისიც, თუ რომელი მთიელი ხალხების რესპუბლიკაზე საუბრობს ქართული მთავრობა? რამდენადაც ვიცით, მსგავსი რესპუბლიკა ჩრდილოეთ კავკასიაში არ არსებობს.

გულითადად მივესალმებით რა ამიერკავკასიის ხალხების დაახლოებისა და ურთიერთდაცვის იდეას, იმასაც კარგად ვხვდებით, რომ ამ ყველასთვის სასარგებლო და ლამაზი მიზნის მისაღწევად

უფრო ფრთხილნი, წინდახედულნი და, რაც ყველაზე მთავარია, შეუმცდარნი და სამართლიანები უნდა ვიყოთ.

დროა, რომ ჩვენი ხალხების კეთილი მეზობლობა რეალურ ფუნდამენტალურ საწყისებზე ავაშენოთ და თავი შორს დავიჭიროთ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ეშმაკობებისაგან, როცა მეზობლები ერთი მეორის ხარჯზე ფარულ გზებს ხლართავენ თავისი ვერაგული მიზნების მისაღწევად.

დროა, ძირეულ რევიზიასა და კვლევას დავუქვემდებაროთ „ამიერკავკასიის“ ის პოლიტიკა, რომელმაც ჩვენ ამ დღეში ჩაგვყარა.

„ერთობის“ აზროვნების ხარისხი

ამ დღეებში „ორიზონში“ ლტოლვილების შესახებ დაბეჭდილმა სარედაქციო წერილმა საბაბი მისცა სოციალ-დემოკრატების ორგანოს (**„ერთობა“, N231**), რომ შემდეგი პასუხი გაეცა ჩვენი გაზეთისათვის: „საქართველოს რესპუბლიკა სავსეა ლტოლვილებით. ისინი მოვიდნენ ახალციხისა და ახალქალაქის მხარეებიდან და სომხეთიდან. ამათგან პირველები საქართველოს ქვეშევრდომებად ითვლებიან და მათში საკმაოდ ბევრია ქართველებიც. სომხეთიდან მოსულები კი თურქთა დარბევა-აოხრებებს გამოექცნენ.

დღეს სომეხი ნაციონალისტ-შოვინისტი დაშნაკების ორგანო „ორიზონი“ გამოქცეულთა ერთი ნაწილის თაობაზე ხმაურს ტეხს და საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას აბრალებს მათზე თავდატეხილ მთელ ტანჯვა-წამებას. გაზეთი მთლიანად გაჟღენთილია საქართველოს სიძულვილით და არ შეუძლია შეეგუოს მის დემოკრატიულ მთავრობას. იგი ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ არც საქართველო იქცა იავარქმნილ და უპატრონო ქვეყნად და არც მისი მცხოვრებნი გახდნენ ძარცვა-რბევისა და გადასახლების მოწმე.

საზოგადოდ, შოვინიზმისათვის დამახასიათებელი ცალკე ნიშან-თვისება არის ის, რომ ძალიან სწყურია სხვების უბედურება და მათი ტანჯვა-წამებით დაღვრილი სისხლი უხარია. ასე სურთ დაშნაკებსაც, რომ საქართველოში ჰპოვონ თავშესაფარი, ხოლო თვითონ ამ თავშესაფრის მიმცემ ქვეყანას საძირკველი გამოუთხარონ. მათ კადნიერებას საზღვარი არა აქვს. ასე იქცევიან ისინი, როდესაც სომხური ჯარები ბორჩალოს საზღვრებში შედიან, ხოლო დაშნაკები ქვეყნის შიგნით სომეხ ხალხს პირდაპირ უტიფრად აგულიანებენ საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ.

ისინი მე-300 ვერსსა და წალკას შუამდინარეთს ადარებენ და მიუთითებენ, რომ ეს ადგილები სომხების სასაფლაოდ იქცა. ამბობენ, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა უფრო მეტად ტანჯავს მათ, ვიდრე თურქეთის სულთნის ხელისუფლება. ნეტავ, რას

ფიქრობს ეს კაცთმოძულე გაზეთი ამ სტრიქონების წერისას? ის მაინც არ აგონდება, რომ ლტოლვილები ჩვენი ქვეყნისკენ გამორბიან და არა ჩვენი ქვეყნიდან?

ნუთუ მე-300 ვერსზე საქართველოს ქვეშევრდომი სომხები მოსახლეობენ? თუკი მათთვის თურქეთი კარგი ქვეყანაა, მაშინ რატომ არ ურჩევს ეს შხამიანი გაზეთი მათ იქ გადასახლებას? საქართველო არასოდეს ავიწროვებდა მათს მიწაზე მცხოვრებ სომხებს. გორის, თბილისის, თელავის, სურამისა და სხვა ადგილების სომხები მშვიდად განაგრძობენ თავიანთ საქმიანობასა და ცხოვრებას. აბა, მაშინ „ორიზონმა“ გვითხრას, სად ნახა, რომ საქართველოს რომელიმე ნაწილის სომხები ჩვენი მიზეზით გაქცეულიყვნენ?! ან სად არიან ის სომხები, რომლებიც ჩვენ გავაქციეთ? სომხები ლტოლვილებად აქცია დაშნაკების პროვოკაციულმა პოლიტიკამ და მათმა მოღალატურმა საქმიანობამ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მათ ფეხი შედგეს. ლტოლვილები მოგვცა ჩვენ ერევანმა, ალექსანდროპოლმა, ფამბაკმა და თურქეთის სომხეთმა, ხოლო საქართველომ – არასოდეს.

პირიქით, საქართველომ ლტოლვილებს თავშესაფარი მისცა. დაშნაკებმა კი ისინი აქაც თავიანთი პროვოკაციული პოლიტიკის მსხვერპლად აქციეს. ესენი ამ უცხო ქვეყანაშიც ცდილობდნენ ლტოლვილებისათვის კოლონიალიზმის უღელი დაედგათ, რათა ამით ქართველ ხალხშიც მტრულ უნდობლობაზე დამყარებული ურთიერთობა ჩამოეყალიბებინათ. დაშნაკებმა ამას, გარკვეულწილად, მიაღწიეს კიდეც – სომხებში ქართველი ხალხის მიმართ სიძულვილი გააღვივეს, თითქოს ეს უკანასკნელი მოვალე იყოს, თავისი მამულები და მიწა მოსულებს დაუთმოს. ქართული მთავრობა დროზე მიუხვდა დაშნაკებს და სადავეებიც მალე აიღო ხელში მათი აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. თუმცა ისინიც კარგად სარგებლობენ ქვეყანაში არსებული სიტყვის თავისუფლებით და შხამს აფრქვევენ ქართული დემოკრატიის თავზე.

სომეხმა ხალხმა და, განსაკუთრებით, სომეხმა მუშებმა, ყურადღება უნდა მიაქციონ შოვინისტების ამგვარ ველურ შეძახილებს და ამისთანა მოღალატე დაშნაკებს ლაგამი ამოსდონ დემოკრატიული ფრონტის დასაცავად. ისინი ისეთ წყლულსა და ჩირქს აჩენენ სომეხი ერის სხეულზე, რომ ეს უკანასკნელი (თუ დროზე არ გაითავისუფლა თავი) მთლიანად დაიცლება სისხლისაგან.“

ჩვენ გულისტკივილით ვამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ ყოველთვის, როცა კი რამე ითქმება საქართველოს მთავრობის მიერ წარმოებულ სომეხთა დევნის პოლიტიკაზე, „ერთობა“ მაშინვე თურქეთის მაგალითს მოიყვანს და თვითკმაყოფილებითა და გამარჯვებულის იერით გვეკითხება, – განა ჩვენ თურქეთს ვგავართ? განა ჩვენ ისეთ რამეს ვაკეთებთ, რასაც თურქეთი აკეთებდა?! თქვენი სომხები (საუბარია დაშნაკებზე, ლ. გ.) ხომ უკმაყოფილონი არიან თურქეთით?!

თუ მხოლოდ მართალი და პატიოსანი მიდგომა გაქვთ საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ, მაშინ შეუძლებელია, რომ საქართველოსა და მისი მთავრობის მსხვერპლად არ იქცეთ.

„ერთობას“ კი ჩვენ უბრალოდ უნდა ვაუწყოთ, რომ, სწორედ, საქართველოს თურქეთთან შედარება და თურქებზე თვინიერად თავის მოჩვენება შემდეგ სიტყვებს გვაგონებს: „На Щипке не все благополучно“ („შიპკაზე ყველაფერი კარგად არ არის“).

ვთხოვთ საქართველოს „სოციალ-დემოკრატების ოფიციალური გაზეთის ხელმძღვანელ პირებს ჩვენზე და, განსაკუთრებით, საქართველოზე, საუბრისას არასოდეს ახსენონ თურქეთის სახელი, ვინაიდან „ერთობის“ მიერ საქართველოსა და თურქეთის სახელების გვერდიგვერდ ხსენება, უბრალოდ, საზიზღარ გრძნობას ბადებს და ცუდი ვარაუდების საბაბს იძლევა. „ერთობას“ ვურჩევთ, რომ დაივიწყოს თავისი ნაცნობი თურქეთი და შემდეგ კითხვაზე გვიპასუხოს: ასატანად მიაჩნია თუ არა მას ის ფაქტი, რომ ბაკურიანი, წალკა და მე-300 ვერსი საქართველოს საზღვრებშია მოქცეული? და თუ მიაჩნია ასატანად, მაშინ როგორღა ბედავს და ითხოვს ჩვენგან იმას, რომ საქართველოს მთავრობის ზნე-ჩვეულებანი თურქეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა საქვეყნოდ ცნობილ ხასიათს არ შევადაროთ?

ისევ სანაინის რაიონის ამბების გამო

ქართული გაზეთები განაგრძობენ ჩვეული, მკაცრი სტილით დაწერილი მოწინავე სტატიების ბეჭდვას სანაინის რაიონში მიმდინარე ამბებზე. ტექნიკური შესაძლებლობების უქონლობის გამო, ჩვენს გაზეთში ყველა მათგანს ვერ მოვათავსებთ. ამიტომ მათგან მხოლოდ ყველაზე არსებით ნაწყვეტებს შემოგთავაზებთ.

მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“ (N75) წერს: „დაშნაკები“ მისდევენ იმპერიალისტების თამაშის პოლიტიკას და ჩვენს ზურგს უკან თურქეთთან ხელჩაკიდებულნი მუშაობენ საზღვრის საკითხის გადაჭრაზე. ამ მხრივ, ისინი ერთმანეთში თანხმდებიან, რასაც ნათელყოფს სომხეთის წარმომადგენლის, ბ-ნ ჯამალიანის, განცხადებაც. ასეთი მიდგომა კი დაშნაკებისგან დამღუპველი ავანტიურის გაძლიერებას ნიშნავს. ჩვენთან დაკავშირებული სადავო საკითხების თურქეთთან ერთად და, თანაც, ჩვენ უკითხავად გადაჭრა, არც სოციალისტობაა და არც დემოკრატობა, უფრო მეტიც, ამაში დემოკრატიის ნატამალიც არ არის. და ეს მაშინ, როცა დაშნაკები ხმამაღლა ლაპარაკობენ „სოციალისტობის“, „დემოკრატიულობისა“ და „ერთა სოლიდარობის“ შესახებ. სომხეთის ჯარები, თურქეთთან შეთანხმებით, პირდაპირ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ და, ფაქტიურად, საომარი ატმოსფერო შექმნეს. საქართველოც რომ ავანტიურისტული პოლიტიკით იყოს მოხიბლული, დღეს აქ, უეჭველად, ზარბაზნების გრუხუნი იქნებოდა, ტყვიამფრქვევები აკაკანდებოდა და სისხლი დაიღვრებოდა. საქართველო ჩაებმებოდა ისეთ საშინელებაში, რისი ამაოხრებელი და გამანადგურებელი შედეგებიც ყველასთვის ცხადი გახდებოდა. თუმცა საქართველოს მიერ წარმოებულმა დემოკრატიულმა პოლიტიკამ ავანტიურის გზიდან გადაუხვია და საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით სცადა.

სომხეთმა უნდა დაცალოს ქარინჯ – წათერისა და მდ. კამენკას ხაზი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი მთავრობა მის მოქმედებას საბრძოლო მოქმედებად ჩათვლის.“

ეროვნული დემოკრატების ორგანო „საქართველო“ (N202) ამბობს:

„ჩვენ ჯერ კიდევ იმ აზრისა ვართ, რომ საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე მომხდარი ამბები იმ უპასუხისმგებლო ავანტიურისტების პიროვნული ნამოქმედარია, რომლებიც ამდენი ხნის განმა-

ვლობაში თავისი ქარაფშუტა საქციელით გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ თავიანთ ხალხს. გასაოცარი იქნებოდა, თუ კიდევ არ განვაცხადებდით იმას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მზაკვრულად ხელი ასწიეს სწორედ მათ, ვინც თავიანთი წარმომადგენლების პირით ამბობდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთი „ბედნიერი ოაზისი“ იყო იმ დროს, როცა გაცოფებული და უმოწყალო მტრის ნამგალი ძვალტყავად ქცეულ ქვეყანას აოხრებდა. და თუ სანაინის რაიონის ამბები მთელი სომეხი ხალხის სურვილით მოხდა, მაშინ ქართული სახელმწიფო გამონახავს უებარ და საუკეთესო საშუალებას იმისათვის, რომ, ერთხელ და სამუდამოდ, მოუღოს ბოლო ჩვენი სამხრეთელი მეზობლის პრეტენზიებს და მას ის სასაზღვრო ხაზი უჩვენოს, რომლის გადალახვაც საბედისწეროდ დაუჯდება მათს სახელმწიფოს.“

სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ერთობა“ (N239) შემდეგს აცხადებს:

„სარწმუნოებითა და გვარტომობით თურქეთის მონათესავე აზერბაიჯანი დღემდე არ უშვებს თურქეთს, რომ ჩვენს საქმეებში ჩაერიოს.

დღეს კი სომხეთის ხელმძღვანელები აკეთებენ იმავეს. ესენი დღეს თავიანთ გუშინდელ სულის მხდელებსა და ამომწყვეტლებს, დემოკრატიული საქართველოს საზიანოდ, ეალერსებიან.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბუნებამ მათზე ხელი აიღო. დაავიწყდათ, თუ საიდან გამოიქცნენ ლტოლვილები და საით გაიქცნენ თავის შესაფარებლად; დაავიწყდათ, თუ ვინ იყო ლტოლვილთა ტანჯვისა და უბედურების მიზეზი და აი, ეს გუშინდელი აოხრებული და საქართველოს შეკედლებული ხალხი, თურქეთის აგენტების წაქეზებით, დღეს საქართველოს წინააღმდეგ გამოდის. დიახ, ამიერკავკასია ახლა ბალკანეთის ნ. კუნძულს დაემსგავსა. ეს მრავალფეროვანი მხარე დენთით გაიჟღინთა და, თუ სომხეთის მთავრობა ამ აალებულ ატმოსფეროში ასანთის როლს ითამაშებს, მთელი პასუხისმგებლობა ცეცხლის გაჩაღებისა მას დაეკისრება.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ საქართველოს დემოკრატიას ომი არ სურს, ძმათა სისხლის დაღვრა არ სურს. ამიტომ, ჩვენ ალალმართალი გულით, პატიოსნად ვურჩევთ სომხურ დემოკრატიას, რომ დაგმონ დაშნაკთა მთავრობის საქციელი და ლაგამი ამოსდონ მათს პროვოკაციებს, რომელთა მიზანი ძმათამკვლელი ომის წამოწყება და მტრობის გაძლიერებაა.

საერთაშორისო ჰორიზონტი ცეცხლის ალშია გახვეული და უპატიებელი ცოდვა იქნება, თუ ჩვენს ქვეყანაში ახალი ომი დაიწყო. სიტყვა ეკუთვნის სომხურ დემოკრატიას.“

სოციალ-დემოკრატების ორგანო „საქართველო“ (N 203) კვლავ მოწინავე წერილს უძღვნის ამ საკითხს, სათაურით „სომხების თავდასხმა“, რომელშიც, სხვათა შორის, შემდეგნაირ აზრს აყალიბებს:

„სომხეთის ხელისუფლება, – ამბობს ის, – იარაღს აჟღარუნებს საქართველოს ტერიტორიის დასაკავებლად. მან ჯარი, ჩვენი გაფრთხილებისა და დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის გარეშე, ფარულად და მალულად შემოიყვანა ჩვენს ტერიტორიაზე და ბორჩალოს მაზრის ერთი ნაწილი დაიკავა. ასეთ ავაზაკურ საქციელს იშვიათად შეხვდებით საერთაშორისო ომების ისტორიაში. არარატის რესპუბლიკა ასეთი არნახული მზაკვრობის ავტორობას თავის სასახელოდ მიიჩნევს. ალბათ, ის ფიქრობს, რომ ამ ბოლო დროს ერთიმეორის მიყოლებით განვითარებული მოვლენები მას უფლებამოსილებას აძლევს, სურვილისამებრ, დაანაწევროს საქართველოს სხეული.

საქართველოს დამოუკიდებლობის ჩაშლის მოსურნე სომხები, ფსიქოლოგიურად, უკვე თავიანთ საკუთრებად თვლიან ბორჩალოს, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს.

ისინი იმ აზრისანი არიან, რომ საქართველომ გაძარცვა სომხეთი და ხელი შეუშალა დიდი სომხეთის აღდგენა-აღორძინებას. აქედან გაჩნდა საქართველოზე თავდასხმის აუცილებლობა. სომხები, სწორედ, ამ მიზნით იყენებენ საქართველოს ფარგლებში სომხურ და რუსულ ენებზე გამომავალ გაზეთებს, ქალაქის საბჭოს ტრიბუნასა და, საზოგადოდ, სიტყვის თავისუფლებას.

ალექსეევის ჯარების გამოჩენამ და ჩვენი მეგობარი გერმანელების ამ წუთის მძიმე მდგომარეობამ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს ფრთები შეასხა. თავი წამოყვეს საქართველოში მცხოვრებმა რუსებმა და სომხებმა, ხოლო არარატის რესპუბლიკა თავისი ჯარებით დაგვესხა თავს.“

ამის შემდეგ გაზეთი მძაფრ პროტესტს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ სომხეთის მთავრობას იარაღის საწყობები აქვს საქართველოში, საწყობები, რომლებსაც დიდი როლის თამაში შეუძლიათ ქართველების წინააღმდეგ (სომხეთსა და საქართველოს შორის რაიმე კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში) და ამატებს,

რომ ბორჩალოს, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები მუდამ საქართველოს ეკუთვნოდა და სამუდამოდ მის ხელში დარჩება.

„ჩვენ თქვენი ქონებიდან, – ამბობს „საქართველო“ თავის სარედაქციო წერილში, – არაფერი გვინდა, ხოლო ჩვენი ქონების წაღებას, მხოლოდ საქართველოს გვამზე გადავლით თუ შეძლებთ“.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 1 ნოემბერი, N 224, გვ. 2-3

საჭიროა გადამოწმება

გუშინ ჩვენ გატყობინებდით, რომ „დროა, ძირეულ რევიზიასა და კვლევას დავუქვემდებაროთ „ამიერკავკასიის“ ის პოლიტიკა, რომელმაც ჩვენ ამ დღეში ჩაგვყარა!“

უკანასკნელი პოლიტიკური მოვლენები და ჩვენი ხვალინდელი ცხოვრების წესი გვაიძულებს, რომ გადავამოწმოთ ის პოლიტიკური გზა, რომელსაც ბოლო პერიოდში ვადგავართ.

უკვე ცხადი ხდება, რომ ამიერკავკასიის ხალხების ყოფაცხოვრების ის წესი, რომელმაც ჩვენი „მეზობლობის“ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული სახეცვლილება განიცადა, ამიერიდან მოსათმენი ვეღარ იქნება.

როგორც ცნობილია, ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ, რევოლუციის პირველივე დღეებიდან მოყოლებული, ჩვენს ცხოვრებაში გავლენიანი მდგომარეობა მოიპოვა და ამიერკავკასიის პოლიტიკური ცხოვრების ტონის მიმცემი გახდა.

ქართული მენშევიზმი დიდი რუსული პოლიტიკური დინების მცირე ნაწილი იყო და ზოგადრუსულ დროშასაც ძალიან მარჯვედ იყენებდა შენიღბული ეროვნული მოძრაობის საწარმოებლად (მათივე ხმებისა და რევოლუციის მონაპოვრებზე დაყრდნობით), რაც მას იმის დიდ შესაძლებლობას აძლევდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში გავლენიანი გამხდარიყო და ამიერკავკასიაში თავისი ბატონობა მყარ საძირკველზე დაეშენებინა. მართლაც, თურქეთის ბატონობასა და ამიერკავკასიის თურქიზაციაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი როდი იყო მენშევიზმის ბატონობა და მისი როლი.

თურქეთი საუკუნეების განმავლობაში მიისწრაფოდა, რომ საბოლოოდ და სამუდამოდ გაენადგურებინა თავისუფლებისმოყვარე სომეხი ხალხი. ამ ოცნების სანახევროდ განხორციელება მან უკვე მოახერხა საზღვრის ერთ მხარეს, ახლა კი მეორე ნახევრის ასასრულებლად გადმოვიდა აქეთ.

მის მოსვლამდე კი, ორი ურთიერთდაპირისპირებული ადგილობრივი «მტრის» – სომხებისა და თურქების მისწრაფებათა «საპირწონედ», აუცილებელი იყო „მესამე“ მხარის შექმნა, რომელიც ბუნებრივად და მოურიდებლად გამოვიდოდა ასპარეზზე. და, მართლაც, ასეთ მხარედ მოგვევლინა ქართველი ხალხი თავისი დიდი პოლიტიკური მოძრაობით.

ამ ორი მიზეზის გარდა, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ არც ქართველ ხალხთან და არც ქართული მენშევიზმის რეალურ ძალასა და პოლიტიკურ სიმწიფესთან, სხვა არანაირი მიზეზი არ არსებობდა მისი ხანმოკლე და უკანონო ბატონობისათვის.

ეკონომიკურად ძალიან ღარიბ, დანაწევრებულ და კულტურულად არაფრით მაღლა მდგომ ქართველ ხალხს სად შეეძლო ისეთი პოლიტიკური მიმდინარეობის შექმნა, რომ რაოდენობით თავის ტოლ (თუ თურქეთის სომხებს არ ჩავთვლით) ხალხზე ასე სწრაფად და ადვილად გაბატონებულიყო?!

ეს მოვლენა ეწინააღმდეგება ხალხების ისტორიას, საზოგადოდ, ისტორიისა და ჩვენი საუკუნის სულს.

და, მართლაც, ქართულ სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია (ჩვენ ამას სრულიად გულახდილად ვამბობთ და აქ არავითარი პარტიული მიზნები არ გვამოძრავებს) რაიმე მტკიცე, ღირებული და ჭკუის სასწავლებელი მოგვცეს, რომლითაც ის დღეს თავის გაბატონებულ მდგომარეობას დაიცავს. განადგურებული გერმანია, აშკარად, იმას ნიშნავს, რომ თურქეთის ბედიც გადაწყვეტილად ჩაითვალოს. ვილსონის ნოტა გამარჯვების განმტკიცებასა და ბოროტმოქმედი თურქეთისაგან სომეხი ხალხის გადარჩენასა და მისი ეროვნულ-პოლიტიკური ოცნებების ასრულებას გვპირდება. ეს კი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენი თავისუფლებისმოყვარეობა (შეწყდება ჩვენი ჟლეტა და მტრის ობიექტად ყოფნა) სომეხი და თათარი მშრომელი ხალხების მარადიული მეგობრობის კურთხეულ გარანტიად იქცეს.

გვჯერა, რომ ახლო მომავალში, როცა ეს (თათარი) ხალხი დაინახავს სომეხი ხალხის სანუკვარი ოცნებების ერთხელ და სამუდამოდ ასრულებას, ის ჩვენი ყველაზე საყვარელი მეზობელი და ყველაზე ახლობელი მეგობარი გახდება და მაშინ, ცხადია, არავითარი მესამე „გამაწონასწორებელი“ ძალა საჭირო აღარ იქნება.

აღთქმული დღეც ჩაივლის და მასთან ერთად, ბოლოს და ბოლოს, ქართული სოციალ-დემოკრატიის უკანონო ბატონობის ორი ძლიერი ბასტიონიც გაცამტვერდება.

გარემოებათა დამთხვევამ თავისი ნამდვილი ქართული და შოვინისტური სახე გამოაჩინა. ამიერკავკასიის მენშევიზმი ამიერიდან ვეღარ დაეყრდნობა უცხოთა ხმებს და „რევოლუციის“ კოლონებს. ის მხოლოდ თავისი თავით უნდა დაკმაყოფილდეს. რისი მიცემა შეუძლია მისთვის მშობელ ქართველ ხალხს? ცხადია, ის, რისი მიცემაც მას შეუძლია, ძალიან ცოტა იქნება გაბატონებული მდგომარეობის კვლავ ხელში ჩასაგდებად. ქართული მენშევიზმი, რუსეთის დროშის ქვეშევრდომობას მოკლებული (პოლიტიკური თვალსაზრისითაც, სომეხთა გენოციდის საქმეში თურქეთისა და ადგილობრივი თურქობისათვის უკვე გამოუსადეგარი, რომელსაც სიტყვებისა და ორატორობის გარდა, არაფერი დარჩენია ობიექტურად ღირებული და დადებითი), ძალის გამოყენებით, გაბედულად უნდა დასუსტდეს და ჩამოშორდეს იმ ხელმძღვანელ პოზიციას, რომელიც მას ახლო წარსულში გააჩნდა.

ამ ჩვენი გაცხადებული აზრების ყველაზე მასშტაბური მტკიცებულება უკვე დევს ამიერკავკასიის პოლიტიკის მაგიდაზე.

ქართული სოციალ-დემოკრატიის თათარ-გერმანულმა ორიენტაციამ ამიერკავკასიის ერთიანობისა და მისი კეთილი მომავლის საყრდენები მოშალა და დღეს ის აგონიაში თავის უკანასკნელ საათებს ითვლის. უკვე უეჭველი და თვალსაჩინოა ისიც, რომ ეს დამღუპველი ორიენტაცია ხვალ უკან მოუხედავად და საბოლოოდ განადგურდება და თან გაიყოლებს აგრეთვე იმ პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომელიც ამიერკავკასიაში დღემდე მისი სული და ხორცი იყო.

ეს ასე იქნება, სხვანაირად არც შეიძლება, რომ იყოს. მაგრამ ვნახოთ, როგორი იქნება წმინდა ორთა კავშირის მეორე წევრის (ქართული მენშევიზმის) მოკავშირე მუსავათის, როლი და მოღვაწეობა თათარ-გერმანელთა და მენშევიზმის კლანჭებიდან თავდაღწეულ ამიერკავკასიაში.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 2 ნოემბერი, N 225, გვ. 2

საჭიროა გადამოწმება

II

ქართული მენშევიზმი, როგორც ვნახეთ, ახალი პოლიტიკური მოვლენების კვალდაკვალ უნდა გამოეთხოვოს თავის ხელმძღვანელ პოზიციას.

და კიდევ, რა როლის შესრულება მოუწევს ადგილობრივი თურქებისათვის დღეს გარკვეული წონის მქონე მუსავათს გაცამტვერებული გერმანულ-თათრული თუ თათრულ-ქართული „ორიენტაციების“ გარემოცვაში ხვალ? როგორი იქნება მისი დამოკიდებულება მათ მიმართ? – არანაირი, ხვალ მან არსებობა უნდა შეწყვიტოს. ამაზე მიუთითებს შემთხვევათა და გარემოებათა მყარი მიმდინარეობა. ასე გვესახება ჩვენ ხალხთა პროგრესი, დროის სული; ბოლოს და ბოლოს, ამაზე მიგვანიშნებს ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარე მსოფლიო მასშტაბის ხოცვა-ჟლეტა. დღეს ტახტები და სამეფო სახლები ნადგურდება იმ სახელმწიფო წესრიგისათვის, რომელსაც დემოკრატიის სახელით ახორციელებენ; ერთმანეთის მიყოლებით ირღვევა სახელმწიფოები და იმპერიები ხალხთა თვითგამორკვევის ნიადაგზე ხელახალი აღორძინების პირობით, დღეს ნათელი კაცობრიობა, მილიონობით გვამზე გადავლით, სახავს ახალი ცხოვრების გზებს.

ომი, წმიდა ომი ის არის, რომელიც ყველა ქვეყანასა და ხალხში „მუსავათელების“ წინააღმდეგ მიმდინარეობს. ამ ომიდან ნამდვილი „მუსავათი“ – ბოროტმოქმედებისა და ბარბაროსების ეს სისხლიანი ავაზაკური დაჯგუფება – ვერასოდეს თავს ვერ დაიძვრენს. ის უნდა მოისპოს! ამიერკავკასიის შხამიანი კბილი ძირფესვიანად უნდა ამოვძირკვოთ და გვერდზე მოვისროლოთ, რათა სამუდამოდ გავათავისუფლოთ ჩვენი თავიც და თურქი მშრომელი ხალხიც მათი ბეგების საშინელი უღლისგან.

და ამ აღთქმულ დღეს კაციჭამია „მუსავათის“ ნანგრევებზე მშრომელი თურქი ხალხის წიაღიდან უნდა დაიბადოს (ჩვენ ამისი გვწამს და გვჯერა) ერთი ახალი პარტია, გაჟღენთილი კაცთმოყვარეობისა და ხალხთა სიყვარულის დიადი იდეებით. პირველ რიგში, თურქი ხალხი მმართველი გუნდის – „მუსავათის“ – სისხლიანი კლანჭებისა და თალაათ-ენვერის უღირსი და სამარცხვინო უღლისაგან უნდა განთავისუფლდეს. მან თავი უნდა დააღწიოს ბეგებსა და ავაზაკებს, რომლებიც მის ქონებას ითვისებენ, არ გახდეს მათ ხელში სათამაშო ინსტრუმენტი და აირჩიოს ცხოვრების ის გზა, რომელსაც მიყვებოდა და მიუყვება მთელი განათლებული და განსწავლული კაცობრიობა.

ხსნის სხვა გზა, ცხოვრების, განვითარებისა და წინსვლის ნაყოფთან საზიარებლად სხვა გზა არ არის და არც შეიძლება, რომ იყოს.

ხელახალი დაბადება კი მეტად მშვიდობიანად უნდა მოხდეს იმ მიზეზით, რომ თათარ ხალხთან ერთად სომეხი ხალხიც განთავისუფლდეს ამ სისხლისმსმელის ტორებისგან და ის მიიღოს, რაც ისტორიას მისი მართებს. საკუთარი ცხოვრებისა და ქონების ბატონპატრონად რომ გადაიქცევა, სომეხი ხალხი უფრო კარგად გაუგებს თათარი ხალხის ღატაკ უმრავლესობას და ცხოვრების წმინდა უფლებასაც ვეღარავინ წაართმევს.

ბუნებაში იდეასავით აღმოცენებული პარტია, ცხადია, ვერ შეძლებს თათრულ-გერმანული და თათრულ-ქართული „ორიენტაციების“ გათავისებას.

მშობელი ხალხის მშრომელი ფენების წიაღში დაბადებულმა და კაცთმოყვარე და ხალხთმოყვარე სარწმუნოების ემბაზში მონათლულმა პარტიამ ზიზღით უნდა უარყოს „გამაწონასწორებელი“ მხარის საყრდენის როლი (იგულისხმება ქართული მენშევიზმის საზიზღარი პოლიტიკა).

ახლა თავისი საუკუნოვანი და თანასწორი მეზობლისაკენ პირისახით მიბრუნებულმა მასში საუკეთესო მოკავშირე უნდა ჰპოვოს, რათა ისინი მხარდამხარ გაუყვნენ სოციალიზმისაკენ მიმავალ ეკლიან გზას.

და როგორი უნდა იყოს დიდი სომხური პოლიტიკური მიმდინარეობის როლი და საქმიანობა დაშლილ-დანგრეული თავადური მენშევიზმისა და გამოფხიზლებული თათარი მშრომელების მიმართ?

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 3 ნოემბერი, N226, გვ. 2.

„ომი სომხების წინააღმდეგ“

(ვეშაპელის გამოსვლებიდან)

ქართული გაზეთები განაგრძობენ სასტიკი უკმაყოფილების გამოხატვას სომეხთა მისამართით სანაინის რაიონში მიმდინარე ამბების გამო. ხანდახან ისეც ხდება, რომ ერთსა და იმავე გაზეთში ერთდროულად რამდენიმე სტატია იბეჭდება ამასთან დაკავშირებით. ჩვენ უკვე საკმარისი მასალა მოგაწოდეთ სხვადასხვა მიმართულების გაზეთებიდან. ყველა მათგანი ერთხმად ადანაშაულებს სომხებს და, განსაკუთრებით, „დაშნაკცუთიუნის“ პარტიას არასამშვიდობო მისწრაფებების გამო.

ახლა გაგაცნობთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველკვირეულ გაზეთში „კლდე“ (N7) მოცემულ მოსაზრებას ამის თაობაზე:

„ინგლისელები შავი ზღვის მიმართულებით მიიწევენ წინ, გერმანელები კი თავიანთი ქვეყნის საზღვრებისკენ მიიჩქარიან. ალექსეევისა და დენიკინის ჯარები ჩვენ გვემუქრებიან, ხოლო საქართველოს ჯერ ჯარიც არ შეუქმნია – აი, ასეთი არის ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც ბათუმის დაცემის მწარე დღეებს გვახსენებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და მეგობარი გერმანიის შემოსვლის შემდეგ უკვე ხუთი თვე გავიდა, თუმცა საქართველოს მდგომარეობა არც საერთაშორისო კავშირების დამყარებით განმტკიცებულა და არც ქვეყნის შიგნით მიზანშეწონილი პოლიტიკითა და ჯარის შექმნით.

საქართველოს სათავეში მყოფმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და მთავრობამ (ამ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში) ისეთი საგარეო პოლიტიკა შეიმუშავეს, რომ ჩვენ არცერთ სახელმწიფოსთან არ გაგვაჩნია პოლიტიკური და სამხედრო კავშირ-ურთიერთობა. პირიქით, საქართველომ თითქმის ყველა მეზობელი ერი გადაიმტერა.

ჩვენი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა, უწინაც და ახლაც, ნახევრად ბოლშევიკური კანონმდებლობისა და წოდებრივ-კლასობრივი ბრძოლის გაღვივებაზე იყო დაფუძნებული, რის შედეგადაც ქართული ხაზინა და ყაზარმები ცარიელია, ხოლო ტფილისი ძალიან მოუსვენარ ვითარებაშია სომხების შემოსევის მოლოდინში.

საქართველოს ბოლო ხუთი თვის საგარეო პოლიტიკა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიპლომატია იყო. ამ დიპლომატიის წყალობითაა, რომ რამდენიმე თვის წინ ბერლინში მყოფმა ქართულმა დელეგაციამ ვერ მოახერხა გერმანიასთან რაიმე სახის შეთანხმება, რომლითაც გერმანული ჯარები მოვალენი იქნებოდნენ, გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი გამოეწოდებინათ ჩვენთვის.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა საქართველოს კარის მეზობელ სახელმწიფოებთან ისეთი იყო და ამჟამადაც, ამ წუთას, ისეთია, რომ აზერბაიჯანი და მთიელები სომხეთზე, ჩრდილო კავკასიის რუსებსა და კაზაკებზე ნაკლებად როდი გვემტერებიან.

საქართველოს უნდა გაეთვალისწინებინა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენდნენ ჩვენი დედაქალაქისთვის სომხები და რუსები და თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა განემტკიცებინა საქართველოს ისტორიულ მეზობლებთან – ჩეჩენ და დაღესტნელ მთიელებთან და აზერბაიჯანის თურქებთან (ხაზგასმა ჩვენია, რედ.). მაშინ გაჭირვებაში ჩავარდნილებს ზურგი მაინც უზრუნველყოფილი გვექნებოდა.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა არის სოციალ-დემოკრატების საგარეო პოლიტიკის მთავარი სტიმულატორი – რევოლუცია, კულტურა თუ რელიგია? თუმცა, ერთი რამ ცხადია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია თავისი პოლიტიკით აღიზიანებს ჩვენს ისტორიულ მეზობლებს – მთიელ მაჰმადიანებსა და თურქებს. თუკი ერეკლე მეფის დროს ბორჩალოს თურქები ჯარის საიმედო და ერთგულ ნაწილს შეადგენდნენ, დღეს, ქართველი სოციალ-დემოკრატების კანონით, თურქებს ეკძალებათ ქართულ ჯარში ყოფნა როგორც კანონიერ ჯარისკაცად, ისე მოხალისედ...

ქართველ სოციალ-დემოკრატებს არ უნდათ გაიგონ, თუ როგორი შეურიგებელია ერთმანეთთან საქართველოსა და სომხეთის ინტერესები. სომხები თურქებს უბიძგებენ კავკასიისკენ, ხოლო კავკასიაში თავმოყრილ სომხებს უნდათ, რომ ერთი ცენტრი ჰქონდეთ ქალაქ ტფილისის სახით. ახლა სომხების მთელი პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ერევანსა და ტფილისს შორის მდებარე ახალ-

ქალაქისა და ბორჩალოს მაზრები გაასომხონ და შემდეგ ტფილისიც პოლიტიკურად ჩაიგდონ ხელში.

სომხების ბუნებრივი მოკავშირეები არიან ოსები, რომლებიც მსგავს გეგმას ახორციელებენ ჩრდილოეთიდან და რუსები, რომლებიც ყველაფერზე თანახმა არიან, საქართველოს დამოუკიდებლობის გარდა. დღეს სომხებს ინგლისელებისგან დახმარების მიღების იმედი აქვთ და ჩვენ წინააღმდეგ ომსაც აცხადებენ...

ჩვენ რა დაგვრჩენია, რომ გავაკეთოთ? – ან უნდა შევურიგდეთ სომხებსა და ირაკლი წერეთლის პოლიტიკას და ტფილისის ნახევარი სომხებს მივცეთ, რითაც საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოები ტფილისს თავიანთ დედაქალაქად გადააქცევენ, ხოლო ჩვენი ადგილობრივი პოლიტიკური ცენტრი ქუთაისი გახდება, ანდა თავი მოვუყაროთ ყველა ჩვენს ძალას და, თუ ესეც საკმარისი არ იქნა, აზერბაიჯანსა და მთიელებთან შევკრათ კავშირი და, ერთხელ და სამუდამოდ, მოვკვეთოთ თავი სომხურ პოლიტიკას (ხაზგასმა ჩვენია, რედ.). შეუბრალებლად გავწმინდოთ ჩვენი დედაქალაქი აქ დაბუდებული სომხებისგან და შიგნით შემოჭრილ სომხურ ჯარებთან ერთად სევანის ტბისკენ გადავრეკოთ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სომეხი კოლონისტები."

ჩვენ „კლდის" რედაქციას მხოლოდ ერთ კითხვას დავუსვამთ: ნამდვილად გჯერათ, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია სომხებს ისევე არ ექცევა, როგორც თქვენ მიერ მითითებულ მოკავშირე მეზობლებს? თუ ეს მხოლოდ გაზეთის რედაქციის სურვილია და ერთ თამაშს თამაშობთ? გამოხატვის ამგვარი ცვალებადობა „კლდისთვის" დამახასიათებელი განსაკუთრებული თვისებაა.

გაზეთი „ორიზონი", თიფლისი, 1918 წლის 3 ნოემბერი, N226, გვ. 3

საჭიროა გადამოწმება

III

როგორი უნდა იყოს დიდი სომხური პოლიტიკური მიმდინარეობის როლი და საქმიანობა დაქცეული თავადური მენშევიზმისა და გამოფხიზლებული თათარი მშრომელების მიმართ?

მე-14 ს-ის ბოლო პერიოდში (მთელი რიგი წარუმატებელი პოლიტიკური მოვლენების წყალობით) ჩვენმა ხალხმა დაკარგა თავისი დამოუკიდებლობის უკანასკნელი საყრდენიც.

თუმცა სომეხი ხალხის თავისუფლების ქარავანი აზიის უდაბნოებში როდი შეჩერდა, საუკუნეებს გაუძლო და ჩვენი გვარ-ტომის თავისუფლებისმოყვარეობის მოგიზგიზე ცეცხლი სულში შეინახა. პატარა ნავმა ისლამის ოკეანეს უშიშრად დააღწია თავი, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მიაღწია და დიდი სომხური პოლიტიკური მიმდინარეობის კართან გაჩერდა.

„დაშნაკცუთიუნის“ დაბადება, მისი რწმენა და შემდგომში მოპოვებული ხიბლი და პოპულარობა, უმეტესად და უპირატესად, იმ პოლიტიკური მისწრაფების ნაყოფი იყო, რისი მოტანაც ჩვენამდე ჩაუქრობლად შეძლო სომეხმა ხალხმა და თითქმის მთელი მემკვიდრეობა სომეხ რევოლუციონერ დაშნაკობას დაუტოვა. მისმა ფუძემდებლებმა გამჭრიახი სომხის საუკუნოვანი ოცნებები თანამედროვე მუშური მოძღვრებით მორწყეს და მათ პოლიტიკური ორგანიზაციის ხასიათი მისცეს. დაახლოებით სამი ათეული წელია, რაც ჩვენში ეს დიდი პოლიტიკური მიმდინარეობა არსებობს და ამ ხნის მანძილზე მან, უზარმაზარი მსხვერპლის ფასად, წარბშეუხრელად მოახერხა მოციქულებრივი მსახურება. იგი თავისი გულწრფელი იდეებით დღესაც ჩვენ შორის დგას იმ ხალხთან ერთად, ვინც მტრის კლანჭებს გადაურჩა.

რა თქმა უნდა, მზისა და მთვარის შუქივით ნათელია, რომ „დაშნაკცუთიუნს“, მარჯვნივ თუ მარცხნივ, შიგნით თუ გარეთ, თავს ესხმოდნენ, დევნიდნენ და აკრიტიკებდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მან ყველაზე წინ დააყენა სომეხ მუშათა უმრავლესობის არსებობისა და ცხოვრების უწმინდესი მოთხოვნები.

და რაოდენ სასაცილოა პირსისხლიანი თალაათ-ენვერისგან ისეთი ბრალდების მოსმენა, რომ, ვითომ, სომეხი ხალხი „დაშნაკცუთიუნის“ აგრესიულობამ გაანადგურა.

საზიზღარ გრძნობას ბადებს აგრეთვე ამ ბარბაროსების კადნიერი მიდგომა ჩვენი უმცროსი მეგობრის-თავადური მენშევიზმისადმი.

ქართული სოციალ-დემოკრატია (საუბარია მხოლოდ მასზე და არა ენვერის თურქეთზე) ყველა ღონესა და საშუალებას ხმარობს და ბეჯითად ცდილობს, დაგვარწმუნოს მხოლოდ „დაშნაკცუთიუნის“ ბრალეულობაში, კერძოდ, იმაში, რომ სომეხ ხალხს საზღვრის აქეთ და იქით მხარეს ამდენი თავდასხმის მოგერიება მისი გამოისობით უწევს. თუმცა გაირკვა, რომ წალკას, ბაკურიანსა და მე – 300 ვერსს, ანუ საქართველოს შუამდინარეთს, არავითარი კავშირი არა აქვს „დაშნაკცუთიუნთან“, რომ ის თალაათ-ენვერისეული წარმოშობისაა და მთელ სომეხ ხალხს ეხება.

სომხებით დასახლებული ლორე (რომელიც გერმანელთა დახმარებით დაიკავეს და რომელიც დღემდე რჩება საქართველოს საზღვრებში) ხელახლა დაიკავა არა „დაშნაკცუთიუნმა“, არამედ სომეხმა ხალხმა. ეს აგრესიულ პარტიაზე კი არა, მშვიდობიან ხალხზე გალაშქრებაა.

საქართველოში დატოვებული რუსეთის ქონება (რომელიც მხოლოდ საქართველოს დარჩა და რომლიდანაც სომხეთს ერთი ბეწო წილიც არ რგებია) ასევე „დაშნაკცუთიუნს“ კი არ დააკლდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სომეხ ხალხს. თალაათ-რამიშვილის ლაშქრობა „დაშნაკცუთიუნის“ წინააღმდეგ კი არა, სომეხი ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს, ერთხელ და სამუდამოდ, გასაგები უნდა იყოს.

სომეხი ხალხის წინააღმდეგ ამ სისხლიანი და უზნეო ინტრიგის წამოწყებით, ისინი (ენვერი და გიორგაძე, რამიშვილი და თალაათი) დიდი სომხური პოლიტიკური მიმდინარეობისგან იმას ითხოვენ, რომ მან ამ მოვლენებს მშვიდად უყუროს, აიტანოს ეს ყველაფერი და, თანაც, ხმა არ ამოიღოს, რათა ამ ორმა მოკავშირემ როგორმე

(თანაც, „სინდისის ქენჯნით“) შეძლოს და სომეხი დაშნაკობა აგრესიულად, ხოლო მისი პოლიტიკა დამანგრევლად არ შერაცხოს.

მაშასადამე, „დაშნაკცუთიუნი“, ზემოთ განხილული თვალსაზრისით, „აგრესიული იყო, აგრესიული არის და აგრესიულადვე დარჩება“, ხოლო სომეხი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა, ცხოვრობს და ჯერ კიდევ დიდხანს იცხოვრებს.

ყოველთვის, როცა თურქეთის ან სპარსეთის ჰორიზონტზე თავისუფლების პატარა სხივი გამოჩნდებოდა, „დაშნაკცუთიუნის“ მისამართით მუდამ სიკეთითა და სითბოთი აღსავსე სიტყვები გაისმოდა, რადგან ეს პარტია თავისუფლების, მეგობრობისა და თანასწორობის სახელით მებრძოლი პარტია იყო.

„დაშნაკცუთიუნი“ იყო თურქეთსა და სპარსეთში მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის სულისჩამდგმელი და მისი უშუალო ხელმძღვანელობით კეთდებოდა ყველაფერი. მან შთაბერა სული პირველად მშრომელთა დიად საკაცობრიო მოძღვრებას აზიის მივარდნილ ბნელ მხარეში.

და, აი, სწორედ ასეთი და იგივენაირი როლი უნდა შეასრულოს მან ხვალაც და თან იმაზე უფრო ძლიერად, ვიდრე ოდესმე შეუსრულებია.

თათარმა და სომეხმა მშრომელებმა (მჩაგვრელთა სისხლიანი უღლიდან თავდახსნის შემდეგ) მეგობრობისა და ძმობის საფუძველზე, ახალი სტილის ყოფა-ცხოვრება უნდა დაიწყონ და თავიანთი ძალები გააერთიანონ, რათა, მშრომელი კაცობრიობის სახელით, საოცნებო წყობილების საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლონ და, უეჭველია, რომ, „დაშნაკცუთიუნის“ დახმარებით, ამ დიდებულ და უზარმაზარ საქმესაც მოაგვარებენ.

ამიერკავკასიის საზიზღარი გველებისაგან (თავადური მენშევიზმისა და თურქი ბეგების ბრჭყალებისაგან) თავდახსნილმა თათარ მშრომელთა მასებმა ერთად უნდა მოასწორონ ხალხთა შორის ჭეშმარიტი ძმობისა და თავისუფლების გზა და ერთად ჩაუშვან ამიერკავკასიის ხალხების გადამრჩენი ღუზა.

ჩვენ ასე წარმოგვიდგენია ახლო მომავალი.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 5 ნოემბერი, N 227, გვ. 2

ვიხსნათ სომეხი ხალხი სიკვდილისგან

უკვე შემოდგომის ბოლო დღეებია. ორი კვირაც და ცივი ზამთარი მოგვადგება. შეუძლებელია, ადამიანებს არ აშინებდეთ იმაზე ფიქრი, რომ მათ წინააღმდეგ, გუშინდელივით, რაიმე მკვეთრ და რადიკალურ ზომებს გამოიყენებენ. მით უმეტეს, რომ ზაფხულის თვეებში ათასობით და ათიათასობით ლტოლვილი დაიღუპა. საზოგადოდ, მათი უმრავლესობა ვეღარ გაუმკლავდება განგებას, ვერც ახალ-ახალი და ბნელი შეთქმულებების ულმობელ ხასიათს გაუძლებს. შიმშილობა და ლტოლვილთა განცხადებები უკვე არანაირ ეჭვს აღარ გვიტოვებს იმაზე, რომ დევნილები ჩვენ თვალწინ, მთელი კაცობრიობის წინაშე, თანდათანობით, დღითიდღე ნადგურდებიან. ბოლო ოთხი თვის განმავლობაში მათ 20 000-მდე ადამიანი დაკარგეს და ეს მარტო ბაკურიანის მაღლობებში, სიკვდილის ხაზის მე-300 ვერსსა და ალაზნის ნაპირებზე. ადვილი სათქმელია 20 000 მსხვერპლი?! დიახ, მსოფლიო ომს მთელი ოთხი წლის განმავლობაში არ შეუწირავს იმდენი სომხის სიცოცხლე (იმდენი არ დაღუპულა 200 000 სომეხი ჯარისკაციდან სხვადასხვა ფრონტზე და სხვადასხვა ქვეყანაში), რამდენიც ამ ოთხი თვის განმავლობაში შეიწირა ლტოლვილობამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. და ეს ხდება ამ თავისუფალ ქვეყანაში, რომელსაც (როგორც ქართული დემოკრატიის მესვეურნი, ჟორდანია და მისი ამხანაგები, აცხადებენ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსადმი გაგზავნილ თავის უახლეს წერილებში) „თავი შეაფარა 300 000-მდე სომეხმა ლტოლვილმა“ (იხ. „Борьба“-ს კვირადღის ნომერი).

დევნილმა სომხებმა თავშესაფარი, დაცვა, გულითადი მხარდაჭერა, თანადგომა და თანაგრძნობა მეზობელ ქვეყანაში ჰპოვეს, — უეჭველია, ასე იფიქრებენ სხვადასხვა ევროპული ქვეყნის დემოკრატიების ხელმძღვანელები, როცა იმ დოკუმენტს წაიკითხავენ, რომელსაც, რუსეთის რევოლუციის სახელით, ამ ქვეყნის ხელმძღვანელები — წერეთელი და ჩხეიძე — აწერენ ხელს. ან კი როგორ არ დაუჯერონ მათ?! იფიქრებენ კი იმას, რომ თურქ-გერმანელი მოძალადენი აქაც შეძლებენ ბედისწერისაგან დევნილი ხალხის დათრგუნვასა და ახალი შუამდინარეთის შექმნას და ეს მაშინ, როცა ძველი შუამდინარეთიდან გადასახლებული სომხების ნაწილი სამშობლოში დაბრუნებაზე ლაპარაკობს.

არა, ამის ატანა უკვე შეუძლებელია. მარტო ახალქალაქი რომ ავიღოთ, ამ მოკლე ხანში ლტოლვილების 1/4 უკვე განადგურდა, ზამთარში მათს რიცხვს 3/4 კიდევ მიემატება, თუკი სასწრაფოდ მათი დაბრუნების მოთხოვნა არ შესრულდა. ამ საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ხელისუფლებას, რომელზედაც ბევრი რამ არის დამოკიდებული, კერძოდ, ის, რომ ეს საკითხი წარმატებით გადაიჭრას. რა თქმა უნდა, აქ საქმე ეხება საქართველოს საზღვრებში თავმოყრილ ლტოლვილებს. ქართველი ხალხისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის. ძალიან კარგად გვესმის, რომ ეს საუკუნოვანი მეზობელი და მოძმე ხალხი გასაჭირში ჩვენი თანამგრძნობელია და არ არის გარეული იმ პოლიტიკაში, რომელსაც მისი მთავრობა ახორციელებს სომეხი ხალხის მიმართ. ჩვენი კრიტიკაც ყოველთვის მმართველ ფენებსა და მთავრობას შეეხებოდა და არა ხალხს. აღარ გვინდა წარსული ვიხრიკოთ, აღარ გვინდა ხელახლა ვამტკიცოთ ის ელემენტარული რამ, რომ საქართველოს ხელისუფლება, დიახაც, ვალდებულია როგორც მორალურად, ისე იურიდიულად იზრუნოს და შეიფაროს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ლტოლვილთა ერთი ნაწილი. ასეც უნდა მოქცეულიყო ის, რამეთუ ლტოლვილობა სხვა არაფერია, თუ არ უმოწყალო მტრის წინააღმდეგ წარუმატებელი ომის უდანაშაულო მსხვერპლი. თუმცა თურქების წინააღმდეგ ომში სომხებთან ერთად ქართველებიც მონაწილეობდნენ.

ლტოლვილობა მხოლოდ სომხობის, როგორც ცალკე აღებული ერის, პრობლემა როდია. სომხები ამიერკავკასიის ხალხის ნაწილად მოიაზრებიან. ამიერკავკასიის ზურგზე კი მტერს, დიდი ხანია, ხელი ჰქონდა დადებული. ეს ხელი რაღაცა მიზეზებით დასუსტდა და, საბედნიეროდ, ადრინდელი მეზობლის ზურგს მისწვდა.

ის ლტოლვილად იქცა იმ დროს, როცა ჯერ არც საქართველო არსებობდა და არც სომხეთი, იყო მხოლოდ ერთი მთლიანი ამიერკავკასია და ამიერკავკასიელი. აი, სწორედ ამის გამო მას ისევ ჰქონდა უფლება, რომ მოეთხოვა კუთვნილი თავშესაფარი ამიერკავკასიის შემადგენელი ნაწილის, ამ შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის, მთავრობისგან.

თუმცა ვიმეორებთ, მოვეშვათ ამ ყველაფერს! დღეს და ამ წამს ჩვენი სიტყვა მზრუნველობასა და თავშესაფარს იმდენად არ ეხება, რამდენადაც საკონცენტრაციო ადგილების გაუქმებასა და ლტოლ-

ვილი ხალხის თავის სამშობლოში (თუნდაც, უსაფრთხო ადგილებში) დაბრუნებას. ამ საქმეში გვჭირდება საქართველოს მთავრობის უპირობო დახმარება. და თუ იმაზე ვთანხმდებით, რომ ამ ზამთარს ლტოლვილები ბაკურიანის ტყეებში თავს ვეღარ გაიტანენ, მაშინ ისედაც ცხადი ყოფილა ჩვენი მართალი და ელემენტარული მოთხოვნა, – გადავარჩინოთ დევნილები, რადაც უნდა დაგვიჯდეს. ვიხსნათ საწყალი ხალხი სიკვდილისაგან; სიკვდილისაგან, რომელიც უკვე გაიფურჩქნა და ჩასანთქმელად მზად არის.

ადამიანობა და მოვალეობა ელემენტარული მოთხოვნაა და არა ფრაზეოლოგია და ყალბი პოლიტიკური მანჭვა და მანერულობა.

დღეს! ხვალ გვიან იქნება...

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 6 ნოემბერი, N 228, გვ. 2

ბოლო ცდა

მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს კაცობრიობა მშვიდობის გარიჟრაჟზე დგას და, როცა ტანჯული ხალხები ახალი, ბედნიერი ცხოვრების იდეალთან მიახლოებულად გრძნობენ თავს; მაშინ, როცა საქართველოს მთავრობა მიიჩქარის თავისი და მეზობელი სახელმწიფოების ორმხრივი დავების მოსაგვარებლად (ამიერკავკასიის ჩაგრულ ხალხთა სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ); მაშინ, როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატია თავის საჯარო წერილში მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე აცხადებს, რომ საქართველოში დაახლოებით 300 000 სომეხი ლტოლვილისთვის თავშესაფრის მიცემა მისი პოლიტიკის დამსახურებად მიაჩნია, აი, სწორედ ამ დროს, საქართველოს დედაქალაქიდან არცთუ ძალიან შორს, საქართველოს მთავრობის, ქართული სოციალ-დემოკრატიის, საზღვარგარეთის დელეგაციებისა და მისიების თვალწინ, დაახლოებით ასი ათასი ლტოლვილის საშინელი სასაკლაო ეწყობა. სასაკლაო... სხვა სახელს ვერ დავარქმევ ბაკურიანის, წალკის და მე-300 ვერსის იმ საკონცენტრაციო ბანაკებს, რომლებშიაც საქართველოს მთავრობამ სომეხი ლტოლვილები გამოამწყვდია.

ჟლეტა... ეს არის იმ მასობრივი წარღვნის ნამდვილი სახელი, რომელიც თავს დაატყდა სომეხი ლტოლვილების უმრავლესობას ოსმალთა და ქართველთა მთავრობის პოლიტიკური ხრიკების წყალობით. ჩვეულებრივი ჟლეტისგან ეს ვითარება ორი რამით განსხვავდება და ორივე საოცარია: პირველი ის არის, რომ ჩვეულებრივი ხოცვა-ჟლეტისას საშინელი მღელვარება იწყება და ჯალათებს ამხელენ სამარცხვინო ბოძზე გაკვრით მაშინ, როცა, ჩვენს შემთხვევაში, ხოცვა-ჟლეტა სწრაფად და შეუმჩნევლად ჩაივლის, ხოლო ჯალათები ყველა ღონეს ხმარობენ, თავი უცოდველად მოგაჩვენონ, რამეთუ შიმშილითა და სიცივით სიკვდილი ჯალათთა ხელზე სისხლის კვალს არ ტოვებს. მეორე განსხვავება ის არის, რომ ჩვეულებრივი ხოცვა-ჟლეტა, რაც უნდა ულმობელი იყოს, რამდენიმე დღის

ან კვირის განმავლობაში გასტანს, ხოლო ბაკურიანში, წალკასა და მე-300 ვერსზე ხალხის განადგურება თვეობით გრძელდება.

მთელი ექვსი თვეა, რაც ახალქალაქისა და მიმდებარე ადგილების სომხური მოსახლეობა ბაკურიანისა და წალკის საპყრობილეშია გამომწყვდეული და თავიდან ათეულობით, ამჟამად კი ასეულობით ადამიანი ეწირება მსხვერპლად იმას, რომ როგორმე თავი დააღწიონ ამ საბედისწერო მდგომარეობას (თუ წინ წავლენ, თავისი ნაოხარი სამშობლოსაკენ გაიხედავენ და ნაბიჯს იქითკენ წადგამენ, ოსმალი ასკერები სვეტებად აღიმართებიან მათ წინაშე, ხოლო თუ საქართველოს სხვა ადგილებისკენ დაიძვრებიან, ქართველი მილიციონერები თოფითა და მათრახით გადაუღობავენ გზას).

ახლა მხოლოდ აგონიაში მყოფი ხალხის კვნესაღა აღწევს ჩვენამდე. ეს ჯანმრთელი და მამაცი ხალხი, რომლის დაუღალავი შრომისა და გამძლეობის მიზეზი ჯავახეთის ყინვიანი და სასტიკი ბუნებაა, დღეს იმ დონეზე დაღლილი და განადგურებულია, რომ შემოდგომის ტყესავით, უბრალო ნიავის შემობერვაზეც კი, ფოთოლცვენა ეწყება. ეს მდგომარეობა რომ ორი კვირა კიდევ გაგრძელდეს, ჯავახეთში დარჩენილი სომხობა სულ განადგურდება, – გვეუბნებიან ამ მრავალტანჯული ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც აქ იმისთვის მოვიდნენ, რომ როგორმე გადაარჩინონ ცოცხლად დარჩენილნი და დაიცვან ისინი.

ჩვენ კი, რომლებიც ვაცნობიერებთ ამ კოშმარს და ვდგავართ ათეულ ათასობით ლტოლვილი ადამიანის საფლავის პირას, მთელი სულითა და გულით შეძრულნი, გეკითხებით თქვენ: რას ფიქრობს საქართველოს სომხური მოსახლეობა ამ საზარელ ვითარებაზე? მივმართავთ საქართველოს სომხებს, რადგან კარი არ დაგვრჩა დაუკაკუნებელი და ზღურბლი – აუტალახებელი, რომ სომეხი ლტოლვილების გადარჩენის თხოვნით არ მიგვემართოს. ჩვენი უკანასკნელი იმედი საქართველოს სომხური საზოგადოების პროტესტია მის თვალწინ მიმდინარე გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ და ამ პროტესტმა ისეთი ძალითა და რისხვით უნდა აღავსოს ხალხი, რომ სომეხ დევნილთა ჯალათები შეძრწუნდნენ.

და, საერთოდაც, დიპლომატიური მოლაპარაკებების, ცალკეული საკითხებისა და მიმართვების დრომ ჩაიარა. ახლა მხოლოდ სახალხო მღელვარების ძლიერ ტალღას შეუძლია შეაჩეროს ის ხელი, რომელიც ჯალათური გულცივობით ისწრაფვის ჯავახეთის

სომხური მოსახლეობის დარჩენილი ნაწილის გასანადგურებლად, რათა განთავისუფლდნენ ამ ხალხის არსებობით გამოწვეული არა-სასურველი პოლიტიკური საკითხებისაგან.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 6 ნოემბერი, N 228, გვ. 2

კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია

ქართული პრესა 10 ნოემბერს ჩასატარებელ კონფერენციაზე (საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობით კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კრებაზე მოწვევა) მაინცდამაინც განსაკუთრებულ იმედებს არ ამყარებს, თუმცა თვლის, რომ ეს საქმე მთლად უსარგებლოდაც არ ჩაივლის.

წარმოგიდგენთ გაზეთების სარედაქციო სტატიებში განთავსებულ საყურადღებო ეპიზოდებს:

სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ერთობა“ (N234) გვეუბნება:

„ჩვენი მთავრობის წინადადება თუ განხორციელდა, ის შესანიშნავი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სამხედრო კავშირის შესაქმნელად. მით უმეტეს, თუ კავკასიის რესპუბლიკები პირობას დადებენ, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოს არ შეუთანხმდებიან და სადავო საკითხებს ორმხრივი შეთანხმებით გადაწყვეტენ. შემდეგ დაისმება ურთიერთდახმარების საკითხი მესამე ძალის წინააღმდეგ. თუ ეს კავშირი შეიკვრება და ნაკისრ ვალდებულებებს მხარეები პირნათლად შეასრულებენ, მაშინ ამ კავშირს ეკონომიკური შეთანხმებებიც მოჰყვება. ჩვენი მთავრობა სამართლიანად სვამს რესპუბლიკების ურთიერთ დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს და, მართლაც, სანამ აზერბაიჯანს ხელი არ აუღია ოსმალეთის ორიენტაციაზე, სანამ სომხეთი აგრძელებს რუსეთისაკენ ცქერას და მისი დახმარების იმედი აქვს, იქნება ეს ბოლშევიკებისა თუ ალექსეევ-დენიკინის ლაშქარი, საუბარი რაიმე კავშირსა და შეთანხმებაზე ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ არ შეგვიძლია კავშირის დამყარება არც იმ აზერბაიჯანთან, რომელსაც თურქეთის ერთ-ერთ ვილაეთად გადაქცევა სწყუროდა და არც იმ სომხეთთან, რომელსაც რუსეთთან პროვინციად მიერთება სურდა (ეს უკანასკნელი საშინელ ავანტიურასაც კი არ მოერიდა ბაქოში მაშინ, როცა ჩვენ გვერდით მსხდომი სომხეთის წარმომადგენელები თბილისის სეიმზე ძმობას გვეფიცებოდნენ). ერთი სიტყვით, დამოუკიდებლობის აღიარება ის ერთადერთი ნია-

დაგია, რომელზედაც ჩვენი შეთანხმება უნდა მოხდეს.

ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ კავკასიის პატარა სახელმწიფოებს ცალკე ცხოვრება და არსებობა გაუჭირდებათ და კავკასია მეორე ბალკანეთის ნახევარკუნძულად გადაიქცევა, თუ ერთმანეთის მტრობა არ შეწყვიტეს. ამიტომ, კავკასიის დემოკრატიის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, რომ ადგილობრივმა სახელმწიფოებმა ძმურად გაუწოდონ ერთმანეთს ხელი და ერთიანი ძალით აღუდგნენ წინ იმ მესამე ძალას, რომელიც ჩვენი კუთხის დაპყრობას ან დასუსტებას განიზრახავს. თუ ეს საკითხი დადებითად გადაიჭრება და სომხეთი და აზერბაიჯანი, ბოლოს და ბოლოს, გამოვლენ რუსეთისა და თურქეთის მზრუნველობიდან, მაშინ საზღვრების საკითხიც იოლად გადაწყდება და, ამ მხრივ, არავითარ დავას აღარ ექნება ადგილი. თუ ჩვენ კოლონისტების ეთნოგრაფიული მოსახლეობის პრინციპს ვერ გავყევით და დავიკავეთ ბორჩალოსა და ტფილისის მაზრები, ეს ჩავიდინეთ არა იმპერიალისტური ზრახვებით, არამედ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის აუცილებლობით. საზღვრების საკითხში ჩვენ მხოლოდ მაშინ დავიხევთ უკან, როცა იმის სრული გარანტია გვექნება, რომ, ამ მხრივ, რაიმე საფრთხე არ მოგველის.

უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან სკეპტიკურად ვუყურებთ კონფერენციის მუშაობას. ჩვენ ხელაღებით ვერ ვენდობით იმ ხელმძღვანელებს, რომელთაც კარგი გამოცდილება აქვთ საერთაშორისო რყევებისა და გაძრომ-გამოძრომის საქმეებში.

ვფიქრობთ, რომ საზღვრების საკითხის გადაჭრაც არ არის ისეთი ადვილი, როგორც ეს ბევრ გულუბრყვილო მკითხველს ჰგონია, რამეთუ ჩვენ არ შეგვიძლია, გვერდი ავუაროთ სახელმწიფოს არსებით ინტერესებს. ჩვენი მეზობლები კი ეთნოგრაფიულ მოსახლეობას იმიზეზებენ, თუმცა ისიც კარგად უწყიან, რომ ეს მოსახლეობა ხელოვნურად არის შექმნილი რუსეთის ბიუროკრატიის მიერ ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ“.

სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანო „სახალხო საქმე“ (N 373):

„ჩვენ დღეს ისიც არ ვიცით, თუ რას ფიქრობს სომხეთი არა მარტო ჩვენს, არამედ საკუთარ დამოუკიდებლობაზეც კი. ან იქნებ ისევ გარეთ უჭირავს თვალი? ამ საკითხების გასარკვევად დიდი მნიშვნე-

ლობა ენიჭება იმ კონფერენციას, ამ თვის 10 -ში რომ უნდა ჩატარდეს ტფილისში. უმთავრესი კი საზღვრების საკითხი იქნება. ჩვენ სკეპ-ტიკურად ვუყურებთ ამ კონფერენციას, რადგან მოწინააღმდეგეთა ბანაკში უკვე გაისმა უკმაყოფილო ხმა. სომეხთა ხელმძღვანელებს ისიც კი თავს ატკივებს, რომ აღნიშნული კონფერენციის მოწყობა საქართველომ ითავა და არა ვინმე სხვამ. ასეთი კაცუნების წყა-ლობით, რომელთაც პატარა გულში ღვარძლი და შხამი უკვე აღარ ეტევათ, შეიძლება ბევრი რამე გაფუჭდეს, თუმცა ჩვენ მაინც ორი-ოდე სიტყვა უნდა ვთქვათ საზღვრების შესახებ. ჩვენთვის ტფილი-სის გუბერნია საქართველოს უდავო ტერიტორიაა. იყო დრო, როცა ამ საკითხზე ცოტა სხვა აზრის ვიყავით... ვფიქრობდით, რომ საქა-ართველო და სხვა ავტონომიური ერთეულები ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცეოდა. ასე რომ, ამ შემთხვევაში, სტრატეგიულ, ეკონომიკურ და სხვა მოსაზრებებს ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორც დღეს აქვს ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნი-სას. მაშინ ჩვენ ვფიქრობდით, რომ იქნებოდა ერთი ძმური კავშირი, რის წყალობითაც, ძალიან ბევრი საკითხი ორმხრივი შეთანხმებით გადაწყდებოდა. ახლა კი გარემოებები შეიცვალა და მეზობელი სო-მხეთი იარაღით ხელში მოდის საქართველოს მიწის დასაპყრობად. ამიტომ, ჩვენი დღევანდელი მიზანია საქართველოს ტერიტორიის ეკონომიკური, სტრატეგიული და სახელმწიფოებრივი მთლიანობა და ეს პასუხი გვექნება ჩვენ იქამდე, სანამ მტერი მგელივით გვახვე-ვია გარს. მომავალ კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენ-ლებმა, სწორედ, ეს ხაზი უნდა დაიცვან და არავის მისცენ ნება, რამე ჩამოაცალონ ჩვენს ტერიტორიას“.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანო „შრომა“ (N 66):

„შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენმა მთავრობამ მეზობლებს მიმართა კონფერენციის ჩატარების წინადადებით. საქართველოს დემოკრატია ფრიად დაინტერესებულია კავკასიის ხალხების სო-ლიდარობით. მან კარგად იცის, რომ კავკასიის თავისუფალი რეს-პუბლიკების დამოუკიდებლად არსებობა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მეზობელ რესპუბლიკებს ერთმანეთში მშვიდობიანი და მეგობრული განწყობა ექნებათ. ჩვენმა დემოკრა-

ტიამ გამოცდილება უნდა შეიძინოს ბალკანეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური გაკვეთილებიდან. დიდი სახელმწიფოების ინტრიგებმა და ურთიერთმტრობამ ბალკანეთში დამღუპველი ნაყოფი მოგვცა და, ჩვენთანაც რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა რესპუბლიკების საერთო ინტერესების სწორი გააზრება, კავშირი და დაახლოება“.

ეროვნულ-დემოკრატების ორგანო „საქართველო“ (N 208)

შემდეგი სახით აყალიბებს თავის თვალსაზრისს: „აქამდე, – ამბობს ის, – ჯერ კიდევ სრულად არ არის გარკვეული ჩვენი მეზობელი რესპუბლიკების პოლიტიკური პოზიცია. თუ აზერბაიჯანი იქითკენ ისწრაფვის, რომ თურქეთთან მჭიდრო კავშირი შეკრას, სომხეთი შეიძლება გახარებულიც იყოს იმით, რომ სხვა (ახლად შექმნილ) რესპუბლიკებთან ერთად თავი დაიმარხოს, ოღონდ ჩვენს ზურგზე ხელახლა ნახოს ამაოხრებელი რუსეთის ლახვარი.

საქართველოს სახელმწიფოს ქვაკუთხედები უნდა იყოს ნეიტრალურობა და დამოუკიდებლობა, რათა ჩვენმა მთავრობამ მომავალ კონფერენციაზე საკმაოდ ფრთხილად და შორსმჭვრეტელურად იმოქმედოს, დაძლიოს შიდა ინტრიგები და მეზობლებთან ერთად ღირსეულად დაიცვას ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის დროშა. ამასთან ერთად, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი მეზობლებიც დააფასებენ საქართველოს მშვიდობიან მისწრაფებებს და მხედველობაში მიიღებენ ჩვენს მოთხოვნებს, რაც მეგობრულ და მეზობლურ თანამშრომლობას გაგვიადვილებს“.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 6 ნოემბერი, N228, გვ. 3

კაცთმოყვარეობის სახელით, გთხოვთ

ენვერმა გაჟლიტა სომეხი ხალხი თურქეთში, ხან-ხოისკი ამ ბოროტმოქმედებას ახორციელებს ადარბადაგანის რესპუბლიკაში, ხოლო ჟორდანიას მთავრობა – ლიბერალურ საქართველოში. „ახალგაზრდა თურქები“, „მუსავატისტი“ და „სოციალისტი“ ლიდერები შეკავშირდნენ, რათა, სამშვიდობო და არასამშვიდობო ხოცვა-ჟლეტის საშუალებით, სისრულეში მოიყვანონ სომეხთა გენოციდის სისხლიანი გეგმა.

ხალხი, მთელი კაცობრიობის თვალწინ, უშფოთველად და უდრტვინველად ნადგურდება – დღითიდღე ასობით და ათასობით ლტოლვილი ჩადის საფლავში და, სომეხი ხალხის საუბედუროდ, საქართველოში მის თანატომელთა გადარჩენილი ნაწილიც იღუპება.

საქართველოს მთავრობამ პარლამენტის „ისტორიულ“ სხდომაზე განაცხადა, რომ ის თიფლისის გუბერნიას, უდავოდ, მიიჩნევს საქართველოს განუყოფელ ნაწილად. მას, უეჭველია, ისიც ახსოვს, რომ, ამ განცხადების მიხედვით, თიფლისის გუბერნიაში შემავალი ახალქალაქის მაზრაც საქართველოს შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა, თუმცა ის მაინც გაჩუმდა და არაფერი უთქვამს ამაზე. იქნებ ეს იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობა, თავისი მიზნების ერთი ნაწილის მისაღწევად, მზადაა, სისხლი დაღვაროს ლორეს მიდამოებში, ხოლო მეორე ნაწილის მოგვარებას მშვიდობიან ჟლეტაში ხედავს.

მან არ თქვა, თუმცა ეს დუმილით ითქვა საქართველოს პარლამენტში.

სომეხ დევნილებს, ჯავახეთის გაქართველების მიზნით, ბაკურიანისა და წალკის მთიანეთში ანადგურებენ და ენვერ-თალაათის მეთოდებით არბევენ. ბოლო უნდა მოეღოს ამ ხოცვა-ჟლეტას, ენვერის ბოროტმოქმედებას (ახლა უკვე საქართველოს ფარგლებში) ვეღარ ავიტანთ.

სომეხი ხალხი უნდა გამოვიდეს კონკრეტული მოთხოვნით და შესთავაზოს საქართველოს „ლიბერალ“ მთავრობას, რომ დაუყოვნებლივ დააბრუნოს დევნილები თავიანთ ადგილებში და ამის შემდეგ გააუქმოს საკონცენტრაციო ბანაკები.

კაცთმოყვარეობის სახელით, ჩვენი ხალხის ფიზიკური არსებობის სახელით, მისი სიცოცხლის უწმინდესი უფლების სახელით, ეს მოთხოვნები უნდა შესრულდეს.

სომხეთის მთავრობა, საქართველოს მთელი სომხობა, თიფ-ლისის ყველა სომხური დაწესებულება და სომეხი მოქალაქენი წინ უნდა აღუდგნენ ამ მსხვერპლშეწირვას და აიძულონ საქართველოს მთავრობა, რომ ახლავე შეწყვიტოს სომეხი დევნილების მშვიდობი-ანი დარბევა.

დევნილთა პროტესტი ახალქალაქში არშეშვების გამო

გუშინ თბილისის მუშათა წარმომადგენლობითი კრების გადა-წყვეტილებით, მათი ხუთკაციანი ჯგუფი ჟორდანიას წარუდგა და მძაფრი პროტესტი გამოხატა იმის გამო, რომ საქართველოს მთა-ვრობა ლტოლვილებს ახალქალაქში დაბრუნების უფლებას არ აძ-ლევს.

წარმომადგენლების მკაცრი საჩივარი და ამ ტიპის მიმართვა ჟორდანიამ მძაფრად გააპროტესტა და განაცხადა: 1) მე ცალკე კო-მისიის მოწვევა მომიწევს იმის შესამოწმებლად, აძლევენ თუ არა თურქები დევნილებს უკან დაბრუნების უფლებას. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ნებას აძლევენ, მაშინვე ვუბრძანებ ჯარებს, წინ წაიწიონ და არ დაუშალონ ლტოლვილებს ახალქალაქში შე-სვლა; 2) თუ თქვენ თურქული სარდლობისგან წერილობით ნება-რთვას მოიტანთ, მაშინ დღესვე ვუბრძანებ ჯარებს, რომ დევნილებს ახალქალაქისკენ გზა გაუნთავისუფლონ; 3) ანდა, თუ ახალქალაქის ზოგიერთი სოფელი (თურქების მიერ ოკუპაციის გამო) დევნილთა განთავსებას ვერ შეძლებს, ამ შემთხვევაში, ლტოლვილთა ერთი ნაწილი ბორჩალოს იმ სოფლებს დაიკავებს, რომლებიც მანამდე თურქებს ეჭირათ, ნაწილი კი სომხეთში გადავა.

ისევ ახალქალაქის დევნილთა მდგომარეობა

თიფლისში მოვიდნენ ახალქალაქის დევნილთა რწმუნებულები, რომლებმაც საქართველოს სომხების ეროვნული საბჭოს ლტოლვილთა კომიტეტს გადასცეს შემდეგი მემორანდუმი: ბევრჯერ მივმართეთ სხვადასხვა ორგანიზაციასა და პიროვნებას და ვთხოვეთ, რომ ახალქალაქის ხალხი თავიანთ ადგილებში დააბრუნონ, რაც ერთადერთი ხსნაა, მაგრამ, სამწუხაროდ, დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერსაიდან მივიღეთ. უბედურება ისაა, რომ ახალქალაქის ლტოლვილთა ნახევარი უკვე ცოცხალი აღარ არის, დარჩენილი ნაწილი კი დღითიდღე იკლებს – ასობით ადამიანი კვდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ცოტა ხანში ცოცხალი არავინ დარჩება. ერთ მშვენიერ დღეს ეროვნული კრება და მისი დევნილთა კომიტეტი, ალბათ, იკითხავს, – „როგორ მოხდა, რომ ახალქალაქელი ხალხიდან არავინ მოგვმართა და არც დეპუტატები ჩანან?“ ამის პასუხი ის იქნება, რომ „ისინი უკვე საფლავში არიან“.

მაშასადამე, ეს ბოლო დელეგაციაა, რომელიც თქვენ მოგმართავთ და შუამდგომლობას გთხოვთ, რათა, რაც ძალა, ღონე და საშუალება გაქვთ, დაეხმაროთ ახალქალაქის ლტოლვილებს და 3-4 დღეში უკან, თავიანთ სამშობლოში, დააბრუნოთ ისინი. თუ ეს უკანასკნელი არ მოხერხდა, მაშინ საქართველოს მთავრობისგან იმ ნებართვის მიღება მაინც უნდა შევძლოთ, რომლითაც ჩვენს ხალხს ბორჩალოში ან სადმე სხვაგან ჩავასახლებთ. ერთი სიტყვით, დევნილები უნდა გამოვიყვანოთ „წალკად“ წოდებული სასაკლაოდან, სადაც თოვლსა და წვიმაში სიცივითა და შიმშილით ყოველ საათში ათეულობით ადამიანი იღუპება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენდამი რწმუნებული ხალხი, ყოველგვარი წინამძღოლის გარეშე, დაუყოვნებლივ გადავა ახალქალაქში. ამ მხრივ, უკვე უამრავ მცდელობას ჰქონდა ადგილი. ამ რამდენიმე დღის წინ წალკიდან დაახლოებით 300-მდე დევნილი გადავიდა დუხაბორების სოფელ ზულკაში. მათ თავიანთი სახლებისაკენ აიღეს გეზი. ასკერებმა ისინი ფაშას წარუდგინეს. ამ უკანასკნელმა დევნილები დააპურა და უკან გააბრუნა. თუმცა, ამ შემთხვევაში იმის გარანტია არავის ჰქონდა, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრებოდა.

დევნილთა პირუტყვის ერთი ნაწილი მოიპარეს, მეორე ნაწილი კი გაყიდეს. დარჩა მხოლოდ ერთი წყვილი ხარი, რომლითაც

ფიქრობენ ოჯახის გადარჩენილი ნაწილის მშობლიურ კერაზე დაბრუნებას, თუმცა ეს ხარები ამ საწყალი ხალხის ბოლო კაპიკსაც ჭამენ. ერთი ტომარა წამალი 8-10 რუბლი ღირს. დევნილი კი კვდება შიმშილითა და სიცივით, იხოცებიან მისი ხარები. შეიძლება, რომ ამ ტრაგედიას გულცივად უყურო? დევნილთა კომიტეტი თავს ნუ დაიიმედებს თავისი სუბსიდიით. ეს მის ურიცხვ მსახურთაც ძლივს ეყოფა. რაც კი რამე რჩება (თუ რჩება საერთოდ), ისიც თოვლივით უმალ დნება ჩინოვნიკთა ხელში და ლტოლვილამდე არაფერი აღწევს. დახმარებას დევნილთა მკაცრი კომისია უნდა აკონტროლებდეს და კომისის წევრებსაც თვითონ უნდა ირჩევდნენ. მას უნდა დაექვემდებაროს, აგრეთვე, მანგლისის ობოლთა თავშესაფარი და საავადმყოფო.

მიუხედავად იმისა, რომ ქალამნები, უკვე დიდი ხანია, მზად არის, ფეხშიშველა ობლები ისევ ტალახში დაწანწალებენ.

ახალქალაქის დევნილთა რწმუნებულნი: თადეოს ნაასაკიანი, კოსტან დუშუკიანი

თიფლისი, 4 ნოემბერი

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 7 ნოემბერი, N 229, გვ. 1-2

სომეხი დევნილები საქართველოში

1. მათი დღევანდელი მდგომარეობა

ა) დევნილთა წერილი

დღემდე არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები იმის თაობაზე, თუ რამდენი სომეხი დევნილია საქართველოში. არც საქართველოს მთავრობას და არც დევნილთა წარმომადგენლებს არ უცდიათ, რომ ამ საკითხზე ცოტა რამ მაინც გაერკვიათ. სომეხ დევნილთა რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემების არარსებობა კი საზოგადოებაში სხვადასხვა მოსაზრებას აჩენს: ამ დღეებში ქართველ სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელებმა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს გაუგზავნეს მიმართვა, რომლის მიხედვითაც, სომეხ ლტოლვილთა რიცხვი 300 000-მდეა, ხოლო საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭოს ლტოლვილთა კომიტეტის ხელმძღვანელი ჰ. არღუთიანი 6 ნოემბერს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ დევნილთა რაოდენობა 140 000-ს უტოლდება.

საქართველოში არასოდეს ყოფილა და არც არის 300 000 სომეხი დევნილი. ეს რიცხვი პირდაპირ ფანტასტიკურად უნდა ჩაითვალოს. მხოლოდ გაკვირვება და წუხილი შეგვიძლია გამოვხატოთ იმის გამო, რომ ქართული დემოკრატიის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც არიან ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე და რამიშვილი, თავიანთ სერიოზულ მიმართვებში ასეთ მცდარ მონაცემებს იყენებენ და ამას ხელმოწერითაც ადასტურებენ. ეს ოთხი პირი, ფაქტიურად, საქართველოს მთავრობას წარმოადგენს. გამოდის, რომ, ქართული მთავრობის აზრით, საქართველოს საზღვრებში 300 000 სომეხი ლტოლვილი იმყოფება. შესაძლოა, ამ გაზვიადებული რიცხვითაც აიხსნებოდეს, ნაწილობრივ, ის დაძაბული ბრძოლა, რომელსაც ქართული მთავრობა სომეხ დევნილთა წინააღმდეგ აწარმოებს, თითქოსდა, საქართველოს სხვა მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით. ეს მთავრობა დარწმუნებული

რომ ყოფილიყო დევნილების გაცილებით ნაკლები რაოდენობის არსებობაში, შესაძლებელია, მისი პოლიტიკა ამ შემთხვევაში უფრო ასატანიც გამხდარიყო. ვთვლი, რომ სინამდვილეს არც არღუთიანის მიერ მოყვანილი რიცხვი (140000) შეესაბამება.

ჩემი მიახლოებითი გამოთვლით, დევნილთა მოძრაობის დაწყებიდან დღემდე საქართველოს საზღვრებში შემოვიდა და დარჩა 150 000-მდე დევნილი. ამ რიცხვში არ შედიან ის ლტოლვილები (მათი რიცხვი ათეული ათასია და ისინი, ძირითადად, ლარსელები და ალექსანდროპოლელები არიან), რომლებიც საქართველოში არ დარჩნენ და, ჩრდ. კავკასიისა და ფოთის გავლით, პირდაპირ რუსეთის სხვა ადგილებისკენ გაემართნენ. ამ 150 000 დევნილში შედის, აგრეთვე, 80 000 სული ახალქალაქიდან. ისინი ბაკურიანსა და წალკაში გადავიდნენ. დარჩენილი 70 000 კაცი კი, ძირითადად, თიფლისში, ბორჩალოს მაზრის სხვადასხვა კუთხეში, ცარსკიე-კოლოდციში (ახლ. დედოფლისწყარო, ლ. გ.) და საქართველოს სხვა მხარეებში გაჩერდა. 70 000 არის ამ ტერიტორიაზე მყოფი ლტოლვილების რაოდენობის მაქსიმალური მაჩვენებელი.

საქართველოში თავშეფარებული 150 000 სომეხი ლტოლვილიდან 8 000 სული აგვისტოს დასაწყისში, ქართული მთავრობის განკარგულებით, „ცარსკიე-კოლოდციდან“ აზერბაიჯანის საზღვრებისკენ გადაიყვანეს და იქ მათი დიდი ნაწილი გაწყვიტეს. ბარემ აქვე ვიტყვით იმას, რომ, როგორც ჩვენი პარტიის ორგანო „Дело народа“-ში დაბეჭდილი დოკუმენტური სტატიიდან ვიცით, 8000 ნუხელი დევნილი ქართული ბაიონეტებით აზერბაიჯანის საზღვარზე გადარეკეს, იქაური ჯალათების სასამართლოს გადასცეს და შემდეგ ცარსკიე-კოლოდციში განაიარაღეს, განაიარაღეს და გაწყვიტეს...

ამ ხუთი თვის განმავლობაში ბაკურიანსა და წალკაში თავშეფარებული დევნილებიდან თითქმის 35 000 სული გარდაიცვალა, ხოლო საქართველოს სხვა ტერიტორიაზე თავშეფარებულთაგან არანაკლებ 4-5 ათასი სული დაიკარგა. ასე რომ, ახლა საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე თავს აფარებს (ყველაზე ბევრი რომ ავიღოთ) 100-105 ათასი დევნილი, რომელთაგან დაახლოებით 45 000 სული გადასულია ბაკურიანსა და წალკაში, ხოლო 60 000 თიფლისსა და სხვა ადგილებში. ბაკურიანსა და წალკაში, ისევე როგორც მანგლისსა და ბელი-კლუჩიში, მყოფი დევნილები, თითქმის გამონაკლისის გარეშე, ახლქალაქიდან არიან, ანუ იმ მაზრიდან, რომელ-

საც ქართული მთავრობა საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობა ახალქალაქელებსაც თავის უეჭველ ქვეშევრდომებად თვლის. და თუ ეს ასეა, მაშინ, ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ ისევე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც სხვებზე. ახალქალაქელები, როგორც მისი ქვეშევრდომნი, უფლებამოსილნი არიან, ითხოვონ და ვალდებულნიც არიან, მოსთხოვონ საქართველოს მთავრობას დევნილებისთვის საზღვრების გახსნა და უფლებრივად სხვა მოქალაქეებთან გათანაბრება.

მაშასადამე, ბაკურიანსა და წალკაში ემიგრაციის წინაშე მდგარი სასიცოცხლო პრობლემები, რაც შეიძლება, მალე უნდა მოისპოს, რამეთუ საქართველოს ყოველი მოქალაქე, თუნდაც ახალქალაქელი დევნილი ავიღოთ, უფლებამოსილია, სპეციალური ნებართვის გარეშე, დასახლდეს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, სადაც კი მოისურვებს. საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ისეთი კანონი, რომლითაც მოქალაქეს ეკრძალება ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში ცხოვრება. დევნილები ვალდებულნი არიან, ჰკითხონ მათზე მამასავით მზრუნველ საქართველოს მთავრობას: კაცთმოყვარეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელი კანონის საფუძველზე არიან ერთ ადგილზე მილურსმულნი ახალქალაქის დევნილები ბაკურიანსა და წალკაში? რა აიძულებს ქართულ მთავრობას, რომ, ლამის, კანონგარეშე გამოაცხადოს ის მოქალაქეები, რომლებიც სომეხთა და ქართველთა მთავრობების მიერ წარმოებული ომის მსხვერპლნი არიან? უფლებრივად გაუთანაბრეთ ახალქალაქელები საქართველოს სხვა მოქალაქეებს და ემიგრანტთა პრობლემაც გადაწყდება.

საქართველოში მცხოვრები 100 000 სომეხი ლტოლვილის, ალბათ, ნახევარს საკუთარი სახსრებით თავის გატანა რაღაცნაირად შეუძლია. მეორე ნაწილს, კერძოდ, 50 000 სულს კი, საქმითაც და თანხითაც, დახმარება სჭირდება. ამ 100 000 დევნილიდან, სულ ცოტა, 15 ათასი ობოლი იქნება.

ასე რომ, საქართველოს მთავრობა და სომეხი ხალხი ვალდებულნი არიან, ძალ-ღონე მოიკრიბონ და ყველა ხერხს მიმართონ, რომ ეს 50 000 დევნილი და 15 000 ობოლი როგორმე გადაარჩინონ. ნორმალურ პირობებში, ბუნებრივია, საქართველოს მთავრობამ უნდა მოაგვაროს ლტოლვილთა ყველა გასაჭირი. თუმცა ამ მთავრობას ჯერ კიდევ არ უპყრია ხელთ შესაბამისი იარაღი და არც რამე ნივთი-

ერი საშუალება, რომ ლტოლვილთა დაცვა მთლიანად თავის თავზე აიღოს. ასე რომ, სომეხმა ხალხმა ამ ტვირთისგან განთავისუფლებულად არ უნდა ჩათვალოს თავი.

პ. აბელიანი

საქართველოს შუამდინარეთის ატანა უკვე აღარ შეგვიძლია

თიფლისი, 8 ნოემბერი

„ორიზონის“ გუშინდელ ნომერში ჩვენ შემოკლებული სახით მოგაწოდეთ ცნობა იმ შეხვედრის შესახებ, რომელიც გაიმართა საქართველოს მთავრობის მინისტრ-თავმჯდომარე ჟორდანიასა და თიფლისის სომეხ მშრომელთა წარმომადგენლებს შორის. შეხვედრა მოედანზე ჩატარდა.

ქართული მთავრობის მეთაურმა სამი მეთოდი შესთავაზა მათ დევნილთა საქმის მოსაგვარებლად. მან, **ჯერ ერთი**, აღუთქვა იქ შეკრებილთ, რომ საგანგებო კომისიის საშუალებით დააზუსტებდა, ჰქონდათ თუ არა რამე საწინააღმდეგო თურქ ხელისუფალთ დევნილთა დაბრუნების თაობაზე და განაცხადა, რომ, დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, მაშინვე უბრძანებდა თავის ჯარებს, რომ ხელი არ შეეშალათ ახალქალაქისკენ მიმავალი ლტოლვილებისათვის. **მეორეც**, ჟორდანიამ თქვა, რომ მსგავსი ნებართვა სომხებმა უნდა მოიტანონ თურქი სარდლობისგანაც და იგი დაუყოვნებლივ უბრძანებს თავის ჯარებს, რომ ჯავახეთის ხალხს დაკეტილი კარი გაუხსნან. და ბოლოს, **მესამე**, – დაამატა საქართველოს მინისტრ-თავმჯდომარემ, – საქმის წარმატებული გამოსავლის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება დევნილთათვის დროებითი ნებართვის მიცემა, რომ მათი ერთი ნაწილი ბორჩალოში თურქებისაგან დაცლილ სოფლებში განათავსონ, ხოლო მეორე ნაწილს სომხეთში შესთავაზონ გადასვლა. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ამ შეთავაზებებში გამოსავლის მაგვარი რაღაც არის. თუმცა, მართალია, ამ რჩევებში ურთიერთსაწინააღმდეგო არაფერია, მაინც, ყველაზე უკეთეს შემთხვევაშიც კი, მხოლოდ შეთავაზებაა და მეტი არაფერი.

ჩვენ დამტკიცებულად ვიცით, რომ ეს დაპირებები მხოლოდ დროის გაწელვა და გაჭიანურებაა მაშინ, როცა ყოველ დღეს და საათს, შეიძლება, საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდეს უბედური დევნილებისთვის.

და თუ ერთ მშვენიერ დღეს ეროვნული კრება და მისი დევნილთა კომიტეტი იკითხავს, – ახალქალაქელები და მათი დეპუტატები რატომ არ გვეხმაურებიანო,_ ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ისინი უკვე დიდი ხანია საფლავში განისვენებენ, – წერენ იმედგადაწყვეტილი და სასოწარკვეთილი ახალქალაქელი ლტოლვილების რწმუნებულები თავიანთ ბოლო საპროტესტო წერილში („ორიზონი“, N229).

აი, ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ტომის დევნილთა გადარჩენილი ნაწილი. აი, ასეთ კრიზისულ ვითარებაში არიან ისინი.

მოედანზე შეკრებილებმა მკაცრად მოითხოვეს, რომ უფრო მკვეთრი და მძაფრი ზომებისთვის მიემართათ და ყოველივე ამის პასუხად მხოლოდ საყვარელი „ინტერნაციონალისტების“ რჩევები, ისევ რჩევები, ისევ...დაპირებები.

თურქულმა სარდლობამ, დაახლოებით ათი დღის წინ, სპეციალური წარმომადგენელი გამოგზავნა თიფლისში ქართველ და სომეხ ოფიციალურ პირებთან ერთად დევნილთა დაბრუნების საკითხის განსახილველად და, როგორც ვიცით, ასეთი გულცივი და მზაკვრული დამოკიდებულების წყალობით, დღემდე ერთი წესიერი თათბირიც კი არ შემდგარა. საქმე არ კეთდება, საქმე წინ არ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ ყველას... „წმინდა სურვილი ამოძრავებს“ დევნილთა გადასარჩენად და მათი პრობლემის წინაშე არსებული დაბრკოლებების „დაუყოვნებლივ“ მოსაგვარებლად. ბოლოს და ბოლოს, გვეყო, თავი დავანებოთ ამ მდაბალ, საზიზღარ და მყრალ თამაშებს.

დახვეწილი და შენიღბული გზებით სახავენ სომეხი ხალხის არნახული გენოციდის გეგმას და ჩვენ წინაშე განძარცვულნი წარსდგებიან. ამიტომაც აღარ გვაქვს უფლება, მათს სიტყვას ან დაპირებას ვენდოთ.

საქართველოს მთავრობამ კარგად იცის, როგორ ჩათვალოს ჯავახქი თავის განუყოფელ მიწა-წყლად, აქ მცხოვრებთ კი უფლებრივად ზღუდავს. მას ეხერხება საქართველოს მოქალაქეთა დიდსულოვნად გადაბარება საწყალი და უბედური სომხეთისათვის. აი, ასე დაცლილი, დამახინჯებული და გადაგვარებულია ამ ქვეყნისა და მისი

მმართველების წეს-ჩვეულებანი. ვეკითხებით ქართულ მთავრობას: რომელი კანონით ართმევენ საქართველოს ქვეშევრდომს თავისუფალი გადაადგილების უფლებას თავის სამშობლოში? ხოლო თუ ასეთი კანონი არ გამოუციათ და არ მოქმედებს, მაშინ რატომ ჭრის ეს არარსებული აქტი საქართველოში მხოლოდ ჯავახქის მოქალაქეების მიმართ? რატომ არ სახავს იგივე მთავრობა საგანგებო გზებს თავის ქვეშევრდომთა სიკვდილის ბრჭყალებიდან გამოსახსნელად (ან რატომ არ მიმართავდა მათ დღემდე)? რომელი კანონით და მზაკვრული განზრახვით შექმნა მან შუამდინარეთის საკონცენტრაციო ბანაკები საქართველოში? ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ ამჯერად დაზარალებული, განადგურებული და სასიკვდილოდ განწირული ეროვნებით სომეხია და არა ქართველი. და თუ ეს ასეა, დაე, უფრო მძლავრად გაისმოდეს ჩვენი და ჩვენი ხალხის პროტესტი და წყევლა ამ მთვრობის მისამართით. მორჩით თქვენი ქვენა ინტრიგების ხლართვას და თავი ანებეთ ჩვენი ემიგრანტების მშვიდობიან ჟლეტას. დაუყოვნებლივ იღონეთ რამე! დააბრუნეთ თქვენი მოქალაქენი თავიანთ ადგილებში და შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკები გააუქმეთ!

ჩვენ აღარ ძალგვიძს გაჩუმება და საქართველოს შუამდინარეთის გაძლება!

კავკასიის კონფერენცია და „დაშნაკცუთიუნი“

სოციალ-დემოკრატების ორგანო „ერთობა“ თავის 238-ე ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილში დარწმუნებით აცხადებს, რომ „დაშნაკცუთიუნს“ არ სურს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სადავო საკითხების კონფერენციის ან არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვეტა.

გაზეთი თბილი სიტყვებით საუბრობს არბიტრაჟის ცნების იდეალურ დანიშნულებაზე და წერს:

„ვინ შეიძლება იყოს კონფერენციისა და არბიტრაჟის იდეის წინააღმდეგი? სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ქაჯაზნუნის დეპეშიდან ვიცით, რომ ბორჩალოს მაზრაში მიმდინარე ამბებმა ხსენებულ მთავრობასაც კონფერენციის მოწვევის აზრი გაუჩინა. ვიცით, აგრეთვე, ისიც, რომ ყველა პარტიისა და ორგანიზაციის სურვილი იყო რესპუბლიკებს შორის ატეხილი დავის მშვიდობიანი გზით (სისხლისღვრის გარეშე) დასრულება. გამონაკლისი ოდენ კაციჭამია შოვინისტები იყვნენ. ამ ერთსულოვნებაში მხოლოდ ვეშაპელებსა და გაბაშვილებს სურდათ იარაღის ძალით დავის გადაწყვეტა და სომხური ჯარების (სომეხ კოლონისტებთან ერთად) ვანის ტბამდე გადარეკვა. მარტო „დაშნაკცუთიუნმა“ (სომხურ პარტიათაგან ერთადერთმა) დაიჭირა ვეშაპელ-გაბაშვილთა მსგავსი შეურიგებელი პოზიცია.

ის ბრძოლა, რომელსაც კონფერენციისა და არბიტრაჟის წინააღმდეგ აწარმოებენ დაშნაკთა ორგანოები – „ორიზონი“ და „აშხატავორი“ – არაფრით განსხვავდება ვეშაპელებისა და გაბაშვილების მიერ წარმოებული ბრძოლისაგან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ქართველი შოვინისტები პირდაპირ და ღიად აღიარებენ დავის იარაღით გადაწყვეტის საჭიროებას, სომეხი შოვინისტები კი სიტყვით „მშვიდობას“ ქადაგებენ და საქმით ბორჩალოს მაზრაში ატეხილი დავის იარაღით მოგვარებას ემხრობიან.

დაშნაკცაკანები (იგივე დაშნაკები, ლ. გ.) კონფერენციის მოწვე-

ვის აუცილებელ პირობად იმას თვლიან, რომ საქართველოს რესპუბლიკამ და აზერბაიჯანმა სომხეთის რესპუბლიკას სწორედ იმ საკითხებში დაუთმონ, რომლებიც სადავოდ არის გამოცხადებული და რომლის გადასაჭრელადაც კონფერენციის მოწვევა გახდა საჭირო. თუკი ჩვენ უამისოდ მოვახერხებთ ერთმანეთში სოლიდარობისა და მეგობრობის განმტკიცებას, ამაზე მნიშვნელოვანი საკითხი რაღა ექნება კონფერენციას? თუ აზერბაიჯანი წინდაწინ უარს იტყვის იმ „ორიენტაციაზე“, რომელიც დაშნაკებს არ მოსწონთ, თუ საქართველოს რესპუბლიკაც, კონფერენციის მოწვევამდე, სომხეთს დაუთმობს ლორე-ფამბაკის რაიონებს და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში „დაშნაკცუთიუნს“ სავსებით დაეთანხმება, მაშინ კონფერენცია, რასაკვირველია, დაკარგავს თავის უმთავრეს დანიშნულებას.

მოკლედ რომ ვთქვათ, დაშნაკცაკანების მსჯელობა იმას ეხება, რომ საქართველომ და აზერბაიჯანმა ყველა მთავარ საკითხში დაუთმონ სომხეთს და მხოლოდ მაშინ ექნება აზრი კონფერენციასა და არბიტრაჟს. ეს, არსებითად, იმაზე მიუთითებს, რომ „დაშნაკცუთიუნი“ თავიდანვე პრინციპულად წინააღმდეგი იყო როგორც კონფერენციის, ისე არბიტრაჟის.

და რადგანაც კონფერენცია და არბიტრაჟი სადავო საკითხების მოგვარების ერთადერთი საშუალებაა, გამოდის, რომ „დაშნაკელთა“ ფრაზები „მშვიდობის“ შესახებ ცარიელი სიტყვებია, საქმით კი მის პოლიტიკას სამხედრო ძალის ამოქმედებისა და იარაღის ჟღარუნისაკენ მივყავართ. მაშასადამე, მათი პოლიტიკა ისევ იმ ვეშაპელ-გაბაშვილების იარაღისკენ მოწოდებაა, ოღონდ, არა აშკარა და გულღია, არამედ უფრო ფარული და შენიღბული მოწოდება.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 8 ნოემბერი, N 230, გვ. 2-3

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა ახალქალაქისა და ახალციხის მოსახლეობას

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, აქამდე ვერ შეძლო ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების მოსახლეობაზე ზრუნვა. ეს ოლქი რამდენიმე თვის წინ ძალით წაართვეს საქართველოს და ახლა ხელახლა უბრუნდება მას. თურქეთის მთავრობისგან მიღებული უწყების თანახმად, მათი ჯარები ზემოხსენებულ მხარეებსაც ცლიან და, ამგვარად, საქართველოს მთავრობას ახლა უკვე იმის შესაძლებლობა მიეცემა, რომ დაეხმაროს აღნიშნული მაზრების გაფანტულ მოსახლეობას და ახლო მომავალში მათ ცხოვრებისეული სიძნელეები შეუმსუბუქოს. მაშასადამე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია ყველაფერი და ამ მხარეებში შედის მტკიცე განზრახვით, რომ იქაურ მოსახლეობას მშვიდობიანი და ნორმალური ცხოვრების პირობები შეუქმნას.

ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ არსებული ცნობების თანახმად, რამდენიმე ბოროტი პიროვნება განზრახ ავრცელებს ტყუილ და ცილისმწამებლურ ამბავს, რომ, თითქოსდა, აღნიშნული ოლქების მუსლიმ მოსახლეობას მკაცრი სასჯელი და რეპრესიები ელოდება მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლება თავის ძალაუფლებას გაავრცელებს. საქართველოს მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ბოროტი ხალხის მიერ მოგონილი ცილისწამებაა და რომ ამ იავარქმნილი ადგილების მოსახლეობას (განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა), გულითადი დამოკიდებულების გარდა, არაფერი ემუქრება. იგი იმედოვნებს, რომ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების მრავალეროვნული საზოგადოება მთელი სერიოზულობით აწონ-დაწონის ვითარების სიმძიმეს და მჭიდროდ ითანamშრომლებს მასთან. ასევე, აუცილებლად შეინარჩუნებს სიმშვიდეს და, ძმური ერთობისა და თანამშრომლობის საწყისებზე, ხელს შეუწყობს ამ მხარეების აღორძინებასა და აღმშენებლობას ახლად შექმნილ საქართველოს რესპუბლიკაში.

1. მათი დღევანდელი მდგომარეობა

ბ) ობლების ვითარება

როგორც ამბობენ, საქართველოში დაახლოებით 15 000 ობოლია. მათგან 4 000 სული იმყოფება ობოლთა თავშესაფრებში, დანარჩენი 11 000 ბავშვი ბედის ინაბარაა ან, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, სიკვდილისთვის არის განწირული. თავშესაფრებში განთავსებულ ბავშვთა მდგომარეობაც არ არის შესაშური. თითოეული ობლისთვის, იქ მომსახურე პერსონალის ჩათვლით, ყოველთვიურად 150 რუბლია გამოყოფილი. თავის მხრივ, ყოველდღიური 5 რუბლი ისეთი თანხა არ არის, რომ ბავშვების აუცილებელი საჭიროებანი დააკმაყოფილოს. თუმცა ამ ხუთი რუბლის დიდი ნაწილიც (სავარაუდოდ, 50 %) ვერ აღწევს ბავშვებამდე და, ძირითადად, მომსახურე პერსონალის ხელფასზე იხარჯება. ამასთან, დევნილებშიც არიან ქურდები, რომლებიც ამ ბავშვებისათვის გამოყოფილ დახმარებას იპარავენ. ეს სახსრები ხშირად, ქურდების გარეშეც, არასწორად იხარჯება. აქ უკვე ორგანიზაციების ხელმძღვანელები სცოდავენ. მათ არ აქვთ საამისო უნარები. ასეა თუ ისე, მთავარი ის არის, რომ ობოლი ბავშვი მაინც ვერ იღებს იმ ყველაფერს, რაც მის საჭიროებებს დააკმაყოფილებს და, თუნდაც დააკმაყოფილოს, ეს მაინც არ არის საკმარისი თანხა. ვისაც ობოლი ბავშვები ამ თავშესაფრებში უნახავს, ის გეტყვით, თუ რა სამწუხარო სანახაობა და რა სავალალო ვითარებაა იქ. როგორ საწყლად გამოიყურებიან ფეხშიშველი ბავშვები დახეულ-დაფლეთილი და ჭუჭყიანი ტანისამოსით, ქეციანი თავებით, შეწუხებული, ჩამომტირალი სახეებით, გალეული სხეულებითა და დარდიანი გამომეტყველებით. ეს ბავშვები უსიტყვოდ გიყვებიან იმ სავალალო პირობებზე, რომლებშიც მათ ამყოფებენ. მე ზუსტი ცნობები არ მაქვს იმაზე, თუ რამდენია დაღუპული ობოლთა თავშესაფრებში, თუმცა ცნობილია, რომ ამ ორგანიზაციებში მათი სიკვდილიანობა ჩვენი ყოფა-ცხოვრების ნაწილად იქცა. ლაპარაკი აღარ არის ღია ცის ქვეშ

დარჩენილ ბავშვებზე, რომლებიც უფრო საწყალობელ მდგომარეობაში არიან. მათ ხშირად შეხვდებით ჩვენი დიდი და მდიდარი ქალაქის ქუჩებში, თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ისინი ზოგჯერ უკანაც მოგდევენ და მოწყალებას ითხოვენ. ზოგჯერ ხელში უჭირავთ გამვლელთაგან მიცემული გაზეთი და გვთხოვენ, რომ ვიყიდოთ. უფრო ხშირად ბავშვები შიმშილისა და სიცივისგან ისე არიან დასუსტებულნი, რომ ვინმეს შეწუხების თავიც არა აქვთ... ხან ტროტუარზე დგანან, სცივათ, კანკალებენ და გამვლელ-გამოვლელთ ნაღვლიანი წვრილი ხმით რაღაცას ეუბნებიან, ხან კი ძალაგამოლეულნი ქუჩის რომელიმე კუთხეში მიიკუნჭებიან და დუმან.

ჩვენი მზერა შეეჩვია ამ სურათებს და მშვიდად, უშფოთველად, შებრალების გარეშე (იმის გაუცნობიერებლად, რომ რაღაცა უნდა გავუკეთოთ ამ ბავშვებს ან რაღაცით მოვიგერიოთ მათი თავდასხმა) ვაგრძელებთ გზასა და ნორმალურ ცხოვრებას.

რა საშინელი იქნება ბავშვების მდგომარეობა ბაკურიანისა და წალკის მთიანეთში, ღია ცის ქვეშ, იმ დროს, როცა ირგვლივ ცივი ზამთარი ისადგურებს. ობლებზე საუბრისას არ შეიძლება, არ გაგახსენდეს მათი შავბნელი ცხოვრების ერთი ახალი და, თანაც, საშინელი მაგალითი. ამ ფაქტმა ერთი ღარიბი და უპატრონო სულთმობრძავი ქალი მომაგონა. იგი 6 ნოემბერს, სხდომის დღეს, ტაძრის ეზოში, შესასვლელის კედელქვეშ, კარის წინ ვნახე. მისი გვამი ოთხი დღის განმავლობაში ეზოში ეგდო და შეიძლება, რომ ამ სტრიქონების წერისასაც ისევ იქ იყოს.

ამ ხნის განმავლობაში მკვდარი დედის უბეს ორი ობლად დარჩენილი ვაჟი აფარებდა თავს. მათი მხილველი აქეთ-იქით აწყდება იმის გასარკვევად, თუ ვის ევალება დედის დაკრძალვა და ობლების მოვლა. დევნილთა ორგანიზაციების კარი კი სამუშაო საათების დასრულების გამო დაკეტილია.

გ) ჩვეულებრივი დევნილების მდგომარეობა

ლტოლვილთა დაახლოებით ნახევარი (50 000 სული), როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, თიფლისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ცხოვრობს. აქ ისევ ბლომად არიან დევნილები, რომელთაც დახმარება ენატრებათ, თუმცა ქალაქის აურზაური იმ დიდი გასაჭირის

დანახვის საშუალებას არ გვაძლევს, რომელშიც ახალქალაქიდან, ალექსანდროპოლიდან და სხვა ადგილებიდან მოსული დევნილები იმყოფებიან. ისინი, ძირითადად, ამ ქალაქების გაჭირვებული ფენებიდან არიან, არც სამუშაო აქვთ და არც არანაირი მატერიალური შესაძლებლობა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ (ჩვეულებრივ, არადევნილ მცხოვრებლებთან შედარებით) მათში სიკვდილიანობაც მეტია. ამ უკანასკნელთა უპირატესობა ის არის, რომ ისინი გარეთ, ღია ცის ქვეშ არ არიან, საზოგადოებაში ცხოვრობენ და ამ მიზეზით არც ადამიანური დახმარება აკლიათ და არც სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა.

სხვა არის წალკისა და ბაკურიანის მთიანეთში პირდაპირ „პატიმრობაში მყოფი“ ხალხის მდგომარეობა. ჩვენი მწერლები ცოტა კაცთმოყვარენი რომ ყოფილიყვნენ, გაიჭირვებდნენ და ამ ადგილებში წავიდოდნენ, რათა თავიანთი კალმით აღეწერათ დატყვევებული ხალხის ტანჯვა-წამების ამბები. ამით ისინი ჩვენამდე მოიტანდნენ ლიტერატურასა და წარმოსახვაში ჯერ არმომხდარ ფაქტებსა და სურათებს, რომლებითაც პროფესიონალი ჯალათების გულებს შეძრავდნენ.

დევნილებს არც ახალქალაქისკენ დაძვრის უფლება აქვთ და არც საქართველოში წასვლის. იქითა მხრიდან თურქული ტირანიის ხიშტს ხვდებიან, აქეთა მხრიდან კი – რესპუბლიკური საქართველოს მახვილს. ჩვენი ხალხისთვის წალკა და ბაკურიანი ღია ცის ქვეშ არსებული ციხეებია (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით). თუმცა ჩვეულებრივ ციხეებს (წალკასა და ბაკურიანთან შედარებით), ჭერის გარდა, კიდევ ერთი უპირატესობაც აქვთ – ჩვეულებრივ ციხეებში ადამიანებს აჭმევენ, ბაკურიანსა და წალკაში კი მთავრობა უდანაშაულოდ დაკავებულ 80 000 კაცს ჭამაზე უარს ეუბნება... ბუნებრივია, ასეთ პირობებში ხალხი კვდება და ადამიანები ჩუმად, უდრტვინველად იხდიან თავიანთ ვალს, – იხოცებიან. მათს რაოდენობაზე მე ერთხელ უკვე ვთქვი და ამის გამეორება საჭირო აღარ არის, შეგახსენებთ, მკითხველებო, რომ 80 000-დან 35 000 სული უკვე ცოცხალი აღარ არის. ისინი შიმშილითა და სიცივით დაიხოცნენ ციხეში... თვითონ არ მომკვდარან, დახოცეს... თუმცა მკვდრებს ბოროტმოქმედთა პოვნა არ შეუძლიათ, ცოცხლებს კი... ამაზე ცოტა ქვემოთ... თუმცა, ვინაიდან მკითხველს დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობებზე ნათელი წარმოდგენა ჯერ კიდევ არ აქვს, ამ საკითხზე აუცილებლად უნდა შევჩერდეთ.

ბაკურიანში 10-12 000 დევნილია. მათი დიდი ნაწილი საკუთარი ხელით აშენებულ ვიწრო, ნესტიან და უკარო სარდაფებში ცხოვრობს, სადაც თითქმის ისე ცივა, როგორც გარეთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ბაკურიანში უკვე ნამდვილი ზამთარია, პირუტყვი გარეთ არის და იხოცება. სოფლელები მიდიან დევნილთა ადგილობრივ ორგანიზაციებში ლტოლვილების დასახმარებლად, რათა აჭამონ, ასვან და, შეძლებისდაგვარად, ამუშაონ კიდეც. წალკაში ხალხი საერთოდ სულ ღია ცის ქვეშაა დარჩენილი და მთის ძირს აფარებს თავს.

თოვლიც უკვე მოვიდა... აგერ, დედა შალს ახვევს კალთაში ჩასმულ მომაკვდავ შვილებს... ბაკურიანსა და, განსაკუთრებით, წალკაში სიკვდილი თავისუფლად დანავარდობს და ყოველდღიურად ასობით ადამიანი კვდება. თუ მოსახლეობა 2-3 კვირის განმავლობაში კიდევ ასეთ პირობებში დარჩება, ახალქალაქელების საკითხიც მათი სიკვდილით დასრულდება... აღარას ვამბობ იმ გაჭირვებაზე, რომელსაც ისინი ადგილობრივი მოსახლეობისგან, ხელმძღვანელებისგან და, იმავდროულად, ლტოლვილთა ორგანოების მოსამსახურეთა მხრიდან განიცდიან.

დევნილები ცხოვრებისგან გარიყულნი არიან და ყველა მათ ჩაგრავს, ვინც კი გზად გადაეყრება – მათთვის მხოლოდ შეურაცხყოფა, ცემა და სიკვდილი გამოუმეტებია ბედს. საწყალ დევნილებს იმის საშუალებასაც არ აძლევენ, რომ მშვიდად, ხალხისგან ზედმეტი შეურაცხყოფის გარეშე, განეშორონ ამ წუთისოფელს. როგორი სიამოვნებით მოუვლენენ ხოლმე უკვდავნი მოკვდავთ დედამიწაზე არსებულ ყველა სატანჯველს!..

ძვირფასო თანასოფლელნო და თანამემამულენო, საყვარელო, ჭკვიანო, შრომისმოყვარე, მართალო მიწათმოქმედნო, თქვენ სიკვდილის წინ თავს შემდეგი ფილოსოფიით ინუგეშებთ (ალბათ, ასე განსჯიდნენ ბანიან ოდებში მცხოვრები თქვენი წინაპრები უვიც თუ ჭკვიან, გამოუსვლელ თუ გამოსულ ჯალათთა ნამოქმედარს): ყველანი მოვკვდებით, ბოროტისგან კი ბოროტი სახელი დარჩება.

იმის საჩვენებლად, თუ რაზე მიდის სასოწარკვეთილი და უმწეო ლტოლვილი ამ სასაფლაოსაგან თავის დასაღწევად, ეს ორი მაგალითიც საკმარისია:

ამ რამდენიმე დღის წინ დაახლოებით 300 სული დევნილი თვითნებურად, უნებართვოდ და უწინამძღოლოდ გაემართა წალკიდან ახალქალაქისკენ. ერთ-ერთ სოფელში ისინი თურქმა მოსამსა-

ხურემ გააჩერა, დააპურა და ისევ უკან გამოაბრუნა იმ მიზეზით, რომ, ნებართვისა და რწმუნებულის გარეშე, მაზრაში შესვლის უფლება არ ჰქონდათ.

და კიდევ ერთი საშინელი ფაქტი, რომელსაც დევნილთა წარმომადგენლები (ნაჰატაკიანი და დუშაკიანი) თავიანთი რაპორტის დამატებაში ადასტურებენ. ივნის-ივლისში ლტოლვილები (რომლებსაც ახალქალაქის მაზრის სოფლებიდან მათთვის დატოვებული პური ჩუმად უნდა წამოეღოთ და ხალხი შიმშილით სიკვდილისგან ეხსნათ) თურქებმა დახოცეს, დაახლოებით 800 სული... ისეც ხდებოდა, რომ ბანაკში პურის მომტანებს თვითონ სომხებივე ხოცავდნენ, რათა მთელი სანოვაგე წაერთმიათ მათთვის. ნაჰატაკიანი და სხვები, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ და ყველაფრის მოწმენი იყვნენ, ამბობენ, რომ ახალქალაქისა და წალკის მოსაზღვრე მთათა კალთები დახოცილთა გვამებითაა სავსე.

პ. აბელიანი.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წლის 10 ნოემბერი, N 231, გვ. 1-2

ბოლო მოეღოს ჩვენი ხალხის მშვიდად ჟლეტას

თიფლისი, 10 ნოემბერი

თავადურმა მენშევიზმმა ჩვენ მიერ, კაცთმოყვარეობის სახელით, წარმოებული პროტესტი უკვე „დაშნაკურ“ ბომბებთან, ავტომატებთან და ზარბაზნებთან გააიგივა, საიდანაც, მისი აზრით, დაუზოგავად ესვრიან და ანადგურებენ „ლიბერალურ“ და მშვიდობიან საქართველოს. თავადური მენშევიზმი, ნიჭიერი ისეთი პოლიტიკის წარმოებაში, რომელიც პროვოკაციით იწყება და პროვოკაციითვე მთავრდება და, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში სამართლიანად უწოდებენ „მენშევიკურ პოლიტიკას“, ჩვენი მართალი და მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური, კაცთმოყვარული მოთხოვნის საპირწონედ, ქართველ ხალხს შეფარვით ატყობინებს, რომ მისი მიწა „დაშნაკური“ ჯარებით არის გარშემორტყმული.

თავადური მენშევიზმი, რომელსაც სინდის-ნამუსის, მრწამსისა და პატიოსნების დავიწყება სჩვევია, ჩვენ მიერ გამოხატული უდიდესი რისხვის (დახოცილთა გამო) პასუხად, ახალ-ახალი გვამების ნახვის სურვილმა შეიპყრო; თავადური მენშევიზმი, რომელმაც „ნამდვილი პოლიტიკის“ ბოლო სიბრძნედ გერმანული ოკუპაციის წინაშე ფარულად მუხლის მოყრა ჩათვალა, ბედავს და დღეს დაუსჯელი დაშკოვების სახელებს ატრიალებს.

თავადური მენშევიზმი, რომელმაც (ისევ იმ „ნამდვილი პოლიტიკის“ კარნახით) ჩვენი ლტოლვილების წინააღმდეგ საქართველოშიც შუამდინარეთი მოაწყო, სინდისის ქენჯნის გარეშე ბედავს ამ ფენების სახელით ლაპარაკს.

თავადური მენშევიზმი, რომელმაც იცის, თუ როგორ დაუპირისპიროს ერთმანეთს ერევნიდან ყრილობაზე ჩამოსული, ურთიერთკეთილად განწყობილი სომეხი და თურქი გლეხები და როგორ ჩამოაგდოს მათ შორის მტრობა, დღეს ისევ სომხურ-თურქული კონფლიქტების სისხლიან მოჩვენებებზე საუბრობს.

თავადურმა მენშევიზმმა (რომელიც ფარულად თანაუგრძნობდა თურქთა კამპანიას) სომეხ ხალხს თავდაცვის ძლიერი საყრდენი მოუსპო და ახლა კვლავ რაღაც „დემოკრატიულ ფრონტზე“ ტიკტიკებს.

პარტია, რომელიც რუსეთის სახელს იფიცებდა და, რომელმაც რუსეთი გაყიდა; პარტია, რომელსაც „ლიბერალობის“ გამო არ სუ-

რდა, რომ სომხებით დასახლებული ლორე „დაეკავებინა“ და რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში დატოვებული ქონება მხოლოდ საქართველოს საკუთრებად გამოაცხადა; პარტია, რომელმაც არ შეაჩერა თურქი პარტიზანები, რომ ბაქოში შეიარაღებული ტრაგედია აეცილებინა თავიდან და თათარი ბეგების მიერ სომეხი ემიგრანტების წინააღმდეგ მომზადებული შეთქმულების მონაწილე გახდა, დღეს ისევ ადამიანურ, პოლიტიკურ და პარტიულ სათნოებაზე როშავს.

მოიხსენით ნიღაბი! ბოლოს და ბოლოს, საკმარისია! რამდენი შხამი, სიძულვილი და სისხლი დაანთხიეთ ამ საცოდავ ქვეყანას. გზა სხვას დაუთმეთ! მენშევიკური სოციალიზმის იარლიყი მოიშორეთ და ნება მიეცით, რომ კარგად შეგიცნონ თქვენ და თქვენი განძარცვული ბოროტი სული.

ყური დაგვიგდეთ და ნება მოგვეცით, რომ სხვებმაც გაიგონ ნამდვილი სიმართლე. დიახ, ჩვენ ვერ გავჩუმდებით იქამდე, სანამ ღია ცის ქვეშ მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკებში ყოველდღე, ყოველ საათს ზამთრის სიცივითა და ყინვით იღუპებიან ავადმყოფი, შიშველ-ტიტველი, ძვალტყავადქცეული, მშიერ-მწიერი, დაუცველი, გამრჯე გლეხები, სომეხი გლეხები; სანამ უცოდველ მსხვერპლთა გვამებით ივსება ბაკურიანის, წალკისა და მე-300 ვერსის სასაფლაოები, არ შეგვიძლია, გავჩუმდეთ და ჩვენს მთავრობას არ მოვთხოვოთ, რომ საქართველოში მყოფ ყველა მოქალაქეს (განურჩევლად ეროვნებისა) ერთნაირი თვალით უყუროს.

ვაცხადებთ, რომ საქართველოს მოქალაქეებს თავისუფალი გადაადგილების წმიდათაწმიდა უფლება ჯერ არ შეზღუდვიათ, თუმცა თქვენ მის ერთ ნაწილს ფარულად უკვე ჩამოართვით იგი და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ეს ნაწილი წარმოშობით სომეხია და არა ქართველი.

ჩვენ მთავრობასთან ერთი სათხოვარი გვაქვს: ცხადია, ჯავახი თავის მიწაზე დასაბრუნებლად არაფერზე უკან არ დაიხევს და სისხლსაც დაღვრის. ამიტომ თქვენც ჯავახის გადასარჩენად და მსხვერპლშეწირვისთვის მზად უნდა იყოთ.

ვიცით და ვამტკიცებთ კიდეც, რომ ახალქალაქში დაბრუნების საკითხი, თქვენივე მიზეზით, ჭიანურდება. ჯერ მომაკვდავი კაცი დაუბრუნეთ თავის კერას, მიწის ფლობის საკითხი კი შემდეგ გადაწყვიტეთ, — ასეთია ჩვენი თხოვნა.

ვხედავთ და შეუძლებელია, არ დავინახოთ, თუ როგორ უმოწყალოდ და ჩუმად იჟლიტება ეს საცოდავი ხალხი თქვენი პოლიტიკის

წყალობით. ამიტომ გთხოვთ, რომ ბოლო მოუღოთ თალაათის ბოროტმოქმედებას.

გაჩუმება აღარ ძალგვიძს! შეწყვიტეთ ჩვენი ხალხის მშვიდად ჟლეტა!

მთავრობის მიმართვა

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გაგაცნობთ საქართველოს მთავრობის მოწოდებას ახალქალაქისა და ახალციხის მოსახლეობისადმი. ამ მიმართვაში მთავრობა ხალხს განუმარტავს, რომ რესპუბლიკის ხელისუფლებამ (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო) დღემდე ვერ შეძლო ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების მოსახლეობის ცხოვრების მოწესრიგება. თუმცა ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება (როდესაც თურქები აღნიშნულ რეგიონს დატოვებენ) დაშლილგაფანტული ხალხის დახმარება და მათი მძიმე ცხოვრების შემსუბუქება.

საქართველოს მთავრობა იმავე მიმართვაში ოფიციალურად აცხადებს, რომ უკვე შედის თურქთაგან დაცლილ ტერიტორიაზე (უახლოეს წარსულში თურქების მიერ დაკავებულ მიწა-წყალზე) და, რომ მისი მიზანი ამ გაუბედურებულ ქვეყანაში წესრიგის დამყარება და განურჩევლად ყველა მოქალაქეზე ზრუნვაა. ეს მიმართვა, გარკვეულწილად, ჩვენც გვაიმედებს. ჩანს, რომ საქართველოს მთავრობამ ლტოლვილთა ფიზიკური გადარჩენისათვის ადგილიდან დაძვრა და დაკეტილი კარის გაღება ინება. ბევრჯერ ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, რომ დღევანდელ ვითარებაში ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია ჩვენთვის და ჩვენი ემიგრანტებისთვის და არ შეიძლება, რომ ამ ამბავს არ მივესალმოთ (იგულისხმება ყველა ნაბიჯი, რომელიც ამ კუთხით გადაიდგმება).

საქართველოს მთავრობის მიმართვა, უთუოდ, ბაკურიანისა და წალკის დევნილებსაც ეხება. ის მათ სახლში დაბრუნებას, მზრუნველობასა და მშვიდობას ჰპირდება. ერთი სიტყვით, არაფერს იმაზე მეტს, რასაც სომეხი ლტოლვილები აქამდე ითხოვდნენ. ოღონდაც, ეს დაპირებები დღესვე უნდა შესრულდეს, რამეთუ ხვალ უკვე ჩვენი ხალხისთვის გვიან იქნება.

საქართველო და მისი მეზობლები

ამ ბოლო დროს საქართველოს მთავრობისა და მმართველი საზოგადოებრივი წრეების პოლიტიკური განწყობილება თვალში საცემია თავისი წრეგადასული ნერვიულობით. ისინი ყველგან და ყველაფერში დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებასა და მტრობას ხედავენ.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მტრები არიან ოსმალები, ყუბანელები თავიანთი მოხალისეთა არმიით, რუსები თავისი სოვდეპებით. თუმცა, სამწუხაროდ, მათი სია ამით არ მთავრდება. მასში საპატიო ადგილი უჭირავთ სომხებს, აზერბაიჯანელებსა და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ტომის ხალხებს, როგორებიც არიან, მაგ., რუსები, აფხაზები, ოსები, თურქები, აღარაფერს ვამბობთ სომხებზე, რომლებიც რესპუბლიკას დღედაღამ ძირს უთხრიან. მაშასადამე, საქართველო, შიგნიდან თუ გარედან, გარშემორტყმულია მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი მტრით. მისი მთავრობა და მმართველი საზოგადოებრივი წრეები იმ ქალაქის მეთაურს ჰგვანან, რომელიც ალყაშია მოქცეული და, შეთქმულების შიშით, ყველაფერს ეჭვითა და აჩქარებით უყურებს, რათა არაფერი გამორჩეს და მოღალატეთ თავისი ადგილი დროულად მიუჩინოს.

ასე რომ, ოსმალები, ყუბანის მოხალისეთა არმია და საბჭოების რუსეთი არ არიან კეთილად განწყობილი საქართველოს მიმართ. ეს ძნელი გასარკვევი არ არის და ერთი შეხედვითაც ჩანს. მით უმეტეს, რომ ეს არაკეთილგანწყობა მხოლოდ საქართველოთი არ შემოიფარგლება და, მეტ-ნაკლებად, სომხეთსა და აზერბაიჯანზეც ვრცელდება. გასაგებია ისიც, რომ საქართველოს მთავრობა და მმართველი წრეები იმ საშუალებების ძიებაში არიან, რომლებიც ზემოხსენებული ძალებისგან საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად სჭირდებათ. ამიტომ მოდით, ჩვენც თავი დავანებოთ და ერთ მხარეს დავტოვოთ ამ საკითხზე საქართველოს მთავრობის მოსაზრებები და წინ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხთა შორის მტრობის პრობლემა დავაყენოთ. საქართველოს საზოგადოების მმართველ წრეებს თუ ვკითხავთ, რა არის ამ მტრობის მიზეზი, ისინი ორ გარემოებაზე მიგვითითებენ: პირველი, რომ ყველას საქართველოს კეთილდღეობის შურს და მეორე, რომ საქართველოში განმტკიცებული ლიბერალი კლასები მოსვენებას არ აძლე-

ვენ კონტრრევოლუციონერებს. ვფიქრობთ, ტყუილი დროის ფლანგვა იქნება, რომ პირველი მიზეზის საწინააღმდეგოდ ვისაუბროთ, რამეთუ გადაჭარბებულად დიდი წარმოდგენა უნდა გქონდეს საქართველოს კეთილდღეობაზე და ზედმეტად დაბალი წარმოდგენისა უნდა იყოთ ამ ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ სხვა ხალხებზე ასეთი მასშტაბის შურისა და ამ შურით განპირობებული ასეთი მასშტაბის მტრობის წარმოსადგენად: უფრო მეტი დროის ფლანგვა იქნება, თუ მეორე მიზეზზე ვისაუბრებთ, რადგან, ჯერ ერთი, თვითონ ქართველი ხალხის ლიდერებსაც არ სწამთ გულწრფელად, რომ საქართველო დემოკრატიული წესებით ცხოვრობს და, მეორეც, უაზრობა იქნებოდა, გვევარაუდა, რომ ამ ქვეყანაში მცხოვრები თუ მის ფარგლებს გარეთ მყოფი ხალხები ისე არიან კონტრრევოლუციური სენით შეპყრობილნი, რომ დღევანდელ საქართველოში დარჩენილი რევოლუციური ატმოსფერო ვეღარ აუტანიათ. თუმცა, ამასთან ერთად, იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ როგორც საქართველოს მეზობელი ქვეყნების, ისე საქართველოში მცხოვრები სხვა ტომის ხალხები გამწარებულნი არიან (და, თანაც, როგორ სერიოზულად გამწარებულნი!) საქართველოში გამეფებული ვითარებისა გამო. ამ სიმწრის განცდა ისეთი დიდია, რომ არ შეიძლება რესპუბლიკის მთავრობისა და მმართველი ფენების უსიამოვნო ამბებმა გარეთ არ გამოჟონოს. თუმცა, სანამ ამ საბაბით გაღიზიანებული და მეფური ეჭვით შეპყრობილი ქართველი ხალხის პასუხისმგებელი წრეები მარჯვნივ და მარცხნივ სირბილს მოყვებიან, ჯერ სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ საიდან აღმოცენდება ეს სიმწარე, ვის წინააღმდეგ არის მიმართული და რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ასეთი გრძნობა აღმოიფხვრას. ამ საკითხების სერიოზულად განსჯისა და განხილვის გარეშე საქართველოს მთავრობა და მისი ხელმძღვანელები (სანამ გაბრაზდებიან და მარჯვნივ და მარცხნივ ცეცხლს გააჩაღებენ), ვერც საქართველოში და ვერც მის ფარგლებს გარეთ, ვერ მიაღწევენ კეთილსაიმედო საერთაშორისო ურთიერთობებს, რაც ასერიგად აუცილებელია როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ქვეყნების კეთილდღეობისთვის.

გავარკვიოთ ჩვენი თვალსაზრისი.

გაზეთი „ორიზონი“, თიფლისი, 1918 წ. 10 ნოემბერი, N 231, გვ. 2

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“
(ქართ. „ხალხის ხმა“)

ახალი პოლიტიკური ამბავი

ბათუმიდან გვატყობინებენ: „თურქეთიდან მიღებული ცნობებით ირკვევა, რომ კონსტანტინოპოლის გადატრიალება იმ შიდა ბრძოლის შედეგი იყო, რომელიც ორ პოლიტიკურ მიმდინარეობას შორის დაიწყო. ერთის სათავეში მოვიდნენ სულთანი და მისი მემკვიდრე, ხოლო მეორის სათავეში – ენვერ და თალაათ ფაშები. გაიმარჯვეს პირველებმა. ამბობენ, – ენვერი დაჭრილია, თალაათი კი – მოკლულიო. 17 ოქტომბერს მოკავშირე სახელმწიფოებმა თურქეთის მთავრობას წაუყენეს ულტიმატუმი, რომ 6 დღის განმავლობაში დატოვონ დარდანელი და პოლისიდან გაიყვანონ გერმანული ჯარები. თურქეთის ახალი მთავრობა მზად არის, შეასრულოს ეს მოთხოვნა.

ახალ მთავრობაში ერთი სომეხი მინისტრიც მიიღეს.

ბათუმიდან წავიდნენ ესაად ფაშა და სხვა ფაშებიც. იქ ახლა მთავარმმართველად გუბერნატორია. ჯარები სწრაფად გადაადგილდებიან ტრაპიზონის მიმართულებით.

ბათუმი იძარცვება (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით). თურქებს ყველაფერი მიაქვთ სახლებიდან, კარის გასაღებსაც კი არ ტოვებენ. ამბობენ, რომ თურქები დაიხევენ 1917 წელს არსებულ საზღვრებამდე და ბათუმიც კვლავ ქართველებს გადაეცემა.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 22 ოქტომბერი, N 41, გვ. 2

ინციდენტი სომხეთ-საქართველოს საზღვარზე

სომხეთ-საქართველოს საზღვარზე მომხდარმა შემთხვევამ აგვაღელვა ჩვენც და ქართული საზოგადოებაც.

პრესა უკვე შეუდგა ამ საკითხის გაშუქებას და სამწუხარო იქნება, თუ ამ ინციდენტის გარშემო პარტიული და ეროვნული ბრძოლა გაჩაღდება.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანო „Борьба“ მოწინავე სტატიაში თავს ესხმის სომხეთის მთავრობას და მას ამ ინციდენტზე პასუხისმგებლობას აკისრებს.

ჩვენ სომხეთის დღევანდელი დაშნაკური მთავრობის დამცველად ვერ გამოვდგებით, თუმცა (რადგანაც ჯერ სინამდვილე გარკვეული არ არის) ვფიქრობთ, რომ ნაადრევია სომხეთის მთავრობაზე თავდასხმა სადგურ კობერთან ინციდენტის გამო.

გვინდა, გვჯეროდეს, რომ ბ-ნ ქაჯაზნუნის მთავრობა ამ სამწუხარო ამბავში დამნაშავე არ არის. აუცილებელია, ახლავე და, თანაც, ორივე მხარის შეთანხმებით, საგამოძიებო კომიტეტის შექმნა, რათა ამ ინციდენტს ნათელი მოეფინოს.

როცა გამოძიება საქმეს გაარკვევს, დამნაშავე ოფიციალურ პირებს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა და უმკაცრესი სასჯელი.

კმარა უპასუხისმგებლო ადამიანების მიერ ჩვენი ხალხების ბედით თამაში.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 24 ოქტომბერი, N 43, გვ. 1-2

სომხეთ-საქართველოს საზღვარზე

გენერალი წულუკიძე სანაინიდან უდეპეშებს საქართველოს მთავრობის სამხედრო მინისტრს:

„26 ოქტომბერს, დილის 5 სთ-ზე, ჩემი ბრძანებით, N4 ჯავშნოსანი მატარებლიდან ცეცხლი გავუხსენით ჩვენი საჯარისო შენაერთის ფრთასა და ზურგში (ქარინჯის მაღლობებზე) მყოფ ბანდებს, რის შედეგადაც ისინი გაიფანტნენ. მოწინავე ჯარს ვუბრძანე სოფელ ქარინჯში შესვლა. სროლას შემოუერთდნენ ჩვენი დამცველებიც, რომლებიც ხიდთან, 118-ე ვერსზე, იმყოფებოდნენ როტმისტრ შანიძის მეთაურობით. სროლის შედეგად დაიჭრნენ ჯავშნოსანი მატარებლის არტილერისტი ჯორბინაძე (ჯორბენაძე, ლ. გ.) და ცხენოსანთა ასეულის ჯარისკაცი ბურჯულიანი (ბურჯალიანი, ლ. გ.).

დილის 7 სთ-ზე სამხედრო მოქმედებები შეწყდა. გარკვეულ გარემოებათა დაზუსტების შემდეგ სომეხი დელეგატების ერთი ნაწილი წავიდა ყარაქილისაში, სადაც იმყოფება სომხეთის ჯარების მთავარსარდალი დრო. ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო ხიდთან, ნეიტრალურ ზოლზე (118-ე ვერსი) მოვიდა სომხეთის სამსახურში მყოფი სარდალი კოროლკოვი (კორელკოვი, ლ.გ.), რომელიც ხელმძღვანელობს ჯარს სარკინიგზო ხაზიდან ქარინჯამდე (როგორც თვითონ გვაცნობა). კოროლკოვმა გადმოგვცა დროს მიერ ხელმოწერილი სასწრაფო დეპეშის ასლი (26 ოქტომბრის), რომლითაც უბრძანა სოფლების (ქარინჯი და წათერი) გადმოცემა და ასევე დაავალა, რომ ამის შესახებ ქართული სარდლობისთვის შეეტყობინებინა. ამ დეპეშის საფუძველზე გავეცი ბრძანება, რომ შეეწყვიტათ ყოველგვარი მოქმედება და ქარინჯ-წათერში დამდგარიყვნენ მცველები – თითოეული 15-15 ჯარისკაცითა და ოფიცრით, ხოლო ჯარის დანარჩენ ნაწილს ვუბრძანე, რომ თავი მოეყარათ სანაინში. ის, თუ რომელი ხაზი აიღეს სომხურმა ჯარებმა, ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ ვეცდები, რომ ეს ამბავი დროსთან პირადად შეხვედრისას გავარკვიო.

თავს მოვალედ ვრაცხ, შეგატყობინოთ ცხენოსანთა ასეულის კორნეტის – კორძაის (უნდა იყოს: კორძაიას, ლ. გ.) მამაცობისა და ჯავშნოსანი მატარებლის მთელი საჯარისო შემადგენლობის თავდადების შესახებ.

გენ. წულუკიძე

სომხეთის მისიის ცნობათა ბიუროდან

სომხეთის რწმუნებულმა (დევნილების ლორეს რაიონის სომხურ სოფლებში ჩასახლებაზე საქართველოსგან მიღებული უარის გამო) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართა შემდეგი განცხადებით:

„სომხეთის მთავრობა არ ცნობს ყოფილი ბორჩალოს მაზრის ლორეს რაიონს საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად. ასევე არ ცნობს საქართველოს უფლებამოსილად, რომ ამ უკანასკნელმა უარი თქვას სომეხი ლტოლვილების ჩასახლებაზე ლორეს სომხურ სოფლებში. თუ იგი დევნილების განთავსებისა და დასახლების საკითხს მაინც დააბრკოლებს, სომხეთის მთავრობა ამ ნაბიჯს ძალადობის აქტად ჩათვლის.“

მთავრობის თავმჯდომარე პატიებას სთხოვს ბ-ნ ჯამალიანს მანთაშიანის ქარვასლაში მდებარე იარაღის საწყობის ქართველ დამცველთა გამო, რომლებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს რწმუნებულს.

ამით ინციდენტი დამთავრებულად ჩაითვალა.

საინფორმაციო ბიუროს მმართველი: ა. მელიქ-კარამიანი

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 30 ოქტომბერი, N 47, გვ. 4

ამიერკავკასიის სახელმწიფოების კონფერენცია

თიფლისი, 31 ოქტომბერი

საქართველოს მთავრობამ სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს გაუგზავნა მოსაწვევები მათი წარმომადგენლებისთვის თიფლისის 10 ნოემბრის კონფერენციაზე დასასწრებად. განსახილველია რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი. კრებას უნდა დაესწრონ, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხების კავშირის წარმომადგენლებიც. საქართველოს მთავრობა გვთავაზობს ამ კონფერენციაზე განსახილველ შემდეგ საკითხებს:

ა) ყრილობაზე მოწვეული სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ორმხრივი აღიარება;

ბ) ყველა სადავო, მათ შორის, სასაზღვრო, საკითხის გადაჭრა დაინტერესებული სახელმწიფოების შეთანხმებით ანდა, ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, არბიტრაჟის საშუალებით;

გ) ორმხრივი ვალდებულება, – არცერთ სახელმწიფოსთან არ დაიდოს შეთანხმება კონფერენციაში მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს საზიანოდ.

დ) სოლიდარულად გამოსვლა მსოფლიო კონგრესზე, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ამავე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობისა და მათი საერთო ინტერესების დაცვისათვის.

ამ წინადადებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თავის ცირკულარში იმით ამყარებს, რომ მომავალ მსოფლიო კონგრესზე კავკასიის სახელმწიფოებიც უნდა დაესწრონ და მასზე, თავისი სიმცირისა და სიპატარავის გამო, ერთ ფედერაციად შეკრულნი უნდა წარსდგნენ. მათ გაერთიანებული ძალებით (ყოველგვარი წინააღმდეგობისა და ურთიერთ ხელშეშლის გარეშე) უნდა დაიცვან საერთო ინტერესები.

საქართველოს მთავრობის წინადადება ძალიან დროულია და მას სიამოვნებით შეხვდება ჩვენი ხალხების ყველა შეგნებული ელემენტი. კერძოდ, სომხური სახალხო პარტია თავის უწმინდეს ვალად თვლის, რომ მიიღოს და დაიცვას კონფერენციის იდეა ჩვენს საზოგადოებაში.

ეს კონფერენცია პირველი ნაბიჯი იქნება კავკასიის ხალხების თანხმობისა და ერთიანობის საქმეში, რასაც ჩვენ ყოველთვის ვიცავდით.

საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებულ პროექტზე უნდა ვთქვათ, რომ მისი პირველი ორი საკითხი თითოეული ჩვენი სახელმწიფოსთვის მარტივია და გასაგები. თუ ყველა ჩვენგანი ამ საკითხებს გულწრფელად და საქმიანად მოეკიდა, მაშინ გამოსავალს ჩქარა მოვნახავთ.

რაც შეეხება მესამე და მეოთხე საკითხებს, აქ უკვე პრობლემა რთულდება, რამეთუ, სანამ ჩვენი სახელმწიფოები სხვადასხვა ორიენტაციის გზას ადგანან, სანამ ისინი ურთიერთგანსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენენ მეზობელი სახელმწიფოს – თურქეთის – მიმართ და არ გაარკვევენ თავიანთ დამოკიდებულებას ასევე მეორე მეზობლის – რუსეთისადმი, გაუჭირდებათ მტკიცე პასუხისმგებლობის აღება. ხომ ნათელია, რომ კავკასიის ერებმა უცხო ტენდენციებიდან ყველაზე კარგად შეითვისეს ერთი – მეზობლის წინააღმდეგ მესამე ძლიერი ძალის გამოყენების ტენდენცია?!

ახლა, როცა მსოფლიო ომის დამთავრების საკითხი იხილება, როცა ჩრდილოეთში თავიდან ყალიბდება ველიკორუსის ხალხი, ხოლო თურქის ჯარი სახლში უნდა დაბრუნდეს, ჩვენი ორიენტაციების მწვავე საკითხიც შეიძლება მოგვარდეს. მაშასადამე, ჯერ კიდევ ბევრია სადავო საქმე, რომელთა წყალობითაც ზემოხსენებული კონფერენციის პროგრამის მეორე ნაწილი (ე. წ. საგარეო ნაწილი), შეიძლება, რომ კონფერენციის მონაწილე ქვეყნებისათვის ბნელით მოცულად და გაურკვევლად მივიჩნიოთ მის პირველ, ანუ საშინაო ნაწილთან შედარებით.

დღეს კი უნდა ვთქვათ, რომ, ასეა თუ ისე, ეს კონფერენცია ჩვენი პატარა სახელმწიფოების ურთიერთდაახლოებისათვის სერიოზული, მნიშვნელოვანი, ერთობ სასიხარულო და მისასალმებელი მოვლენა იქნება.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 31 ოქტომბერი, N 48, გვ.1

დაშნაკი დავითხანიანი ქართველი ეროვნულ-დემოკრატების ყრილობაზე

„კლდის“ კვირადღის ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით „დავითხანიანის ინტერესი“, რომელშიც შემდეგს ვკითხულობთ: „კვირას, 24 ნოემბერს, ქართული კლუბის დარბაზში დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა ყრილობა ჩატარდა. მისი საგანი იყო ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა და საორგანიზაციო საკითხები. სხვათა შორის, ყრილობის მიმდინარეობისას, დარბაზში შემოვიდა „დაშნაკცუთიუნისა“ და საქართველოს პარლამენტის წევრი დავითხანიანი.

დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატების ყრილობაზე დაშნაკის შესვლამ ბევრი გააოცა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ამ უკანასკნელს. დავითხანიანმა ცოტა ხანში გაზეთი „კლდე“ შეიძინა და კარისკენ გაემართა. მას იქვე მდგომი ერთი ახალგაზრდა გადაეღობა და ასე მიმართა: „მომიტევეთ, მაგრამ მალე საორგანიზაციო საკითხების განხილვა დაიწყება და ამ საგანზე თქვენი აზრიც გვაინტერესებს“. დავითხანიანმა თავი უხერხულად იგრძნო, შეყოვნდა და შემდეგ უპასუხა, – ცოტას გავივლი და ახლავე მოვალო...

როგორც ჩანს, დაშნაკთა თვალსაჩინო წევრს არ ეყო ის ინფორმაცია, რასაც ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში ბრძანებდნენ და ახლა პარტიის ყრილობაზე დასწრებაც მოისურვა, მაგრამ იცნეს და ეს ნომერი არ გამოუვიდა – ისე ვერ დაიკმაყოფილა ინტერესი, როგორც უნდოდა.

კრებაზე კი აქამდე არ დაბრუნებულა“.

რუბრიკა: „ქართული გაზეთებიდან“

„ერთობას“ მოჰყავს ციტატები „აშხატავორიდან“, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ საქართველოში დაფუძნდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც იძენს ნაციონალურ ხასიათს და „მეშჩანურ“, „წვრილბურჟუაზიულ“, „ქართულ ნაციონალისტურ“ პარტიად იქცევა.

„ერთობა“ წერს:

„ვინ გვიკიჟინებს ჩვენ ამაებზე? ნუთუ დაშნაკი პუბლიცისტები, რომელთა პარტია, საფუძველშივე, ნაციონალურია?! თუ ეს ყველაფერი მართალია, რასაც „აშხატავორი“ წერს, მაშინ რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? ალბათ, ის, რომ ვითომ „პროლეტარული“ და „ინტერნაციონალური“ „დაშნაკცუთიუნი“ თვითონ იყო ნაციონალურიც, „მეშჩანურიც“ და „წვრილბურჟუაზიულიც“. ასეთი ნიღაბი უკვე ზედმეტია, რადგან ეს პარტია თავიდანვე შოვინისტური და ნაციონალისტური მიმართულების იყო, იმ მიმართულებისა, რომელშიც დღეს „სოციალ-დემოკრატებს“ ადანაშაულებენ. ასეთია ლოგიკური დასკვნა „აშხატავორის“ სიტყვებზე.

თუმცა ის, რასაც „აშხატავორი“ ამბობს საქართველოს „სოციალ-დემოკრატიის“ შესახებ, რომ ის, ვითომ, „დაშნაკცუთიუნის“ მსგავსია, მართალი არ არის. ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს ტერიტორიულ ფარგლებში არსებული პარტიაა. ის ნაციონალური პარტია არ არის, ის ყველა ეროვნების მუშათა პარტიაა და, მაშასადამე, რჩება ინტერნაციონალურ ორგანიზაციად. მისი შემადგენლობა განსხვავდება დაშნაკობის შემადგენლობისგან ისე, როგორც უწინ.

„აშხატავორს“ სურდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესახებ ტყუილი ელაპარაკა და უნებლიედ (ლ. გ.), დაშნაკობაზე თქვა სიმართლე. ამაზეა ნათქვამი, – ვინც სხვას ორმოს უთხრის, შიგ თვითონ ვარდებაო.

ქართული ჯარი ახალციხეში შედის

თიფლისი, 5 დეკემბერი.

სამხედრო მინისტრმა მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: 4 დეკემბერს, 2 საათსა და 20 წუთზე, საქართველოს რესპუბლიკის ჯარი შევიდა ქალაქ ახალციხეში. ჯარის მეთაური გენ. მაკაევი (მაყაშვილი, ლ. გ.) წავიდა ახალქალაქში. **რაზმის მეთაური ზახარიძე** (ზაქარიაძე, ლ. გ.).“

ამის შემდეგ მეორე დეპეშაში წერია: „ქალაქის მოსახლეობა ამ ამბავს (ჯარის შესვლა ახალციხეში, ლ. გ.) სიხარულით შეხვდა. ხალხი ერთმანეთს ულოცავდა. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და შენობა წესრიგში მოიყვანეს. ჯარები განთავსდნენ სახლებში. დაინიშნა კომისია დაზიანებულ ნივთთა აღსაწერად. მდინარე სავსე იყო ბომბებით. ხვალიდან უნდა დავიწყოთ მათი ამოღება. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები თავიანთ პირად დამოკიდებულებას გამოხატავენ საქართველოს რესპუბლიკის მიმართ. **გენ. მაიორი მაკაევი.“**

ქართული ჯარი ახალქალაქში შედის

თიფლისი, 5 დეკემბერი

ახალქალაქიდან სამხედრო სამინისტროს სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „ახალქალაქში შევედი 10 საათზე. მოსახლეობა სიხარულითა და პურ-მარილით შემოგვეგება. გარშემო სულ ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობაა. უკიდურესი ზომები ვიხმარეთ. რაზმები გაიგზავნა სადარაჯოზე. მოსახლეობას გამოვუცხადეთ, რომ დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებში. ოფიცერთათვის განკუთვნილი ერთი შენობა, სადაც ხორბალი იყო ჩაყრილი, თურქებს გადაუწვავთ. ჯარის განწყობა კარგია. **მაკაევი**“.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 7 დეკემბერი, N 78, გვ. 2-3

სომხეთ-საქართველოს საზღვარზე

ყარაქილისიდან გვაცნობებენ, რომ საქართველოდან მოსულები ჩივიან მესაზღვრე ქართველი ჯარისკაცების უწესრიგო საქციელზე. ამ უკანასკნელთ ჩხრეკის დროს მიაქვთ ყველაფერი, თეთრეულის ჩათვლით.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 11 დეკემბერი, N 81

საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოში

10 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც სანაინის ამბებს მიეძღვნა. ა. ერზინკიანის მიერ ამ შემთხვევის მიმოხილვის შემდეგ საბჭომ დაასკვნა: 1) მხედველობაში ვიღებთ რა იმას, რომ საქართველოს მთავრობა დეპუტაციას გზავნის სანაინში შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწის, მახარაძის, ხელმძღვანელობით, საჭიროდ მივიჩნევთ, რომ საქართველოს სომეხთა ეროვნულმა საბჭომაც ანალოგიური დელეგაცია მიავლინოს ადგილზე საქმის გასაცნობად და ყველანაირად შეეცადოს ინციდენტის მოგვარებას; 2) ყველაფერი მოიმოქმედონ, რათა სომხეთისა და საქართველოს მთავრობებმა საბოლოოდ გადაჭრან საზღვართან დაკავშირებული დავა.

ბოლოს დააყენეს დელეგაციის არჩევის საკითხი. დეპუტაცია გუშინ, დილით, გაემგზავრა სანაინში.

ბრძოლა სანაინში

N1 ჯავშანმატარებლის უფროსი ხუნგია სანაინიდან უგზავნის შეტყობინებას ჯავშნოსანი მატარებლების შტაბს:

„დღეს, 9 დეკემბერს, დილის 8 სთ-ზე, ჩვენი საჯარისო ნაწილი ტყვიამფრქვევებიანად უზუნლარისკენ გაემართა. როცა ჯარი მთის მწვერვალს მიუახლოვდა, იქ დამალულმა სომხებმა ცეცხლი გაუხსნეს. ჩვენ ჯავშნოსანი მატარებლიდან ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით ვუპასუხეთ. სროლები გაგრძელდა გუშინდელი დღის 8 საათამდე. ჩვენებმა, ვერ შეძლეს რა მთაზე ასვლა, უკან დაიხიეს და დატოვეს ერთი ტყვიამფრქვევი. ქვეითმა ჯარმა დიდი დანაკლისი განიცადა, რადგან მთებიდან ქვები ცვიოდა, რის შედეგადაც

ჯარის სურსათით დატვირთული სამი თურქული ვაგონი დაიმტვრა. გვსურს, დააჩქაროთ და გამოგზავნოთ ის ჯავშნოსანი, რომელიც 2 სთ-ზე გთხოვეთ. აქ (აირუნისა და სანაინის სადგურებს შორის) აუცილებლად საჭიროა ჯავშანმატარებელი.“

მკვდრები და დაჭრილები სანაინში

გზებისა და კავშირგაბმულობის მინისტრმა სანაინიდან მიიღო ცნობა, რომ 9 დეკემბერს ბრძოლაში მოკლეს სამი ქართველი ჯარისკაცი, მძიმედ დაიჭრა ერთი, მსუბუქად – 6 (მათ შორის, ოფიცერი შუბლაძეც), უგზოუკვლოდ დაიკარგა 2. გამოიყენეს 1443 რუსული და 3460 ფრანგული შაშხანის ტყვია, სულ 5083 ცალი.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 12 დეკემბერი, N 82, გვ. 1- 4

ჩვენ ვითხოვთ ომის შეწყვეტას

სომხები და ქართველები (ორი მეზობელი ერი) საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. ისინი ერთმანეთს არ ებრძოდნენ, ერთმანეთის სისხლი არასოდეს დაუღვრიათ; საუკუნეობით ინარჩუნებდნენ მშვიდობასა და სიმშვიდეს, სიამოვნებით ცხოვრობდნენ ერთად თავიანთი ჯანმრთელი ინსტინქტითა და ეროვნული თვითშეგნებით.

მაგრამ მოვიდა ახალი ხალხი, ვინც თავის თავს ინტერნაციონალისტს უწოდებს, უარყოფს ეროვნებას, როგორც, ვითომდა, მთელი დედამიწის ზურგზე კაპიტალისტების მოგონილს. ამ ახლებმა ყველაფერს ომი გამოუცხადეს და მსოფლიოს მშრომელთა კლასს მოუწოდეს, რომ მათთან ერთად იბრძოლოს ძირმომპალი წესწყობილებისა და იმ ძველი ბელადების წინააღმდეგ, რომლებიც, თითქოსდა, ხალხების დაპირისპირებისაკენ ისწრაფვიან, რათა თავიანთი ბედნიერება მათს უბედურებაზე ააგონ.

და აი, მოძმე ერები (რომელთა სათავეში სოციალისტად და ინტერნაციონალისტად წოდებული ადამიანები დგანან და, რომელთაც მთელი ისტორიის მანძილზე ურთიერთთან არ უბრძოლიათ) ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, შეებრძოლნენ და ძმათა სისხლიც დაიღვარა.

დაე, როგორც უნდათ, ისე გაამართლონ ეს ომი ორივე მხარის ლიდერებმა. ჩვენთვის ყველა არგუმენტაციას აბათილებს ის უბრალო ფაქტი, რომ ქართველი სომხის სისხლს ღვრის და სომეხი კიდევ – ქართველისას და რადგანაც ჩვენი სინდისისთვის ეს მძიმე ამბავი აბსოლუტურად აუტანელი და მიუღებელია, გთხოვთ, ახლავე წერტილი დაუსვათ ამ სისხლისღვრას.

ორივე ერის მშვიდობაზე პასუხისმგებელმა ელემენტებმა ხმა უნდა აღიმაღლონ და მოითხოვონ, რომ ომი დაუყოვნებლივ შეწყდეს და სადავო საზღვართა საკითხი შერიგებით დამთავრდეს.

ორივე ხალხის ინტელიგენციამ თავის თავში უნდა იპოვოს ქართველ-სომეხთა კონფლიქტის მომგვარებელი ზნეობრივი ძალა და არ უნდა დაუცადოს მის მოსაწესრიგებლად გარედან მოსულებს. უნდა მოიძებნონ ისინი, ვინც დაიწყო ეს საშინელი სისხლისღვრა და ისე სამაგალითოდ დაისაჯონ, რომ მომავალში ეს მიუტევებელი ბოროტმოქმედება აღარავინ გაიმეოროს.

ჩვენ ვითხოვთ ომის შეწყვეტას.

მთავრობის უწყება

(16 დეკემბერი)

გამოქვეყნებული დოკუმენტების მიზანია, გაარკვიოს საქართველოს მთავრობის თვალსაზრისი ამიერკავკასიისა და ქართულ-სომხური კონფერენციის, ასევე მის ხელთ არსებული რესურსების შესახებ, რათა ჩატარდეს კონფერენცია და ამით ყველა სადავო საკითხი (შეთანხმებისა და არბიტრაჟის საფუძველზე) გადაწყვიტონ. აღნიშნული დოკუმენტები ნათელს მოჰფენენ, აგრეთვე, 9 დეკემბრის შემდგომ მოვლენებს, როცა სომხური საჯარისო ნაწილები თავს დაესხნენ ჩვენი საზღვრის დამცავ რაზმს.

დეპეშა ერევნიდან. 13 ნოემბერი. N 23. ტფილისი. მთავრობის თავმჯდომარეს. ასლი საგარეო საქმეთა მინისტრს

მოგახსენებთ, რომ დღეს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრისგან მივიღეთ განცხადება, სადაც სომხეთის მთავრობა ჩვენ მიერ ჩასატარებელი კონფერენციის თაობაზე მსჯელობს:

„თავიდანვე სასურველად თვლიდა რა ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენციის შეკრებას (მთელი რიგი საერთო – საყოველთაო საკითხების კვლევასთან დაკავშირებით, რაც ყველასთვის სარგებლის მომტანია), სომხეთის მთავრობა აუცილებლად მიიჩნევს (საქართველოს მთავრობასთან ერთად) მოლაპარაკებების დაწყებას ნავარაუდევი კონფერენციის პროექტზე, რათა დაზუსტდეს მისი შემადგენლობა, მომზადების პირობები, დრო და ადგილი. რაც შეეხება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრების (ღიად დატოვებული) დადასტურების საკითხს, ეს უნდა გადაწყდეს ორივე რესპუბლიკის მიერ, უპირველესად, ზემოხსენებული კონფერენციის შედეგად.“ გა-

ნცხადებას ხელს აწერს: **საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი. რწმუნებული მდივანი.**

დეპეშა. 14 ნოემბერი. N4884. ერევანი. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს – მდივანს

„გთხოვთ, გადასცეთ სომხეთის მთავრობას, რომ საქართველოს მთავრობა გაეცნო მის პასუხს. სთხოვეთ მას (გაფრთხილებთ წინასწარ), რომ თავისი წარმომადგენლები გამოგზავნოს კონფერენციაზე და თან, რაც შეიძლება, მოკლე დროში. **საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი.“**

დეპეშა ერევნიდან. 17 ნოემბერი. N28. საგარეო საქმეთა მინისტრს

„ტიგრანიანთან ზეპირი მოლაპარაკებების შედეგად მივაღწიე იმას, რომ მან, თავიდანვე, შესაძლებლად ჩათვალა კონფერენციაში სომეხი დეპუტატების მონაწილეობა, უპირველესად, საზღვრების საკითხის გამო და იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი საკითხი გადაწყდეს არა საერთო კონფერენციაზე, არამედ მხოლოდ ამ საკითხთან უშუალოდ დაკავშირებულ სახელმწიფოებთან ერთად. რასაც შემოგვთავაზებენ სომხეთის ხელმძღვანელები, ჩვენც უნდა დავადასტუროთ. **მდივანი.**“

დეპეშა. 22 ნოემბერი, ერევანი. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს – მდივანს

„ჩვენი კონფერენცია გადაიდო 30 ნოემბრისთვის. აი, ეს არის, რის გაკეთებაც შევძელი. ამ დროისთვის გელოდებით თქვენ და სომეხ დელეგატებს. **საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი.**“

დეპეშა. 2 დეკემბერი. ერევანი. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს – მდივანს

„კონფერენცია გადადებულია. სომხეთის მთავრობამ დელეგატები რატომ არ გამოგზავნა? შემეძლო, ჯერ სომხებთან მეწარმოებინა მოლაპარაკებები, მაგრამ, თუ მათგან არ გამოითქვა წინასწარი მოლაპარაკების სურვილი, ეს იდეა შეიძლება დიდი ხნით სათუო გახდეს (რუსულად მიწერილი აქვს: будет скомпрометирована, ლ. გ.) **საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი**“.

დეპეშა. 5 დეკემბერი. ერევნიდან. N73. ტფილისში მიღებულია 6 დეკემბერს. საგარეო საქმეთა მინისტრს

„დღეს მივიღე ტიგრანიანის შემდეგი შინაარსის შეტყობინება:

„სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის დავალებით, გთხოვთ, აცნობოთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომ არ შეიყვანოს ჯარი ახალქალაქის რაიონში იქ არსებული საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტამდე. **მდივანი**.“

თბილისიდან ერევანს. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელ მდივანს. „თქვენი დეპეშების პასუხად გაცნობებთ: ჩვენმა ჯარებმა ახალქალაქი დაიკავეს 5 დეკემბერს, დილის 10 საათზე. მთავრობამ ეს ნაბიჯი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით გადადგა, რადგან ბოლო არ უჩანდა აქ დარჩენილ თურქთა საჯარისო ნაწილების მიერ გამოვლენილ ძალადობას და, აგრეთვე, უპასუხისმგებლო შეიარაღებულ დაჯგუფებათა თავდასხმებს. საქართველოს მთავრობამ თავის მოვალეობად მიიჩნია (პირველივე შესაძლებლობისთანავე), ბოლო მოეღო აუტანელი მდგომარეობისთვის, რადგან თვლის, რომ მის მიერ ახალქალაქის მაზრის დაკავების საკითხი, არც ისტორიული და არც მორალური თვალსაზრისით, სადავო არ უნდა იყოს. ამასთან, საქართველოს მთავრობა სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ ეს გარემოება არანაირად არ მოახდენს ზეგავლენას ტერიტორიულ-სასაზღვრო დავის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებზე ორმხრივი შეთანხმების მიღწევისა და ორივე მხარისათვის მისაღები პირობების შემუშავების საქმეში. **საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი**“. N 5447. 1918 წლის 7 დეკემ-

ბერი (შენიშვნა: მხედველობაში ვიღებთ რა ერევანთან კავშირგაბ-მულობის არქონას, ეს დეპეშა გვიან გაიგზავნა).

ერევანი. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელ მდივანს

N5447 დეპეშის დამატებად გაცნობებთ, რომ სამხედრო სამინისტ-როდან ამ წუთს გვიპატაკეს სანაინთან მე-4 სომხური მსროლელთა დივიზიის საჯარისო ნაწილების გამოჩენის შესახებ (მეთაური ტერ-ნიკოღოსიანი), რამაც აღაშფოთა ადგილობრივი მოსახლეობა, შე-იქმნა გაუგებრობა და სადგურ სანაინის მიმართულებით გაიხსნა ცეცხლი. სამხედრო საქმეთა სამინისტრომ ახალქალაქიდან მიიღო შეტყობინება, რომ სოფელ ბოგდანოვკაში გამოჩნდა ერთი სომხური ესკადრონი. ამ შეტყობინების მიზანია, რომ რაიმე მოიმოქმედოთ ჩვენთვის არასასურველი ინციდენტების წინააღმდეგ. ვიმეორებ: ახალქალაქის მაზრის დაკავება არ არღვევს იმ პრინციპებს, რომ-ლებიც ორმხრივ შეთანხმებას უნდა დაედოს საფუძვლად. ამ მხრივ, შეგვიძლია, რომ მყარი გარანტია მოგცეთ. **საგარეო საქმეთა მი-ნისტრი გეგეჭკორი.“ N5497. 9 დეკ., 1918 წ. (შენიშვნა: ერევანთან კავ-შირგაბმულობის უქონლობის გამო ეს დეპეშა გვიან გაიგზავნა).**

ერევანი. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს – მდივანს

„სამხედრო საქმეთა სამინისტრომ შეტყობინებები მიიღო, რომ სანაინის რაიონში ქართული საჯარისო ნაწილების წინააღმდეგ სა-ბრძოლო მოქმედებაში ჩართულნი არიან, აგრეთვე, სომხური საჯა-რისო ნაწილებიც. ამასთან, შემთხვევის ადგილზე მათი ჩასვლა იდე-ალურად არის ორგანიზებული. სანაინთან ყველა წერტილში არის სამხედრო შტაბები, რომელთა სათავეში შტაბის ის ოფიცრები და ობერ-ოფიცრები დგანან, რომლებიც სომხეთის რესპუბლიკის სამ-სახურში არიან. არცერთი წუთით არ დავუშვებთ იმ აზრს, რომ ეს ყვე-ლაფერი სომხეთის მთავრობის ბრძანებით კეთდება და იმისათვის, რომ ავიცილოთ ამ ინციდენტის შედეგები (რომელსაც უკვე ემსხვე-

რპლა ათეულობით ქართველი ოფიცერი და ჯარისკაცი), გთხოვთ, რომ მიმართოთ ყველა ზომას და ძალ-ღონე არ დაიშუროთ თქვენს საჯარო ნაწილებსა და ჯარისკაცებზე ზეგავლენის მოსახდენად, რომელთა უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივი ქმედებები ასერიგად ზემოქმედებენ და ხელს უშლიან ორი რესპუბლიკის მეგობრულ ურთიერთობას. **საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი" 13 დეკემბ., 1918 წ. N 5572".**

რადიო-დეპეშა ერევნიდან. 11 დეკემბერი. გაეგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. ასლი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს

„გადმოგვცემენ 9 დეკემბერს (ხაზის განადგურების გამო) გაგზავნილ საგანგებო დეპეშას:

„ყარაქილისა-ლორეს საჯარისო ნაწილის მეთაური გვიპატაკებს, რომ ქართული არტილერია უზუნლარელებს, უკვე ორი დღეა, რაც ესვრის; რომ ლორეს მაზრის ჩრდილოეთით მდებარე სომხური სოფლები ყაჩაღობისა და ძალადობის მოწმენი არიან. სომხეთის მთავრობა დაბეჯითებით აპროტესტებს მის ტერიტორიაზე შესული ქართული ჯარების მიერ შექმნილ უწესრიგობას... თუ თქვენ ახლავე ყველა ღონეს არ იხმართ ამ არეულობის აღსაკვეთად, მაშინ ჩვენ პასუხს არ ვაგებთ მოსალოდნელ შედეგებზე." **სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი – ტიგრანიანი. N 6913 (შენიშვნა: ეს დეპეშა ტფილისში მიღებულია 13 დეკემბერს, ღამით).**

ერევანი. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. ასლი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს

„თქვენი რადიოდეპეშის (N 6913) პასუხად გაცნობებთ შემდეგს: ქართული სახელმწიფოს მთავრობა ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის შეუპოვარ სწრაფვას, მშვიდობიანად გადაჭრას ყველა საადავო საკითხი. ამ ეტაპზე აღნიშნული დავები, ზემოხსენებული გზით, ჯერ კიდევ გადაჭრილი არ არის. საქართველოს მთავრობა დაუშვებლად მიიჩნევს მის საშინაო საქმეებში რაიმე ჩარევას. რაც შეეხება

ყარაქილისა-ლორეს საჯარისო ნაწილების მეთაურის მოხსენებას, ქართული მთავრობა აცხადებს, რომ ეს სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. 9 ნოემბრიდან დღემდე ზოგიერთმა სომხურმა საჯარისო ნაწილმა, სომხეთის სამხედრო შტაბისა და ობერ ოფიცრების განკარგულებით, გაანადგურა თითქმის მთელი ქართული სასაზღვრო ჯარის ნაწილი. ვინც გადარჩა, ტყვედ აიყვანეს. ათეულობით მსხვერპლია. ჩვენ 14 ნოემბერს სანაინში, სისხლისღვრის შეწყვეტის მიზნით, მივავლინეთ დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედის სომხური ეროვნული საბჭოს სამი წევრი. საქართველოს მთავრობა თვალნათლივ ამტკიცებს, რომ პირველად, 23 ნოემბერს, დღის 12 საათზე, გაუხსნეს ცეცხლი მაღლობებიდან. საქართველოს მთავრობა, მოძმე ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრების სახელით, დაჟინებით ითხოვს, რომ ყველა საშუალებას მივმართოთ სისხლისღვრის შესაჩერებლად და იმ უპასუხისმგებლო პირთა დასასჯელად, ვინც ამ სამწუხარო მოვლენების მომწყობნი არიან. ქართული მთავრობა, თავის მხრივ, აცხადებს, რომ დაუყოვნებლივ გასცემს ცეცხლის შეწყვეტის ბრძანებას, როგორც კი მაღლობებიდან ქართულ საჯარისო ნაწილებზე შეტევა შეწყდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იტოვებს მორალურ უფლებას, მოსალოდნელ შედეგებზე ნებისმიერი პასუხისმგებლობა აირიდოს თავიდან.“ **საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი. 1918 წლის 13 დეკემბერი. N 5599.**

ერევნიდან. 1918 წლის დეკემბერი. რადიოდეპეშის ასლი N 912. საგარეო საქმეთა მინისტრს. ასლი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს.

„ამ წუთებში მივიღე თქვენი რადიოდეპეშა N 5500 (9 დეკემბრის დეპეშის პასუხად). მოგახსენებთ, რომ 10 დეკემბერს ჩემმა მთავრობამ თქვენს მთავრობას გაუგზავნა ორი დეპეშა და ურჩია, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანოს ქართული ჯარები ზაქათალისა და ბორჩალოს სომხური ტერიტორიებიდან. ოღონდ, ეს ისე მიზანშეწონილად უნდა მოხდეს, რომ ქართულ და სომხურ ნაწილებს შორის დაპირისპირებას არ ჰქონდეს ადგილი. თქვენი მთავრობისთვის რჩევის მიცემა არ ნიშნავს საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას. მანამდე რამდენჯერ შეგატყობინეთ, რომ ეს ტერიტორია საქართველოს საზღვრებში არ შედის (და ამას არავითარი პირობა არ სჭირდება) და შეადგენს

სომხეთის განუყოფელ ნაწილს. იგი ძალის გამოყენებით დაიკავეს ქართულმა ჯარებმა. სომხეთის მთავრობა უკიდურესი სიმშვიდით შეხვდა ამ ფაქტს და, თანაც, იმ იმედით, რომ საქართველოს მთავრობა ადგილობრივი მოსახლეობის (იმ მოსახლეობის, რომელსაც საქართველოსთან მიერთება არ სურს) წინააღმდეგ აგრესიულ ქმედებებს არ მიმართავდა. მიუხედავად ამისა, მან ანგარიში არ გაუწია ჩვენ მიერ საზღვრების საკითხის მშვიდობიანი მოგვარების სურვილს და (სხვისი ტერიტორიის საბოლოოდ მისაერთებლად) სასტიკი მეთოდებით წამოიწყო შეტევა იქამდე, სანამ სომხური სოფლები საარტილერიო ცეცხლით სულ არ მოსპო. მთავრობას არ შეეძლო მშვიდად ეყურებინა ამისთვის და ხელი არ გამოეღო მაშინ, როცა მეზობელი სახელმწიფოს ჯარები უწესობას ჩადიოდნენ სომხეთის კუთვნილ ტერიტორიაზე და ესროდნენ სომხეთის მოქალაქეებს. ჩემი მთავრობა ცდილობდა, თბილად აერიდებინა თავი შემდგომი გართულებებისგან. ასევე, მას სურდა ერწმუნა, რომ თქვენი მთავრობა ანგარიშს გაუწევდა მოსახლეობის სურვილსა და სომხეთის უფლებებს და საკუთარი ძალისხმევით დააჩქარებდა ჯარების გაყვანას, რითაც თქვენს დელეგაციას ჩვენთან ურთიერთობის საშუალებას მისცემდა, აღადგენდა სატელეფონო კავშირს და ამით განამტკიცებდა ორი მეზობელი და მონათესავე სახელმწიფოს მშვიდობიან თანაცხოვრებას.“
სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი.

ერევანი. საგარეო საქმეთა მინისტრს. ასლი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს

„ჩვენ თქვენგან მივიღეთ მხოლოდ ერთი დეპეშა N6913. საქართველოს მთავრობას მეტი დეპეშა არ მიუღია. ჩემმა მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა, რომ ყველა სადავო საკითხი შეთანხმებით გადაწყვეტილიყო. მან მოიწვია სომხეთის წარმომადგენლები ამიერკავკასიის კონფერენციაზე, წავიდა (თქვენივე შენიშვნების გათვალისწინებით) შეთანხმებაზე და ერთი თვით ადრე გაცნობათ, რომ ჩვენ თანახმა ვართ, წინასწარი მოლაპარაკებები ვაწარმოოთ სომხეთის წარმომადგენლებთან ყველა სადავო საკითხზე. თუ ჩვენი დეპუტატების შეხვედრა აქამდე არ მოხერხდა, ეს ქართული მთავრობის ბრალი არ არის. საქართველოს მთავრობა მთელი

მსოფლიოს წინაშე ღიად აცხადებს, რომ მისმა ყველა მცდელობამ (ბოლო მოეღო ძმათამკვლელი კონფლიქტისთვის) უშედეგოდ ჩაიარა. სომხეთის მთავრობის მიერ ამ პროცესის უსაფუძვლოდ და გაუგებრად გაჭიანურებამ ორი ხალხის ძმათამკვლელ ომამდე მიგვიყვანა. მას წინ უძღოდა კონფლიქტი, რომლის გამოც დღეს დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ. საქართველოს მთავრობა დარწმუნებით აცხადებს, რომ არ არსებობს საკითხი, ორ მონათესავე ხალხს შორის მშვიდობიანად რომ არ წყდებოდეს. ქართული მთავრობა ერთხელ კიდევ გირჩევთ, შეწყვიტოთ მტრული ქმედებები და (იმოწმებს რა 13 დეკემბრის N 5590 დეპეშას) აცხადებს, რომ არც სომხური სოფლებისთვის უსვრიათ და 13 დეკემბრამდე არც რაიმე საბრძოლო ქმედებებს არ ჰქონია ადგილი (როგორც N 912 რადიოდეპეშაშია ლაპარაკი). 13-ში ჩვენ იძულებულნი გავხდით, იარაღი ხელში აგვეღო, რათა თავი დაგვეცვა 9 დეკემბერს სომხური ჯარების მიერ დაწყებული აგრესიული ქმედებებისგან. ამიტომაც სრულიად ღიად და დაუფარავად ვაცხადებთ შემდეგს: საქართველოს მთავრობა თავს მოვალედ რაცხს, რომ კიდევ ერთხელ დაადასტუროს თავისი მოთხოვნები, რაც მტრული ქმედებების შეწყვეტას, ძველი სასაზღვრო პოზიციების დაკავებასა და სომხურ-ქართული კონფერენციის მოწვევას გულისხმობს. ყველა ამ სადავო საკითხის გადაწყვეტა შეთანხმების გზით უნდა მოხდეს, ხოლო შეთანხმების არარსებობისას – არბიტრაჟის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა, ორივე რესპუბლიკისათვის დამღუპველ შედეგებზე, სომხეთის მთავრობას ეკისრება.“ **N 5628. 15 დეკემბერი, 1918 წ. საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი.**

საქართველოს განცხადება – საჩივარი სახელმწიფოებს

საქართველოს მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი განცხადება-საჩივარი გაუგზავნა სახელმწიფოების წარმომადგენლებს:

„პატივი მაქვს (მთავრობის დავალებით) გაცნობოთ შემდეგი: 9 დეკემბერს მეგობარი სომხეთის საზღვარზე – სანაინსა და ვორონცოვკაში – მყოფ ჩვენი საზღვრის დამცავ სამხედრო რაზმს მოღალატურად თავს დაესხა სომხური რეგულარული ჯარის ნაწილი.

მესაზღვრე ჯარისკაცთა ნაწილი დახოცეს, ნაწილი კი ტყვედ წაიყვანეს. სატელეგრაფო კავშირი გაწყდა. რკინიგზა მწყობრიდან გამოვიდა. საქართველოს მთავრობას კი ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ეს ამბავი სომხეთის მთავრობამ იცოდა და, რომ ეს ყველაფერი მისი დავალებით კეთდებოდა. ამიტომ, მან დეპეშით მიმართა სომხეთის მთავრობას, რომ, რადაც უნდა დასჯდომოდა, აღეკვეთა ეს სისხლისღვრა. მათ კი ეს რჩევა არათუ ყურთ იღეს, არამედ კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს საბრძოლო მოქმედებები. ჩვენ სომხეთის მთავრობისგან უკვე მივიღეთ ოფიციალური შეტყობინებები, რომლებშიც მითითებულია, რომ ეს მოღალატური თავდასხმა სომხური მთავრობის ბრძანებით განხორციელდა.

ჩვენ მიერ შემთხვევის ადგილზე გაგზავნილი დელეგაციაც (მის შემადგენლობაში შედიოდნენ, აგრეთვე, საქართველოს სომეხთა წარმომადგენლები) კინაღამ ამ ამბებს შეეწირა მსხვერპლად. უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც საქართველოს მთავრობამ მეზობელ სახელმწიფოებს ამიერკავკასიის კონფერენციის მოწვევა შესთავაზა, რათა სადავო საკითხები გადაწყვიტონ. სომხეთის მთავრობამ კი თავი აარიდა მასში მონაწილეობის მიღებას და დაჟინებით მოითხოვა ჯერ სომხეთ-საქართველოს კონფერენციის მოწვევა. საქართველოს მთავრობა დაეთანხმა სომხეთის სურვილებს და მიიღო ეს შეთავაზება იმ პირობით, რომ მათ შორის ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანად, ურთიერთშეთანხმების გზით მოგვარდებოდა, წინაღმდეგ შემთხვევაში კი, არბიტრაჟის საშუალებით. ჩვენ ყოველდღე ველოდებოდით სომხეთიდან დეპუტატების ჩამოსვლას, ისინი კი დღემდე არ გამოჩენილან. ნაცვლად ამისა, უკვე დადასტურებულად ვიცით, რომ მათ ფიცი გატეხეს, რაც მიუღებელია საერთაშორისო ურთიერთობების ნორმებისათვის. მაშასადამე, ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ ორი მეგობარი და მეზობელი ხალხის ურთიერთობისა და მათ შორის ძმათამკვლელი და სამარცხვინო სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, რომ მთელი მსოფლიოს წინაშე ღიად განვაცხადოთ: საქართველოს მთავრობამ ყველა ღონე იხმარა და წინ აღუდგა სომხეთის მთავრობის მოქმედებას. ამიტომ იგი ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის მოსალოდნელი ძმათამკვლელი და სამარცხვინო სისხლისღვრის შედეგებზე, იმ ორი მოძმე ერის სისხლისღვრაზე, რომლებიც მანამდე

მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ, რაც იყო კიდეც ამ ორი ქვეყნის კეთილდღეობის გარანტი. აქამდე, საუკუნეების განმავლობაში, მათ ერთმანეთისთვის ხელი არ შეუშლიათ და დღეს ასეთ ქმედებაზე მთელი პასუხისმგებლობის სიმძიმეს სომხეთის მთავრობას ვაკისრებთ. **საგარეო საქმეთა მინისტრი – გეგეჭკორი.“**

საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს

საქართველოს მთავრობა ატყობინებს თავის მოქალაქეებს სომხეთ-საქართველოს საზღვარზე არსებული კონფლიქტის შესახებ და განუმარტავს მათ შექმნილი ვითარების მიზეზებს. იგი შექმნილ ვითარებაში ადანაშაულებს სომხეთის მთავრობას, რომელიც ყოველთვის თავს არიდებდა სადავო საზღვრების საკითხის მშვიდობიან მოგვარებას. მან არ მიიღო მონაწილეობა კავკასიის კონფერენციაში, სადაც სასაზღვრო დავა უნდა გადაწყვეტილიყო და ამით ხელი შეუშალა მის შეკრებას და სხვ. 9 დეკემბერს კი, როცა საქართველოს მთავრობა განიხილავდა საზღვარზე უპასუხისმგებლო დაჯგუფებათა მოქმედებას, სომხეთის მთავრობამ ყური არ ათხოვა და არაფერი გააკეთა ამ უწესრიგობათა აღსაკვეთად. მაშინ კი, როცა მან სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ტიგრანიანის ნოტა მიიღო ქართული საჯარისო ნაწილების ბორჩალოსა და ზაქათალის სომხებით დასახლებული ადგილებიდან გაყვანის თაობაზე, ნათელი შეიქმნა, რომ ჩვენ წინააღმდეგ ომი უკვე გამოცხადებული იყო.

მთავრობის მიმართვა ასე მთავრდება: „ჩვენდა სამწუხაროდ, მეზობელი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა უკვე გადაუხვიეს დემოკრატიის პრინციპებიდან – ორივე სახელმწიფოში ანარქიით იმუქრებიან, კულტურას ანადგურებენ და მაშინ, როცა მსოფლიო ომი უკვე დამთავრებულია, ახალ სისხლისმღვრელ ბრძოლას იწყებენ. საქართველოს მთავრობა ამ ბოროტმოქმედების მონაწილე ვერ გახდება და მთელ პასუხისმგებლობას სომხეთის მთავრობას აკისრებს.

თუმცა საომარი მოქმედებები უკვე დაწყებულია. ამისათვის წინასწარ მომზადებული სომხური ჯარები ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს ემუქრებიან. ქვეყანა საფრთხის წინაშე დგას და ჩვენც, აუცილებლად, უნდა მოვემზადოთ ომისთვის. საქართველოს ყველა

მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა, მოვალეა, თავისი ვალი მოიხადოს სამშობლოს წინაშე.

ქართველი ხალხი მუდამ გამოირჩეოდა გმირობითა და მოქალაქეობრივი ვალდებულების მაღალი შეგნებით. მივმართავთ ჩვენს მოქალაქეებს და ვიმედოვნებთ, რომ, ისინი, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა, საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე, მედგრად დაიცავენ თავს.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ომის დაწყებით ანარქიის გაღვივებას ცდილობენ. არ წამოეგოთ პროვოკაციაზე! დაიცავით სახელმწიფოს კანონები! დაე, ყველა მოქალაქემ იცოდეს, რომ საქართველოს მთავრობა სომეხი ხალხის წინააღმდეგ კი არ იბრძვის, არამედ იმ სომხური ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც დამნაშავენი არიან მოძმეთა სისხლის დაღვრაში.

ქართული დემოკრატია თავდამსხმელებს მთელი ძალით გაუწევს წინააღმდეგობას, მოკლე ხანში აღადგენს თავის სასაზღვრო უფლებებს და მეტოქეს აიძულებს, მიიღოს საერთაშორისო დემოკრატიის პრინციპები, რათა ყველა სახელმწიფოებრივი სადავო საკითხი გადაიჭრას მშვიდობიანი და არა რომელიმე სხვა გზით.“

სამხედრო გაწვევა

თიფლისი, 17 დეკემბერი

ითვალისწინებს რა მდგომარეობის სერიოზულობას, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ გამოაცხადოს 1892, 1893, 1894 და 1895 წწ. დაბადებულთა ჯარში გაწვევა.

ჯუღელის სიტყვა

ტაშის გრიალითა და აპლოდისმენტებით შეხვდნენ ჯუღელს, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა სახალხო გვარდიის შექმნისა და ასპარეზზე გამოსვლის გარემოებებს (თუ როგორ გამოვიდა ასპარეზზე სახალხო გვარდია და რა პირობებში შეიქმნა იგი). მისი თქმით, სახალხო გვარდიამ, ერთი წლის არსებობის მანძილზე, უკვე თავისი ნამსახურობით გამოიჩინა თავი, – აიღო იარაღის არსენალი (მასში თავმოყრილი იყო მთელი ქალაქის შეიარაღება) და გაათავისუფლა რუსული ანარქიის საფრთხის წინაშე მდგარი ქალაქი. იგი ერთი პატარა უჯრედიდან (რომელსაც მხოლოდ 200 რუბლი გააჩნდა) ამოიზარდა, გაფართოვდა და პატივსაცემ ძალად გადაიქცა. დღეს რამდენიმე ათეული მილიონია მის ხელში. გვარდიის მოქმედების ასპარეზი გასცდა ტფილისს და რაიონებში გადაინაცვლა. იგი მომხდური მტრის წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდა სადახლოს, შავი ზღვის სანაპიროების, სოხუმის, სოჭის, ბათუმის ფრონტებზე; ჩაახშო შიდა გამოსვლები დუშეთში, სამეგრელოში, გორში, თელავსა და ცხინვალში. მან ამ ბრძოლებით რევოლუციური იდეებისადმი ერთგულება გვიჩვენა. სოხუმის ექსპედიციიდან უკან გამოძახებული სახალხო გვარდია ტფილისს მაშინ მოადგა, როცა თათართა ბანდები და თურქეთის რეგულარული ჯარები დედაქალაქს დაემუქრნენ. მან კი, როგორც თავისი ტრადიციების ერთგულმა და მუშათა კლასის წარმომადგენელმა, თავის თავზე აიღო რევოლუციის ცენტრალური ციხე-სიმაგრის – ტფილისის დაცვა.

იმ დროს ჩვენ დასახმარებლად მოვიდნენ გერმანელი ჯარისკაცები, თუმცა ჩვენ არ ვისურვეთ მათთან ერთად ან მათ ფრთებქვეშ

ბრძოლა რევოლუციური იდეებისათვის და ვცდილობდით, საქმე მათ დაუხმარებლად მოგვეგვარებინა, რადგან ისინი იმპერიალისტური გერმანიის ჯარები იყვნენ. ჩვენ ყველა ბრძოლა მოვიგეთ არა იმიტომ, რომ კარგად ვიყავით შეიარაღებული, არამედ იმიტომ, რომ მორალურად ვიყავით ძლიერი. მაშასადამე, სახალხო გვარდია იყო ის ძალა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიის განმტკიცებაში, თუმცა (რესპუბლიკის განვითარებასთან ერთად) აუცილებელია დემოკრატიული რეგულარული ჯარის შექმნა, რომელთან ერთადაც სახალხო გვარდიამ უნდა გააგრძელოს დიადი ინტერნაციონალური იდეების დაცვა.

ხოლო თუ ეს რეგულარული ჯარი თავის მოწოდებას უღალატებს და რომელიმე კლასის იარაღად გადაიქცევა, მაშინ სახალხო გვარდია (როგორც მშრომელთა კლასის წარმომადგენელი) თავს მოვალედ ჩათვლის, გაანადგუროს ის (ხანგრძლივი ტაში).

საქართველოს სომეხთა ეროვნული კრება

13 დეკემბრის სხდომა

...კრება გადადის სანაინის მოვლენების განხილვაზე. დეპუტატი ა. ერზინკიანი (სოც.-დემ.) დაწვრილებით მიმოიხილავს არსებულ ვითარებას, ხოლო შემდეგი გამომსვლელი ლ. თუმანიანი ერზინკიანის მოხსენების შემავსებელ ცნობებს გვაწვდის. ამ მოხსენებებიდან ირკვევა, რომ საზღვარზე მომხდარი ცალკეული შემთხვევები უმნიშვნელო ხასიათის მატარებელია. ისინი წარმოიშვა ადგილზე რეკვიზიციის ამბების გამო და არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ გაუგებრობაში სომხური საჯარისო ნაწილები მონაწილეობდნენ. მათი შეთავაზება ასეთია: კიდევ ერთხელ გაიგზავნოს დელეგაცია სოფელ უზუნლარში, ამ მოვლენების მთავარ ცენტრში.

კრებამ გადაწყვიტა ორი დეპუტაციის გაგზავნა (მათ შორის, ერთი ქართველ დეპუტატებთან ერთად, სანაინისაკენ სარკინიგზო ხაზით, ხოლო მეორე, ვორონცოვკის გავლით, უზუნლარისკენ) სოფლელებთან შესახვედრად და საკითხის ერთად მოსაგვარებლად, ოღონდ ქართულ მთავრობასთან წინასწარი შეთანხმებით იმაზე,

რომ, საკითხის მშვიდობიანად გადაჭრის შემთხვევაში, აღნიშნულ სოფლებში დამსჯელი საჯარისო ნაწილები აღარ გაიგზავნება და სადავო საზღვრის საკითხიც საქართველოსა და სომხეთის მთავრობების ორმხრივი შეთანხმებით მოგვარდება, მით უმეტეს, რომ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი მდივანი უკვე გზაში არიან და მხოლოდ გზების ჩაკეტვის გამო ვერ ჩამოაღწიეს თიფლისში.

კორესპონდენტი

ამერიკის შეერთებული შტატების საქველმოქმედო დაწესებულებების

ბატონ თავმჯდომარეს

ახალქალაქის მაზრის სომხური მოსახლეობა, რომელმაც (ოსმალური ჯარისა და თურქული ბანდების თავდასხმის შედეგად) მიატოვა მშობლიური კერა, ახლა სამშობლოში ბრუნდება. აღნიშნული მაზრა, რომელიც სომეხი გლეხობის თავდაუზოგავი შრომით გადაიქცა ამიერკავკასიის ერთ-ერთ უხვმოსავლიან, პურეულით მდიდარ რაიონად, ოსმალთა ჯარისა და გარედან მომხდური თურქი ბანდების თარეშმა უდაბნოს დაამსგავსა.

წინა წლებში ბეღელში შენახული პური და წლევანდელი მოსავალი, რომელიც 12 მლნ. ფუთზე ნაკლებს არ შეადგენდა, მაზრიდან გარეთ გაზიდეს, ნაწილი კი თვითონ მოიხმარეს; ათეულ ათასობით პირუტყვი გარეკეს, გაიტანეს და/ან გააფუჭეს თითქმის ყველა სამიწათმოქმედო იარაღი, სახლის ავეჯი და პირუტყვის საკვები, დააქციეს სახლები... და თურქთა წასვლის შემდგომ უკან დაბრუნებულ ადგილობრივ ახალქალაქის მოსახლეობას თავისი სამშობლო, ბუნებრივია, ჩვეულ ვითარებაში აღარ დახვდა, – იავარქმნილი, დაცარიელებული და გავერანებული იყო. ყველგან ნახანძრალი ფერფლი და ადამიანთა გვამები ეყარა.

ასეთ პირობებშია ახალქალაქის მოსახლეობის გადარჩენილი ნაწილი (ის, რაც 80 000 სულიდან დარჩა). ხალხი დატანჯული, შევიწ-

როებული, დაავადმყოფებული და დამშეულია. ამ სასოფლო-სამეურნეო წალკოტს დროული დახმარება თუ არ აღმოვუჩინეთ (სერიოზული და ნამდვილი დახმარება), მაშინ (სულ რაღაც ერთ თვეში) 40 000 ლტოლვილიდან ათი ათასი სულიც აღარ დარჩება.

ის დახმარება კი, რომელსაც საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭოს ემიგრანტთა დეპარტამენტი (ყოფილი უზენაესი საბჭოს სრულიად სომეხთა საემიგრაციო დაწესებულება) იძლევა, უმნიშვნელოა და, ძირითადად, ნომინალური ხასიათისაა. სინამდვილეში, ლტოლვილები არავითარ დახმარებას არ იღებენ, რადგან იქ, სადაც ათეულობით მილიონია საჭირო, ეროვნულ კრებას მხოლოდ რამდენიმე ასეული ათასი რუბლის დახარჯვა ძალუძს. ხსენებულმა ამხანაგობამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ერთი ლტოლვილისათვის 5 რუბლზე მეტის გამოყოფა ვერ მოახერხა. ეს თანხა, თავისთავად, მეტყველებს ახალქალაქის მშრომელთა გამოუვალ მდგომარეობაზე, რომელიც მონური ყოფის ტოლფასია.

ზემოხსენებულის საფუძველზე, ახალქალაქის პატრიოტები თავს მოვალედ ვრაცხთ, მოგმართოთ თქვენ, აშშ-ის საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენელს, შემდეგი თხოვნით:

1) ახალქალაქის მაზრაში დაბრუნებულ მოსახლეობას ფართომასშტაბიანი დახმარება გაუწიეთ და პურითა და სხვა აუცილებელი პროდუქტებით მოამარაგეთ;

2) ადგილზე აღმოუჩინეთ სამედიცინო დახმარება, რამეთუ აქ, ამ მხრივ, არაფრის საშუალება არ არის.

3) უზრუნველყავით ახალქალაქის მოსახლეობა აუცილებელი სამიწათმოქმედო იარაღებით, თესლეულითა (მომავალი საგაზაფხულო თესვისათვის) და აგრეთვე მუშა პირუტყვით.

4) მიეცით ახალქალაქელ ხალხს აუცილებელი ავეჯ-დგამი და თბილი ტანსაცმელი, რადგან ქალები და ბავშვები ნახევრად შიშვლები დადიან და ეს იმ დროს, როცა ახალქალაქში ყინვები უკვე 20-30 გრადუსამდე აღწევს.

ბატონო წარმომადგენელო, მოგმართავთ რა ზემოხსენებული შუამდგომლობით, ჩვენ, ახალქალაქის პატრიოტები, სრულიად დარწმუნებულნი ვართ თქვენს მეგობრულ განწყობაში. გვჯერა, რომ მოწყალენი იქნებით ჩვენი მრავალჭირნახული ხალხისადმი, იმ ხალხისადმი, რომელმაც ღირსეულად და გულმოდგინედ სწია მსოფლიო ომის მძიმე ტვირთი, რომელმაც უზომოდ მძიმე განსაცდელი გამო-

იარა, მუდამ გვერდით ედგა დაშნაკებს და თავს არ ზოგავდა მათი გამარჯვებისთვის.

ამასთან ერთად, ახალქალაქის პატრიოტობა გამოხატავს მზადყოფნას ყველა იმ დავალების თუ სამუშაოს შესასრულებლად, რასაც თქვენ ჩათვლით საჭიროდ.

თავმჯდომარე გრ. პაპოიანი
მდივანი: აბ. ტერ-ჰაკობიანი
პირდაპირ დედნიდან-მდივანი
აბ. ტერ-ჰაკობიანი.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 12 დეკემბერი, N 82, გვ. 1-4

პრესა

ქართული სოციალ-დემოკრატიის ორგანოში („ერთობა“) გამოქვეყნებულია სტატია „ომი და ფული“, რომელშიც მოუწოდებენ ბურჟუაზიას, რომ ფული გაიღოს ომისთვის და, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დემოკრატია ძალისმიერ მეთოდებს მიმართავს. „Тифлис. Листокъ“ პრესის მიმოხილვაში აღნიშნავს შემდეგს:

„რა დემოკრატია? ფიქრობს კი გაზეთი იმაზე, რომ საკითხის ამგვარი დაყენება ფაქტებსა და მოვლენებზე არასწორ წარმოდგენას გვიქმნის; რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ ორი ერის საქმე გამოდის წინ, დემოკრატიასა და ბურჟუაზიაზე კი ლაპარაკიც არ არის. ნუთუ, მართლა, ვერ ფიქრობს იმაზე, რომ ის ამით სომხებს ფულის შესაგროვებლად აქეზებს და ომისათვის ამზადებს... სომხების წინააღმდეგ? იქნებ საკითხის ასე დაყენება ძალიანაც დემოკრატიული იყოს, თუმცა ეჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ ეს არც გონივრულობით და არც ადამიანის ეროვნული გრძნობისადმი პატივისცემით არ არის ნაკარნახევი და ადამიანობისა და სამართლიანობის თავისებური გაგებიდან იღებს სათავეს. როცა საქმე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეხება, მაშინ მეტად სამართლიანად და ბუნებრივად მიიჩნევენ, რომ ის ეროვნულია, ხოლო როცა ბურჟუაზიაზე საუბრობენ, მაშინ ეროვნულობას აღარ უწევენ ანგარიშს.

უფალო ღმერთო, რა აბრმავებს ამ ხალხს?!“

„ერთობა“ (N 279) თავის მოწინავე სტატიაში შემდეგნაირად ხსნის დღევანდელ სომხეთ-საქართველოს ომს:

„ბევრს მიაჩნია, რომ დრო და დროსნაირების ავანტურიზმი წარმოშობს ომს. ასეთი შეხედულება ცალმხრივია. ასეთ სისხლისღვრას მხოლოდ ორი კაცის გაუაზრებელი ნაბიჯი ვერ გამოიწვევს.

სომხეთ-საქართველოს ომის უმთავრესი სოციალური მიზეზი სომხური ბურჟუაზიული წრეების ეკონომიკური ინტერესების სფეროში უნდა ვეძიოთ. ამ კუთხით, ამიერკავკასიაში სომხური ბურჟუაზია, სხვებთან შედარებით, ყველაზე ძლიერია. რუსეთის ბატონობა ოდნავადაც არ ემუქრებოდა მას. პირიქით, რუსეთის მრეწველობის სისუსტე მისი ბატონობის საუკეთესო პირობა იყო.

ამ ბატონობის ძირითადი ბაზები ტფილისსა და ბაქოში იყო. პირველი, როგორც მთელი ამიერკავკასიის ცენტრი და, მეორე, როგორც დიდი სამრეწველო ქალაქი.

ვიცით, თუ როგორ იბრძოდა სომხური ბურჟუაზია ბაქოში, როგორ უკავშირდებოდა ხან ბოლშევიკებს და ხან ესერებს (ან ნებისმიერს), ბაქო რომ აზერბაიჯანისათვის წაერთმია. ასეა თუ ისე, ბაქოში ომი ინგლისელების მოსვლით დამთავრდა. ახლა რჩება მეორე ცენტრი – ტფილისი, ქართული დემოკრატიის ციხე-სიმაგრე, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი. ბურჟუაზიის ბატონობა აქ ორ რამეზეა დამოკიდებული: თავისუფალ საქართველოსა და მის დემოკრატიაზე. პირველი გარემოება სომხურ ბურჟუაზიას გადააქცევს გარე ელემენტად და ამით იგი დაკარგავს ეკონომიკური ბატონობის პოლიტიკურ ნიადაგს. მეორე გარემოება კი ისაა, რომ საქართველოს ბურჟუაზიასთან ერთად დაიცვას დემოკრატიული კანონები და დაემორჩილოს მას. აი, დამორჩილებას კი ის ჩვეული არ არის. ის თავის ერში, დაშნაკების წყალობით, მბრძანებელი და ბატონი იყო – თავზე ედგა გლეხებისა და მუშების უმრავლესობას, თავის სიმღერას ამღერებდა, აქეზებდა, აღიზიანებდა, აჯანყებდა, ხოცავდა კიდეც როგორც მათ, ისე მათს მეზობლებს, რათა მუდამ მორჩილებაში ჰყოლოდა ისინი.

ოღონდაც, ამ აჯანყებათა პირველმიზეზი და საწყისი მუდამ ტფილისში იყო, ტფილისელი ფინანსისტების, მსხვილი მრეწველებისა და კომერსანტების ფენებში.

ახლაც სომხეთ-საქართველოს ომი აქედან არის ნაკარნახევი. ერევნის მთავრობას ომის დასაწყებად არც ძალა შესწევდა და არც უნარი. მისი გამბედაობისა და პოლიტიკის სულისჩამდგმელი ტფილისი იყო.

ამგვარად, ომის მთავარი დამნაშავე ტფილისის სომხური ბურჟუაზიაა (ავანტიურისტებსა და ერევნის მთავრობასთან ერთად). იგი (ომის გამარჯვებით დასრულების შემდეგ) ტფილისსაც დაეპატრონება და მთელ ამიერკავკასიასაც. ომის წაგებით კი ის დაკარგავს თავის ერთადერთ ძლიერ დასაყრდენს და იძულებული გახდება, დაემორჩილოს და ქედი მოიხაროს საქართველოს დემოკრატიის წინაშე.“

სტატია მთავრდება იმის ჩამოთვლით, თუ რა სარგებელს ნახავს დემოკრატია ომის მოგებით.

სომხეთ-საქართველოს კონფლიქტი

რუსეთის ეროვნული საბჭო (მიმართავს რა საქართველოს მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს) გვაცნობებს, რომ, ფრონტიდან დაბრუნებული ქართველი ჯარისკაცების გადმოცემით, სოფელ ვორონცოვკის რუსი მცხოვრებნი ჯაშუშურ საქმიანობას ეწევიან. იმისათვის, რომ ამ სოფლის მოსახლეობა ტყუილუბრალოდ არ დაზარალდეს, რუსეთის ეროვნული საბჭო აცხადებს, რომ ხსენებული დასახლების რუსები, საერთოდ, არ ჩარეულან ამიერკავკასიის ხალხთა შეტაკებებში და არც მომავალში აპირებენ მათში ჩარევას.

(„მშაკი“)

რუსი მოქალაქეების სამხედრო მობილიზაცია

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრმა შეატყობინა რუსეთის ეროვნულ საბჭოს, რომ 7 დეკემბერს, საქართველოს რესპუბლიკის დადგენილებით, ის პირები, რომლებიც წარმოშობით რუსები არიან და უკვე იმყოფებიან ქართულ ჯარში ან მომავალში მოუწევთ სამხედრო გაწვევა, თავისუფლდებიან ჯარისგან, თუკი მათი პირადი სურვილი არ იქნება, რომ იმსახურონ ქართულ ჯარში.

აზერბაიჯანის პარლამენტის დეპეშა

იმ წუთს, როდესაც მსოფლიოს ხალხები სისხლისმღვრელი ომიდან გამოდიან, იარაღს ძირს ყრიან და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისკენ ისწრაფვიან; იმ წუთს, როდესაც დამოუკიდებლად გამოცხადებული კავკასიის რესპუბლიკების თანაცხოვრება წარმოადგენს იმის საუკეთესო მაგალითს, რომ ისინი დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობას იმსახურებენ, აზერბაიჯანის პარლამენტი დიდად აღშფოთებული ისმენს ორი მეზობელი რესპუბლიკის – სომხეთისა და საქართველოს სისხლისმღვრელი შეტაკების ამბავს. 20

დეკემბრის საგანგებო სხდომაზე, რომელიც მოწვეულ იქნა ამ სამწუხარო ამბების გამო, ერთხმად გადაწყდა, რომ მიმართონ საქართველოსა და სომხეთის პარლამენტებს, რათა მათ ძმური სულისკვეთებით იმოქმედონ საკუთარ მთავრობებზე და მთელი ძალ-ღონე ამ საფრთხის აღკვეთას მოახმარონ. ამიერკავკასიის (ასევე სრულიად კავკასიის) დემოკრატიის სურვილია კავკასიის ხალხთა შორის არსებული სადავო საკითხების გადაწყვეტა შეთანხმებითა და არბიტრაჟის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი მცდელობა, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს იგი, ჩაითვლება უარყოფითად და პასუხისმგებლობა დაეკისრება დემოკრატიას, რაც დამღუპველი იქნება როგორც საქართველოს, ისე სომხეთის დემოკრატიისა და ამიერკავკასიის ხალხების სოლიდარობისთვის.

აზერბაიჯანის პარლამენტი ძმურად მოგმართავთ თქვენ, როგორც ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებს, რომ შეწყვიტოთ ძმათამკვლელი ომი, რათა ამიერკავკასია ხელახლა არ შევიდეს სისხლისღვრის მორევში, რამეთუ ეს სისხლი და ხანძარი წალეკავს ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

პარლამენტის თავმჯდომარე აღაევი

მოხალისეთა რაზმები

საქართველოს სამხედრო მინისტრმა მოხალისეთა რაზმების შექმნა დაავალა გენერლებს – მაღალოვს (მაღალაშვილი, ლ. გ.), გ. ფურცელაძეს და სარდლებს – კარგარტელს (კარგარეთელი, ლ. გ.), ინცკირველს (ინწკირველი, ლ. გ.), დ. კარცივაძეს (ქარცივაძე, ლ. გ.) და ტ. არტმელაძეს (ართმელაძე, ლ. გ.).

სამხედრო ვითარება

22 დეკემბრიდან დუშეთის მაზრაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა სარდალი სტესელი.

გენერალ-მაიორი წულუკიძე

გენ. წულუკიძე განთავისუფლდა ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორობიდან და მიიღო იმავე რეგიონის სამხედრო ნაწილის სარდლობა. ასევე გადადგა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების გენერალ-გუბერნატორი მაკაევი (მაყაშვილი, ლ. გ.) და ხსენებული რეგიონის სარდლად დაინიშნა.

სომეხი სამხედრო ტყვეები

ქუთაისს გაგზავნილი სომეხი სამხედრო ტყვეების ერთი ნაწილი იმუშავებს ტღვიბულის (ტყიბული, ლ. გ.) ქვანახშირის მაღაროებში, ფრონტზე წასული მუშების ნაცვლად. სომეხი სამხედრო ტყვეები იმუშავებენ, აგრეთვე, ჭიათურის მარგანეცის საბადოებში.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 26 დეკემბერი, N 91, გვ. 3-4

რუბრიკა: „ქართული გაზეთებიდან“

ქართველ სოციალ-რევოლუციონერთა გაზეთი „შრომა“ თავის ბოლო (N106) ნომერში საუბრობს რა სომეხ-ქართველთა კონფლიქტზე და მათ შორის აღმოცენებული შოვინისტური ჰიპნოზის შესახებ, გონივრული წინდახედულებითა და ემოციური პათოსით შემდეგს წერს:

„ზოგჯერ ეს ნაციონალისტური ჰიპნოზი იმდენად ძლიერია, რომ ზოგიერთ სოციალისტზედაც კი მოქმედებს და, მართლაც (საქართველოსა და სომხეთს შორის ომის დაწყებისთანავე), ორივე ხალხის ნაციონალისტებმა ერთმანეთს ხელთათმანი გადაუგდეს და ერთი აურზაური ატეხეს. ეს ურანაციონალისტური აგიტაცია მეტად ძლიერია. ჩვენმა მთავრობამ სხვადასხვა ხერხს მიმართა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, თუმცა (თავდასხმის შემდეგ) მაინც იძულებული გახდა, დაეცვა რესპუბლიკა სომხეთის მთავრობის აგრესიული მოქმედებისგან. აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, თითქოს დაშნაკების სკამზე სომეხი ხალხი უნდა დავსვათ. თუმცა, ამის მიუხედავად, ნაციონალისტებმა ბუკ-ნაღარა დაჰკრეს და მთელი ერის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ასეთი სულისკვეთება ახასიათებს ყველანაირ ნაციონალისტს. სამწუხაროდ, ეს სენი, ლამის, სოციალისტურ ჯგუფებსაც გადაედო. როგორც ერთნი, ისე მეორენი, საერთო ენით ალაპარაკდნენ. ადრე, როდესაც სომხური გაზეთები საყვედურობდნენ პირველთ, რომ თქვენ, საზოგადოდ, სომეხი ხალხის წინააღმდეგნი ხართ, მის წინააღმდეგ წერთ და ლაპარაკობთო, ისინი ამას პროვოკაციას უწოდებდნენ და გულახდილად ამბობდნენ, რომ ჩვენ მხოლოდ სომეხი ხალხის ავანტიურისტი მეთაურების წინააღმდეგ ვილაშქრებთ და არა სომეხი ხალხის წინააღმდეგო. ახლა ის ვიკითხოთ, თუკი წინათ სომეხი ხალხის ავანტიურისტი მეთაურები იყვნენ დამნაშავე და არა სომეხი ხალხი, ეხლა მდგომარეობა რამ შეცვალა? ნუთუ იმან, რომ სომეხი ჯარისკაცები და თუნდ რეგულარული ჯარი (რომელიც ბრმად მიჰყვება თავის მეთაურებს, დამღუპველი პოლიტიკის მწარმოებელთ, ხალხის ინტერესები შარშანდელი თოვლივით რომ არ ედარდებათ) ჩვენს მიწა-წყალს შემოესია?! თუმცა შოვინისტებს და ვითომ სოციალისტ-ნაციონალებს სხვა ენით ლაპარაკი არ ძალუძთ.

* * *

„ერთობა“ (N 280) თავის მოწინავე წერილში კიცხავს „მშვიდობის მოსურნეებსა და შუამავლებს“, კერძოდ კი, ქალაქის თვითმმართველობაში მჯდომი სოციალ-რევოლუციონერების იმ ჯგუფს, რომელმაც უარყოფითი აზრი გამოთქვა სომხური ჯარის უკანდახევაზე, ანუ ომამდელი პოზიციის დაკავებაზე, ვითომდა, ეს ამბავი მშვიდობის დამყარებას შეუშლის ხელს. „ერთობა“ კიცხავს აგრეთვე გაზეთ „სოციალ -დემოკრატის“ რედაქციასაც, რომელიც იმავე აზრისაა და იზიარებს დაშნაკების წინადადებას.

„ქალაქის საბჭოს კონფლიქტის წვრილმანებში გარკვევა ან მსაჯულობა არ ევალება. მისი საქმეა მომხდარზე რეაგირება და ამ უგუნური შეტაკების გაპროტესტება.“

ჩვენი აზრით, საკითხის ასე დასმა, – წერს, სხვათა შორის, გაზეთი, – ნიშნავს „დაშნაკცაკანებისა“ და სომხეთის მთავრობის მხარდაჭერას. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ომი ორი მსოფლმხედველობისა და მათზე დაფუძნებული ორი პოლიტიკური მიმართულების შეურიგებლობის შედეგია. თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ერთმანეთს ებრძვის ორი პოლიტიკა: ერთის სათავეში დგას ამიერკავკასიის პროლეტარიატი, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ელემენტების გაერთიანება კლასობრივ და ეროვნულ ნიადაგზე; იმ ხრამის ამოვსება, რომელიც ეროვნებებსა და კლასებს ერთმანეთს აშორებს (ეს წინადადება წაშლილია და კარგად არ ჩანს, ლ. გ.)... ასეთი მსოფლმხედველობიდან პირდაპირ გამომდინარეობს ერთაშორისი სოლიდარობისა და ძმობის პრინციპი, რომლის მატარებელი და მქადაგებელი ყოველთვის იყო პროლეტარიატის პარტია. მეორე პოლიტიკა კი, პირიქით, მთელი თავისი მსოფლმხედველობით ბურჟუაზიულ-ნაციონალურ ნიადაგზე იდგა. საზოგადოების დაყოფა ეროვნებებად და მათ ფარგლებში კლასობრივი წინააღმდეგობის შემცირება, – ეს იყო მისი არსი. აქედან პირდაპირ მომდინარეობს ერთა შორის წინააღმდეგობის პოლიტიკა, რომლის მქადაგებელი ყოველთვის იყო „დაშნაკცუთიუნი“, როგორც ყველაზე ძლიერი ბურჟუაზიული პარტია.

ამ ორი მსოფლმხედველობის ურთიერთბრძოლა ხან აშკარა იყო და ხანაც – ფარული; ხან გამძვინვარდებოდა და ხან, მთელ რიგ გარემოებათა ზეგავლენით, მინელდებოდა ხოლმე. და როცა ეს

ორი ძალა პირისპირ შეხვდა ერთმანეთს; როცა საკითხი ისე დადგა, თუ ვის უნდა რგებოდა ამიერკავკასიაში ბურთი და მოედანი, მაშინ ეკვეთნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ურთიერთს.

სომხეთის მთავრობა იცავს „დაშნაკცუთიუნის“ დამპყრობლურ პოლიტიკას და, მაშასადამე, ბურჟუაზიის ბატონობას ტფილისსა და საქართველოში, ხოლო საქართველო, სოციალ-დემოკრატიული მთავრობის სახელით, პროლეტარიატის ხაზსა და ინტერესებს მიჰ-ყვება.

აი, რატომ ერიდება სომხეთის მთავრობა მშვიდობიანი ხერხე-ბით სადავო საკითხების გადაწყვეტას, ანუ კონფერენციის, არბიტ-რაჟისა და მის მსგავს ხერხთა გამოყენებას.“

ეს ის თვალსაზრისია, რომელსაც იცავს „Соц.-Демок.“ გაზეთის თანამშრომელი „А. З-овь“ თავის სტატიაში „В отставку“, ხოლო გუ-შინდელ ნომერში იგივე გაახმოვანა სოციალ-დემოკრატების ხელში გადასულმა სომხურმა „მშაკმაც.“

სომხურ-ქართული კონფლიქტი

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო შტაბის შეტყობინება

თიფლისი, 25 დეკემბერი

გუშინდელი დღიდან დაწყებული, ჩვენი ჯარების შეტევა გრძე-ლდება მტრის წინააღმდეგ შულავერისა და დავეთ – ხაჩენის რაი-ონებში.

თიფლისი, 26 დეკემბერი

გუშინ ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით აიღეს და დაიკავეს დავეთ – ხაჩენი, შულავერთან ბრძოლა გრძელდება. ფრონტის დანარჩენ ხაზზე სიმშვიდეა.

მობილიზაცია წარმატებებით მიმდინარეობს

ლეჩხუმი, 24 დეკემბერი. მობილიზაცია ბრწყინვალედ განხორციელდა. ჩამოყალიბდა ლეჩხუმისა და სვანეთის შენაერთები. მოსახლეობა სრულ მზადყოფნას აცხადებს, რომ ყოველი ხერხით დაეხმაროს მთავრობას.

სამხედრო მობილიზაციისგან განთავისუფლება

საქართველოს რკინიგზის უფროსმა აცნობა მილიციას, რომ ყველა (როგორც შტატიანი, ასევე არამუდმივ შტატში მყოფი) ხელოსანი და მუშა თავისუფლდება სამხედრო გაწვევისგან.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 27 დეკემბერი, N 92, გვ. 3-4

ქართველი ეროვნულ-დემოკრატები სოციალ-დემოკრატების შესახებ

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „საქართველო“ წერს: „უდავოა ის ფაქტი, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია კლასობრივ პარტიად ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა და არც მისი პოლიტიკა ატარებს კლასობრივ ხასიათს. ხალხს თავისი კლასობრივი იდეოლოგიის გადახედვა ან სახელმწიფოს მშენებლობაზე უარის თქმა მოუწევს. ეროვნულ-დემოკრატებს, ამ მხრივ, დიდი უპირატესობა აქვთ. ჩვენთვის ეროვნება და დემოკრატია მხოლოდ სიტყვები კი არა, არამედ ურღვევი პრინციპებია. ამიტომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია მთავრობის საჭის ხელში ჩაგდება.“

გაზეთ „ერთობას“ (N281) „მშაკის“ წერილებიდან მოჰყავს ციტატები ამიერკავკასიის ფედერაციაში სამი რესპუბლიკის შეერთების საკითხზე და შემდეგს ამბობს:

„ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „მშაკს“ ერთი რამ მაინც ავიწყდება, კერძოდ, ის, რომ ასეთ კონფედერაციას ან რაიმე სხვა სახის ურთიერთკავშირს, არსებითად, ეწინააღმდეგება ხმლისა და ჯანყის ის პოლიტიკა, რომელსაც დაშნაკცუთიუნის პარტია აწარმოებს. სომხეთის რესპუბლიკაში ამ პოლიტიკის მიმდევარნი ერთმანეთს მტრობენ. განა მათი სიტყვები (ფოსტასა და საბაჟოებზე) იმ დემოკრატიის დაცინვა არ არის, რომელიც თავისი სისხლით იცავს დემოკრატიულ იდეებს? საქმე ფოსტასა და საბაჟოებშია თუ დაშნაკების მუხანათურ პოლიტიკაში? ვიმეორებთ: ვისაც ამიერკავკასიის ერების კონფედერაციის შექმნა სურს, მან, უპირველესად, ამიერკავკასიის ერების ამრევ-დამრევი ძალა – სომხეთის დღევანდელი მთავრობა და მისი პარტია დაშნაკცუთიუნი უნდა ჩამოიშოროს.

სომეხ სოციალისტებს, სწორედ, ამ მხრივ, ვერ გადაუდგამთ ნაბიჯი. მათი წერა-კითხვა ამიერკავკასიის გაერთიანებაზე უტოპიურ ხასიათს იღებს. ეს კი საომრად აღმდგარ დემოკრატიას ვნებს. იგი

აჩლუნგებს საბრძოლო ენერგიას და ამით დაშნაკთა პოლიტიკურ ავანტიურას აძლიერებს. აი, სწორედ ამიტომ, ამჟამად საჭიროდ მიგვაჩნია, რომ, ფოსტა-ტელეგრაფის გაერთიანებაზე ლაპარაკის ნაცვლად, დემოკრატიული პოლიტიკის მოსისხლე მტრების დამარცხებაზე ვწეროთ. თუ სომეხ სოციალ-დემოკრატებსაც მიზნად აქვთ დემოკრატიის ნამდვილი სამსახური, ახლა, ამ გადამწყვეტი ბრძოლის ჟამს, უნდა ამოგვიდგნენ გვერდში და შორიდან არ გვიკითხონ უაზრო ლექციები."

ქართულ გაზეთს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ასეთ ქვეყანაში ყოველი წვრილმანი შემთხვევა ხელოვნურ ბარიერს ქმნის. მათ შორის ეკონომიკურ -კულტურული კავშირის აღდგენა კი იმას ნიშნავს, რომ ეს ერთეულები შეაერთო და ნაციონალისტურ ელემენტებს ხალხის აზროვნებაზე გაბატონების საშუალება მისცე.

დღეს ჩვენ ისეთ ჩანაფიქრზე ვაწერთ ხელს, რომლის უკან კიდევ ერთი შავი მოჩვენებაა დამალული.

ქართველი შოვინისტები დაშნაკებზე

ქვემოთ მოყვანილია გაზეთ „Грузия" -ში დაბეჭდილი მოწინავე სტატიის თარგმანი, სადაც ქართულ-თურქული შოვინიზმი და დაშნაკებისადმი განწყობა ძალზე ადვილი შესამჩნევია.

„ამჟამად კავკასიაში აქტიურობს ინგლის-საფრანგეთის ალიანსი, რომელმაც (ომის დასრულებისთანავე) ბატონობა ჩაიგდო ხელში. ამ კავშირის წინააღმდეგ საქართველოს არასოდეს გამოუვლენია თავისი დამოკიდებულება – არც დავა ჰქონია მათთან და არც შეტაკება.

ყველა მცირერიცხოვანი ერი, რომელსაც საკუთარი დასაყრდენი ძალა არ გააჩნია, ბუნებრივია, მზერას მიაპყრობს იმ საერთაშორისო ორიენტაციას, რომელიც მას ბევრ რამეს ჰპირდება.

შეუძლებელია, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები ვერ აცნობიერებდნენ იმას, რომ რომელიმე ერზე ძალადობრივი ზეწოლა და მისი მოსპობა მათს პრესტიჟსა და პოპულარობას სარგებელს ვერ მოუტანს. ამიტომ ძნელი არ უნდა იყოს ისეთი საერთო ენის გამონახვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება პოლიტიკურად

მისაღები ურთიერთობების დალაგება, რამეთუ ორივე, უწინარესად, დაინტერესებულია ერთი რამით – აღადგინონ ნორმალური ცხოვრების პირობები, რომლებსაც რევოლუციური ექსცესები უშლის ხელს.

თუმცა ჩვენ რუსეთისგან მიღებულ ბოლო მემკვიდრეობაზეც, რა თქმა უნდა, უარი უნდა განვაცხადოთ. აუცილებელია, რომ მშობლიურ სახელმწიფო ენაზე ვისაუბროთ, რამეთუ რუსული მიტინგებისა და „სოვდეპების“ ენა (მსოფლიო პროლეტარიატისადმი მიმართვებსა და ლოზუნგებში) დაშნაკებისთვის სრულიად გაუგებარია.

უნდა მოვსპოთ აქაური ბოლშევიკებისა და, თუნდაც, საზღვარგარეთელთა, ყოველგვარი ატრიბუტიკა და მათი აღდგენის ნებისმიერ მცდელობას სამუდამოდ ჯვარი უნდა დავუსვათ.

აქ ახალი ცხოვრება იწყება და სერიოზული ნაბიჯები იდგმება. თუ საქართველო (როგორც კავკასიის ერთ-ერთი ხალხის სახელმწიფო) დიდხანს ილაპარაკებს და იმუშავებს რუსული რევოლუციური აზრის კარნახით, მაშინ მისდამი ყოველგვარი ინტერესი დაიკარგება.

კავკასია სჭირდება ევროპულ და ამერიკულ კაპიტალსა და მათს კულტურულ ძალებს, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებენ სომხებსა და მაჰმადიანებს ისე, რომ საქართველოს გვერდს აუვლიან და მის ცხოვრებას ძლიერ დარტყმას მიაყენებენ.

რაც უნდა მოხდეს, საჭიროა დაშნაკებთან ლაპარაკი და საერთო ენის გამონახვა. ისინი, უეჭველია, სათანადოდ დააფასებენ ქართველი და თურქი ნაციონალისტების ამ ახალ მეტამორფოზას.“

სომხურ-ქართული კონფლიქტი

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო შტაბის შეტყობინება

თიფლისი, 27 დეკემბერი

ღამემ ყველა ფრონტზე მშვიდად ჩაიარა.

კონფლიქტის ირგვლივ

ქუთაისიდან თიფლისს მოვიდა გრ. ლიგიძის (ლაღიძე, ლ. გ.) მოხალისეთა რაზმი. საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა კავშირმა გადაწყვიტა, რომ ქართველ ვაჭარ-მრეწველთაგან 10 მილიონი რუბლი შეაგროვოს ომის საჭიროებებისთვის. საქართველოსა და სომხეთში ომისაგან მიყენებული ზარალის აღრიცხვისა და ამ ორი ქვეყნის დახმარების მიზნით შექმნილმა ორგანომ, თიფლისის ბირჟის თავმჯდომარის – ა. მილიანის მეთაურობით, ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში გაგზავნა მოწოდებები, რომ ვაჭარ-მრეწველებმა უზრუნველყონ დაზარალებულთა ნივთიერი დახმარება. ამ კომიტეტმა რამდენიმე საორგანიზაციო ღონისძიება უკვე ჩაატარა თიფლისში.

გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინი“, თიფლისი, 1918 წლის 28 დეკემბერი, N 93, გვ. 2-3.